



# გზა

N38(484) 17/IX-23/IX.2017  
11 ლარი



**გამხდარ ვიკა სანიკიძეს გამხდარი გოგონები არ მოსწონს**

**ვისთვის იღვწის ღვან ვარუალოძე**

**„მეც გათუებელი ვარ...“**



**სასა არა სჯობს, გასლა სჯობს?!**



**შალვა რამიშვილი „ღარღუბალა 3“-ის გაკეთებას გეგმავს**



**„ცოლი ვერვალ პერილს მოვიყვანე...“**

**გინა ბარამიას წარსული და აწმყო**



**6 წლის გოლიათი**

**„თავიდან თანატოლები მას უიფოთ უყურებენ...“**



**გულანდილი საუბრები სემსეა**

**„ასეთ გადაცემას ვინ წაიყვანს, თუ არა მე?!“**

**პრეზიდენტს მეზობლები უბნის ბირჟაზე ევატეშებიან**





# ქვეყანა



## ბრწყინვალე გამარჯვება თუ სრული კრახი

ჩვენი თინეიჯერი დიპლომატების დამსახურება მხოლოდ ის არის, რომ მხარი არ დაგვიჭირა ავლანთობა, სადაც ჩვენმა ბიჭებმა სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა იბრძოლონ და ერაყმა, რომლისთვისაც არცთუ მცირე სიკეთე გაგვიკეთებია

7

# სწავლა

## „მამაკაცი გამოქანებით“:



„არა, სიმართლეს გეუბნები. დასამალი და მოსატყუებელი რა მაქვს?! მართლაც ასეა, არ მინდა, დეტალებზე ვილაპარაკო, მაგრამ ცოლები ხშირად სწორედ იმითომ ლაღობენ ქმრებს, რომ რაღაც განსხვავებული სჭირდებათ“.

31

# სახე



## „მაღალი ვარ და დაბალი გოგო არ შემეფერება. შავგვრემანი გოგონები მომწონს, ოღონდ ძალიან გამხდრები — არა“.

„მაღალი ვარ და დაბალი გოგო არ შემეფერება. შავგვრემანი გოგონები მომწონს, ოღონდ ძალიან გამხდრები — არა“.

19



№38 (484)  
17 - 23 სექტემბერი, 2009 წ.  
ფასი 1 ლარი

- **მინიატიურები**
- „ბიჭია, ბიჭი!!!“ პირველი სექტემბერი 5
- 14 სექტემბერს იყო! 6
- **ჭრელი მსოფლიო**
- **ინფორმაცია** 7
- **რეპორტაჟი**
- პრეზიდენტს მუშობლები ყავაზე და უხანოთი პატივებიან ანუ უჩინარი ქია მივა 8
- **ზღვისპირეთი**
- შემოდგომა ზღვისპირეთში ტურისტული სეზონის მიწურულს 10
- **ექსპანსია**
- აფხაზეთში ავსტრიელი ინვესტორები შევიდნენ 11
- **პოლიტიკა**
- ბრწყინვალე გამარჯვება თუ სრული კრახი 14
- **განათლება**
- ქიმიის პროფესიას კვლევი პრესტიჟი უნდა დაუბრუნდეს 16
- **ეკრანს მიღმა**
- ✓ 1 ჰილა მანონი, შეპირებული ზანგი ქალი და მეორედ გათხოვილი შოუს მსახიობი 19
- ✓ **ინგა გრიგოლია ეპროკაუმი**
- სასწავლად მიამზადებია 21
- **ლიბრეტოები**
- „ქალიან მაღალი კალატბურთელი არა ვარ...“ 23
- **პრეზენტაცია**
- ვისთვის იღვწის ლევან ვარშალაძე 24
- **ჟიურ-მართალი**
- გულანდილი საუბრები სეპსა ანუ „საქართველოში ასეთი გადახმის ნაშეპანი ვინ იქნება, თუ არა მე?“ 25
- **ამბულა**
- „გამოვადი თუ არა, ახლომდებარე სუპერმარკეტში ლუდი ვიყიდა“ 27
- **პარსკვლავები**
- „ბედნიერება დავიმსახურე“ — სელინ დიონის ფიქრები მამადა 29
- **თქვეთვის, კალგატონავო**
- მივიღე ის, რასაც ვიმსახურებდი 31
- **მკითხველის წერილები**
- „დავამიანს დედა ყოველთვის სჭირდება“ 33
- **ფსიქიკა**
- „მამაკაცი გამოქანებით“: „ჩემს საქმიანობას უმგავსობას ვერ დავარქმევ“ 33
- **ორნი**
- ასე შორეული და ასე ახლოგული (გაგრძელება) 36
- **სიტუაცია**
- უმი სიმიწი, ზანგისთვის ნაშარი სერენადა და მიტოვებული მგზავნელები 38

# მშენილები

## როგორ ვიძიე შური



„ახლა ამითი დაბოლებ დაიწყო — აუ, მე ისეთი მაგარი მეთხავი ვარ, იმასაც ვხედე, გოგო ქალწულია თუ არაო და შეშინებული გოგონები რომ მოწყდნენ ადგილს, კოს-მოსური სისწრაფით „გაფრინდნენ“ გარეთ. 5 წუთში მათი კვალცი აღარ აჩნდა მიწას...“

83



- სიყვარულის აგებაი 40
- ✓ მაღაჲ დე პომეაღური — ქალი, რომელმაც საფრანგეთის ისტორიაში ღიღი როლი ითამაშა 43
- ✓ მსოფლიოს პორნოდეაქალაქები 45
- ავტო 46
- საკითხავი ქალენისათვის 48
- ანტიდეპრესანტი 48
- მოზაიკა 48
- ტაქარი 50
- იმპერატორი, რომელმაც ქრისტიანთა დევნა შეწყვიტა 50
- ჯანმრთელობა 52
- ✓ მსდარი მოსაზრებები შეკრულობაზე 52
- ✓ ჯანსაღი კვება 52
- პროფესია 55
- როდის სთავაზობენ მათემატიკის კლინიკებს „კინოტილინიკის“ აუზში ჩაშვებას? 55
- საღაურსა საღ ნიყვანე 57
- კვარიანთის პლაჟის ეგზოტიკა 57
- პერსონა 58
- გია ბარამია ნარსულსა და ანეყოზა 58
- ღიღი პატარა 61
- 6 წლის გოლიათი სკოლაში წავიდა 61
- თინიჯარული პონტები 64
- დაოჯახებული სკოლის მოსწავლეები და ხალხის თვალწინ „მოშუავე“ ახალგაზრდობა 64
- მარბალიები 67
- ორიოდ სტრიქონი გენიოსთა მემკვიდრეობიდან 67
- მინირომანი 68
- რომანი მსოფლიოსათვის 68
- ქართული ღვთაებები 70
- გოგა მანვლიძე. ძეგლი (გაბრძელება) 70
- რეალური 74
- ეშაქის მოსიძეული (გაბრძელება) 74
- რომანი 76
- სვება კვარაცხელია. 76
- აკრძალული ოცნებები (დასაწყისი) 76
- დოკუმენტური პროზა 80
- შენაქარები სტალინთან (გაბრძელება) 80
- ნაშრომი აგებაი 82
- უხნაური პატივარი 82
- გზავნილები 83
- ყველა ერთსათვის 88
- „ოქროს ბაღიში“ ჩაგვანს და სულ იმ ყოფილი გამოქვამილი“ 88
- მოქალაქეობა 90
- როგორი ასაკობრივი ზღვარია დასაშვები შეყვარებულებს შორის? 90
- გონიერი მკითხველი 95
- არაღიბი 96
- არის თუ არა საჭირო „ღიღი კაბი“ ქართულ პოლიტიკაში? 96
- „ამ ინიციატივით პარლამენტში აუხილებლად გამოვალ“ 98
- განსართობი 98
- ღიზიანარი 100
- როგორ უნდა გამოიყარებოდეს ქალი ანუ ღიზიანარის რჩევები ფანის ნაკლის დასაფარავად 100
- ნარმატა 102
- „გვირილათი“ აღმართვანებული თურქები და მარბარისზე გადაღებული კლიპი 102
- ასტროლოგია 104
- სანეოროლი 105
- საშირყო ქროსოროლი 106

## ადამიანი



### გია ბარამია ნარსულსა და ანეყოზა...

„ჩემს სახლში ვერ მეომრები ცხოვრობდნენ, მერე მათ ორმოცის რაიონიდან ჩასული დედა-შვილისთვის მიუყვინძაო. ისინიც მეუბნებიან, — რომ დაბრუნდებით, სახლს დაგიტოვებთო. დიასახლისმა ისიც კი თქვა, — სახლს რომ ვგვი, ასე მგონია, უწინდან ვილაღ მიყურებსო“

**55**

## გიბლუსი



### აკრძალული ოცნებები

— ეს კარგი ბარია, აქ შევიდეთ,  
— თქვა მოულოდნელად მამაკაცმა და მანქანა დაამუხრუჭა.  
— ვერ დამამთავრებინე სათქმელი, — მკაცრად გამოუვიდა წინს.  
— გისმენ, გისმენ...  
— ცოლიანი ხარ?  
— ამას რა მნიშვნელობა აქვს?  
— ერთხელ უკვე გითხარი, ჩემთვის უზარმაზარ მეთქ.

**67**

## სამყარო



### მსოფლიოს პორნოდეაქალაქები

მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ქალაქს სახელი მოსკოვს თავისთავად, ბევრ რამეს აკისრებს: აკრძალული ხილის ფასები განსაკუთრებულად მაღალია, სამაგიეროდ, არჩევანიც დიდია ალბათ, სულ რაღაც 1-2 წელი იქნება საკმარისი იმსათვის, რომ „ცოდელო ქალაქების“ წესებაში მოსკოვი პირველ სუთუელში შევიდეს“.

**43**

## ტანი-აუტი



### როგორ უნდა გამოიყარებოდეს ქალი

„ამ სეზონზე მანდილოსნებს შეუძლიათ, ქრელი გამაშვების ქვეშ სადა ფეხსაცმელი ჩაიცვან, რადგანაც მოდაში დაბალი და ფართოყელიანი ჩექმაა, რომელსაც შალის მაღალყელიანი გეტრები და ე.წ. გამაშვები მოუხდება. ჩემის ქუსლი ძალზე მაღალი უნდა იყოს“.

**95**

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“**

**გამოდის კვირაში ერთხელ, სუთუხათობით გაზვით „კვირის პალიტრის“ დამატება**

შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.


მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**  
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქუჯავაძე**  
 პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**  
 მენეჯერი: **მათე კბილაძე**

ღიზიანი: **ნანა გიგოლაშვილი**  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, ლუკა ჟორჯოლიანი**

**მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49**  
**ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com**  
**რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.**

# „ბიჭია, ბიჭია!!!“

## პირველი სექცემბერი 14 სექცემბერს იყო!



### შესავლის ნაცვლად

მიზა სოფელ ვახტანგის სკოლაში მივი-

და და როგორც ამ ბოლო დროს სწევია, ბავშვებს შეხვდა ერთმა პირველკლასელმა გოგონამ უთხრა:

— მე თქვენ ტელევიზორში გიყურებთ სოლმე!

— რას ლაპარაკობ?! — ისე გაიკვირვა, თითქოს ბავშვს ეთქვას, განუხუხური მსოფლიოში საუკეთესო კურორტი არ არისო...

ამ დროს კი სენიორ ჩავესი წითელი „მაიკით“ იჯდა პრესკონფერენციაზე და ასევე გამონცობილ იქაურ ჟურნალისტებს უხსნიდა, თუ რატომ არის აუცილებელი „ორ უძველეს ქვეყანასთან — აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან“ (ასე თქვა) დიპლომატიური კავშირის დამყარება.

სოხუმსა და ცხინვალში ამ ამბის გამო ზეიმი გამართეს; ცხადია, არა ისეთი პომპეზური, როგორც ეს რუსეთის მიერ მათ ცნობას მოჰყვა. ბალაფშმა მორიგი „სიბრძნე“ გადმოაფრქვია: ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მივალთ მსოფლიოს მიერ ჩვენს აღიარებამდე და ყველა ერთად ვიზეიმებთ იმ დღესო!!! მაგარია

— ნიკარაგუის შემდეგ ზუსტად ერთ წელიწადში ჩავესი დაიძმავაცეს; ასე „ნაბიჯ-ნაბიჯ“, წელიწადში ერთი ქვეყანა თუ ცნობს, ორ-ნახევარი საუკუნის შემდეგ „ყველანი ერთად იზეიმებენ“ — აფხაზთა სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ ხომ მსოფლიომ იცის... ამ ამბის პარალელურად კი, ჟენევაში მოლაპარაკებები განახლდა და ქართველი ჩინოსნები შამბასა და ჩოჩივეთან ტოლ-სწორად სასაუბროდ მიდიან...



ცხადია, არც არველაძის საქვეყნოდ გამოქცევის და არც ზოგადად არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ ვარ, მაგრამ ისე მაინტერესებს — როდესაც პატარკაციშვილის ქვრივმა დასავლეთის სასამართლოში პროცესი მოუგო სოსოია კაკალაშვილს (ენ. ჯოზეფ ქეის) და „იმედს“ კანონიერი მფლობელის ხელში გადასვლის „საფრთხე“ ისედაც „დაემუქრა“, რატომ მაშინ არ გაახსენდათ „მედიანურბლები“?! სხვა არხების წურბლებსაც მიხედვით, ახალგაზრდებო! რეგიონების პრესასაც გვარიანად „ტისკავენ“, შექმენით „რატომ?“-ის ფილიალები: დასავლეთში — „რეიზა?“, აღმოსავლეთში — „რაათა?“ და მიხედვით გამგებლების ძმაბიჭებისგან თავგატეხილ პროვინციულ ჟურნალისტებს! ან თუნდაც დედაქალაქის ბეჭდვითი პრესა გაიხსენეთ: მოხვედით, მკითხეთ, რა დღეში ვყავარ რედაქტორს თუ გამომცემელს?

### P.S.

P.S. არადა, ჩვენ რომ ნორმალურ ქვეყანაში ვცხოვრობდით, პოლიტიკასა და სხვა მამაძაღლობაზე ხომ არ ავიშლიდით ნერვებს?! აგერ ინგლისელები: მოინყვეს ცხოვრება და ახლა იმაზე მსჯელობენ, ელტონ ჯონი ბიჭს იშვილებს თუ გოგოსო! მომღერლებს შორის ყველაზე ცნობილი პედერასტი და პედერასტებს შორის ყველაზე ცნობილი მომღერალი კი კიევში ჩასულა და განუცხადებია: უკვე 62 წლის ვარ, თავის დროზე არ მიზრუნია, ახლა კი მემკვიდრეზე უნდა ვიფიქროო (თითქოს ადრე რომ ეზრუნა, ტყუუს გააჩენდა)!!! ისე, მაგარი სცენა იქნებოდა: თოფის ხმა და აივანზე ლულააბოლებული თოფით მდგარი ელტონ ჯონის „ქმარი“ რომ გაიძახის: „ბიჭია, ბიჭია!!!“

P.P.S. ჩოჩივეთან და შამბასთან რა შუაშია ეს ამბავი, მაგრამ რატომღაც, რაღაც საერთო დავინახე...

პროპოკატორი

საქართველოს  
კარლამუნის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

### შეხვედრა აზერბაიჯანში

როგორც აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ხოჯავენიის რეგიონში, სოფელ კუროპატნიკოში დაბანაკებულ აზერბაიჯანელ სამხედროებს 15 აგვისტოს საღამოს სომხურმა მხარემ ცეცხლი გაუხსნა, რასაც

აზერბაიჯანის მხრიდან საპასუხო ცეცხლი მოჰყვა. ორმხრივი სროლა სამხედროებს შორის დაახლოებით, 10 წუთი გაგრძელდა. დაღუპულებისა და დაჭრილების შესახებ ჯერჯერობით ინფორმაცია არ ვრცელდება.

### მიჩიგანში აქლასიამ სარეალად მიხედვისათვის საბანო გამოიყენა



მიჩიგანის (აშშ) შტატის ქალაქ დეტროიტის გარეუბანში ე.წ. არასაკონფესიო ეკლესიამ — ეტრო შოუტჰ ჩჰურცჰ — თავისი სარეალადო კამპანიისას სატანის გამოსახულება გამოიყენა. მისი მსახურები ქალაქში აწებებენ განცხადებებს ტექსტით — „მეტრო საუს — დაგვანებე თავი“, „მეტრო საუსს მკლავს“ და „გული მერევა „მეტრო საუსზე“, რომელსაც ბოლოს, „სატანის ხელმონერა“ ამშვენებს. ინტერნეტში ასევე გახსნილია საიტი, სადაც ახსნილია, თუ რატომ ეზიზღება სატანას ეკლესია.

როგორც ეკლესიის პასტორმა ერთ-ერთი ტელეარხისთვის მიცემული ინტერვიუს დროს განაცხადა, იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ ხალხი გამოეფხიზლებინათ. მისი თქმით, იესოს სურს, რომ შემოქმედი ადამიანები ვიყოთ და ნებისმიერი გზით მოვიზიდოთ ხალხი. „მეტრო საუსის“ სხვა მსახურმა აღნიშნა, რომ ისინი ორიგინალური სარეალადო კამპანიის წარმართვას შეეცადნენ და არავისი წყენინება გონებაში არ გაუვლიათ.

### რუსეთი აშშ-თვის საფრთხეს წარმოადგენს

აშშ-ის ნაციონალურმა დაზვერვამ რუსეთი იმ ქვეყნების სიაში შეიტანა, რომლებიც შეერთებული შტატების ინტერესებს საფრთხეს უქმნის — ამის შესახებ ინტერნეტგვერდი „ნიუს.რუ“ იუწყება. აშშ-ის ძირითად პოტენციურ მტრებს შორის არიან ასევე: ირანი, ჩრდილოეთ კორეა და ჩინეთი. ნაციონალური დაზვერვის სამსახურის უფროსის, დენის ბლერის ანგარიშის მიხედვით, ირანი და ჩრდილოეთ კორეა შტატებს საფრთხეს მათი სარაკეტო-ბირთვული ამბიციებით უქმნიან, ხოლო რუსეთი, მართალია, ბევრ პრინციპულ საკითხში აშშ-ის პარტნიორია, მაგრამ შესაძლოა, საკუთარი ძალისა და გავლენის გასაზრდელად ისეთ მეთოდებს მიმართოს, რომლებიც აშშ-ის ინტერესების რეალიზებას გაართულებს.

### საცირონო წარმოდგენა... აოსმოსიდან

ცნობილი საცირონო დასის — Cirque du Soleil („მზის ცირკი“) ხელმძღვანელმა, რომელიც სექტემბრის ბოლოს კოსმოსში გაფრენას გეგმავს, განაცხადა, რომ 9 ოქტომბერს პირდაპირ ორბიტიდან გაგვაცივებს ცოცხალი წარმოდგენით, რომელიც ევოლოციურ პრობლემებს მიეძღვნება. 50 წლის გი ლალიბერტეს თქმით, რომელმაც ეს ცირკი 1984 წელს დააარსა, შოუში აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, ამჟამად კი გარემოს აქტიური დამცველი ალბერტ გორი, გამოჩენილი ირლანდიური როკ-ჯგუფი 2, როკ-ვეტერანი პიტერ გაბრიელი და სხვა ცნობილი ადამიანები მიიღებენ მონაწილეობას. ლალიბერტე კოსმოსში 30 სექტემბერს უნდა გაემგზავროს, რუსული კოსმოსური ხომალდით „სოიუზ“. საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე თერთმეტდღიან მოგზაურობისთვის ის 35 მლნ დოლარს გადაიხდის და ამგვარად, რიგით მეშვიდე კოსმოსურ ტურისტად მოგვევლინება. მის მიერ დაგეგმილი წარმოდგენა პირდაპირი ეთერით მსოფლიოს 14 დიდ ქალაქში გადმოიცემა.



### ჰიტლარი და ლენინი საჯაროდ დაფასდა



ბრიტანული აუქციონის სახლი — ულლოცკა — პირველ ოქტომბერს გამოიტანს გრავიურას, რომელზეც ჭადრაკის მოთამაშე ჰიტლერი და ლენინი არიან გამოსახულნი. ლოტის მფლობელი დარწმუნებულია, რომ ეს ორიგინალია და ეკუთვნის ემა ლევენშტრამს, რომელიც თავის დროზე, მომავალ ფიურერს ხატვას ასწავლიდა. გრავიურა, რომელიც 40 ათას გირვანქა სტერლინგადაა შეფასებული, 1909 წლით თარიღდება და მასზე წერია, რომ მოქმედება ვენაში ხდებოდა... აუქციონერთა ცნობით, სულ გრავიურის 5 ეგზემპლარი არსებობდა. აუქციონისთვის განკუთვნილზე, ფანქრით შიგთხარის, ლენინისა და ლევენშტრამის ხელმოწერებია გაკეთებული. ვარაუდი, რომ ეს ავტოგრაფები ნამდვილია, 80%-იანია. გრავიურის მფლობელი ირწმუნება, რომ მამამისმა მთელი ცხოვრება ნამშუვრის ნამდვილობის დადგენას მიუძღვნა და ლოტს ამის დამადასტურებელი 300-გვერდიანი გამოკვლევა მოყვება. ლოტის მფლობელმა ასევე დასძინა, რომ გრავიურა ვენაში მცხოვრებ, მდიდარ ებრაულ ოჯახს ეკუთვნოდა, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს ქონების ნაწილი, მათ შორის გრავიურაცა და მასზე გამოსახული ჭადრაკი ოჯახის მოახლეს დაუტოვეს და დღემდე, მისი შვილთაშვილის საკუთრებას წარმოადგენდა. ბევრი ექსპერტი ეჭვობს, რომ გრავიურა ლევენშტრამის შერულებულია, ხოლო ისტორიკოსებს არ გააჩნიათ იმის მონაცემები, რომ ლენინი და ჰიტლერი ოდესმე შეხვედრილან ერთმანეთს. ავტორი წიგნისა — „კონსპირატორი ლენინი ემიგრაციაში“ — ელენ რაბოპორტი ვარაუდობს, რომ გრავიურა ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. ამასთანავე, შესაძლებლად მიიჩნევს იმას, რომ ჰიტლერთან ერთად გამოსახული მოთამაშე შეიძლება, იყოს რომელიმე ბოლშევიკი ან ლენინის ნაცობი, რომელიც ემიგრაციაში ცხოვრობდა.

მოამზადა თამთა ლაღველა



# ქვეყანა

## ე.წ. აფხაზური ეკლესიის დამარუბი

აფხაზურმა ეკლესიამ საქართველოს ეკლესიისგან გამოყოფის თაობაზე გამოაცხადა — ამ ინფორმაციას სააგენტო „რია ნოვოსტი“ ავრცელებს. ე.წ. სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის წინამძღოლის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესარიონ აპლიამ განაცხადა, რომ „აფხაზურმა ეკლესიამ ისტორიული სამართლიანობა აღადგინა და საქართველოს ეკლესიას ოფიციალურად გამო-



ყოფილ. „ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ ჩვენ არაერთხელ მივმართეთ უმაღლეს მართლმადიდებლურ ინსტანციებს, მაგრამ ყველა მათგანი დუმდა, რადგან ქართულ ეპარქიასთან ურთიერთობის გაფუჭება არ უნდოდა. სოხუმ-აფხაზეთის ეპარქია 1943 წლიდან საქართველოს კათოლიკოსს ექვემდებარებოდა და აფხაზეთის ტერიტორია ძალადობრივად გადასცეს საქართველოს ეკლესიას. დღეს ჩვენი დამო-

უკიდებლობის შესახებ შეგვიძლია განვაცხადოთ“, — დასძინა აპლიამ.

საქართველოს საპატრიარქოს პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა, მამა დავით შარაშენიძემ განაცხადა: „აფხაზეთის ეკლესია არ არსებობს. ასე რომ, აფხაზეთის ეკლესია არის თვითმმარქვია ერთეული და მას არც ერთი მართლმადიდებელი ეკლესია არ აღიარებს. რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ საეკლესიო საზღვრები არ გადაიხედება, მიუხედავად მათი მთავრობის უგუნური პოლიტიკისა“.

რუსეთის საპატრიარქომ თავის განცხადებაში, რომელსაც „ინტერფაქსი“ ავრცელებს, საქართველოს საპატრიარქოს საზღვრების კანონიკურობისადმი პატივისცემა კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა. „ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ საზღვრებს, — განაცხადა მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენელმა, მღვდელმა იგორ იაკიმჩუკმა. მან აღნიშნა, რომ აფხაზეთის სასულიერო პირებმა მსგავსი განცხადებები ადრეც გააკეთეს, მოსკოვის საპატრიარქოს პოზიცია კი ამ მხრივ კვლავ უცვლელი რჩება. „არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, რომლებსაც ჩვენს საქმიანობაში ვიღებთ, მაგრამ ამასთან ერთად, ეკლესიების საზღვრების კანონიკურობის მთლიანობის პრინციპს ვუმხობობთ“.

## ბიზნაჰუი ქეთა თოფურიას მამა დააკავეს

ყირგიზეთის ქალაქ ბიშკეკში ქართველი მომღერლის, ქეთა თოფურიას მამა ანდრო თოფურია დააკავეს. არსებული ცნობით, 42 წლის თოფურიას დაკავება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა. „მას ნარკოტიკული ნივთიერება ჰქონდა და დაკავების ოპერაცია აეროპორტში ჩატარდა“, — ასეთია ბიშკეკის პოლიციის ოფიციალური განცხადება. დაკავების შემდეგ თოფურია განყოფილებაში გადაიყვანეს და მეორე დღით, მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც განყოფილებაში აღექსანდრე ქარცივაძე გამოცხადდა და წარმოადგინა ცნობა, რომლის მიხედვით, თოფურია ბიშკეკში სამკურნალოდ იმყოფებოდა და რეაბილიტაციის კურსს ცნობილი ექიმის, ჟენიშბეკ ნაზარალიევის კლინიკაში გადიოდა. ქარცივაძე, ქართულ შოუბიზნესში ცნობილი პროდიუსერის, ნატო დუმბაძის მეუღლეა. ყირგიზ სამართალდამცავთა მტკიცებით, ორივე ქართველი „კანონიერი ქურდის“ სტატუსით სარგებლობს, მაგრამ, საქართველოსგან განსხვავებით, ეს „წოდება“ ყირგიზეთში სამართლებრივად არ ისჯება.

## ავტოავარია თურქეთში

თურქეთში მომხდარი ავტოავარიის შედეგად, საქართველოს 3 მოქალაქე დაიღუპა. ტრაზბონში საქართველოს გენერალური საკონსულოს ინფორმაციით, დაღუპული არიან ცოლ-ქმარი: თეო ბერძენიშვილი, ლაშა ცაგარეიშვილი და მათი მეგობარი დენის დავიდოვი, რომელიც ავტომანქანას მართავდა. ავტოავარია ტრაზბონის მაღალმთიან რეგიონში მოხდა. სამგზავრო ავტობუსი ჯიპს შეეჯახა. ქართველების გარდა, ავარიის შედეგად სომხეთის 3 მოქალაქეც დაიღუპა. სარფის გამშვებ პუნქტამდე დაღუპულთა გადამოსვენების ხარჯებს თურქული მხარე გაიღებს, ხოლო სარფის საბაჟოდან თბილისამდე — საქართველო საგარეო საქმეთა სამინისტრო იზრუნებს.



# პრეზიდენტს მეზობლები ყავაზე და უხანუი ეპატიუებიან ანუ უჩინარი ქია მიუა


არ ვიცი, სხვაგან რა ხდება, ჩვენში კი მეზობლობას სულ სხვა ხიბლი აქვს. მაგალითად, ხომ ამბობენ, ქართული სუფრა აკადემიააო, მე კი ვიტყვი, რომ ქართული მეზობლობა ინსტიტუტი მაინცაა. სხვა ქვეყნებში თუ მეზობლები ერთმანეთს არც კი იცნობენ, ჩვენში საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას, ვერ ახალმა სამეზობლომ უნდა მივიღოს, სხვა შემთხვევაში მეზობელთან ვერც ორი კბილი ნივრის სასესხებლად მიხვალ, არც „სრულიად სამეზობლოს“ ქორები გეცოდინება და „არამეზობლურის“ იარაღებსაც მოგაკერებენ.

## ემა ბუხიაშვილი

რამდენიმე წლის წინ, როდესაც ავლაბარში პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობა იწყებოდა, იქ მცხოვრებ მოსახლეობას ვესტუმრე და ამ საკითხთან დაკავშირებით მათი მოსაზრებით დავინტერესდი. მახსოვს, ავლაბრელთა დიდი ნაწილი პრეზიდენტთან დამეზობლებას ახალ პერსპექტივად მიიჩნევდა. ზოგს იმედი ჰქონდა, რომ მისი „ბარაკული“ ტიპის სახლი, გრანდიოზული საპრეზიდენტო აპარტამენტების გვერდით, რბილად რომ ვთქვათ, შეუფერებელი იქნებოდა, ამიტომ დაანგრევდნენ და ახალი საცხოვრებელი ფართით დააკმაყოფილებდნენ. ყველას იმედი როდი გამართლდა, მხოლოდ ის სახლები აიღეს, რომლებიც რეზიდენციის მშენებლობის არეალში მოხვდა, სხვა დანარჩენი კი კვლავაც უცვლელი დარჩა.

მაგრამ ერთი რამ ნამდვილად შეიცვალა: უფრო თვალშისაცემი გახდა სოციალური კონტრასტი — ქუჩის ერთ მხარეს თანამედროვე, გრანდიოზული და მდიდრული საპრეზიდენტო რეზიდენცია იწონებს თავს, მეორე მხარეს კი ნახევრად დანგრეული სახლებიდან მეზობლები პრეზიდენტს თავაზიან სალამს უძღვნიან და ჭიქა ყავაზე ეპატიუებიან.

**პარინა შაბინიანი, პრეზიდენტის მეზობელი:**  
— ჩემი სახლი პირველია, რომელ-



იც პრეზიდენტის სასახლეს ესაზღვრება, მაგრამ ვიდრე ეკონომიკური კრიზისი არ გადავიდის, ამბობენ, რეზიდენციის მეზობლად მდებარე ავარიულ შენობებს არ დაანგრევენ. მათ, ვისი სახლებიც საპრეზიდენტო რეზიდენციის მშენებლობას ხელს უშლიდა და დაანგრევის, სოლიდური კომპენსაცია გადაუხადეს და აქედან უკმაყოფილო არავინ წასულა. ბედს არც ჩვენ უჭიკით და უკეთესი მომავლის იმედით ვცხოვრობთ. რამდენიმე წლის წინ ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ პრეზიდენტის მეზობლები ვიქნებოდით, ახლა კი თითქმის ყოველდღე ჩვენს სახლთან სხვადასხვა ქვეყნის სამთავრობო დელეგაციას ვხვდებით. სხვებს თუ საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი მხოლოდ ტელევიზიით ჰყავს ნანახი, ჩვენ მისი ნახვის შესაძლებლობა პირადად გვქონდა. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი დაგვიმეზობლდა, თავს უსაფრთხოდ ვგრძნობთ. ყველა კუთხე-კუნჭულს მისი დაცვა აკონტროლებს და სხვათა შორის, მოსახლეობის მიმართ ძალიან თავაზიანები არიან. ამიტომ, ვერ ვიტყვი, რომ პრეზიდენტი ჭირვეული მეზობელია. კეთილმეზობლური ურთიერთობის გასაღრმავებლად კი ვაპირებთ, რომ მიხეილ სააკაშვილი ჭიქა ყავაზე მოვიპატიუოთ და ვიმედოვნებთ, რომ სტუმრობისთვის თავისუფალ დროს გამოინახავს.

**ზია გვილაშა, პრეზიდენტის მეზობელი:**

— ცუდს ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი, რადგან პრეზიდენტი მართლაც კარგი მეზობელია. როგორც კი რეზიდენციაში გადმოვიდა, მეზობლები ალა ფურშეტზე დაგვაპატიუა, პირადად გაგვესაუბრა და მადლობა გადაგვიხადა, გვითხრა იმისთვის, რომ სანამ რეზიდენციის მშენებლობა მიმდინარეობდა, ერთხელაც არ დაგვიჩვილია იმის გამო, რომ ხმაურსა და მტვერში ვცხოვრობდით. მიღებაზე ყველა მეზობელს გვაჩუქეს ჭიქა, რომელზეც პრეზიდენტის სასახლეა გამოსახული. ყველაზე მოხერხებულებმა კი მიხეილ სააკაშვილთან სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს. რამდენიმე მეზობელი რეზიდენციაში დასაქმდა კიდევ. ისევე, როგორც საქართველოს მოქალაქეთა დიდ ნაწილს, სხვადასხვა პრობლემა პრეზიდენტის მეზობლებსაც გვაქვს, მაგრამ ჩვენ მაინც ვცდილობთ, მასთან სიახლოვეთ არ ვისარგებლოდ და იშვიათად ვანუხებთ. სამაგიეროდ, როდესაც სასმელი წყლის შეფერების ან სხვა საკითხის გამო მიგვიმართავს პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის, ყოველთვის დროულად მოუგვარებიათ ჩვენი პრობლემები. ჩვენი ყველაზე დიდი სატყვიარი — ავარიული სახლებია. ცოტა ხნის წინ პროექტის — „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ — ფარგლებში, ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლები მოვიდნენ და ამ დანგრეული სახლებიდან







თან საუბარი არ ისურვა. ზოგმა ხელები გაასავსავა — პრეზიდენტზე არაფერი მკითხო, მოსასმენი მოწყობილობა გაქვს ალბათ სადმე დამაგრებული და გინდა, რაშე წამოაცდენინოო; ზოგმა კი, სააკაშვილის სახელის გაგონებისას, თავის ტკივილი მოიმიზეზა და სხვა მეზობლებთან „გადაგვაძისამართა“. იქვე, ახალდაგებულ ასფალტის საფარზე ველოსიპედებით ბეშუები „კატაობდნენ“ და გადაწყვიტე, მათთვისაც მეკითხა პრეზიდენტის შესახებ.

ვაკეში, ახალაშენებულ კორპუსში გადასვლა შემოგვთავაზეს. მეზობლების უმეტესობა ამ პირობაზე თანახმა იყო, მაგრამ ეზოს ორი მცხოვრებისთვის შემოთავაზებული პირობები მიუღებელი აღმოჩნდა და მენაშენესთან მოლაპარაკებები ჩაიშალა. ამის გამო პრეზიდენტი როგორ შევანუსოთ, მაგრამ თუ თქვენს ჟურნალს წაიკითხავს და მეზობლებს შორის არსებული დავის მოგვარებაში დაგვეხმარება, მაღლობელი დავრჩებით.

— ბავშვებო, თქვენი მეზობელი, ძია მიშა როგორი კაცია?

— რომელი ძია მიშა, სურვილს მამა?

— რომელი და პრეზიდენტი.

— რომელი პრეზიდენტი?

— ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი და თქვენი მეზობელი — მიხეილ სააკაშვილი. აი, ის, ბავშვებს საფეხბურთო მოედნებს რომ უშენებს. ისე, თქვენთვის ასეთი მოედანი ჯერ არ გაუკეთებია?

— ჩვენ ეგ ძია მიშა მხოლოდ ტელევიზორში გვყავს ნანახი, ავლაბარში კი თვალითაც არ გვინახავს... — ბოლო წინადადებას ასე, 7-8 წლის ბიჭმა ისეთი წყევლა მიაყოლა, რომ გაცივებულმა, წყრომის მიზეზიც ვეღარ ვკითხე.

ამასობაში, იქვე რამდენიმე შუა ხნის მამაკაცი შევნიშნე. ეტყობოდათ, ამ უზნის მკვიდრნი უნდა ყოფილიყვნენ. ტანზე ყველას სპორტული სამოსი ეცვა და ხის ჩრდილში ნარდის თამაშით იქცევდნენ თავს. ბევრი არ მიფიქრია და მათკენ გავემართე.

— გამარჯობა! ჟურნალისტი ვარ და მინტერესებს, როგორი მეზობელია ქვეყნის პრეზიდენტი?

— ეგ როგორი მეზობელია?... ისე ჩუმად მიდი-მოდის, რომ მაგის მნახველი უბანში კაცი არ არის, — მიპასუხა ერთ-ერთმა მოთამაშემ და კამათელი ნარდის დაფაზე ხმაურით გააგორა. — ამბობენ, გვირახით დადისო; გვირახიდან რომ ამოდის, დიდ რკინის ჭიშკარში შედის, იქ კი, როგორც ხედავ, ნებართვის გარეშე ჩიტიც კი ვერ შეფრინდება.

— ეგ რომ კარგი სამეზობლო კაცი ყოფილიყო, ქუჩებზე ასფალტის საფარს ასე სანახევროდ კი არ დააგებდა,

— მომიბრუნდა მეორე მოთამაშე და თავის მოძრაობით იმ გზაზე მიმოითითა, რომელზეც ვიდექით. მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რომ პრეზიდენტის რეზიდენციამდე მისასვლელი გზები სანახევროდ ანუ მხოლოდ რეზიდენციის გარშემოა ახალი ასფალტი დაგებული, ხოლო ქუჩების დანარჩენი ნაწილი, სადაც პატარა საცხოვრებელი სახლები იწყება, ნატყეპნი ტალახითა დაფარული.

— შევიტანეთ განცხადება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში: კაცო, ჩვენ ხალხი არ ვართ? თქვენ რომ ასფალტზე სუფთად დადისართ, ჩვენ ტალახი როდემდე ვზილოთ-თქო?! — და იცით, რა გვიპასუხეს?... „სმეტაში“ ანუ ხარჯთაღრიცხვაში არა ხართო. ჩვენ თუ არ ვართ, მაშინ არც პრეზიდენცია ჩვენი მეზობელი... ეგ იცით, როგორ მოუვიდა ჩვენს პრეზიდენტს? ჩვენი მეზობელი როზა ეზოს მარტო თავისი სახლის წინ რომ დაგვის ხოლმე, თითქოს ეზოს დარჩენილ ნაწილზე ფეხით გავლა არ მოუწევს და უნდა გადააფრინდეს. ერთი მითხარით — სააკაშვილი რეგიონებში რომ დადის და მოსახლეობას ხვდება, ჩვენ აქ ხალხი არა ვართ?! მოდი, შე კაი კაცო, დაგველაპარაკე, გამოჩნდი უბანში, რომ უბანმა მიგიღოს. ყოველდღე აგერ ხარ,



ყურის ძირში, და სოფელ-სოფელ სად გდიოთ, რომ შენს ნახვას ვეღირსოთ?!

— როგორც ვიცი, რეზიდენციაში მიღებაზე მეზობლები ჰყოლიათ მიწვეული, თქვენ მაშინ არ იყავით?

— მოსაწვევები შერჩევით დაარიგეს, ძირითადად მაინც, სომხური მოსახლეობა ჰყავდათ მიპატიუებულნი. არ მინდა, ბატონო, რეზიდენციაში მიპატიუება, აგერ გამოჩნდეს ერთხელ, უბანში, მოვიდეს, კამათელი გაგვიგოროს, გაგვიშინაურდეს. ხომ იცით, ნათქვამია — თუ გვერდში მდგომი არ გიყვარს, კარგად ვერ იმღერებო. ან ის არ გაუგია — მეზობელო კარისაო?... ეს ძველი, კოლორიტული უბანია და ტრადიციის თანახმად, უბანმა უნდა მიგიღოს, რომ მისი წევრი გახდე. ■

**ბატონი შია, პრეზიდენტის მეზობელი:**

— პრეზიდენტის დამეზობლების შემდეგ ჩვენთვის მხოლოდ ის შეიცვალა, რომ რამდენიმე ქუჩის ბინადარი, დაცვის სამსახურმა მკაცრ კონტროლზე აგვიყვანა. პრეზიდენტის დაცვას ჩვენ შესახებ დეტალური ინფორმაცია აქვს და უზნის ინსპექტორი ყოველთვე, ოჯახიდან ოჯახში დადის და უკვე არსებული ინფორმაციის გადამოწმებას ახდენს. ირგვლივ კარგად თუ მიმოიხედავთ, დანახავთ, რომ თქვენს გადაადგილებას უამრავი ვიდეოთვალი აკვირდება. თავიდან ასეთი თვალთვალის ქვეშ ცხოვრება დისკომფორტს გვიქმნიდა, ახლა კი შევეგუეთ და ვხუმრობთ კიდეც, რომ რეალურ სატელევიზიო შოუში ვცხოვრობთ. აქ იმასაც ამბობენ, ვითომდა ყველგან „ჟუ-ჩოკებია“ დამონტაჟებული, ამიტომ ცოლ-ქმარიც კი ერიდება ერთმანეთთან გულახდილად საუბარს და თუ რამის თქმა უნდა, ჩურჩულით ლაპარაკობენ... შარშან აგვისტოს ომის დროს კი დიდი შიში გადავიტანეთ. გახსოვთ ალბათ — ხმა გავრცელდა, თითქოს რუსები ავლაბრის რეზიდენციის დაბომბვას აპირებდნენ. მაშინ, მიმდებარე ქუჩები მოსახლეობისგან დაიცალა. ხალხი პანიკაში იყო. როგორია რამდენიმე დღე იმ განცდით იცხოვრო, რომ შესაძლოა, ერთმა საპაერო იერიშმა გაანადგუროს ყველაფერი, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში დიდი შრომის ფასად მოგიპოვებია?!

პრეზიდენტის მეზობლებს შორის ისეთებიც იყვნენ, ვინც ამ თემაზე ჩვენ-

ჯაბა ანანიძე

ზღვის სანაპიროს შემოდგომა ეწვია... დაცარიელდა პლაჟი, შეზღონებები, კაფე-ბარები, ქუჩები. მართალია, სავერდოვან სეზონს თავისი მოტრფილვეები ჰყვანან, ბანაობა დაშვებულია და მზეც უფრო ხშირად ჩნდება, ვიდრე აგვისტოში, მაგრამ ქართული ზღვისპირეთი უკვე სეზონის შეჯამების სტადიაშია. ამას თქვენი წვიმაც დაერთო და მგონი, საბოლოოდ დააფრთხო დამსვენებლები...

სტატისტიკის მიხედვით, წელს აჭარას ნახევარ მილიონამდე დამსვენებელი ეწვია. წინა წლებთან შედარებით, ეს კარგი მაჩვენებელია, მაგრამ გვეყოლება თუ არა გაისად 3 მილიონი ტურისტი, როგორც ამას პრეზიდენტი სააკაშვილი თამამად ვარაუდობს, ძნელი სათქმელია. ქართული ზღვისპირეთის ინფრასტრუქტურას ჯერჯერობით ბევრი რამ აკლია ევროპულთან, თუნდაც თურქულ კურორტებთან შედარებით: „წვიმიან მზიანეთში“ წვიმის დროს გასართობი დაწესებულების პოვნა ისევ ჭირს, ისევ ვერ

# შაჰოდგომა ზღვისპირაში



## ბარისტაული სეზონის მიწურულს ბარისტები ამბობენ...

შესაბამება ტურისტული სერვისის უმაღლესი ფასები ხარისხს და გვაკლია, როგორც თითქმის ყოველი მეორე დამსვენებელი აღნიშნავს, — ღირსი/მეორე მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა წარსულში აჭარა მრავალათას ადამიანს მასპინძლობდა, ტურისტული ცნობიერება ხელახლა განვითარებას იწყებს, ამჯერად — საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად.

პლაჟზე, დღისით თუ ღამით, ხავერდოვან სექტემბერშიც არეულა ერთმანეთში ქართულ-რუსულ-სომხური მელიოდები... ტურისტები აქტიურად ერთობიან. წელს გასართობი ღონისძიებები, ცნობილი მომღერლები და მუსიკოსები ნამდვილად არ აკლდა ზღვისპირეთს. კაფეებს მაინცდამაინც ბევრი სტუმარი არ ჰყოლია, საჭმელ-სასმელის ფასი საკმაოდ მაღალია, თუმცა სურსათის გაძვირების კვალობაზე, ეს გასაკვირი არაა. ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, არც სასტუმროების ფასი დაწეულა ქვემოთ. ბათუმურ სასტუმრობო

ერთი ღამის გათვლა, 40-დან 150 ლარამდე მერყეობდა. აქვე გეტყვით იმასაც, რომ სასტუმროთა უმრავლესობა მხოლოდ საუზმით უმასპინძლებოდა სტუმარს. ზღვისპირეთის ვარსკვლავურ სასტუმროში — „ჯორჯია ჰოტელ პალას“ (ქობულეთი) სასმელი წყალიც კი ფასიანი იყო. როგორც მოგეხსენებათ, ამ სასტუმროს მესაკუთრე ბიზნესმენი ჭყონიაა, რომელმაც, როგორც ჩანს, საკუთარი „წყლის ბიზნესის“ განვითარებაზეც აქტიურად იზრუნა...

უდავოა, რომ წელს ზღვაზე დასვენება ძირითადად, შეძლებულმა ადამიანებმა შეძლეს. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ გასულ ზაფხულს ძვირად ღირებული სასტუმროები გადატვირთული იყო, ხოლო კერძო სახლებში დამსვენებელს ამოდ ელოდნენ. კერძო სექტორში დასვენება საშუალოდ, 15-დან 40 ლარამდე ჯდება (რაც წინა წლებთან შედარებით, დაბალი ფასია), მაგრამ გამჭირვებულები სეზონით კმაყოფილი წელს მაინცდამაინც ვერ დარჩნენ.

დამსვენებელთა შორის, წლეულსაც სომხეთის მოქალაქეები ლიდრობდნენ. გვესტუმრნენ სხვა ქვეყნებიდანაც. თუ მათ გაცსაუბრებთ, ბათუმური ტურიზმის ავან-გარდსაც იოლად გაიგებთ.

### ჯამალებ ტოვასიანი სომხეთიდან:

— ბათუმს ხშირად ვსტუმრობ. წელს ძალიან ნაადრევად აცივდა, თორემ ყველაფერი მშვენივრად მიდიოდა. მთელი სომხეთი აქაა — რა მომანაცყენს?! ჩვენს პატივსაცემად, აქაურ კაფეებში ჩვენებურ კერძებსაც აკეთებენ და სომხურ მუსიკასაც აუღერებენ... ასეც უნდა იყოს.

### ნიკ ტოჩინაძი ამერიკიდან:

— როგორც ვხედავ, ბათუმი შენ-

დება. მშენებლობის პროცესი არაა კარგი საყურებელი ტურისტისთვის, მაგრამ კარგია, რომ მშენებლობა არ წყდება. ძალიან მომწონს საქართველო, ქართველები, მოხიბლული ვარ ქართული სამზარეულოთი, თუმცა ხშირად ძალიან ბევრ ფულს გვთხოვენ რესტორნებში. ალბათ ჰკონიათ, რომ ყველა უცხოელი მილიარდერია, ასე არ შეიძლება. მენიუ ინგლისურ ენაზე ბევრგან არა აქვთ, საძებარია საზოგადოებრივი ტუალეტებიც. თუ იპოვი, შესაძლოა, დაკვტილიც დაგვხვდეს.

### ლუკა ფარინი საფრანგეთიდან:

— აქ ზღვა და მთა ერთად... აქაური წვიმაც რომანტიკაა. დაესვირნობ ამ პატარა ქალაქის ქუჩებში და ქართული ფენომენის ამოცნობას ვცდილობ. მოკლედ, ყველაფერი იდეალურია, წყლის გარდა: კერძო სახლ-სასტუმროში ვისვენებ და ამას წინათ ისეთი შავი წყალი დამხვდა აბაზანაში, დღემდე გოცნებული ვარ... ქართულ კულტურას გავეცანი. არაჩვეულებრივად ცეკვავთ ქართველები. ამან ყველაზე მეტად გამაოცა.

### თოვას ლორგანი ამერიკიდან:

— ბოლოდროინდელმა მოვლენებმა საქართველოს მიმართ ინტერესი გააჩინა. მე პირადად ახლობლის რჩევით ჩამოვედი ბათუმში. კარგი ქალაქია, მშვიდი... 3 დღეა, აქ ვარ და დღეს ძლივს გამოჩნდა მზე. საინტერესოა, ასეთ დროს როგორ ერთობით ქართველები? ძალიან მოვიწყინე... ვერც საინტერესო ღამის კლუბს მივაგენი, სადაც, მაგალითად, გემოვნებიან მუსიკას უკრავენ. ამ ქალაქს ტურიზმის განვითარების მშვენიერი შანსი აქვს.


### გიგა თოიძე თბილისიდან:

— ბათუმი უკვე ევროპულ ქალაქს ემსგავსება. ძალიან კარგად ვერთობით. ქუჩებში გავლა ცოტათი კი გვიძინელებდა,



# აფხაზეთში ავსტრიელი ინვესტორები შავიღნახ (?!)

„აფხაზეთში სულ რამდენიმე საათი დაყავი, მაგრამ ეს დრო სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ იქაურობისთვის „მთას პლუს ზღვა“ მეროდუ ბინა... ბუნების ეს საჩუქარი არ უნდა დაიკარგოს, იმ უზრალ მიზნის გამო, რომ ამ რეგიონში ჯერ კიდევ არ არის მშვიდობა და ადგილობრივი კრიმინალები ვილაცების დახმარებით, სხვადასხვა სახის არალეგალურ ბიზნესს ეწევიან. თქვენ ნამყოფი ხართ აფხაზეთში?.. ნანახი გაქვთ ეს ზღაპრული სილამაზე? — „დამტყრეული“ რუსული მკითხა ავსტრიული კომპანია „ასტრაველის“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა ნიკოლას სტიფერმა სატელეფონო საუბრისას და ემოციურად განაცხადა: — ეს ზღაპარია! დასაწინაა, რომ მისი არსებობის შესახებ მსოფლიოში ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცის და ამიტომაც მივესალმები რუსეთის ძალისხმევას, რომელიც ამ „პატარა სამოთხის“ პოპულარობაზე ზრუნავს...“



## „თქვენ ნამყოფი ხართ აფხაზეთში? ეს ნამდვილი ჰაბარა სამოთხაა!..“

ლალი კაპასკირი

როგორც ჩანს, მასპინძელმა აფხაზეთმა და რუსმა ბიზნესპარტნიორებმა აფხაზეთში პირველად მყოფ ავსტრიელ ბიზნესმენებს მთელ რეგიონში მიმოფანტული, გასაყიდად გადადებული, გადამწვარი, ქართველების ნასახლარები არ უჩვენეს, რომელთა ნაწილი უკვე გაყიდულია და გარემონტებულიც, ზოგი კი დღემდე კარგად ასახავს ომის საშინელებას... სავსებით შესაძლებელია, რომ უცხოელ ინვესტორებს ომგამოვლილი აფხაზეთის შეულამაზებელი სახეც ენახათ, თუმცა იქ, სადაც ბიზნესინტერესები ჩნდება, ხშირად ადამიანური ემოციები უკანა პლანზე გადადის...

— ბატონო სტიფერ, ამ რეგიონის წარსულზე თუ გსმენიათ რაიმე?.. თუნდაც ის, რომ აფხაზეთი საქართველოს ძირძველი, ისტორიული მხარეა, რომელიც რუსეთის ჩარევის შედეგად, დროებით დაკარგეთ...  
— აფხაზეთზე ბევრი რამ ვიცი.

ჩემთვის ცნობილია 90-იან წლებში მომხდარი ქართულ-აფხაზური ომის შესახებაც, რომელიც რუსეთის მიერ იყო პროვოცირებული და რომელსაც ქართველები და აფხაზები წამოუგნენ... მაქვს ასევე სხვა ინფორმაციაც, მაგრამ ამ თემაზე საუბარი კონფლიქტოლოგთა საქმეა. ისე კი, ერთ რამეს მაინც გეტყვი: თანამედროვე მსოფლიოში რეალობა ხშირად იცვლება და საქართველოს ხელისუფლებას ამ რეგიონში თავისი იურისდიქციის აღსადგენად ყველაფერი უნდა ელონა, თუნდაც იმისთვის, რომ ჩვეულებრივ, სტაბილურ პირობებში ამ რეგიონიდან მიღებული შემოსავლით, საქართველო უამრავი სოციალური პრობლემის მოგვარებას შეძლებდა... საბჭოთა კავშირი და გერმანია ომის დასრულებიდან რამდენიმე წელიწადში შერიგდნენ, აფხაზებს კი ძველი მოძმე ერის მიმართ ისეთი განწყობილება აქვთ, რომ ამ ორი ხალხის შერიგებას შესაძლოა, საუკუნეზე მეტი დასჭირდეს. ეს ჩემი პირადი აზრია, თუმცა, როგორც გეოგრაფიული მიმომხილველი, აფხაზე-

იმდენი მშენებლობა, მაგრამ რაც მთავარია, ვშენდებით, ხომ არ ვინგრევით?! ფასებთან დაკავშირებით, ნამდვილად არის სასაყვედურო. თურქეთში იმ თანხით, რასაც აქ ჭარჯავ, გაცილებით კომფორტულად დავისვენებდი. ყოფილვარ ანტალიაში და ვიცი.

**პაპ მალრაძე** თბილისიდან:  
— ბათუმი თანდათან ევროპულ ქალაქს ემსგავსება, რაც სასიხარულოა, თუმცა ტურიზმის განვითარების უფრო კონკრეტული სტრატეგიაა ალბათ საჭირო. დამსვენებელი, წვიმასა თუ მზეში, ერთნაირად კარგად უნდა ერთობოდეს. აჭარის მთიანეთში ნამყოფი ვარ და ვიცი, რა სილამაზე იმალება იქ, მაგრამ სამწუხაროდ, სამთო მარშრუტების რეკლამირება სათანადოდ ვერ ხერხდება. არც საგზაო ნიშნულებია მთაში. იქ მოხვედრილი უცხო ადამიანი შესაძლოა, დაიკარგოს.

მთაში საგზაო ნიშნულების გამოჩენას აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ამჯერად სამომავლოდ გეპირდება. დეპარტამენტში ირწმუნებიან, რომ ტურიზმი აჭარაში უაღრესად სწრაფი ტემპით ვითარდება. დასძენენ, რომ ინფრასტრუქტურული პრობლემა კომპლექსურია, თუმცა აქ არა აქვთ პასუხი კითხვაზე — რატომ ვერ გაიხსნა „დაანონსებული“ დელფინარიუმი ამ ზაფხულს (ჩვენი ინფორმაციით, საექსპერიმენტოდ ჩამოყვანილი 2 დელფინი, ტექნიკური ხარვეზების გამო, დაიხრჩო). უცნობია ბათუმის ბულვარში მოწყობილი ე.წ. ნიჟარის დანიშნულებაც. არქიტექტორების მიერ დაწუნებულ შენობაში მერია საგამოფენო დარბაზის გახსნას დაგვირგადა, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ მრავალფეროვანი შადრევნები არღვევენ „ნიჟარის“ მყუდროებას.

დელფინარიუმი და „ნიჟარა“ — ვერა, მაგრამ დაპირების შესაბამისად, ბულვარი ნამდვილად, გაიზარდა, თანაც — 1200 მეტრით. მართალია, ახალი ბულვარის კეთილმოწყობაზე 27 მილიონი ლარი უკვე იხარჯება, მაგრამ კეთილმოწყობლობის გამო, დამსვენებლები კვლავაც ძველ ბულვარში სეირნობას ამჯობინებენ.

ბათუმურ მშენებლობებს ტურისტები წელს პირდაპირ პლაჟიდანაც ადევნებდნენ თავლს. მართალია, შენება კარგია, მაგრამ საკვებით შესაძლებელი იყო, საქმე ისე მოეწყობო, რომ დამსვენებელს შუა სეზონზე ქალაქის გადათხრილ ქუჩებში არ ევლო. ამ მოსაზრებას ჩინოსნები ასეთ პასუხს აგებებენ: მშენებლობას ვერაფრით შევაჩერებდით და სხვა უბანში ვერ გადავიტანდით ექსკავატორებსო... ამის გამო, ზღვისპირეთში ბევრს ლაპარაკობენ „სახელისუფლებო პიარზე“: ხალხის აზრით, ხელისუფლებას სურდა, ყველასათვის დაენახებინა — მშენებლობის ტემპი არასდროს ნელდებაო.

...ასე მოვიდა ზღვისპირეთში ოქროსფერი შემოდგომა. „ბანაობა დაშვებულია“ — კვითხულობ ბულვარის შესასვლელში გამოკრულ დიდ აბრას, მაგრამ იქვე ვხედავ, როგორ მიუყვებიან უკვე ჩქარი ნაბიჯებით ბულვარის ბილიკებს ახალგაზრდა ტურისტები...

თის ბუნების, მოუვლელი და ლამის ველური სილამაზით აღფრთოვანებული დავრჩი... ავსტრიული კომპანიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ აფხაზეთში არსებობს ადგილები, რომლითაც ავსტრიელი ტურისტი დაინტერესდება და იქ დასვენებას მოისურვებს. ამას ჩვენი კომპანიის ხელმძღვანელობა ადრეც ხედავდა და სწორედ ამიტომ გაუნია რეკომენდაცია რამდენიმე ავსტრიულ ბიზნესმენსა და ერთ-ერთ ჩვენებურ ავიაკომპანიას. 10 სექტემბერს სოხუმში

გრეულია, გზები მოშლილია, კომუნიკაციები თითქმის აღარ არსებობს, ადგილობრივები საბჭოთადროინდელი ტრანსპორტით მოძრაობენ, იქაურობას ომის კვალი ახლაც ეტყობის, მაგრამ დღევანდელი სოხუმი ქართველი მეფეების დახვეწილი გემოვნების, საბჭოთა კავშირის დროინდელი თავისებურებებისა და თანამედროვე, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი მშენებლობების სინთეზით გამოირჩევა. აშკარაა, რომ ეს ქალაქი ბოლო დროს, საბჭოთა გენერალიტეტის მკაცრი მითითებების გარეშე, თავისუფლად და ცოტა ქაოსურადაც ვითარდებოდა. რაც მთავარია, ამ ყველაფერს ამკობს შუედარებელი, უამრავი მხარისგან სრულიად გამორჩეული, ბუნების სილამაზე, — მიუხედავად იმისა, რომ ძალზე აშკარაა მომსახურების დაბალი დონე, მოძველებული ტექნიკა და ადგილობრივთა სილატაკის ზღვართან მიახლოებული ცხოვრების პირობები, რასაც ყველაზე მთავარი — უსაფრთხოების პრობლემა ემატება. როგორც ჩანს, ასეთ პირობებში დასვენებაზე ჯერჯერობით მხოლოდ რუსები თანხმდებიან, მაგრამ ეს პესიმიზმის საფუძველს არ იძლევა.



დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბა იმედოვნებს, რომ ავსტრიულ ბიზნესმენთა სტუმრობა „ევროპელების გათამამების“ საფუძველად იქცევა

ჩავედით და საგარეო საქმეთა მინისტრს შევხვდით. შეხვედრა გაცნობიერი ხასიათის იყო, თუმცა შესაძლებელია, უფრო სერიოზული ურთიერთობების საფუძველად იქცეს. სერგეი შამბასთან საუბრისას ავსტრიელმა ბიზნესმენებმა აღნიშნეს, რომ ევროპულ ქვეყნებში აფხაზეთზე შემამოფთებელი ინფორმაციები ვრცელდება და ეს რეგიონი დასასვენებლად და მით უმეტეს, ინვესტიციების ჩასადებად სარისკოა, — რაზეც ბატონმა შამბამ უპასუხა, რომ წინა წლებში უფრო არასტაბილური მდგომარეობა იყო და ამ მხრივ ვითარება ბოლო დროს შედარებით გამოსწორდა. ვერ გეტყვი, რომ მის სიტყვებში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, თუმცა ვიცი — თუ რუსეთმა მოინდომა, ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად ამ პრობლემას მოაგვარებს.

**— აფხაზეთში პირველად იყავით?**

— დიახ. ვიცოდი, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებობდა 4 საზაფხულო კურორტი — სოჭი, სოხუმი, ბიჭვინთა და ბათუმი, რომელიც დანარჩენებისგან თავისი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ გავრისკე და სოხუმში ჩავედი. ამ ქალაქმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. კი, ბატონო — თუ „ევროპული თვალთ“ შევხედავთ, ქალაქი დან-

**— ავსტრიული კომპანიების მთავარი ბიზნესმიმართულება ამ რეგიონში ტურიზმის განვითარება იყო თუ სხვა იდეებიც ჰქონდათ?**

— აფხაზეთი აქტიურად არის ჩამოშლილი სოჭის ოლიმპიადის მშენებლობისა და ავსტრიული ფირმებისთვისაც გამოინახება საქმე. ამ სამშენებლო ბუმში მონაწილეობას აპირებენ: ავსტრიული სამშენებლო კომპანია Skidata, Xess და ბეტონისა და ცემენტის სანარმო Asamer Holding. ეს სანარმოები უკვე მუშაობენ სოჭში. ასე რომ, 2014 წელს, ოლიმპიადის წყალობით, კავკასია და კონკრეტულად აფხაზეთი შესაძლოა, მსოფლიოში ყველაზე ცნობილ საკურორტო რეგიონად იქცეს და ჩვენც აქედანვე ვზრუნავთ იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარდეს ოლიმპიადის შემდგომ აფხაზეთი. ჩემი აზრით, იდეა — „მთებს პლუს ზღვა“ — ძალიან ორიგინალურია.

**— თუ აფხაზეთში არსებულ ვითარებას გავითვალისწინებთ, ამ იდეის განხორციელება ალბათ სარისკოა...**

— გეთანხმებით. მესმის თქვენი შეკითხვის ქვეტექსტი, მაგრამ ეს წმინდა პოლიტიკური საკითხია, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკას, მაგრამ მე პოლიტიკური მიმოხილველი არ ვარ და პასუხისგან თავს

შევიკავებ...

**— გაფრცვლებული ინფორმაციით, სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ავსტრიულ ბიზნესმენტა ნაწილმა აფხაზეთში საქმიანობის დაწყებაზე უარი თქვა...**

— პირდაპირ უარი არ უთქვამთ, უბრალოდ განაცხადეს, — შემოთავაზებულ წინადადებას გადავხედავთ... ეს ევროპის გავლენაა — ის ყოველთვის უფროსის ზედმეტ „თავის ტკივილს“. მაგრამ სწორად გათვლილი და აწყობილი მარკეტინგის შემთხვევაში, ეს საფრთხე თანდათან განეიტრალდება, ხალხიც დასაქმდება, სოციალური პრობლემებიც თანდათან მოგვარდება და მძიმე კრიზისოვანი ფონიც გამოსწორდება. როცა „ასტრაველი“ რუსი ბიზნესპარტნიორების დახმარებით პირველად ჩავიდა აფხაზეთში, იქ გაცილებით უარესი ვითარება იყო...

**— „ასტრაველი“ რუსულ-ავსტრიული კომპანიაა, არა?..**

— დიახ, რუსულ-ავსტრიული, მრავალპროფილიანი კომპანიაა, რომელსაც უკვე დიდი ხანია, აფხაზეთის თითქმის ყველა ქალაქში სასტუმროებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი აქვს. საერთოდ, აფხაზეთში შესვლის მთავარი ინიციატორი რუსეთში ავსტრიის საელჩოს წარმომადგენელი, დიტმარ ფილნერი იყო და მიმაჩნია, რომ ის ამ საქმეს წარმატებულად გაართმევს თავს და სოჭის ოლიმპიადის აფხაზეთის ჩართვას შავი ზღვისპირა რეგიონსა და კავკასიაში ტურიზმის განვითარება მოჰყვება. იმასაც დაეძინ, რომ სოჭის ოლიმპიადის ავსტრიისთვის სტრატეგიული ბიზნესპროექტია, მით უმეტეს, რომ ავიაკომპანია „აუსტრიან“ პირველი უცხოური ავიაგადამზიდავი იქნება, რომელიც სოჭში ამოქმედდება და იმედი გვაქვს, რომ ის სოხუმის მიმართულებითაც განახორციელებს რეისებს...

აფხაზეთში ავსტრიული ბიზნესის განვითარებას იმედის თვალთ შეჰყურებს სეპარატისტული ხელისუფლებაც. დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი სმრბეი შამბა იმედოვნებს, რომ ავსტრიულ ბიზნესმენტა სტუმრობა „ევროპელების გათამამების“ საფუძველად იქცევა.

— ევროპას ყოველთვის უჭირს პირველი ნაბიჯის გადადგმა და ჩუმი ყოფნის ამჯობინებს, მაგრამ იმედი მაქვს, ავსტრიელებს სხვებიც მიჰბაძავენ.

**— თუმცა აფხაზეთში ბიზნესგარემოსთვის არასტაბილური ვითარებაა...**

— დიახ, მაგრამ ამ „არასტაბილურ გარემოში“, მშენებლობებზე სამ-

უშოდ, საქართველოდან — სენაკიდან, ზესტაფონიდან, ზუგდიდიდან, ქუთაისიდან და სხვა ქალაქებიდან ყოველდღიურად ათობით მუშახელი, სიცოცხლის რისკის ფასად შემოდის. და მაინც, თქვენი პრეზიდენტისგან განსხვავებით, ჩვენ ვალიარებთ, რომ აფხაზეთში ყველაფერი კარგად არ არის. მაგრამ რუსეთი გვპირდება, რომ უსაფრთხოების ზომებს გაამკაცრებს.

— რაც დამატებითი სამხედრო ძალის შემოყვანას გულისხმობს, ხომ ასეა?

— რაც უსაფრთხოების ზომების გამკაცრებას გულისხმობს და რასაც ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილებით ხვდება, რადგან ხალხს ყელში ამოუვიდა ქართული სპეცრაზმელებისა და პარტიზანების ქმედებები.

— ძნელი დასაჯერებელია, რომ მოსახლეობა კმაყოფილებით ხვდება რუს სამხედროებს: როგორც ვიცი, აფხაზეთს მათ „სამხედრო

დაო. ეს განცხადება ახალალიარებული აფხაზეთისთვის ბევრს ნიშნავს. ჩვენ უკვე გვალბარა ვენესუელამ, იმავეს გვპირდება კუბა, ნიკარაგუა, მანაგუა და კიდევ რამდენიმე სახელმწიფო. ჩვენი დიპლომატიური სამსახურები ამ ქვეყნებთან აქტიურ თანამშრომლობას აპირებენ და ვეცდებით, ისინი აფხაზეთის ტურიზმის განვითარებით დავაინტერესოთ. ფინანსურ დახმარებას რუსეთიც გვპირდება. ვნახოთ, რა იქნება და როგორ განვითარდება მოვლენები. მთავარია, ქართული მხარის მიერ მონიჭებული სტატუსი — „რეგიონი, სადაც არც ომია და არც მშვიდობა“ — მოვიშოროთ. ჩვენ ყველა მსურველ ქვეყანასთან თანამშრომლობას ვაპირებთ, როგორც დიპლომატიურ, ასევე — ბიზნესსფეროში. მთავარია, რომ ყინული დაიძრა. ქართული მხარისთვის რაც უნდა



10 ათასამდე კი — ემიგრაციაში იმყოფება, მათი უმეტესობა რუსეთიდან არჩენს ოჯახსა და ახლობლებს.

— გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მზარი დაუჭირა საქართველოს რეზოლუციის პროექტს, რომელიც აფხაზეთიდან და ენ. სამხრეთ ოსეთიდან დევნილების მდგომარეობას ეხება. რეზოლუციაში ქართული მხარე მიუთითებს, რომ უნდა შედგეს ზუსტი გრაფიკი, რომელიც ქვეყანაში კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებსა და დევნილებს საშუალებას მისცემს, ნებაყოფლობით, უსაფრთხოდ და შეუფერხებლად დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში. ამის შესახებ რას გვეტყვი?

— აფხაზეთის ხელმძღვანელობა გაეროსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მხოლოდ იმ შემთხვევაში ითანამშრომლებს, თუ ისინი ახალ რეალობას აღიარებენ და დამოუკიდებელი აფხაზეთის პოზიციას გაითვალისწინებენ... იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე ძალისმიერ მეთოდს მიმართავს, იძულებული გავხდებით, დახმარება მეგობარ რუსეთს ვთხოვოთ. ცნობისთვის: რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ამ რეზოლუციის შემდეგაც მოგვმართა და გვაცნობა, რომ მზად არის სამხედრო დახმარების გასანწევად. ასე რომ, გაეროს მკვდრადშობილი რეზოლუციის ამოქმედების მცდელობაც კი ახალ სისხლის ღვრას გამოიწვევს...

## წლების გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ რუსეთის მიერ საჩუქრად დარიგებული ფულით, პენსიებითა და სეზონზე აღებული მცირე შემოსავლით, სიტუაცია ვერ გამოსწორდება

რეგიონი“ უწოდეს.

— არასწორ ინფორმაციას ფლობთ. ჩვენ ნელ-ნელა და ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ უკეთესობისკენ, აფხაზეთი ტურისტული ქვეყანაა და თუ ეს სფერო განვითარდა, ძალიან მალე ამოვალთ ამ ქაობიდან.

— გაგრძელებული ინფორმაციით, აფხაზეთში ინვესტიციების ჩადებისგან ავსტრალიამ ბიზნესკომპანიებმა თავი შეიკავეს და მრავალნიშვნელოვნად განაცხადეს, — დაფიქრდებითო.

— დიას, სამწუხაროდ, აფხაზეთში ინვესტიციების დაბანდების სურვილი ყველას პირდაპირ და ერთხმად არ გამოუთქვამს, მაგრამ იყო გარკვეული მინიშნებები. მათ მოეწონათ აფხაზეთის კლიმატი, ბუნება, საკურორტო ადგილები, როგორც ზღვაზე, ასევე — მთაში. ისინი ინფორმირებული არიან აფხაზური ტრადიციების შესახებ და, როგორც თქვენ ბრძანეთ, ასევე „მრავალნიშვნელოვნად“ განაცხადეს, — აქ ბევრი საინტერესო ადგილია, სადაც როგორც ავსტრიელი, ასევე სხვა ევროპელი ტურისტი სიამოვნებით დაისვენებ-

უსიამოვნო მოსასმენი იყოს, ბოლო დროს აფხაზეთში მნიშვნელოვანი და სასიკეთო ცვლილებები მოხდა. დღეს ჩვენი მთავარი პრობლემა — ეკონომიკის დაბალი დონეა, რაც კრიზის-ნოგენულ ფონს ამწვავებს. წლების გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ რუსეთის მიერ საჩუქრად დარიგებული ფულით, პენსიებითა და სეზონზე აღებული მცირე შემოსავლით, სიტუაცია ვერ გამოსწორდება. აფხაზეთში 34 ათასამდე ადამიანია დარჩენილი,

### ს ი ა ხ ლ ე ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი !

გელაღრინაძე — ჩეხური წარმოების საკვები დანამატები მოზრდილთათვის.

- უზრუნველყოფს სახსრების და ხერხემლის კომპლექსურ, ღრმა რეგენერაციის პროცესს;
- ხელდავს ხრტილის და შლას და ამცირებს ტკივილს;
- ასტიმულირებს კოლაგენის აქტიურ წარმოქმნას;
- უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის ამაღლებას სახსრების და ხერხემლის დაავადებების დროს;
- ახასიათებს გახანგრძლივებული მოქმედება 2-6 თვის განმავლობაში; მიღების ხანგრძლივობა: 2-3 თვე; მიღების პერიოდი: 2-3 ჯერ წელიწადში;


იკითხეთ „ორლინა“-ის ოფიციალური წარმომადგენელი საბათბუდელოში კომპანია „მირკო“ — 24 სთ-იანი მუშაობის რეჟიმით.



მის: თბილისი; კვიპინის 15-ის მიმდებარე ტერიტორია. ავთიაძე „მირკო“, ტელ: 37-98-73 (24 სთ)

# ბრწყინვალე გამარჯვება თუ სრული კრახი

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია — საქართველოში ლტოლვილთა დაბრუნების მხარდაჭერის შესახებ, საქართველოს ხელისუფლებამ ქართული დიპლომატიის ბრწყინვალე გამარჯვებად მიიჩნია და სოსხუმიდან თუ ცხინვალიდან დევნილებს საკუთარ სახლებში მალე დაბრუნების იმედი მისცა. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, თემურ იაკობაშვილმა ისიც კი განაცხადა, რომ მალე ქართული მხარე აფხაზეთს ავტობუსის მარშრუტის — „თბილისი-სოსხუმის“ გახსნას შესთავაზებს და ამით რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებთან კონტაქტის აღდგენას ჩაუყრის საფუძველს. მისი თქმით, ეს იმ სტრატეგიის ერთ-ერთი ელემენტია, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ახლა ამუშავებს ხელისუფლების ოპტიმიზმს პოლიტიკურ ექსპერტების უმრავლესობა არ იზიარებს. რამაზ საყვარელიძეს, პატა ზაქარეიშვილს, რამაზ კლიმაიშვილსა და კახა კაციტაძეს ამ დოკუმენტის პროდუქტულობაში ეჭვი შეაქვთ და აცხადებენ, რომ საქართველოს ხელისუფლება, მის მიერ კონტროლირებადი ტელევიზიების საშუალებით, ქართველ ხალხს ფუჭ იმედს აძლევს რეალურად, რა გავლენის მოხდენა შეუძლია გაეროს მიერ მიღებულ რეზოლუციას კონფლიქტების მოგვარებაზე და რამდენად აქვს ქართულ დიპლომატიას ზემის საბაზი? — ამ კითხვებით პოლიტიკურ და სამხედრო ექსპერტს, კახა კაციტაძეს მივმართეთ.



## „ჩიღვ ერთი ასეთი „გამარჯვება“ და ნამდვილად დავიჩვენით“

### სათუნა გახტურია

— ბატონო კახა, რა გაძლევთ იმის ფიქრის საბაზს, რომ ხელისუფლება ქართველ ხალხს ფუჭ იმედს აძლევს, რომ უახლოეს მომავალში დევნილების დაბრუნების პროცესის დაწყება შეუძლებელია?

— დღეს მიმდინარე პროცესების ანალიზი და ფაქტების შეფასება გვიჩვენებს, რომ დევნილების დაბრუნების პროცესი კიდევ კარგა ხანს არ დაიწყება. ჯერ ერთი, რუსეთმა აფხაზეთში უკვე დაიწყო სამხედრო ბაზების მშენებლობა და იქ ქართველების დაბრუნებას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს. გარდა ამისა, ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობა ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი. ამ ეტაპზე წარმოუდგენელია, რომ კონფლიქტურ რეგიონებში დევნილებს უსაფრთხოდ დაბრუნების საშუალება მიეცეთ. მივესალმები იმ ფაქტს, რომ ჩვენი ხელისუფლება ნდობის აღდგენის მიზნით პატარ-პატარა ნაბიჯების გადადგმას აპირებს. „თბილისი-სოსხუმის“ მარშრუტის გახსნა ძალიან კარგი იდეაა, მაგრამ ეჭვი

მეპარება, რომ დღეს ამის ტექნიკური საშუალება იყოს. თან, დევნილების დაბრუნების პროცესის დაწყებას ეს ვერანაირად ვერ შეუწყობს ხელს. აჯობებს, საქართველოს ხელისუფლებამ ხალხისთვის თვალეზოში ნაცრის შეყრას თავი დაანებოს.

— გაეროს მიერ მიღებულ რეზოლუციაში დაფიქსირებულია დებულებები, რომელიც დევნილების უპირობო დაბრუნებას და მათი ქონების ხელშეშეშლობას ითვალისწინებს. გარდა ამისა, ამ დოკუმენტში აღნიშნულია ისიც, რომ გაეროს გენერალურმა მდივანმა გენერალურ ასამბლეას ყოველწლიურად უნდა წარუდგინოს ანგარიში იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა ქვეყანაში კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით...

— როდესაც საბჭოთა კავშირმა ავღანეთში ჯარი შეიყვანა, გაერომ 9-ჯერ მიიღო ასეთი რეზოლუცია, მაგრამ ამას შედეგი არც ერთხელ არ მოჰყოლია. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას, გაეროს წესდებოთვე, თავად გაეროს წევრებისთვისაც კი არა აქვს სავალდებულო ძალა.

— მაშინ, რა საჭიროა ამ რეზოლუციების მიღება?

— ეს მორალური მხარდაჭერის გამოხატვაა და საქართველოსთვის მაინც, წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ თუ კონკრეტულად გავანალიზებთ, რომელმა სახელმწიფომ რა პოზიცია დაიკავა ამ რეზოლუციის მიმართ, ჩვენი საგარეო პოლიტიკის ქმედუნარიანობის შესახებ არცთუ სასიამოვნო დასკვნებს გავაკეთებთ.

— რას გულისხმობთ?

— დავუკვირდეთ კენჭისყრის შედეგებს. ჩვენს რეზოლუციას მხარი დაუჭირა 48 სახელმწიფომ, 19-მა სანინალმდეგოდ მისცა ხმა, 78-მა თავი შეიკავა, 47-მა კი კენჭი ისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. ე.ი საქართველოს, გაეროს წევრი 192 სახელმწიფოდან მხოლოდ 48-მ ანუ დაახლოებით მეოთხედმა დაუჭირა მხარი. ეს კიდევ არაფერი. როგორ გგონიათ, ჩვენი მედია რატომ არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რომელმა ქვეყნებმა არ დაუჭირეს მხარი საქართველოს მიერ შეტანილ რეზოლუციას?

— ცნობილია, რომ აღნიშნულ რეზოლუციას მხარი დაუჭირეს ისეთმა გავლენიანმა ქვეყნებმა, როგორც არის: დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ნორვეგია, პოლონეთი, უკრაინა, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, იტალია და იაპონია...

— კი, ბატონო, კარგია, როდესაც ასეთი გავლენიანი სახელმწიფოები შენი მოკავშირის როლში გამოდიან, მაგრამ იმაზე რა პასუხს გაგცემს ჩვენი დიპლომატიური სამსახური, რომ ჩვენი რეზოლუციის საწინააღმდეგოდ, ხმა ინდოეთმა მისცა? ეს ფრიად დასანანი და საყურადღებო ფაქტია. საერთაშორისო ურთიერთობათა დღევანდელ სისტემაში ჩახედულმა ადამიანმა იცის, რომ ინდოეთი გლობალური გავლენის ერთ-ერთ ცენტრად ყალიბდება. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ქვეყნის ხელისუფლებამ კარგად იცის, თუ რას ნიშნავს ლტოლვილების პრობლემა და რაც მთავარია, ჰყავს სეპარატისტები, რომლებიც იარაღით ხელში იბრძვიან ინდოეთიდან გამოყოფისათვის. ჰოდა, ასეთმა სახელმწიფომ საქართველოს წინააღმდეგ მისცა ხმა.

— როგორ ფიქრობთ, რატომ მიიღო ინდოეთმა ასეთი გადამწყვეტილება?

— ინდოეთის გადამწყვეტილების მოტივაცია უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ქართული დიპლომატიის უაღრესად მძიმე ჩავარდნაა... ინდოეთის მსგავსად, სეპარატისტები ჩინეთსაც უშრობენ სისხლს, მაგრამ ჩვენი პრობლემა არც მათ გაიზიარეს. მე არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველოს არ გააჩნია კონცეპტუალურ საფუძველზე დამყარებული საგარეო პოლიტიკა. ამაზე ისიც მტყვევლებს, რომ ამდენი ხნის განმავლობაში მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან სახელმწიფოში ანუ — ინდოეთში საელჩო არ გვქონია. რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მის-

არადა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამ ქვეყანაში, XVIII საუკუნეში პირველი აფთიაქი ქართველმა კაჭკაჭიშვილმა გახსნა, XX საუკუნის 70-იან წლებში კი ეთიოპიელთა რიგებში მებრძოლი ქართველი, პოლკოვნიკი ბოსტოლანაშვილი სომალელ აგრესორებთან შეტაკებისას, გმირულად დაიღუპა. მე ისიც კარგად მახსოვს, თუ როგორი ტაშფანდური გაუმართა მაშინდელმა ცეკას პირველმა მდივანმა, ედუარდ შევარდნაძემ ეთიოპიის კაციჭამია

რამდენი რამ შეუძლია ჩვენს საგარეო პოლიტიკას — მათ მიაღწიეს იმას, რომ უახლოესმა მოკავშირემ ჩვენს სასარგებლოდ არ მისცა ხმა... მეორე არანაკლებ გასაოცარი ამბავი ის გახლავთ, რომ საქართველოს სასარგებლოდ ხმა არ მისცა ასევე უმნიშვნელოვანესმა სტრატეგიულმა პარტნიორმა, თურქეთმა. იმ დროს, როდესაც სააკაშვილი ერთ თურქ დიპლომატს ქართული ორდენით აჯილდოებდა, მეორე თურქი დიპლომატი გაეროში საქართველოს

### იმაზე რა პასუხს გაგცემს ჩვენი დიპლომატიური სამსახური, რომ ჩვენი რეზოლუციის საწინააღმდეგოდ, ხმა ინდოეთმა მისცა?

დიქტატორს, მენგისტუ ჰაილე მარიაშ და როგორ დააჯილდოებინა წერა-კითხვის უცოდინარი ტირანი ჯავახიშვილის მედლით. ჯანდაბას, მაგათ თავი დაეანებოთ, ეთიოპია ისეთი ქვეყანაა, სირცხვილიც იქნებოდა, ის ჩვენი მხარდამჭერი რომ ყოფილიყო. მე ყველაზე მეტად, იმ ფაქტმა გამაკვირვა და აღმაშფოთა,

მიერ მომზადებული რეზოლუციის მხარდაჭერაზე უარს ამბობდა. ესეც ჩვენი დიპლომატიის შთამბეჭდავი „მიღწევაა“.

— ბატონო კახა, ვის მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს, ის, რომ ბრაზილია, ჩილე და არგენტინა ქართული რეზოლუციის წინააღმდეგ არ გამოვიდნენ?

— ამაში ჩვენს დიპლომატიას ნამდვილად არავითარი წვლილი არ მიუძღვის. სამხრეთ ამერიკაში ისეთი ვითარებაა, რომ ყველაზე განვითარებული და კულტურული ქვეყნები — ბრაზილია, არგენტინა და ჩილე არასდროს იკადრებენ, დადგნენ იქ, სადაც ეთიოპია დგას.

— შუააზიურ სახელმწიფოებზე რას იტყვი, სადაც რუსული გავლენა ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია?

— შუააზიურ სახელმწიფოებზე მე უფრო მეტს გეტყვი — რუსეთს მხარი არ დაუჭირა ტაჯიკეთმაც, რომელსაც სული რუსეთით უდგას, მაგრამ ეს ქართული დიპლომატიის გამარჯვება კი არა, რუსული დიპლომატიის მარცხია. ჩვენი თინეიჯერი დიპლომატების დამსახურება მხოლოდ ის არის, რომ მხარი არ დაგვიჭირა ავღანეთმა, სადაც ჩვენმა ბიჭებმა სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა იბრძოლონ და ერაყმა, რომლისთვისაც არც-თუ მცირე სიკეთე გაგვიკეთებია. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს მხარდამჭერებს შორის არ აღმოჩნდა ეგვიპტე — ქვეყანა, რომელთანაც



### ამ ეტაპზე წარმოუდგენელია, რომ კონფლიქტურ რეგიონებში დევნილებს უსაფრთხოდ დაბრუნების საშუალება მიეცეთ

ცა ირანმა. ახლა ხომ მაინც დარწმუნდება ჩვენი საზოგადოება, რომ ეს სახელმწიფო და რუსეთი, სულ მცირე, ალა-მაჰმად-ხანის დროიდან, საქართველოს წინააღმდეგ სინქრონიზებულად მოქმედებდნენ. ჩვენ წინააღმდეგ გამოვიდა ეთიოპიაც.

საქართველოს მხარი უახლოესმა მეგობარმა და სტრატეგიულმა პარტნიორმა, ისრაელმა რომ არ დაუჭირა. ალბათ, იცით, რომ ეს ქვეყანა აქტიურად გვეხმარებოდა სეპარატისტებთან საბრძოლველად გამიზნული არმიის მომზადებაში. მართლაც,

პირველი დიპლომატიური ალიანსი XI საუკუნეში შეკვარით. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამაზე მეტყველებს დღემდე შემორჩენილი წერილები, რომელსაც ეგვიპტის სულთნები გიორგი ბრწყინვალეს სწერდნენ. ალბათ, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა არც კი იციან, რომ ამ წერილებში საქართველოსა და მისი მეფის მიმართ ეგვიპტის სულთნების უდიდესი პატივისცემაა გამოხატული. ახლა კი, ვაი-დიპლომატების წყალობით, ეგვიპტე არ დგას იმ სახელმწიფოთა რიგში, რომლებიც ჩვენს გამარჯვებას იზიარებენ... თავმოყვარე საგარეო საქმეთა მინისტრი, ასეთი „გამარჯვების“ შემდეგ, უთუოდ გადადგებოდა. კიდევ ერთი ასეთი „გამარჯვება“ და ნამდვილად დავიკვივით. ისე, მე თუ მკითხავთ, ჩვენ არც იმათ იმედზე ყოფნა გვარგებს, ვინც გაეროში ჩვენს მხარდამჭერთა რიგებში იყვნენ.

რატომ?

— იმიტომ, რომ საფრანგეთმა, რომელმაც რეზოლუციას მხარი დაუჭირა, გადანაყვიტა, მოსკოვს მსუბუქი ავიამზიდები მიჰყიდოს. ეს არის



სამხედრო ხომალდი, რომლითაც რუსებს საშუალება ექნებათ, ნახევარსაათში აიღონ ქუთაისი, ფოთს კი ხუთ წუთში წაგვართმევენ. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ საფრანგეთი რუსეთს აგრესორად არ განიხილავს. რატომღაც, ჩვენი საინფორმაციო საშუალებები ამ ამბავს, როგორც ბევრ სხვა რამეს, საერთოდ არ აშუქებენ და ქართველ ხალხს საგულდაგულოდ უმაღავენ. არა მგონია, სირაქლემას პოზაში ყოფნით მოსალოდნელი პრობლემები და სირთულეები თავიდან ავიცილოთ. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ალბათ, ისიც არ იციან, რომ შუბი ხალთაში არ დაიმალება.

# ახალი რეპორის ინიციატივა და საკადრო სვლილებები



თუ სტუდენტს — მომავალ ექმს პრაქტიკის მიღების შესაძლებლობა არა აქვს, თუ ის საჭირო უნარ-ჩვევებს პაციენტის სანოლთან არ ეუფლება, თუ მას ოპერაცია მხოლოდ წიგნებში აქვს „გაკეთებული“, ხოლო ავადმყოფის სუნთქვის ხმა მხოლოდ მოძველებული მაგნიტოფონით ან თუნდაც კომპიუტერით აქვს მოსმენილი, საეჭვოა, მისგან ისეთი სახელოვანი ექიმი დადგეს, როგორებიცაა ქართული სამედიცინო სკოლა წლების მანძილზე ამოყობდა. როგორც ექნა, ნავსი გატყდა და ჩვენთვის

— ჟურნალისტებისთვის სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, წლების მანძილზე დაგროვილ პრობლემებთან დაკავშირებით, ღიად საუბარი შესაძლებელი გახდა. გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაძე.

## „დახარბული პრესტიჟის დასაბრუნებლად ყველაფერს გავაჩეთაბთ“

### დავით დავითაძე

— რექტორის თანამდებობაზე თქვენი არჩევადან 2 თვეზე მეტი გავიდა. ამ დროის განმავლობაში რისი გაკეთება მოხერხდა?

— დრო სწრაფად გარბის. ამ თანამდებობაზე 30 ივნისს ამირჩიეს და მუშაობას მეორე დღესვე შევუდექი. ძალიან მალე გამოვაცხადეთ კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. მოსამზადებელმა სამუშაოებმა ბევრი დრო წაგვართვა, ბევრი რამ იყო მოსასწრები. 30 პროფესორის გარდა, ყველა თანამშრომლის ხელშეკრულებას ივლისის ბოლოს გასდიოდა ვადა. 341 ვაკანტურ ადგილზე გამოცხადდა კონკურსი. საბუთების მიღება 7 სექტემბერს დამთავრდა. ახლა საკონკურსო კომისია მუშაობს და კიდევ უფრო დამატებული რეზიუმე ვართ. შედეგები 25 სექტემბერამდე უნდა გამოცხადდეს, უფრო სწორად, საკონკურსო კომისია რეკომენდაციებით წარდგება აკადემიური საბჭოს წინაშე და საბოლოო შედეგებს ეს უკანასკნელი დაამტკიცებს. პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური ბაზების მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე გვიწევს ბრძოლა: ორ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებასთან — პროფესორ შარაშიძის

სახელობის სამედიცინო ცენტრთან და სეფსისის საინინალმდეგო ცენტრთან — დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, სამედიცინო უნივერსიტეტს უფლება ექნება, სასწავლო პროცესი იქ განახორციელოს. კიდევ 4 დაწესებულებასთან დაიდო ხელშეკრულება. ესენია: შპს თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი „033“ (სტუდენტთა კლინიკური პრაქტიკისათვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია), ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ჩარკვიანის სახელობის ბათუმის სამშობიარო სახლი. ეს უკანასკნელი ყველაზე დიდი სამშობიარო სახლია აჭარის რეგიონში. მას სტუდენტთა კლინიკური პრაქტიკისა და დიპლომის შემდგომი სწავლებისათვის, რეზიდენტურის თუ უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების განსახორციელებლად დიდი პოტენციალი აქვს. გარდა ამისა, გვაქვს ურთიერთობები უცხოელ პარტნიორებთან. ჩვენი სტუდენტები კლინიკურ პრაქტიკაზე უცხოეთში — გერმანიაში, საფრანგეთში, თურქეთში, უკრაინაში იმყოფებოდნენ. მათი ნაყოფიერი მუშაობის გამო, უამრავი სამადლობელი წერილი მივიღეთ. ახლახან, ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე მოლაპარაკება დავინწყეთ ჰამბურგის უნივერსიტეტთან. ისინი სექტემბრის ბოლოს გვესტუმრებიან და



ხელშეკრულების პირობების შესახებ უფრო კონკრეტული საუბარი გვექნება. და კიდევ, კონკრეტული წინადადებები მივიღეთ აშშ-სა და გერმანიაში მოღვაწე ჩვენი დიასპორისგან. აი, ეს გახლავთ ის მცირედი რამ, რაც ამ ორთვე-ნახევარში მოვახერხეთ და გავაკეთეთ.

— საკმაოდ ბევრს გაკეთება მოგისწრიათ. ძალიან კარგია, რომ სხვადასხვა სამედიცინო დანესებულება მოდის თანამშრომლობაზე, მაგრამ არსებული ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, დღეს პაციენტთა სიმცირეა. ამ შემთხვევაში, როგორ უნდა შეძლოს სტუდენტმა პრაქტიკის მიღება? კომპიუტერი და მულაუბი, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ დამეთანხმებით, რომ პაციენტთან, ცოცხალ ადამიანთან ურთიერთობა მაინც სულ სხვაა.

— თქვენ ძალზე აქტუალურ, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთ ყველაზე მთავარ, რთულ და მწვავე საკითხს შეეხეთ. მინდა გითხრა, რომ ჩვენი ძირითადი მიზანია, სტუდენტს პაციენტთან ჰქონდეს ურთიერთობა. ერთხელ და სამუდამოდ, ისტორიას უნდა ჩაშვარდეს უპაციენტო სწავლება. აქტიური ბრძოლა გვინევს ზოგიერთი კლინიკური ბაზის შემოერთება-დაბრუნებისათვის — სამედიცინო უნივერსიტეტმა, ბოლო 3 წლის მანძილზე,

კლინიკური ბაზების სახით, საკმაოდ ბევრი მათგანი დაკარგა. ეს საკითხი ხელისუფლების წინაშეც დავაყენეთ. ძალზე რთული პრობლემაა და ამ ეტაპზე, მისი შემდგენიარად გადაჭრა გადავწყვიტეთ: საქართველოში არსებობენ ძალიან პოპულარული ექიმები, რომლებსაც ყოველთვის ჰყავდათ, ჰყავთ და ეყოლებათ პაციენტები. უნივერსიტეტის კარი მათთვის ყოველთვის ღიაა. წელან ნახსენებ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, პროფესორის ადგილის დასაკავებლად, ბევრმა ასეთმა პროფესიონალმა შემოიტანა განცხადება. თუ ასეთი მოთხოვნადი ექიმი ჩვენი პროფესორი გახდება, პაციენტების რაოდენობა იმ კლინიკებში გაიზრდება, სადაც ის იმუშავებს და შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკის დონეც მოიმატებს...

— კარგად მესმის, რომ მიზეზთა გამო, სამედიცინო უნივერსიტეტი მძიმე მდგომარეობაშია. სიტუაციას 120 ადამიანის უმუშევრად დარჩენა კიდევ უფრო ხომ არ დაამძიმებს? რა ემუქრება მათ, როგორ უნდა შეძლონ თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენა?

— ეს მწვავე საკითხია, რომელიც ჩვენც ძალიან გვანუხებს. მოდით, რეალურად შევაფასოთ სიტუაცია. ბევრი მათგანი უკვე მუშაობს, ვთქვათ, რომელიმე კვლევით ინსტიტუტ-

ში და იქიდან მოდის ჩვენთან. თუ ის ვერ გავა კონკურსში, ბუნებრივია, საკუთარ სამუშაო ადგილს არ კარგავს. გაცილებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება ის, ვინც ჩვენთან მუშაობს და კონკურსის შემდეგ სამსახურს გამოემშვიდობება, მაგრამ მათ დასაქმებაზეც აუცილებლად ვიზრუნებთ. საშტატო ერთეულების გარდა, თითქმის ყველა მიმართულე-



მურაბ ვალაჩკორია

ბაში არის დამატებითი საათები. შესაბამისად, არის შესაძლებლობა, რომ ამ ადამიანებმა მოწვეულ პედაგოგებად იმუშაონ. წელს, იმ პედაგოგებს, რომლებიც საათობრივი ანაზღაურებით იქნებიან მოწვეული, ადრინ-

# ახალი პრესა ყველა სოფელს!

## ყურადღება!

თუ საქართველოს რომელიმე რეგიონში ან სოფელში გაქვთ სავაჭრო ობიექტი (მარკეტი ან სხვა.) და გაქვთ სურვილი, შემაგოთ თქვენს ობიექტს **ქურნალ-გაზეთების სარეალიზაციო სგენდი**, დაგვიკავშირდით: 832 377-533; 858 110-068; 893 600-315.

ჩააწერინეთ ოპერატორს თქვენი ვინაობა და საკონტაქტო ტელეფონი.

**ჩვენ აუსილებლად შეგახშიანებით!**

**პრესის  
გაპრესალაის  
სააგენტო:**

**„ელვა.ჯი“**



საქართველოს  
პარლამენტის  
ინფორმაციული  
ტექნოლოგიების



ეს სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებსაც ემუქრებათ?

— მოქმედებს გარკვეული პროგრამები, რომლითაც ომით დაზარალებული რეგიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებს (უპირველეს ყოვლისა, რუსეთის აგრესიის შემდგომი რეგიონები მაქვს მხედველობაში) ბიუჯეტი მთლიანად უხდის სწავლის თანხას. ასევე, რამდენიმე კლინიკამ წარმატებული სტუდენტების დაფინანსების სურვილი გამოთქვა (ხელშეკრულებების გაფორმება უკვე მიმდინარეობს). ეს თანხები ძირითადად, იმათ გადაეცემათ, ვინც სოციალურად დაუცველი და სწავლაში წარჩინებულები არიან. რაც შეეხება სწავლის ფასის მომატებას, ეს საკითხი ჩვენზე არ არის დამოკიდებული, იგი სახელმწიფო კანონით რეგულირდება და ნელს, პირველკურსელთათვის სწავლის საფასური

სია, ვერც ერთი სხვა პრობლემა მას ვერ გადაფარავს. თუ იქნება კლინიკური ბაზები, სტუდენტების მომზადებაც გაუმჯობესდება. სამწუხაროდ, ახლა უნივერსიტეტს არა აქვს იმის ფუფუნება, რომ იქირაოს, იჯარა გადაუხადოს საკმაოდ თანამედროვედ აღჭურვილ კერძო კლინიკებს. ყურადღება გასამახვილებელი პედაგოგთა სწავლებაზე ანუ — ახალი შემადგენლობა უნდა მოემზადოს, უნდა გაეცნოს პედაგოგიკის, უფრო სწორად, ანდროლოგიკის (ჩვენთან ხომ არა ბავშვების, არამედ მოზრდილთა სწავლება მიმდინარეობს) თანამედროვე მოთხოვნებს. სამედიცინო უნივერსიტეტში მოტივირებული ახალგაზრდები მოდიან და ჩვენ მათ მზადყოფნაში უნდა დავხვდეთ. სამწუხაროდ, ბევრი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო, ჩვენს საზოგადოებაში თანდათან კლებულობს ექიმის პროფესიისადმი ლტოლვა. აუცი-

დელთან შედარებით, გასამრჯელო მოემატებათ.

— იმედს გამოვთქვამ, რომ ეს საკითხი მზვიდად და უკონფლიქტოდ გადაწყდება. ორიოდე თვის წინ ვესწრებოდი თქვენს შეხვედრას სამედიცინო საზოგადოებასთან, სადაც ჯანმრთელობის სამინისტროს მხრიდანაც გამოითქვა საინტერესო წინადადებები. თუ გადმოიდგა მათი მხრიდან რაიმე საპასუხო ნაბიჯი, რეალური დახმარება თუ მიიღეთ?

— ვიდრე ამ კითხვაზე გიპასუხებთ, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ვეცდებით, რაღაც ფორმით მაინც, ყველა დავაკმაყოფილოთ. თუმცა, უკმაყოფილონი მაინც დარჩებიან — ეს, როგორც წესი, კონკურსებს ახასიათებს. წინა წლებისგან განსხვავებით, ახლა სააპელაციო ვადაც მოქმედებს ანუ — კონკურსის შედეგების დამტკიცებიდან 2 დღის განმავლობაში, საკონკურსო კომისია აპელაციებს მიიღებს. კომისიას ექნება საშუალება, აპლიკანტებსაც — კონკურენტებს დაეკონტაქტოს და ისინი შედეგების სამართლიანობაში დაარწმუნოს; თუ კონკურსანტს ამის შემდეგაც ექნება პრეტენზია, შეუძლია, საკითხი სასამართლოში გაასაჩივროს... რაც შეეხება ჯანდაცვის სამინისტროდან დახმარებას, ამ ეტაპზე, მისგან არაფერი მიგვიღია, გარდა სიტყვიერი მხარდაჭერისა. ახლა საკითხთა უმრავლესობა ეკონომიკის სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ უნდა განიხილოს. შეხვედრა ორიოდ დღეში მოხდება. დიდი იმედი გვაქვს, რომ ჯანდაცვის სამინისტროდან მხარს დაგვიჭერენ იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომ უზურფრუქტით გადმოგვეცეს კლინიკა, სადაც სტუდენტს შესაძლებლობა ექნება, კლინიკური უნარ-ჩვევები 24 საათის განმავლობაში აითვისოს.

— მინდა, სტუდენტების შესახებაც გკითხოთ: ხომ არ იგეგმება მათთვის სტიპენდიების, დახმარებების გაზრდა? აქვე კიდევ ერთ საკითხსაც დავამატებ: ბოლო დროს ხშირად გაიგონებთ, რომ სწავლის საფასური კიდევ უფრო ძვირდება.


ომით დაზარალებული რეგიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებს (უპირველეს ყოვლისა, რუსეთის აგრესიის შემდგომი რეგიონები მაქვს მხედველობაში) ბიუჯეტი მთლიანად უხდის სწავლის თანხას

2.250 ლარს შეადგენს (ადრე 1.500 ლარი იყო)...

— ფაკულტეტს მნიშვნელობა არა აქვს?

— არა. ამა საკითხზე განათლების სამინისტროს მივმართეთ, ჩვენი მოსაზრებები გამოვთქვით, მაგრამ თანხა მაინც იგივე — 2.250 ლარი დარჩა სამედიცინო პროფილის სტუდენტისთვისაც და ვთქვამთ, მათემატიკისისთვისაც... მინდა, კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ სამედიცინო უნივერსიტეტისათვის ძირითად ამოცანად რჩება კლინიკური ბაზები — ეს უმთავრე-

ლებელია, ჩვენს პროფესიას ძველი პრესტიჟი დაუბრუნოთ. ექიმობა ხომ ერთ-ერთი ყველაზე რთული პროფესიაა, რომლის დაუფლებას მუხლჩაუხრელი შრომა სჭირდება. სტუდენტებს ყველა პირობა უნდა შევექმნათ იმისათვის, რომ აქ გატარებული წლები ფუჭად არ მიიჩნიონ, მიიღონ გარკვეული კომპეტენცია და შეძლონ დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობა. ამ მხრივ, გარკვეული ძვრები უკვე შეინიშნება, მაგრამ ამას საკანონმდებლო ინიციატივაც სჭირდება. ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია, რომ ახალკურსდამთავრებულს არა აქვს დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობის უფლება. თუმცა, მათ ეს უფლება დღეს რომ მიეცეთ, არ ვიქნებით მართალნი, რადგან ჯერ ჩვენ თავად უნდა მოვემზადოთ, უნდა ავნიოთ სწავლების ხარისხის დონე, პედაგოგთა კომპეტენციის დონე. ამას სათანადო მუშაობის შემთხვევაში, შეიძლება, მხოლოდ ერთი-ორი წელი დასჭირდეს. მოკლედ, დაკარგული პრესტიჟის დასაბრუნებლად ყველაფერს გავაკეთებთ.





# სასნე

## 1 ქილა მანონი, შავიკაბული ზანგი ქალი და მეორედ გათხოვილი შოუს მსახიობი...

„რუსთავი 2“-ის იუმორისტებმა გადაცემებზე მუშაობა უკვე დაიწყეს. სიახლეებს აპირებენ და ამბობენ, რომ მაცურებელს მომავალშიც არაერთ სიურპრიზს შესთავაზებენ. როგორ, სად და ვისთან ერთად დაისვენებს? რა სიახლეა მათ ცხოვრებაში? რა ახალი რუბრიკები აქვთ და რას გვპირდებიან სამომავლოდ? — ამ ყველაფრის გასარკვევად მათ სტუდიაში, „ვანოს შოუს“ ჩანერის დროს ვწვივ.

თაშუნა კვინიკაძე

### ალეკო ვალსაჩიშვილი:

— სანამ შვებულებაში გავიდოდით, დავსხედით და მოვიფიქრეთ, რა სიახლე უნდა შეგვთავაზებინა მაცურებლისთვის. განვაახლეთ სტუდია, დავიმატეთ ახალი სახეები და რუბრიკები.

### ვინ არიან ახალი სახეები?

— „ქლაბ-შოუსი“ 3 ახალი ნომერი გვაქვს. შესაბამისად 3 ახალი წყვილი ავიყვანეთ. ეკა და მამო მსახიობები არიან. დათოსა და აჩიკოს მუსიკალური წყვილი ახალ ნომერზე იმუშავენ. ასევე ძველი „კავენიშკებიდან“ გვყავს ბექასა და ნიკას წყვილი. „ქლაბ-შოუს“ გადახალისებაც მოვახდინეთ. სიახლეა „კომედი-შოუსი“, მაგრამ ამის შესახებ მაცურებელი ცოტა მოგვიანებით შეიტყობს. „ქლაბ-შოუსი“ ახალი რუბრიკა „იმპროვიზებული იუმორი“ დავამატეთ, რომელზეც გოჩა თანდარაშვილი თავად ისაუბრებს.

— „სიცილის ზონაში“ რა სიახლეებია?

— ბესო ბარათაშვილსა და ტრისტან



სალარიძეს პერიოდულად, პოპულარული სახე დაემატებათ. შესავალი ტექსტი, რომელსაც გიგა ნასარიძე კითხულობდა, აღარ იქნება.

### გოჩა თანდარაშვილი:

— გასსოვთ ალბათ, „ცოცხალი შოუ“ გექონდა, ხუმრობებს პირდაპირ ეთერში ვიკონებდით. „იმპროვიზებული იუმორი“ იმ შოუს მსგავსი იქნება. თემებს, რომლებზეც ბიჭებმა უნდა იხუმრონ, სცენიდან მაცურებელთან ერთად შევარჩევ. იქნება ბლიც-კონკურსიც, რომელში მონაწილეობას მონვეული სტუმრებიც მიიღებენ, რაც შოუს კიდევ უფრო სახალისოს გახდის.

— გოჩა, შენ ეკრანზე დიდი ხანია, აღარ ჩანდი, რატომ?

— ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები მქონდა. ახლა კარგად ვარ და მუშაობას დიდი შემართებით ვიწყებ.

— იწყებ კი არა, ვინცებთ — შეუსწორა მას კობა ბარათაშვილმა, რომელსაც შვებულების განმავლობაში 25 კილოგრამი დაუკლია და კიდევ 20 კილოს დაკლებას აპირებს.

— კობა, ნონაში როგორ დაიკვლი?

— შვებულების დღეები ისე გავატარე, არანაირი ალკოჰოლური სასმელი არ დამილევი. როცა ვთვრები, ბევრს ვჭამ, მეორე დღეს კი ლუდს ვაყოლებ და... ჯერ სად ხარ, გოჩა თანდარაშვილივით უნდა გავხდე.

— სად დაისვენებს?

— 4 დღე ქუთაისში ვიყავი, მერე

### ბალიან კარგი მონადირე ვარ





25 კილოგრამი დავიკელი

ბათუმში წავედი. მთაში დასვენებას, ზღვაზე ყოფნა მირჩევნია.

**კარგად ცურავ?**

— ძალიან კარგად. ბოლოს და ბოლოს, ჰოროსკოპით თევზები ვარ. ერთხელ, სტუდენტობის დროს, ზღვის სანაპიროზე ბანქოს თამაშით ისე გავერთე, სერიოზული დამწვრობა მივიღე. მაშინ „ზაგარნი კრემებიც“ არ იყო. ახლობლებმა მითხრეს, მანონი გიშველისო. როგორც იქნა, 1 ქილა მანონი ვიშოვე და შევჭამე. მერე მითხრეს, უნდა წაგესვაო (იცინის).

**განახლებულ შოუებში ახალი რუბრიკა შენც ხომ არ გაქვს?**

— არა, ამ მხრივ სიახლე არაფერია. 1 წლით გავიზარდე და 25 კილო დავიკელი, ეს ცოტას ნიშნავს?!

**რამდენი კილო ხარ, არ გაგვიმხელ?**

— მაინც არ მომეშვები და გეტყვი — 115 კილო გახლავართ. რამდენი ვყოფილვარ, თავად გამოიანგარიშე.

„შეებულეების დღეები მეგობრებთან ერთად ბათუმში, გონიოსა და კვარიათში გავატარე“, — მითხრა ვახო ბიჭიკაშვილმა:

**ვახო, გარუჯული რატომ არ ხარ? იქაც „დუბლიონკა“ ხომ არ გეცვა?**

— არა, წალება დამავინწყდა (იცინის). ერთხელ მართლა გამინჩნდა სურვილი, სანაპიროზე „დუბლიონკით“ გავსულიყავი, სიცხეს გავუძლებდი, ხალხის რეაქცია მაინტერესებდა.

**აჭარაში როგორ ერთობოდი?**

— ხშირად ვსვამდი. ჩემი ლოტობის ამბავი მთელმა აჭარამ გაიგო.

**ახლა მთელი საქართველოც გაიგებს.**

— მერე რა, გაიგონ, კაცურად „ვჭამდი პურსა“.

დასვენების დღეები სიკო ჭუმბურიძისა და ნიკა არაბიძისთვის საკმაოდ დატვირთული და ნაყოფიერი აღმოჩნდა.

სოსო ვაჭელიანმა და გია კაჭარავამ ფილმში — „მოიტა ნასოსი“ გადაიღეს. ორივესთვის დებიუტი იყო და გადასაღებ მოედანზე მუშაობა ძალიან მოეწონათ.

**სიკო:**

— მე ფსიქიატრის როლს ვასრულებ, რომელიც სვანეთში ჩადის და პაციენტებს ეძებს.

**იპოვის?**

— იქ ბევრი საინტერესო რამ ხდება, რომელზეც წინასწარ არაფერს ვიტყვი.

**ნიკა:**

— მე იმერელი აფერისტის როლს ვთამაშობ. ფილმზე მუშაობა ძალიან მომეწონა. ბევრი ვიხალისეთ. თან სვანეთში პირველად ვიყავი და შთაბეჭდილებით აღსაფხვინებელი ვარ.

**დასვენება თუ მოასწარი?**

— ცოტა ხანს სოფელში ვიყავი, მერე ბათუმში, გურიამში, მთელი საქართველო შემოვიარე.

**ნელს მამა გახდი, პატარა როგორ გყავს?**

— ჩემნაირი მამის ხელში რა გაუჭირდება? კარგად არის და ნელ-ნელა მემსგავსება. იუმორის გრძნობა აქვს. ანეკდოტებს რომ ვუყვები, იცინის. ზოგჯერ გვიან-გვიან ასხენდება და მერე იცინის.

**თათია სულუაზი**

კი დასვენების დღეებს თაფლობისთევზს ვაძლავებ. მან თვე-ნახევრის წინ მეორედ იქორწინა და აგვისტოს დღეები მეუღლესთან ერთად ქობულეთში გაატარა.

**თათია, შენი რჩეული ვინ არის?**

**ვანო და მისი ორეული დათუნა კვირკვია**



მეშაობას დიდი შებნარებით ვაწყვე



— პროფესიით ეკონომისტი. 10 წელი ევროპაში ცხოვრობდა. ბავშვობაშიც კარგად არა, მაგრამ ვიცნობდი, ჩემზე 7 წლით უფროსია.

**რით მოგზიბლა?**

— ბევრი კარგი თვისება აქვს, რაც მთავარია, ერთმანეთს არაჩვეულებრივად ვუგვებთ. პროფესიულ საქმიანობაში ხელს მინყობს, არანაირად არ მზღუდავს. სიურპრიზებსაც ხშირად მიწყობს. მე — უფრო ნაკლებად. მოკლედ, ძალიან ბედნიერი ვარ!

„ვანოს შოუზე“ დასასწრებად თავი უამრავმა ადამიანმა მოიყარა. მათ შორის იუმორისტების ცნობილი ნიგერელი მეგობარი ბრაიანიც იყო. ვასო ფხაკაძემ მას სტუდიაში შემოსვლისთანავე უსაყვედურა:

— ბრაიან, რომ დამპირდი, კარგ ზანგის გოგოს გაგაცნობო, აბა, სად არის?! გადამაგდე?

— ბათუმში წავიდა (იცინის), „ზაგარი“ უნდა მიიღოს.

**ვასო ფხაკაძე-ქისტაძის თევზაობა და ნადირობა გართობის ყველაზე კარგი საშუალება ყოფილა.**

**ვასო:**

— ბავშვობის წლები რაჭაში, ამბროლაურის რაიონში მაქვს გატარებული. ის პერიოდი ყოველთვის მენატრება. ნელს კარგად დავისვენე.

**ერთობი?**

— ნათესავეები ვიკრიბებით, ეზოში ვსხედვართ, ვლაპარაკობთ. თან რაჭულ ლობიანს და ლორს შევექცევით. ყველაზე კარგად ნადირობის და თევზაობის დროს ვერთობი.

**არ მითხრა, დათვი მყავს მოკლულად...**

— არა, დათვზე სანადიროდ წასული ვიყავი, მაგრამ დიდი თოვლი მოვიდა და ვეღარ ვიარე...

**ვერ ყოფილხარ კარგი მონადირე.**

— ძალიან კარგი მონადირე ვარ. მიზანშიც კარგად ვისვრი.

**პირად ცხოვრებაშიი სიახლე არ არის?**

— არა. ჯერ ცოლი არ მომიყვანია.

„ვანოს შოუს“ დამთავრების შემდეგ ვცადე, პატარა დათუნა კვირკვიას გაესაუბრებოდი. ჯერ მითხრა, ინტერვიუსთვის დრო არ მაქვსო, მოგვიანებით კი იმაშიც გამომიტყდა, რომ ვანოზე ყოფილა გაბრაზებული.

— ბურთები კალათბურთელებს რომ დაურიგა, მე არ მიწოდდა?

**შენ ჩანთა ხომ გაჩუქა?**

— ეს იმიტომ, რომ სკოლაში მივიდივარ.

**პირველი მასწავლებელი უკვე ნახე?**

— დამინახა თუ არა, იყვირა, შენ პატარა ვანო არა ხარო?

„ვანოს შოუს“ პრესის მიმომხილველმა ზაქრო ინვირველმა მითხრა, რომ ჟურნალ-გაზეთების კითხვას ჩანერამდე 2-3 დღით ადრე იწყებენ. მონიშნული ჰედლაინებიდან საუკეთესოს ვანოსთან ერთად ირჩევენ. ზოგჯერ ჟურნალისტები ხუმრობანარევ საყვედურსაც უბნებიან — რას შემოგვიჩნდიო?

„ვანოს შოუს“ ჩანერას ვანოს მეუღლე თავო მურუსიძეც ესწრებოდა.

— თავო, ვანო ამ დღისთვის როგორ ეშადა?

— ჩანერის დღეს საოცრად დატვირთულია, საქმის გარდა ვერაფერზე ფიქრობს.

— როგორა, როცა ჩანერიდან შინ ბრუნდებო?

— საკუთარი თავისადმი კრიტიკულად არის განწყობილი, თუ უკმაყოფილოა, მოიწყენს ხოლმე.

— ოჯახურ გარემოშიც ხუმრობს?



ჩემი შევებულება თავლობისთვის დაემთხვა

— სახლში იშვიათად ხუმრობს, მაგრამ თუ რამეზე ვიკამათებ (რაც იშვიათად ხდება), სიტუაცია შეუძლია, იუმორით განმუხტოს.

— ყური მოგვარი, ჩემზე რაღაცას ლაპარაკობთ — ამ სიტყვებით ვანოც მოგვიახლოვდა.

— ვანო, სად დაისვენე?

— ოჯახთან ერთად ქობულეთში გახლდით და ძალიან კარგად დავისვენე.

— კარგ დასვენებას რას ეძახი?

— მთელი წელი რაც არ მძინებია, დანაკლისი ავინაზღაურე. 10 დღის განმავლობაში ზღვაში ერთხელ ჩავედი.

— შოუში ახალი რუბრიკის დამატებას აპირებთ, არა?

— იდეები გვაქვს. სატელევიზიო ჰედლაინებზე ვართ დადარაჯებულები. ვნახოთ, რა გამოვა. ვცდილობთ, რომ უკეთესი შოუები მოვამზადოთ. ყველანი დიდი ენერჯით დავბრუნდით და ვნახოთ, ეკრანზე ეს როგორ აისახება.

# ინგა გრიგოლია ეპროკაში სასწავლებლად მიემგზავრება

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის ცვლილებას ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ამ თანამდებობაზე გიორგი ჭანტურიას დანიშვნის შემდეგ გაფრცელდა ინფორმაცია, — მის მოადგილედ გიორგი გამსახურდიას დანიშნავენო, სულ ახლახან კი კულუარებში იმის შესახებაც აღაპარაკდნენ, რომ ინგა გრიგოლიას „პოლიტიკურ კვირას“ დავით პაიჭაძის ახალი ტოქშოუთი ჩაანაცვლებენ. რა ხდება სინამდვილეში? რა ცვლილებებია არსზე მოსალოდნელი? რომელი გადაცემები რჩება და რომელი იხურება? — ამის გასარკვევად არსის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სელმძღვანელს, მირანდა ბაძრაძეს დავეუკავშირდით.



## თამუნა კვიციანი

— განახლებული პროგრამით ეთერში 31 ოქტომბრიდან გავალთ. ბევრი რამ ჯერ კიდევ გასარკვევია.

— ძველი გადაცემებიდან რომელი დარჩება?

— სავარაუდოდ, ძველი ფორმატით ისევ გავა ეკა კვესიტაძის ტოქშოუ, ნინო ქავთაძის — „ცხოვრება მშვენიერია“, გია ბულაძის — „ღამის საუბრები“, ასევე „ალიონი“, „სამოთხის ვაშლები“, რომელსაც მეოთხე წამყვანი — ნატა ნიჟარაძე დაემატება. ეთერში გავა მუსიკალური გადაცემაც, მაგრამ როგორი ფორმატით ან ვინ იქნება წამყვანი — ჯერ უცნობია.

— ინგა გრიგოლიას „პოლიტიკური კვირა“ იხურება?

— ესეც გაურკვეველია.

— ცნობილია, რომ ახალი ტოქშოუს გაცემას დათო პაიჭაძეც აპირებს. მისი გადაცემა „პოლიტიკურ კვირას“ ხომ არ ჩაე-

ნაცვლება?

— დათო ახალ ტოქშოუზე მართლაც მუშაობს, მაგრამ ის გადაცემა პოლიტიკური იქნება თუ არა, ჯერ

**პირველად საქართველოში!**

საინფორმაციო სააგენტოს მობილური ვერსია!

**mobil.ipn.ge**  
**wap.ipn.ge**

საბაზო  
ნაწი  
„ინტერპრესნიუსი“  
შპს-ის  
ოქცნს  
მობილურშიც

**IPN**

**ინფორმაციისთვის**

„ინფორმაციისთვის“ მობილური WAP სერვისის მიზანმიმართულად მუშაობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად დაეკავშირდით: 0770 000 000

საბაზო ინტერპრესნიუსი, მობილური ვერსიის დასაწყისად იქნება მობილური ინტერპრესნიუსის ვებ-გვერდი [www.ipn.ge](http://www.ipn.ge) ან [wap.ipn.ge](http://wap.ipn.ge) და ეკრანის სარედაქციო სისტემა IPN-ის დასაწყისად.

IPN-ის მობილური ვერსია მუშაობს მობილური სერვისის დასაწყისად. მუშაობს მობილური ვერსიის დასაწყისად.

ნინო ქაჯაია



ამის თქმა არ შემოძლია. მის მსგავსად, ახალ გადაცემას იწყებს თათია პაჭკორიაძე. მოკლედ, ბოლომდე ჩამოყალიბებული არ ვართ. ვიცი, რომ რჩება სპორტული გადაცემა „არენა“ და ბავშვებისთვის — „სიმარჯვია.“ იგეგმება ახალი გადაცემის გაკეთებაც, რომელშიც ქვეყნის კულტურული მოვლენები გაშუქდება.

— ერთ-ერთ რადიოში გაუღერდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რომელიღაც არხზე კახა ბენდუქიძე გადაცემის მომზადებას აპირებს, რომელშიც ეკონომიკური თემების განხილვა მოხდება. მისი გადაცემა თქვენს არხზე სომ არ გავა?

— ეს ინფორმაცია მეც მოვისმინე, მაგრამ ეს გადაცემა ჩვენს არხზე გავა თუ არა, ამის შესახებ ჩემთვის ცნობილი არაფერია.

— ტელევიზიაში საკადრო ცვლილება მოხდა?

— გათავისუფლების თაობაზე არაფერი ვიცი. გათავისუფლებილია.

— არხის გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე გიორგი გამსახურდიას დანიშნის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა?

— გიორგის ეს თანამდებობა ჯერ არ დაუკავებია. დირექტორის მოადგილედ, ადმინისტრაციის დარგში, მიახიკაშვილი დანიშნა.

— ახალ სეზონში არხს ახალი სახეებიც ეყოლება. ამის შესახებ რას გვეტყვი?

— ბუნებრივია, ახალი სახეები გვეყოლება, მაგრამ მათ შესახებ ჯერჯერობით, ლაპარაკი არ შემოძლია.

— თქვენი არხისთვის პროორბიტული როგორი გადაცემები იქნება?

— ვინაიდან ჩვენ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ვართ, არხი მაქსიმალურად მრავალფეროვანი უნდა იყოს. აქცენტი პოლიტიკურ, გასართობ, შემეცნებით, საბავშვო, სპორტულ გადაცემებზე კეთდება.

— შემეცნებითი ასხენეთ და შოუ — „მე მიყვარს საქართველო“ ისურვება?



— ვფიქრობ, რომ დაიხურება, მაგრამ სხვა შემეცნებითი გადაცემა აუცილებლად გაკეთდება. ახალ სეზონზე, სავარაუდოდ, სხვა სტუდიებში მომზადებული გადაცემები აღარ გავა. ყველა გადაცემას ჩვენს სტუდიებში მოვამზადებთ, რაც ბუნებრივ-

ცემას სხვა სტუდიიდან ვაკეთებდი. ალბათ გახსოვთ, „პოლიტიკურ კვირაში“ ირაკლი ოქრუაშვილის დაბლოკვის გამო დირექტორის მოადგილის თანამდებობა დავტოვე.

— ინგა, ამბობენ, რომ შენს გადაცემას დათო პაიჭაძის ახალი

## იმ სტანდარტებს და პოლიტიკას, რომელსაც არხი ატარებდა, მაშინ არ ვეთანხმებოდი, როცა გადაცემას სხვა სტუდიიდან ვაკეთებდი

ია, კადრების გაზრდასაც მოითხოვს. ჩვენ ინგა ბრიგოლიასაც დავუკავშირდით.

— ინგა, იქნებ გაგვარკვიო, შენი „პოლიტიკური კვირა“ ისურვება?

— „პოლიტიკური კვირა“ ეთერში აღარ გავა. იცით, რომ მე „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თანამშრომელი არ ვიყავი, გადაცემა გარე სტუდიაში მზადდებოდა. ძველი კონტრაქტის მიხედვით, გადაცემა ეთერში წლის ბოლომდე უნდა გასულიყო, გია ქანტურია კი ახალ 3-თვიან კონტრაქტს მთავაზობს. გამოდის, რომ მათი თანამშრომელი 3 თვით უნდა გავხდე. იმ სტანდარტებს და პოლიტიკას, რომელსაც არხი ატარებდა, მაშინ არ ვეთანხმებოდი, როცა გადა-



ინგა კვესიტაშვილი

ტოქმოუთი ჩაანაცვლებენ.

— არ ვიცი. დათო ნიჭიერი ჟურნალისტი. მას წარმატებას გულწრფელად ვუსურვებ!

— სამომავლოდ რას აპირებ?

— სასწავლებლად ევროპაში მივდივარ. არ მინდა, გამუდმებით ერთი და იგივე ადგილი ვტკეპნო. ლონდონში მედია-მენეჯმენტის სტუდენტის და გაზაფხულისთვის დავბრუნდები.

— რამ მიგაღებინა ეს გადაწყვეტილება? იმან ხომ არა, რომ — საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს?

— ევროპაში იმიტომ არ მივდივარ, რომ ვინმეზე განწყობილი ვარ ან იმიტომ, რომ გადაცემა დამიხურეს. იმ შემთხვევაში, თუ ჩემი შოუ დეკემბრის ბოლომდე, იმ ფორმატით გაგრძელდებოდა, როგორც კონტრაქტით იყო გათვალისწინებული, იანვარში სასწავლებლად წასვლას მაინც ვაპირებდი, მაგრამ რადგანაც კონტრაქტი შეწყდა, გამგზავრება ოქტომბრისთვის გადავიტანე.

— წარმატებას გისურვებთ!



დათო ნიჭიერი ჟურნალისტი. მას წარმატებას გულწრფელად ვუსურვებ!

თაშუა კინიკაპა

— ვიკა, გილოცავ ამ დიდ წარმატებას!

— დიდი მადლობა! ამდენი გახარებული ადამიანი ერთად ჯერ არ მინახავს. სპორტის სასახლეში ყველა ბილეთი 2 დღით ადრე გაიყიდა. წლებია, ასეთი ანშლაგი არ ყოფილა. უღრმესი მადლობა ასეთი გულშემოტიკურობისთვის. სადაც უნდა შევიდე, ყველგან კალათ-

კალათბურთის ეროვნული ნაკრების წარმატებამ ყველა ქართველი ძალიან გაახარა. „წლებია, რაც ამ დიდ ლოდს ვაგორებთ და როგორც იქნა, გადავაგორეთ“ — გამარჯვების შემდეგ ასეთ შედარებას აკეთებს ნაკრების წევრი ვიქტორ სანტიმეტი. როგორი იყო კალათბურთში მისი პირველი ნაბიჯები, რამდენად მნიშვნელოვანია უცხოურ გუნდებში თამაში და რა სამომავლო გეგმები აქვს — ამას ინტერვიოდან შეიტყობთ. ვფიქრობ, ამ ინტერვიუთი განსაკუთრებით მისი თაყვანისმცემელი გოგონები დაინტერესდებიან.



# „სწრაფი მსჯელობა“

## კალათბურთელი არა ვარ...

### სულ რაღაც 2 მეტრი და 3 სანტიმეტრი“

ბურთზე ლაპარაკობენ. ძალიან პოპულარულები გახდნენ.

— როგორც ვიცი, შენი მშობლებიც ყოფილი კალათბურთელები არიან.

— დედა უნივერსიტეტში სწავლის დროს ქალთა გუნდში თამაშობდა. მამაც თსუ-ის სტუდენტი იყო და ვაჟთა გუნდში ირიცხებოდა, მოგვიანებით თბილისის „დინამოშიც“ თამაშობდა. ერთმანეთი უნივერსიტეტში გაიცნეს და დაქორწინდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კალათბურთელების ოჯახში ვიზრდებოდი, მშობლები არ იყვნენ იმით დაინტერესებული, რომ სპორტის ამ სახეობაში ძალა მეც მომესინჯა. მყავს უფროსი ძმა, რომელიც ექსპერიმენტულში სწავლობდა და ბავშვობიდანვე ჩემზე ბევრად მაღალი იყო. მისი ფიზიკულტურის მასწავლებელი — ვაჟა ჯანგირაშვილი ჩემს მომავალ მწვრთნელ ზურა სამხარაძესთან მეგობრობდა. მაშინ თუ კალათბურთით სერიოზულად არ იყავი დაინტერესებული, ზურას გუნდში ვერ მოხვდებოდი. ან სიმაღლეში მინიმუმ 1 მეტრი და 90 სანტიმეტრი უნდა ყოფილიყავი. ჩემს ძმას სიმაღლე არ აკლდა, ზურას მოეწონა და ვარჯიში დააწყებინა. ეს რომ გავიგე, ტირილი დავინწყე, მეც კალათბურთზე მატარეთ-მეთქი. სახლში აღარ ვჩერდებოდი (იციან).

— მაშინ რამდენი წლის იყავი?

— 11-12 წლის ვიქნებოდი. დიდი ხვენწა-მუდარის შემდეგ მეც მიმიღეს. პრობლემა იმიტომ შეიქმნა, რომ ზურას ჩემი ასაკის ბავშვები არ ჰყავდა, ამიტომ 13-14 წლის ბიჭებთან ერთად ვვარჯიშობდი, სანამ სკოლა არ დავამთავრე. შემდეგ უნივერსიტეტის გუნდში გავაგრძელე თამაში. ახალგაზრდული ნაკრების

წევრიც ვიყავი. მოსკოვში გამართულ „იუნიორთა ოლიმპიადაზე“ III ადგილი დავიკავეთ. იქ ერთ-ერთი მწვრთნელი დაინტერესდა ჩემით. მისი მინვეციით ნიუ-იორკშიც ჩავედი, მაგრამ სათანადო პირობების არქონის გამო, 7 თვეში უკან გამოვბრუნდი და სპორტული აკადემიის გუნდში ჩავირიცხე. შემდეგ ესპანურ და ფრანგულ გუნდებში ვთამაშობდი. შარშანდელი წელი კი ესტონეთში, ქალაქ ტარტუში გავატარე, ყველაზე წარმატებული სეზონი მქონდა.

— რა მოგცა უცხოურ გუნდებში თამაშმა?

— პირველ რიგში, დიდი გამოცდილება. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში, რომ შეხვიდე და ივარჯიშო, ასეთი დარბაზიც კი არ არის, არც ერთი გუნდი არ ფინანსდება. როცა უცხოურ კლუბებში ვთამაშობ, სულ ვნატრობ, რა მოხდება, ასეთი პირობები საქართველოშიც იყოს-მეთქი?!. ალბათ ეს დროც დადგება. მთავრობის მხრიდან დაპირებები არის. ეროვნული ნაკრების A დივიზიონში გადასვლამ ყველას დიდი სტიმული მოგვცა.

— ვიკა, სიმაღლეში რამდენი ხარ?

— 2 მეტრი და 3 სანტიმეტრი.

— ქართული კალათბურთელებიდან ყველაზე მაღალი რომელია?

— შერმადინი 2 მ და 16 სმ-ია, ცეტივილი — 2 მ და 14 სმ, ფაჩულია — 2 მ და 11 სმ. მე ძალიან მაღალ კალათბურთელად არ ვითვლები.

— ეროვნული ნაკრების წევრებს ერთმანეთთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ, მეგობრობთ?



— რა თქმა უნდა. შეიძლება ითქვას, რომ ერთად გავიზარდეთ. ფაჩულია ცეტივილის მეჯვარეა, ცეტივილი — ბოისასი, მე — ცინცაძის, მოკლედ რომ გითხრა, ერთი ოჯახი ვართ. ვცდილობთ, ერთმანეთთან რაც შეიძლება მეტი დრო გავატაროთ.

— ნკა ცეტივილი ახლახან გაბედნიერდა. შენ რას აპირებ?

— ჯერჯერობით, ოჯახის შექმნაზე არ ვფიქრობ, ჩემი მეგობრების ბედნიერებით ვტკბები.

— ამ სტატუსს შენი თაყვანისმცემელი გოგონები წაიკითხავენ. მათ რას ეტყვი?

— იაქტიურონ, მეტი რა ვუთხრა?!

— აქტიური გოგონები მოგწონს?

— (იციან).

— თავად რატომ არ აქტიურობ?

— არ ვიცი. რა მეჩქარება? ჯერ 23 წლის ვარ.

— მაშინ მითხარო, როგორი გოგონები მოგწონს?

— მაღალი ვარ და დაბალი გოგო არ შემიფერება. შავგვრემანი გოგონები მომწონს, ოღონდ ძალიან გამხდრები — არა. იუმორის გრძნობა უნდა ჰქონდეს და ხალისიანიც უნდა იყოს.

— ასეთი დღემდე ვერ იპოვე?

— ვერა. შეყვარებული ერთხელ ვიყავი, მაგრამ დავმორდი. ერთმანეთს ვერ გავუშვებ.

— საკუთარ თავს როგორ დაახასიათებ?

— (იციან) სულ კარგ ხასიათზე ვარ. გულჩათხრობილი და მძიმე ადამიანი ნამდვილად არა ვარ.

— არც „აზიატი“?

— არა, არა, ეს ჩემთვის უცხოა.

— უცხოელს ცოლად თუ მოიყვან?

— მინდა, რომ ქართველი მეუღლე მყავდეს, მაგრამ უცხოელი თუ შემოიყვარდება, უარი რატომ უნდა ვთქვა? არა მგონია, ჩემი მშობლები წინააღმდეგები იყვნენ, გამიგებენ.

— საზღვარგარეთ ბევრი თავგანსმცემელი გყავს?

— სპორტსმენები იქ უფრო პოპულარული არიან, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში. აქ თუ წარმატებული არ იქნები, ვერაფერს გაგიცნობს, იქ ასე არ არის, თან გოგოები უცხოელების მიმართ უფრო დიდ ინტერესს იჩენენ. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 1 თვე ვთამაშობ, დანარჩენ დროს უცხოეთში ვატარებ, შესაბამისად, იქ მეტი თავგანსმცემელი მყავს.

— რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ქართველი და უცხოელი გოგონები?

— უცხოელები უფრო გახსნილები და უკომპლექსოები არიან, ვიდრე ქართველები. რადგან სხვა მენტალიტეტი აქვთ. შებოჭილები არ არიან, მაგრამ ხუმრობას ვერ იგებენ. იუმორით ქართველი გოგონები სჯობნიან.

— ვიკა, ეროვნული ნაკრების წარმატება ბანკეტი აღნიშნეთ, არა?

— მეორე დღესვე ვიქეიფეთ, მაგარი დრო გავატარეთ.

— კალათბურთელების ქეიფი როგორია?

— ბევრი ღვინო ისმება (იციან).

— შენც ბევრს სვამ?

— განსხვავებულ სასმისებზე უარს არ ვამბობ, მაგრამ ძალიან არასდროს ვთვრები.

— სიმთვრალეში ხასიათი გაცვლება?

— ორმაგად ხალისიანი ვხდები. საერთოდ, მსიარული ადამიანი ვარ. როცა დიდ ბანკეტზე ვართ, სუფრას კალათბურთის ფედერაციიდან რომელიმე უფროსი კოლეგა თამადაობს.

— ეროვნული ნაკრების თითქმის ყველა წევრი უცხოურ კლუბებში თამაშობთ. საზღვარგარეთ ერთმანეთს ხშირად ნახულობთ?

— როგორ არა?! საშობაოდ 5-6 დღით გვასვენებენ. ვცდილობთ, ეს დღეები ერთად გავატაროთ. ერთმანეთს ვსტუმრობთ და ვესიყვარულებით. ესპანეთში, ესტონეთში, საფრანგეთში, ნიუ-იორკში სხვა ქართველებსაც ვხვდებით და ვუმეგობრდებით.

— შენს სამომავლო გეგმებზე რას გეგმავ?

— ახლა ორწლიანი ხელშეკრულება იტალიის გუნდთან მაქვს დადებული. დღეს საღამოს მივმგზავრები.

— წარმატებას გისურვებ!

# ვისთვის იღვწის ლევან პარპალოძე

ახლახან რესტორან „კრუზში“ ქართველი შემსრულებლის, დიანა ლაბაძის კლიბის პრეზენტაცია გამართა, რომელიც ბავშვობიდან რუსეთში ცხოვრობს. პრეზენტაციას უამრავი ცნობილი ადამიანი ესწრებოდა, მათ შორის პრეზიდენტის დეიდა — ნაზი ალასანიაც. ის დიდი ინტერესით აკვირდებოდა საქართველოში დამწყები მომღერლის კლიბს, რომელიც პატრიოტულ მოტივებზე შეიქმნა. იქვე იყო მსახიობი გივი სისარულიძეც და მან, სხვათა შორის, ვიდრე დარბაზში მონიტორს ასწორებდნენ, ეთერ კაკულიას ფეხებისა და ტუჩების სადღეგრძელო შესვა. რა არ მოეწონა მას დიანას კლიბში და რატომ არ მოვიდნენ მოსკოველი მომღერლის პრეზენტაციაზე ცნობილი ქართველი შემსრულებლები, ამაზე თავად დიანას ვესაუბრეთ.



## და რატომ არ აღიარებენ ქართველი მომღერლები ახალ სახეებს შოუბიზნესში?

### სოფო ყარაღაჯიძე

— რამდენიმე ქართველმა ცნობილმა შემსრულებელმა უარი თქვა შენი კლიბის პრეზენტაციაზე სტუმრობაზე...

— ნამდვილად, თუმცა ამაზე გული არ დამწყვეტია იმიტომ, რომ ბევრი მათგანის შემოქმედებას არც კი ვიცნობ.

— მათი მოუსვენლობის მოტივი რა იყო?

— ოღონდ დამწყებ მომღერალთან — არა და სხვაგან დაგვკატიყუეთო (იციან). დამწყები საქართველოში მქვია, ისე კი დიდი ხანია, რაც მოსკოვის სცენაზე ვდგავარ და მსგავსი რამ არ ყოფილა, იქ ნებისმიერ ასეთ საღამოზე მიწვევა ნებისმიერი შემსრულებლისთვის დიდი პატივია. მით უმეტეს დამწყებს ყოველთვის გვერდში უდგანან.

— კიდევ რა განსხვავებაა რუსულ და ქართულ შოუბიზნესს შორის?

— მოსკოვში საკუთარი სტუდია მაქვს, სადაც ხშირად ინერგენ სიმღერებს თამარ გვერდითელი, მანანა თოდაძე, დათო ხუჯაძე, ქეთა თოფურია, ხშირად მოდის ტიმატიც; იქ აქვთ მოსმენის კულ-

ტურა, თუ მოსწონთ შენი შესრულება, არ დაგჩაგრავენ იმის გამო, რომ ქართველი ხარ. მოსკოვში სტუდიებს უძლიერესი აპარატურა აქვთ, თუმცა მოხმარება არ იციან, ქართველებს ეს ფუფუნება ნაკლებად აქვთ, მაგრამ ბევრად უფრო ნიჭიერი შემსრულებლები გვყავს.

— დიანა, გივი სისარულიძემ თქვა, რომ კლიბის ბოლოს, როდესაც შენ ტაძრისკენ მიდიხარ, აღარ უნდა შემობრუნებულიყავი...

— ამ კლიბის რეჟისორად ქართველი იმ მიზნით ავირჩიე, რომ, როგორც ვთქვი, უფრო ნიჭიერები ვართ; ამიტომაც ბატონი გივის შენიშვნა რეჟისორს ვუთხარი. მან კი მიპასუხა: შენი ამ მობრუნებით, იმის თქმა მინდოდა, რომ „ჩვენ დავბრუნდებით“ ანუ უცხოეთში მცხოვრები ქართველები.

— საქართველოში შენი ჩამოსვლის შემდეგ, აუიოტაჟი ატყდა იმის გამო, რომ ლევან ვარშალომიძე ტელევიზიებში რეკავს და შენი კლიბების გაშვებას ითხოვს. რა ურთიერთობა გაქვს მასთან?

— მეც ბათუმელი ვარ, მაგრამ პირადად მასთან არანაირი შეხება არ მაქვს, მას მგონი, ცოლიც ჰყავს, არა?!



სახე

სანდო წყაროსგან შევიტყვე, რომ „ტელემედში“ ახალი გადაცემის მომზადებაზე ფიქრობენ. სავარაუდოდ, ეს იქნება — გულახდილი საუბრები სექსზე. „სექსუალური განათლების“ მიღებაში მაყურებელს მსახიობი შორენა ბებაშვილი დაეხმარება.

ეთო ყორღანაშვილი

ინფორმაცია თავიდან, შორენასთან გადავამოწმეთ, რომელმაც გულიანად გაიციინა და გვიპასუხა: საქართველოში ასეთი გადაცემის წამყვანი ვინ იქნება, თუ არა მეო?! გადაცემის „ბედ-ილბალი“ საბოლოოდ გარკვეული არ არის. ამასობაში, ახალგაზრდა მსახიობი დროს არ კარგავს: ახლახან დაასრულა კომედიურ ფილმში — „მაიტა ნასოსი“ — გადაღება, რომელშიც ერთ-ერთი სექსუალური გოგონას როლს ასრულებს. ასევე მალე გაიმართება სურათის — „იდიოტოკრატია 2 ანუ ყველაფერი კარგად იქნება“ — პრემიერაც. ამ ფილმში ის „მომავალი თაობის გოგონას“ როლში მოგვევლინება. მოკლედ, შორენა ბეგაშვილი აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა და ცდილობს, საქმიანობას დედობაც კარგად შეუთავსოს.

— წელს დასასვენებლად არც წავსულვარ. 5 დღით ბათუმში ფილმის



ცხოველები ძალიან მიყვარს, მაგრამ მხოლოდ კატა მყავს

გულახდილი საუბრები სექსზე ანუ „საქართველოში ასეთი გადაცემის წამყვანი ვინ იქნება, თუ არა მე?!“

გადაღებებზე გავემგზავრე. სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა კიდევ ერთი ფილმის — „ყველაფერი კარგად იქნება“ პრემიერაც. სიმართლე გითხრათ, ჯერ არც მინდა, რომ დასვენებას ბევრი დრო დავუთმო — მსურს, ბევრი საქმე გავაკეთო. ბათუმში ჩემი კნუტი — ბუსიც წავიყვანე, რომელიც სულ გამირბოდა და სულ ვეძებდი (იციინის)...

— ბუსი დასასვენებლად წაიყვანეთ?

— არა. ვიცოდი, რომ ბათუმში სამუშაოდ მივდიოდი, მაგრამ თბილისში კნუტი ვერავის დავუტოვე — ჩემ გარშემო ფისოები არავის უყვარს. მატარებლით ვიმგზავრეთ. მეორე კუპეში ერთ-ერთ მგზავრს ძალღიჟავადა. მთელი ღამე გავათენე, რომ იმ ძალღიჟავაში ფისო არ შეეჭამა (იციინის). ბუსი ძალიან საყვარელია. ამ ბენჯინმა არსებამ ჩემი და ჩემი შვილის ცხოვრება გაახალისა. საერთოდ, ცხოველები ძალიან მიყვარს, მაგრამ მხოლოდ კატა მყავს. მაგალითად, სიამოვნებით მეყოლებოდა ძაღლი, მაგრამ მას მუდმივად გასეირნება სჭირდება, მე რომ 2-3 დღით გადაღებაზე წავალ, წარმოიდგინეთ, რა დაემართება!

— ბათუმში რომელი ფილმის გადაღება მიმდინარეობდა?

— ესაა გიორგი კაჭარავას და სოსო ჯაჭვლიანის ფილმი — „მაიტა ნასოსი“. სვანებზეა. ძალიან კარგი კომედიაა და ალბათ ბევრს იცინებთ. მე ერთ-ერთი სექსუალური გოგოს როლს ვასრულებ. იმედია, სექსუალური გოგოს „იარლიყს“, ადრე თუ გვიან, მოვიცილებ და სხვა როლებიც მექნება, თუმცა ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჩემი ყველა გმირი ძალიან მიყვარს. თუნდაც — კუკი „კაბარედან“ (ამ პერსონაჟის სახელი საშინ-



ლად არ მომწონს).

— ვიცი, რომ ბევრი სწორედ კუკის გამო მოდიოდა „კაბარე 5 ვარსკვლავის“ სეროების ჩანერავზე დასასწრებად...

— არ მეგონა, რომ ვინმეს მოვეწონებოდი. მახსოვს, როცა პირველად პარიკი თავზე ჩამოვიმხე, ვტიროდი — არ მომწონა, რადგანაც ქერა თმა არ მიხდება. საკვირველი ის არის, რომ განსაკუთრებით, ბავშვები მგულშემოტკიცებოდნენ. რატომ უნდა მოსწონდეთ სულელი გოგო?!

— და სექსუალურც.

— კი, ისეთ ტანისამოსს მაცმევდნენ, რომ ჩემი პერსონაჟი სექსუალური ყოფილიყო, მაგრამ მაყურებელი მასში სექსუალურობას კი არა, შტერ გოგოს უფრო ხედავდა, რომელსაც გინდა, მოეფერო.

— „კაბარეს“ თქვენი შვილიც უყურებდა ალბათ...

— სწორედ ჩემი შვილისა და მისი სადაქალოსგან ვიცი, რომ ბავშვებს კუკი ძალიან მოსწონდათ.

— როგორც ვიცი, თქვენი გოგონა წელს პირველად წავიდა სკოლაში, არა?

— კი და ჩვენი დიდი „ტრაგედია“ დაიწყო, რადგან დილით ადრე ადგომა არც ერთს არ გვიყვარს (იციინის). ვცდილობ, კარგი დედაც ვიყო და

კარგი მსახიობიც. ჯერჯერობით ვახერხებ.

— შვილთან მეგობრული ურთიერთობა გაქვთ?

— დიას, ევა ჩემი მეგობარია. ფილმში — „ყველაფერი კარგად იქნება“, ცოტა არ იყოს, ეროტიკული კადრებია. პრემიერაზე ძალიან ვნერვიულობდი. ეს რომ ჩემმა გოგონამ შენიშნა, ხელი ხელზე მომიკიდა... ევა ის ადამიანია, რომელიც სულ გვერდით მყავს. ერთმანეთის გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია. მთავარია, მას მოეწონოს... ბათუმში ყოფნისას, ერთი თავისუფალი საღამო გვექონდა და შვილთან ერთად, საშინელ ატრაქციონებს ვესტუმრე. იქიდან ცოცხალი ძლივს გადმომიყვანეს, ჩემი შვილი კი ბედნიერი ილიმებოდა.

— ბავშვის აღზრდაში თქვენი ყოფილი მეუღლეც მონაწილეობს?

— რა თქმა უნდა. ერთმანეთს ცივილიზებულად დავშორდით. უბრალოდ, ერთად აღარ ვცხოვრობთ, თორემ კარგი მეგობრები ვართ და ბავშვის აღზრდაშიც ყოველთვის მესხმარება...

— შორენა, გასაგებია, წელს ეს ვერ მოახერხეთ, მაგრამ დრო რომ გქონდეთ, დასვენებას სად ისურვებდით?

— ჰოროსკოპით, კირჩხიბი ვარ და მხოლოდ წყალთან ვარ მშვიდად, თუმცა ხმაურიანი პლაჟები და მსგავსი ადგილები არ მიყვარს. არ მსიამოვნებს, როცა ვისვენებ და ამ დროს ვიღაც მიყურებს და ჩემზე ახალ ჭორებს აგროვებს და ავრცელებს.

— თქვენთან დაკავშირებული ყველაზე „ცხელი“ ჭორი რომელია?

— ის, რომ ბათუმში დასასვენებლად ვიღაც მილიონერმა წამოყვანა. ამ დროს, ფილმის გადაღებაზე გახლდით, შვილთან და კატასთან ერთად (იციინის). საერთოდ, ხშირად ვმოგზაურობ, მაგრამ ვერასდროს ვერაფრის დათვალაიერებას ვერ ვასწრებ, რადგან სულ გადაღებები მაქვს. მარტში, ინდოეთში „იდიოკრატია 2“-ის გადაღებაზე გახლდით. თეთრი ქვიშა, ულამაზესი პალმები... იქ ძალიან კარგად ვიყავი!

— ინდოელი თაყვანისმცემლებიც გამოგიჩნდებოდნენ...

— ყველა ხელს მიქნევდა და მილიმოდა (იციინის). ჩემთან ერთად სურათებს „ისტერიკულად“ იღებდნენ: მობილურით, ფოტოკამერით... ვერ გამიგია — რა-

ტომ (იციინის)?

— „იდიოკრატია 2“-ში თქვენ პერსონაჟის შესახებ მიაბნეთ.

— ანას არაფერი აინტერესებს, მხოლოდ საკუთარ საქმეს აკეთებს ანუ, როგორც უნდა, ისე ცხოვრობს. ის მომავალ თაობის წარმომადგენელია — ასე ვუნოდებდი.

— ასეთი წარმოდგენა გაქვთ მომავალ თაობაზე?

— (იციინის) ასე, დაზუსტებით არ ვიცი, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი გვიკვირს, რასაც სითამამე ჰქვია. შეიძლება, ანას მსგავსი გოგონები დღესაც არიან, ყოველ შემთხვევაში, ჩემს სანაცნობოში — არა. ჩემი პერსონაჟი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საინტერესოდ იცხოვროს. იმდენად თამამია, რომ ალბათ, მის როლში ყოფნა ბევრს მოუწდება. შემოიყვარდა უკვე (იციინის).

— ჰგავხართ ერთმანეთს? თუნდაც სითამამით.

— გგონიათ, თამამი ვარ (იციინის)? არა, მე სულ სხვანაირი ვარ: უბრალოდ, სითამამე როლისთვის მჭირდება, თორემ სინამდვილეში ასეთი არა ვარ. „იდეალურობა“ არ მიზიდავს. მომწონს, როცა სხვანაირი — „არაჩვეულებრივი“ ხარ, ბევრი გვაჯერებს, თითქოს იდეალურია, არადა, სულ პირიქითაა ხოლმე (იციინის). მსურს, ჩვეულებრივი დამინახონ, თუნდაც — ცუდი კუთხით.

— თითქოს შეგნებულად ცდილობთ, საზოგადოებაში „ცუდი გოგოს“ იმიჯის შექმნას...

— არა, უბრალოდ, იდეალურობის იმიჯს ყველანაირად გავურბი.



პრინციპში, შესაძლოა, გადაცემაში სექსზე არც ვისაუბროთ და ეს იყოს რჩევები ქალებისთვის

მაგალითად, შემეძლო, ფილმში სხვა როლები ამერჩია, „პლეიბოისთვის“ „გულახდილი“ ფოტოები არ გადამეღო, მაგრამ ასეთი ცხოვრება მომწონს. ალბათ, რაც უფრო საინტერესო ცხოვრება გაქვს, სხვებსაც უფრო საინტერესო ეჩვენები. ჩვეულებრიობა ყოველთვის მოსაწყენია...

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ „იმედის“ ტელეეთერში მალე ახალი გადაცემა გავა, რომლის წამყვანიც თქვენ იქნებით და მაყურებელთან გულახდილად ისაუბრებთ სექსზე...

— საქართველოში ასეთი გადაცემის წამყვანი ვინ იქნება, თუ არა მე (იციინის)?! საბოლოოდ დამტკიცებული და გადაწყვეტილი არაფერია. თუ რაიმე გაირკვევა, ალბათ მაყურებელი „იმედზე“ მიხილავს.

— შეგიძლიათ, უფრო კონკრეტულად მოგიყვებოდეთ, როგორი გადაცემა იქნება?

— ზუსტად არ ვიცი, ამიტომ ამაზე საუბარი მიჭირს. მაგრამ კომუნიკატივის დრო ხომ არ არის, როცა თავში „გვიკაკუნებდნენ“ — ჩვენ სექსი არ გვაქვსო?!. მგონი, იმ ეპოქაში აღარ ვართ, თუმცა დარწმუნებული ვარ, მაშინაც ჰქონდათ სექსი და კარგად გვატყუებდნენ. აბა, საიდან გავჩნდით ჩვენ (იციინის)?..

— მიგაჩნიათ, რომ ასეთი გადაცემა ქართველებს გვჭირდება?

— ვაიში, არ გვჭირდება?... წარმოგიდგინათ ისეთი ქვეყანა, სადაც სექსზე არანაირი ინფორმაცია არა აქვთ? მე პირადად, ინტერნეტში ახლახან ამოვიკითხე ისეთი რამ, რაზეც მანამდე წარმოდგენა არ მქონდა. დაქალთან ერთად ვიყავი და ეკრანს ორივე ყბადაფრენილი ვუყურებდით.

— სექსზე ისეთი რა გაიგეთ, რაც მანამდე არ იცოდით?

— ძალიან ბევრი რამე, რასაც მთელი ცხოვრება გვიმალავდნენ. ისეთ ნიუანსებს გავცვანდი, რაზეც წარმოდგენა არ მქონდა — ადრე გავთხოვდი და ბევრი რამ არ ვიცოდი (იციინის). ეს რთული საკითხი არაა. უბრალოდ, როგორც მე არ ვიცი რაღაც, ასე არ იცის უმრავლესობამ. ამ თემაზე სპეციალისტებთან ყოველთვის ნაკლებად ვლაპარაკობ, უფრო ხშირად — დაქალებთან, მეგობრებთან ვსაუბრობ... მოკლედ, მსგავსი ტიპის გადაცემა საქართველოს სჭირდება კი არა, ძალიან სჭირდება! პრინციპში, შესაძლოა, გადაცემაში სექსზე არც ვისაუბროთ და ეს იყოს რჩევები ქალებისთვის. ჯერჯერობით არაფერია გარკვეული. კიდევ რამდენიმე ტელეარხიდან მაქვს შემოთავაზება. ამიტომ არაა გამორიცხული, რომ აბსოლუტურად განსხვავებული გადაცემის წამყვანად მოგვევლინოს. ■

# „გამოვდი თუ არა, ახლომდებარე სუპერმარკეტში ლუდი ვიყიდა“

„როგორც კი ადამიანი უკეთეს სობისკენ შეიცვლება, ხალხს ის „გატყეილი“ ჰგონია. უბრალოდ, შევიცვალე. განვლილმა წლებმა ჩემზე იმოქმედა და უკეთესობისკენ შევიცვალე.“ — ამბობს შალვა რამიშვილი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გათავისუფლდა პატიმრობიდან და გვარნმუნებს, — სამომავლოდ დიდი გეგმები მაქვსო. არც არის დაუფერებელი — შალვა ხომ მუდამ ძალზე აქტიური და „იდეების კატალიზატორად“ ცნობილი პიროვნებაა...

## ნათია ჟივიკა

— ციხიდან გამოსვლის შემდეგ პირველად რა გააკეთე?

— ციხიდან ჩემი გამოსვლა ძალზე ორიგინალურად მოხდა, რადგან 11 საათის ნაცვლად, მ-ზე გამომიშვეს. მოგეხსენება, ბოლოს რუსთავის იზოლატორში ვიხდიდი სასჯელს. შესაბამისად, გამოვედი თუ არა, მაშინვე ახლომდებარე სუპერმარკეტში შევედი, ლუდი ვიყიდე და დაველი. წარმოიდგინე, 4 წლის განმავლობაში ლუდი არ დამილევია. არაყი და ღვინოც ძალიან მენატრებოდა, მაგრამ დილის 8 საათზე ხომ არ დავლევდი?!

— პატიმრობის განმავლობაში შეწყალებაზე კატეგორიულ უარს ამბობდი. არადა, მასი გქონდა, გაცხილებით ადრე გათავისუფლებულიყავი. რატომ თქვი ამაზე უარი?

— რამდენჯერმე ნამდვილად იყო ისეთი სიტუაცია, შეწყალების ფურცელზე ხელი რომ მომეწერა, ციხიდან გამოვიდოდი, მაგრამ ეს არ გვაკეთე, რადგანაც მიმაჩნია, რომ მიხეილ სააკაშვილის შესაწყალებელი არაფერი მჭირს. გარდა ამისა, საკუთარი თავი დამნაშავედ არ მიმაჩნია, პროვოკაციის მსხვერპლი ვარ. თუმცა ვაღიარებ, რომ ცხოვრებაში ალბათ ავანტიურისტული ნაბიჯებიც გადამიდგამს, რომლებიც ზოგიერთის აზრით, არაეთიკური იყო, მაგრამ ის დანაშაული, რომლის გამოც დამიჭირეს, ნამდვილად, არ ჩამიდენია.

— აბა, რას ნიშნავდა ის ჩანაწერი, რომელიც ყველამ ვნახეთ? იქ თვალნათლივ ჩანს, რომ შენ ფული მოითხოვე და მიიღე კიდევ—

— ეს იმ ჟურნალისტური გამოძიების დამაგვირგვინებელი ეტაპი იყო, რომელიც ჩემ მიერ იყო დაგეგმილი. საკუთარ ხაფანგში გავედი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რაც შენი საქმე არ არის, ადამიანმა ის არ უნდა გააკეთო. ამ გამოძიებას მოუშაადებელი შეუდექი და დავისავე კიდევ, რაც აბსოლუტურად ბუნებრივია. ასე რომ არ მომხდარიყო, შესაძლებელია, ჩემთვის სხვა და უარესი რამ „გაქალიჩებინათ“. ეს იყო პროვოკაცია, რომელსაც წამოვეგე.

— თავად შენ რისთვის აწარ-



## შალვა რამიშვილი სტრასბურგიდან ხარბ აბაჟს ელოდება

მოვბდი ამ გამოძიებას, ვის უწყობდი პროვოკაციას?

— ის ადამიანი, რომელიც ამ ამბავში იყო ჩართული (მისი გვარი და სახელიც არ მახსოვს და არც მინდა, გაეხსენო, რადგან ეს არსებითი არ არის), არაკანონიერ ქმედებას ეწეოდა. მერე ამ არაკანონიერი ქმედების ამსახველი ფილმის არგამშვებაში ფულს იხდიდა; არგამშვებაში გადახდილი ფული კი იმას ნიშნავს, რომ მისთვის ამ ინფორმაციის დაფარვა მნიშვნელოვანი იყო. აი, ამის ჩვენება მინდოდა საზოგადოებისთვის, მაგრამ ეს ვერ შევედი. შესაძლოა, ეს დაიჯეროთ ან არა, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ძალიან მალე მოვა დრო (ეს რამდენიმე თვეში მოხდება) და სტრასბურგის ადამიანის უფლებების სასამართლო გამოიტანს ვერდიქტს, რომ ის ქართული სასამართლო, რომელმაც 4 წელი მომისაჯა, მიკერძოებული და არაკანონიერი იყო. სხვათა შორის, სტრასბურგმა ჩემს საქმესთან დაკავშირებით, უკვე რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. მიიჩნია, რომ პატიმრობაში უძიმეს პირობებში ვიყავი, ვწამებოდი. გარდა ამისა, დამტყცდა ისიც, რომ წინასწარი სამთვანი პატიმრობის მომსახველი სასამართლო არაკანონიერი იყო, მოსამართლე ემსრობოდა ბრალდებას, პროკურორი დაგვიცინოდა (ზუსტად ასე წერია სტრასბურგის განაჩენში), თვე-ნახევრის განმავლობაში უკანონო პატიმრობაში ვიყავი და ა.შ. ეს გადაწყვეტილება იქნება პრეცედენტი იმ ახალი გადაწყვეტილებისა, რომლის თანახმადაც დამტყცილება, რომ მთლიანად ეს პროცესი უკანონო და არასამართლიანი იყო.

— მართლა განაშვებდნენ?

— აქ ფიზიკურ ნაშვებზე არ არის ლაპარ-

აკი. კონვენციის მესამე მუხლის დარღვევა ნამდვილად, დაფიქსირებულია. მნიშვნელოვანი, ჩემი განცდები კი არა, ის დოკუმენტია, რომელიც ცხადყოფს, რომ მანამეს. კარცერში ყოფნის პირობები ნამების ტოლფასი იყო. სასამართლოზე, გალიაში შევიღბიანი ადამიანების ზედამხედველობის ქვეშ რომ ვიჯექი, ესეც ნამებაა. მიმაჩნია, რომ მორალური ნამება არანაკლებ მძიმეა და მე სწორედ ასე მანამეს. ამ ხელისუფლებას კონსტრუქციული მენტი არა აქვს. რას იტყვიან, — სტრასბურგის სასამართლო მიკერძოებულია და რუსებს ემსრობო?..

— მიუხედავად იმისა, რომ შეწყალებაზე უარს ამბობდი, შენ მუდამ მინც იბრძოდა ამისთვის.

— თეა ჩემი შეწყალებისთვის კი არა, იმისთვის იბრძოდა, რომ საზოგადოებას ნათლად დაენახა — ჩემი პატიმრობა პროვოკაციის შედეგი იყო და მე სააკაშვილის პირადი პატიმარი ვიყავი. სხვათა შორის, ეს მას კარგად გამოუვიდა.

— ფარულ ჩანაწერში, რომლის საფუძველზეც ხელისუფლება შენს ბრალეულობას ამტკიცებს, კიდევ ერთი მთავარი გმირი — ყოფილი პარლამენტარი კობა ბექუაია. მის შესახებ თუ იცი ახლა რამე?

— მგონი, კარგად არის. მე მას ნამდვილად, არაფერს ვერჩი. ვიცი, რომ ჩემ წინააღმდეგ ხელისუფლება მას თუ არა, სხვა „ტორპედოს“ გამოიყენებდა. წყალქვეშა ნავი უნდა ექებო და იმის კაპიტანთან გაარკვიო, რატომ გესვრის „ტორპედოს“, თორემ თვითონ „ტორპედო“ უსულლო საგანია და მას ქუუა არ მოეკითხება.

— ციხიდან გამოსვლისთანავე განცხადე, რომ სააკაშვილთან შექვე-

**დრა და საუბარო გასურდა. მოჰყვა თუ არა შენს ამ განცხადებას რეაქცია და რა გასურს, უთხრა პრეზიდენტს?**

— რასაკვირველია, ჩემს განცხადებაზე მიმას არანაირი რეაქცია არ გამოუხატავს. თუმცა ახლა მისი ნახვა აღარ მსურს, რადგან მე რომელ სააკაშვილსაც ვიცნობდი, ისეთი აღარ არის. ჩვენ ერთ დროს ვმეგობრობდით. სწორედ ამ მეგობრობის გამო მინდოდა, მისთვის თვალეში ჩამეხედა და მეკითხა, ეს რატომ გააკეთა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ესეც უდემტია! მან თავისი ვირტუალური სამყარო შეიქმნა. ჩვენი შეხვედრა კი პროდუქტიული არ იქნება. იფიქრებს, რომ მისგან რაღაც მინდა და იმიტომ ვხვდები. სინამდვილეში კი არაფერიც არ მინდა...



იმისთვის, რომ გამაჩუმონ, რაღაცებს ალბათ კიდევ მოიმოქმედებენ

**— როგორ ფიქრობ, რატომ მიანხარ სააკაშვილს პირად მტრად?**

— ბევრი ისეთი რამ ვიცი, რაც სააკაშვილის რეიტინგს საგრძნობლად დაბლა დასწევს და რომელიმე ოპოზიციონერის რეიტინგს ასწევს.

**— ახლა მას მსგავსი საშიშროება აღარ ემუქრება?**

— რა თქმა უნდა, ჩემგან მას ეს საშიშროება ემუქრება და ალბათ ის ამას გრძნობს, მაგრამ არა მგონია, ისევე დამიჭირონ. ისე კი, იმისთვის, რომ გამაჩუმონ, რაღაცებს ალბათ კიდევ მოიმოქმედებენ.

**— იმ რაღაცის თქმა ციხიდან არ შეგეძლო?**

— რასაკვირველია, შემეძლო და ამა თუ იმ გამოცემაში სტატიებს ვაქვეყნებდი კიდევ, მაგრამ ციხეში კომუნიკაცია ჩირს. მიმასთვის მესიჯის გაგზავნას ვერ ვახერხებდი.

**— როგორ ჩაიარა იმ ოთხმა წელიწადმა, რომელიც გისოსებს მიღმა გაატარე?**

— ჩემთვის იქ ყოფნა ძალიან მძიმე იყო, თუმცა ერთი წლის შემდეგ ცოტა მივეჩვიე. ვერ მეექვსე საპრობილეში ვიყავი, მერე ავად გავხდი და მერევე გადამიყვანეს. მერე მესხეთეში აღმოვჩნდი. ძირითადი დრო კი რუსთავის მეორე საპრობილეში გავატარე. მოკლედ, საქართველოში რაც კი „სერიოზული ციხე“ აქვთ, ყველა „დამათვალეიერებინეს“...

**— მართლა კარგად გაარემონტეს, როგორც ამბობენ?**

— ამწუთას, რუსთავის მეორე დაწესებულებაში 500-ზე მეტი პატიმარია, რომელსაც საწოლი არა აქვს. მითი იმის შესახებ, რომ ყველაფერი გარემონტებული და გასუფთავებული გვაქვს, დაიძვრა, რადგან იმდენ ადამიანს იჭერენ, იქ მათი ადგილიც კი აღარ არის.

**— პატიმრების კვებაზე რას გვეტყვი?**

— ციხეში კარგი კვება არ არის. იქ ვადაგასული პროდუქტი მოაქვთ და ხელისუფლებასთან დაახლოებული თანამდებობის პირები ფულს ამ საცოდავი პატიმრების ხარჯზე აკეთებენ. მოვა დრო და ამ ყველაფერს გამოვიძიებთ, ეს არ არის პრობლემა.

**— ე.ი. მიუხედავად ასეთი კრახისა, ჟურნალისტური გამოძიების გაგრძელებას ისევ აპირებ?**

— არა, ეს ჟურნალისტური კი არა, უფრო სერიოზული გამოძიება იქნება. ეს მაშინ მოხდება, როცა ხელისუფლება შეიცვლება და სამართლიანობა მეტ-ნაკლებად აღდგება. მაშინ ვვითხვით ამ ადამიანებს, რატომ ითბობდნენ ხელს გაჭირვებული ადამიანების ხარჯზე?..

**— ციხეში ალბათ მოგწონდებოდათ ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. როცა ოპოზიციამ საპროტესტო აქციები გამართა და არეულობა დაიწყო, რა რეაქცია გქონდა?**

— ამ ყველაფერს თვალყურს ვადევნებდი. ინფორმაციის ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდიდი. ჩემი აზრით, ოპოზიციამ ბევრი შეცდომა დაუშვა. რევოლუციურ წინა პირობას ქმნიდნენ და მერე ამბობდნენ, რევოლუცია არ გვინდაო. ეს არც გამოსდით. მთავარი ის არის, რომ თვითონ ვერ გაერკვნენ, რისი გაცუთება სურდათ. ამასთან, მათ ინტელექტისა და ცოდნის სერიოზული დეფიციტი აქვთ.

**— ოპოზიციამ მოსვლას ხომ არ გეგმავენ?**

— არა. არც ერთი ოპოზიციური პარტიის წევრი არ ვახვდები.

**— აბა, რას აპირებ?**

— ვაპირებ, დავარსო კომპანია, რომელიც კონსულტაციას გაუწევს ყველა ჯგუფს, როგორც პოლიტიკურს, ისე ბიზნესჯგუფებს. გარდა ამისა, გვეგმავენ „დარდუბალა 3“ გავაკეთო.

**— რომელსაც, რასაკვირველია, „მაცეტროს“ ან „კავკასიის“ ეთერში ვიხილავთ.**

— შესაძლებელია, მაგრამ არც ის არის გამორიცხებული, რომ ინტერნეტში განვათავსო. დარწმუნებული ვარ, მაყურებელი არც იქ მოაკლდება, რადგან კარგი პროდუქტი გზას ყოველთვის გაიკვლევს.

**— ციხეში დანარჩენი პატიმრები როგორ გექცეოდნენ?**

— კარგად. თითქმის ყველა იზოლაციაში ბევრი მეგობარი შევიძინე და ყველასთან კარგი დამოკიდებულება მქონდა, გარდა იმ პატიმრებისა, რომლებიც პოლიციასთან თანამშრომლობენ. ისინი ცუდი პატიმრები არიან!

**— იცოდა, რომელი პატიმრები**

**იყვნენ აგენტები?**

— ეგ ყველამ იცის — უბრალოდ, არ იმჩნევენ. გამოუცდელი ადამიანი ციხეში რომ შევა, ის ვერ ხვდება, ვისთან აქვს საქმე. გამოცდილები კი მაშინვე ხვდებიან, ვინ აგენტია და ვინ — არა.

**— ბუნტის დროს ციხეში იყავი. რეალურად, რა მოხდა მაშინ? ვისი პროვოცირებული იყო ის ამბავი?**

— ხელისუფლების. მათ განზრახული ჰქონდათ, დაემსხვრიათ ქურდული იდეოლოგია და პატიმრებისთვის მკაცრი ხელი ეჩვენებინათ. მართალია, ციხის მესვეურები ამბობენ, იმ ამბავში არანაირი წვლილი არ მიგვიძღვისო, მაგრამ პასუხისმგებლობა მაინც მათ ეკისრებათ, რადგან შესაძლებელი იყო, მათ ეს ბუნტი თავიდან აეცილებინათ. მაშინ მესხეთე იზოლაციაში ვიყავი. ჩვენს კორპუსში არ შემოცვენილან, მაგრამ კარგად ვიცი, რომ ბუნტის შემდეგ ხალხი მვექვსე საპრობილეში წაიყვანეს და ბეისბოლის ბიტებითა და კონდახებით სცემეს. ამ ცემაში პირადად ბაჩო ახალაია მონაწილეობდა. ამ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ზოგიერთი სოციალური ჯგუფი უნდა განადგურდეს, მაგალითად, კრიმინალური... მათ ჰგონიათ, რომ ადამიანების გამოსწორება შეუძლებელია და ისინი, როგორც ხორცმეცხეები, ისე უნდა მოიკვეთონ. ბოლშევიკებს ჰქონდათ ასეთი იდეოლოგია და შესაბამისად, არც მიკვირს. ამ დასჯითი და რეპრესიული პოლიტიკის ერთ-ერთი გამტარებელი ახალაია იყო. ის ახალგაზრდა, ამბიციური ადამიანია. ნაკლები მუსურუქები აქვს და თავი გადადო, რადგან როცა ხელისუფლებაში აღარ იქნება, მას დიდი პრობლემები შეექმნება.

**— იმ დროს, როცა ციხეში იყავი, შენი ყოფილი ქეისლი, გოგა საჩიძე პოლიტიკური აღმავლობის გზაზე იმყოფებოდა. როგორც ვიცი, გარდა ნათესაობისა, დიდი ხნის მეგობრობაც გაკავშირებთ. ციხეში პაემნებზე თუ მოდიოდა?**

— გოგაზე აუტე ვერაფერს ვიტყვი. მასთან მართლაც, კარგი ურთიერთობა მქონდა. მეტს ამ თემაზე ვერაფერს გეტყვიო...

**— ყოფილი თანამოაზრეები თუ განახლებდნენ ციხეში?**

— არა და არც ციხიდან გამოსვლის შემდეგ მოვუკითხავარ რომელიმეს.

**— რა ბედი ენია ტელეკომპანია „202“-ს?**

— ჩემი დაპატიმრებიდან ერთ წელიწადში „202“ დაიხურა. ახლა იმ სიხშირეზე ტელეკომპანია „საქართველო“ მუშაობს. ქვეყნის ბიუჯეტიდან ამ არხისთვის რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი გამოიყო.

**— სიმართლე რომ გითხრა, შეცვლილი მჭერები ადრე გაცდლებით ცინიკური და სკეპტიკური ადამიანი იყავი. ციხეში გატარებულმა წლებმა ხომ არ გაატყნა?**

— შედგა?! როგორც კი ადამიანი უკეთესობისკენ შეიცვლება, ხალხს ის „გატყნილი“ ჰგონია. უბრალოდ, შევიცვალე. მთელი ცხოვრება ერთნაირი ხომ არ ვიქნებოდი! განვკლილმა წლებმა ჩემზე იმოქმედა და უკეთესობისკენ შევიცვალე...

# „ბედნიერება დავიმსახურე“ – სელინ დიონის ფიქრები ხმამაღლა

სელინ დიონს მუდამ მიაჩნდა, რომ ჭორებისა და მითქმა-მოთქმის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალება — გულახდილობაა. მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ის 41 წლის ასაკში მეორე ბავშვზე ხელოვნური განაყოფიერების გზით დაორსულდა, ხოლო ემბრიონი 8 წლის განმავლობაში გაყინულ მდგომარეობაში შენახული, მაგრამ ეს ამბავი მის ბედნიერებას ჩრდილს ვერ აყენებს.

## „მე შვილი მაყოლაა!“

— იმ მომენტში, როდესაც ექიმმა დამირეკა და მაცნობა, რომ ორსულად ვიყავი, მე და ჩემი შვილი მალაზიაში რალაცის საყიდლად ვიყავით შესულნი. სიხარულისგან მთელი ხმით შევყვირე: „მე შვილი მეყოლება!“ სულ არ მენალვებოდა, რომ ხალხი მიყურებდა. უნდა აღვნიშნო, რომ ირგვლივ ყველა მილიმოდა. ცოტა არ იყოს, ცრუმორწმუნე ვარ, მაგრამ ესეც ვერ შემაჩერებს. მინდა, მთელი ქვეყნიერების გასაგონად ვთქვა, რომ უბედნიერესი ადამიანი ვარ, მაგრამ სიტყვები არ მყოფნის. ხელოვნური განაყოფიერება უამრავ უსიამოვნო პროცედურას უკავშირდება, მაგრამ დაორსულების სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ წამლების მიღებასთან დაკავშირებულ გვერდით მოვლენებსაც კი სხვა ქალებზე ნაკლებად ვგრძნობდი.

## „დედაჩემმა 41 წლის ასაკში გაამაჩინა...“

— დედაჩემმა 41 წლის ასაკში გამაჩინა და მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში 14 ბავშვი იზრდებოდა, ჩემს გაჩენას განსაკუთრებული პრობლემები არ შეუქმნია, ახლაც მხოლოდ სიყვარული და ურთიერთგაგება მაგონდება. მე არაფრის მეშინია — მუდამ ცხოვრების ჯანსაღი წესით ვცხოვრობდი, არ ვწვევი და თითქმის არ ვსვამ, ასე რომ, შესანიშნავ ფორმაში ვიმყოფები. მატერიალურად უზრუნველყოფილი ვარ და ჩემი უსაყვარლესი ადამიანები ჩემ გვერდით არიან. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება.



## „ჩემი ძმარი — სრულიად განსაკუთრებული შამთხვევაა“

— ის ჩემი პირველი, ერთადერთი და მარადიული სიყვარულია. ჩვენი რომანი „ერთი ნახვით შეყვარებით“ არ დანწყებულა, ეს ხანგრძლივი, ნელი დაახლოება იყო. ერთხელ მოვეხვიე და უეცრად მივხვდი, რომ ჩემს გულში უბრალო მეგობრობაზე უფრო დიდი გრძობა სუფევდა. ჩვენს ურთიერთობას დიდხანს ვმაღავდით, თუმცა ამის აუცილებლობა არ იყო, რადგან რენე მეორე ცოლთან უკვე განქორწინებული იყო. მე რომანტიკული არსება ვარ და ჩვენი სიყვარულის დამალვა ჩემთვის ნამდვილი სატანჯველი იყო. ჩვენი ქორწილის დღე და ვაჟიშვილის დაბადება — ჩემი ცხოვრების უბედნიერესი მომენტებია. როდესაც რენეს სიმსივნე აღმოაჩნდა, თავს მძიმე განსაცდელი დაგვატყდა, მაგრამ რენე არ დანებდა, ჩემ გამო ბრძოლა განაგრძო და ერთად გავიმარჯვეთ კიდევც. ვფიქრობ, ჩემი წილი ბედნიერება ნამდვილად დავიმსახურე.

## „ახლა წაღიწადში ათასზე მეტ სიმატარას მთავაჯობა“

— კომპოზიტორები ჩემთან თავად მოდიან. ოდესღაც კი მათი სახლის კარი ატალახებული მქონდა და ჩემთვის სიმღერის დანერგას ვემუდარებოდი. კომპოზიციის შერჩევა ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა, რადგან იგი ჩემი ნაწილი ხდება. სიმღერა, რომელიც ერთხელ მომეწონება, მთელი ცხოვრება მიყვარს.

## „მოდუნების უფლება არ გვაქვს...“

— ხმის შესანარჩუნებლად, ყოველდღე 20 წუთის განმავლობაში ყელი-სთვის აუცილებელ, სპეციალურ ვარჯიშებს ვატარებ. დიდხანს მძინავს, არ ვწვევი, სიგარეტის კვამლით გაჟღენ-

თილ კლუბებშიც კი არ დავდივარ. მომღერლებს, პროფესიონალი სპორტსმენების მსგავსად, მოდუნების უფლება არა გვაქვს.

## „ჩემი ცხოვრების ორიახლო — ორი ადამიანია“

— ჩემი ცხოვრების ორიენტირი — ორი ადამიანია: პირად ცხოვრებაში — დედაჩემი, შოუბიზნესში კი — ბარბრა სტრეიზანდი. იგი მსოფლიოში ყველაზე საოცარი მომღერალია. 5 წლის ასაკში უკვე ვმღეროდი და მტკიცედ მჯეროდა, რომ მომღერალი ვიქნებოდი, — სამზარეულოს მაგიდაზე ვძვრებოდი და ბარბრა სტრეიზანდს განვასახიერებდი.

## „პარიზის მიტოვება არ ვაპირებ“

— ჩემში იმეღა ენერჯამ გაიღვიძა, მგონია — ნებისმიერ საქმეს გავუმკლავდები. რენე-შარლის დაბადებამ, როგორც პიროვნება და როგორც მსახიობი, სრულიად შემიცვალა. თითქოს სხვა ადამიანი გავხდი, რადგან ახლა სხვა ფასეულობები მაქვს. მეჩვენება, რომ ბავშვები ყოფიერების ერთგვარ საიდუმლოს ფლობენ. როდესაც დედობის ბედნიერება მენვია, ჩემ გარშემო ყველაფერი გალამაზდა. საოცარია — თითქოს იმ



ვერებს ვხედავ, რომელსაც ადრე ვერ ვარჩევდი... ჩემთვის ოჯახი მუდამ პირველ ადგილზე იქნება, მაგრამ სიმღერა — ჩემი მეორე არსია. გამუდმებით ვმღერო — სახლში, მანქანაში — ყველგან! ერთხელ იოგები გადამელალა და ხმა პირდაპირ სცენაზე ჩამიწყდა — მომეჩვენა, რომ ქვეყნიერების აღსასრული დადგა. ექიმებმა მითხრეს, რომ თუ ხმის დაბრუნება მსურდა, 3 კვირის განმავლობაში ხმა არ უნდა ამომეღო. ერთი წამითაც არ მიფიქრია, რომ ეს ძალზე რთული იქნებოდა, ყველაფერზე თანახმა ვიყავი! სხვათა შორის, ეს 3 კვირა ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო დასვენება იყო, რადგან როდესაც არ ლაპარაკობ, უფრო მეტ რამეს ხედავ და უფრო მეტი გეხმის. ის ადამიანები, რომლებიც მედიტაციას ეწევიან, მიხვდებიან, რასაც ვგულისხმობ!

# ყველაზე სარფიანი ტურნე

ამერიკელმა მომღერალმა მადონამ საკუთარი რეკორდი მოხსნა: საპროდიუსერო კომპანიის — Live Nation შეფასებით, პოპის დედოფლის ბოლო საკონცერტო ტურნეს Sticky and Sweet ფარგლებში ჩატარებული კონცერტების საერთო შემოსავალი ძალზე მაღალი აღმოჩნდა. 85 კონცერტისგან შემდგარ რიგით მერვე ტურნეს მადონას 3,5 მილიონი თაყვანისმცემელი დაესწრო და მას 408 მილიონი დოლარი მოუტანა. ამ შედეგით მადონამ საკუთარი რეკორდი მოხსნა, რომელიც 2006 წელს საკონცერტო ტურნეს — Confessions — დროს დაამყარა. მაშინ მომღერლის 60 კონცერტს მისი შემოქმედების 1,2 მილიონი თაყვანისმცემელი დაესწრო, საერთო შემოსავალმა კი 194 მილიონი დოლარი შეადგინა.



## მეგან ფოქსის ყველაზე გულახდილი ინტერვიუ


ქალთათვის განკუთვნილი ყველაზე ცნობილი ჟურნალის — Cosmopolitan — ოქტომბრის ნომრის გარეკანს ულამაზესი მეგან ფოქსის ფოტოსურათი ამშვენებს. მეგანმა ჟურნალს ძალზე გაბედული ინტერვიუც მისცა, სადაც ქალის ძლიერებაზე, ოჯახური კერიის ძალასა და მათ შორის ურთიერთკავშირის შესახებ ისაუბრა. ვარსკვლავი გულახდილად ლაპარაკობდა ქალის სხეულის ინტიმური ნაწილებისა და მათი მიზიდულობის ძალის შესახებ. ბოლოს მეგან ფოქსმა, დასკვნის სახით, განაცხადა: „თუ თქვენ ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობას ანიჭებთ უპირატესობას და თან ქალი ხართ, გამარჯვება თქვენ დაგროვებათ!“

## კრის ბრაუნს რიანა ისევ უყვარს

ამერიკელი მომღერალი კრის ბრაუნს ირწმუნება, რომ ვერასდროს დაივწყებს თებერვლის იმ დღეს, როდესაც ის რიანას თავს დაესხა. მიუხედავად ამისა, კრისს ყოფილი სატრფო ისევ ისევ უყვარს... ჟურნალისთვის People და ცნობილი ამერიკელი ტელენამყვანის — ლარი კინგისთვის მიცემულ ინტერვიუში კრის ბრაუნმა აღნიშნა, რომ თებერვალში მომხდარი ინციდენტის შემდგომ რიანასადმი მისი გრძნობა არ შეცვლილა! ცოტა ხნის წინ სასამართლომ ბრაუნს ხუთწლიანი გამოსაცდელი ვადა და 180 დღის განმავლობაში საზოგადოებრივი შრომა მიუსაჯა. განაჩენის თანახმად, კრისს 2014 წლის აგვისტომდე რიანასთან 90 მეტრზე მიახლოება ეკრძალება. მას აგრეთვე ოჯახური ძალადობის აღმკვეთი, ერთწლიანი პროგრამის გავლა დაეკისრა. ლარი კინგისთვის მიცემულ ინტერვიუში ბრაუნმა თქვა, რომ ის საკუთარი საქციელის გამო დღემდე შოკშია. საჟურნალო ინტერვიუში კი აღიარა, რომ ინციდენტის ღამეს დედას დაურეკა, რომელიც, სხვათა შორის, შვილს ინტერვიუების დროსაც თან ახლდა.



## ნატალი პორტმანმა ციხესიმაგრე შეიძინა



ნატალი პორტმანმა 1930-იან წლებში ციხესიმაგრის სტილში აშენებული სახლი იყიდა. მსახიობს ეს შენაძენი 3 მილიონი დოლარი დაუჯდა. შენობა სამი საძინებელი ოთახისა და ორი პანსიონისგან შედგება. უძრავი ქონების ფირმის აგენტი რიჩარდ სტენლი ამბობს, რომ ნატალის რაღაც განსაკუთრებულის შექმნა სურდა და ეს სახლი მისი მოთხოვნის შესაბამისი აღმოჩნდა. ნატალის ახალ სახლს სტენლი „ნამდვილ ნადავლს“ უწოდებს. აღსანიშნავია, რომ მის მეზობლად ჰოლივუდის ლეგენდად ქცეული ვარსკვლავების: ჩარლი ჩაპლინის, სესილ დემილის, უილიამ ფილდსისა და კეროლ ლომბარდის სახლები მდებარეობს.



# სოპრანა

კახა ჩემმა ძველმა ნაცნობმა გამაცნო. მაშინ საგაზეთო წერილზე არც გვიფიქრია. უბრალოდ, მეგობრების წრეში გავიცანი კიდეც ერთი ადამიანი და როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, მანაც ამოთქვა ის, რაც ანუხებდა. კახას ბევრი არ ულაპარაკია, მხოლოდ ის აღნიშნა, — ბევრი შეცდომა დაფუჭი და ბევრ რამესაც გულწრფელად ვნანობო. დამშვიდობებისას კი მითხრა — რატომღაც მომინდა, ჩემს წარსულზე გესაუბროთ და გაგიზიაროთ ის, რაზედაც დღემდე გული მწყდებაო. ასე ჩავეწერეთ პირველი ინტერვიუ („გულწრფელი სინანულით იქნებ დარდი შევიმსუბუქო“, — „კვირის პალიტრა“, 2009 წ. 9 თებერვალი).

## მარინა გავუნაშვილი

### ამბავი პირველი

#### ორ სმსლს შუა

აღბათ იშვიათია ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში შეცდომა არ დაუშვია. გადის წლები და ნებსით თუ უნებლიეთ, ის თავისი წარსულის შეფასებას იწყებს. გული სწყდება, თუკი მის მიერ დაშვებულ ბევრ შეცდომას აღმოაჩენს. კიდეც უფრო სამწუხარო მისთვის კი ის გახლავთ, რომ მათი გამოსწორება შეუძლებელია.

კახა 20 წლის იყო, როცა მეგობრის დაბადების დღეზე ნანა გაიცნო. დანახვისთანავე მოეწონა და გადანყვებილებაც უცებ მიიღო — ცოლად უნდა მოვიყვანოო. 2 დღეში გოგოს სიყვარულში გამოუტყდა. ნანას არაფერი უთქვამს, გაცუბულმა შეხედა, „ეს კაცი უთუოდ გიჟია“ — იკითხებოდა მის მხერხამში. კახა ერთ კვირაში ძმაცუბებს მოელაპარაკა, გოგო უნდა მომბატატებინოთო და იმათაც „კაცურად“ გაუგეს... ნანამ ბევრი იტირა, მაგრამ... ასე ნაუცბადევად შეირთო კახამ ცოლი. მამა 3 წლის გარდაცვლილი ჰყავდა. მის ოჯახს ძალიან უჭირდა. თავად არ მუშაობდა. მისი უმცროსი და ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო. დედა

## ვივილ ის, რასაც ვიძსახურობდი

შვილი ცალკე გაიყვანა (რძალს რომ არ გაეგო) და შესტირა: შვილო, ჩემი 150 მანეთის იმედად მოიყვანე ცოლი?.. ჯერ დაგეწყო მუშაობა და მერე დაოჯახებულიყავიო. კახა განაწყენდა, — ნუ გეშინია, ტვირთად არ დაგანვებით, მალე დავინყებ მუშაობასო... მაგრამ ეს „მალე“ თითქმის 2 წელი გაგრძელდა. კახას დროსტარება და მეგობრებში ქეიფი ყველაფერს ერჩინა, ამ ჩვევას დაოჯახების მერეც ვერ უღალატა. როცა ნანა შესჩვილებდა, მეც ნამიყვანე, მეც მიხდა, შენთან ერთად მეგობრების წრეში გავერთოო, კახა მოიქუფრებოდა და ეტყოდა: კაცებში რა უნდა გააკეთო?! იქ გოგოები არ გყავს, შენ კი ჯობს, დედაჩემს საოჯახო საქმეში მოხმარო. მერე საყვედურებისთვის აღარც ეცალა ნანას, ჯერ ვაჟი შეეძინათ, შემდეგ — გოგო. ძმაცუბებთან დროსტარებით კახა ოჯახს ვერ არჩენდა, ამიტომ მეგობართან ერთად ბიზნესი წამოიწყო.

### ამონარიდი წერილიდან:

„ფული ვიმოვე და ბიზნესის „წილში შევედი“. ახლა ვბრაზობ ჩემს თავზე (ჩემსავით ბევრი გადავარდნილა დიდ ვალებში), როგორ არ დავეფიქრდი?! ბიზნესი ჩავვივარდა. ჩემი მეგობარი მაშინვე გაქრა საქართველოდან, მე კი მევალებებს შემატოვა. თუ არ გავგიჟდებოდი, არ მეგონა. ერთმა ქურდი დამაყენა თავზე: თუ ერთ კვირაში არ დააბრუნებ 7 ათას დოლარს, მერე ყოველდღე დაგვიანებისთვის, 500-500 დოლარს დაგიმატებო. ბევრი რამ მქონდა იმ ქურდზე გაგონილი, ვიცოდი, ჰაერში არ ისროდა სიტყვებს, ამიტომ დედაჩემს ვუთხარი, ბინა უნდა გავყიდოთ, თორემ მოკლავენ-მეთქი. სხვა გზა არ ჰქონდა — დამთანხმდა. გავყიდეთ ბინა, თუმცა ეს ერთ კვირაში ვერ მოხერხდა და შვიდის ნაცვლად, 10 ათასი მივეცი. სხვა მევალებებმა რომ გაიგეს, კახამ ბინა გაყიდაო, მომესივნენ,

მაგრამ რაც არ მქონდა, რა უნდა მიმეცა?! დედა და ჩემი და ერთოთახიანში გადავიდნენ, ცოლი ბავშვებიანად დედამისთან წავიდა. საქართველოში რომ გავჩერებულყავი, უთუოდ მომკლავდნენ, ამიტომ რუსეთში გავქუსლე“.

იქ მალე იშოვა სამუშაო. ფულს სახლში აგზავნიდა, მაგრამ მისი დიდი ვალისთვის ეს საკმარისი არ იყო. რუსეთის იმ პატარა ქალაქში, სადაც საქართველოდან ბევრს მოეყარა თავი და სამშენებლო საქმით იყვნენ დაკავებული, კახას სიყვარული ეწვია. სვეტლანა მისი ბინის მეპატრონის ქალიშვილი გახლდათ. მასაც ძალიან შეუყვარდა ახალგაზრდა ქართველი კაცი. რაც საქართველოში დარდიმანდულად იცხოვრა, მის საპირისპიროდ გააგრძელა რუსეთში (დიასახლისი უქმრო ქალი იყო). ეზო-კარს ხელი შეავლო და ცოტა ხანში ყველაფერი მწყობრში მოიყვანა. სვეტამაც და დედამისმაც კარგად იცოდნენ, რომ კახა ცოლად იშვილიანი იყო, მაგრამ ამას დაეძებდნენ?! ქალმა დაიძარტოხელა და შეაგულიანა სასიძო: თუ გინდა ნუ მოანერთ ხელს, მინდა ჩემს ქალიშვილს შენაირი კაცი ჰყავდეს გვერდით და ჩემი შვილიშვილის მამაც იყოო. ცოდვა გამხელილი სჯობს და კახას მობეზრებული ჰქონდა ნანასთან და დედამისთან გაუთავებელი კონფლიქტები, პრობლემები; როგორც კი სიტბო და სიყვარული იგრძნო, მასაც მოუნდა ოჯახური სიმყუდროვე. თანაც, რას კარგავდა?! ვერა მისხილოვნა (და სვეტლანაც) არაფერს განსაკუთრებულს არ სთხოვდა, სამაგიეროდ, ეს ორი ქალი თავს ევლებოდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჯერ ვალი განახევრებული არ ჰქონდა, სულ ცოტა, 3 წელი მაინც მოუწევდა რუსეთში ყოფნა. რაღა ბევრი გავაგრძელოთ და ერთ წელიწადში პატარა გიორგი მოევიწინა ქვეყანას. ბიჭუნა საოცრად დაემსგავსა მამამისს, რითიც კახა ძალიან ამაყობდა.






# „აღაიანს დღეა ყოველთვის სჭირდება“

„დედა უმამოდ გვზრდიდა მე და ჩემს დას. როცა წამოვიზარდეთ, მამის ვინაობით დავინტერესდით, მაგრამ დედა მასზე ლაპარაკს გვიკრძალავდა. ასე გვეუბნებოდა: ჩათვალეთ, რომ მამათქვენი მკვდარია და მისი არსებობა დაივიწყეთო. ეს ნათქვამი კიდევ უფრო გვიძლიერებდა ინტერესს, მაგრამ დედის რიდი გვქონდა და ხმას ვეღარ ვიღებდით. ის სამ ადგილას მუშაობდა, რათა ჩვენთვის არაფერი მოეკლო, მაგრამ მანაც ძალიან გვიჭირდა. მერე ჩემი და (იგი წელიწადნახევრით უფროსია ჩემზე) გათხოვდა, უფრო სწორედ, გაიპარა და დედა თითქმის ერთი წელი არ ელაპარაკებოდა. ბავშვი რომ გაუჩნდა, მერე ელა გასცა ხმა. დახმარებით არ ეხმარებოდა, ასე ეუბნებოდა: მე არ გამითხოვებინარ, შენი სურვილით გააყვი შენს რჩეულს, ამიტომ ჩემთან წუნუნო არ გაბედოო. ქეთის, ჩემს დას ბევრჯერ გასჭირვებია, მაგრამ დაწუნუნებას მართლაც ვერ ბედავდა. მერე მეც მესტუმრა სიყვარული. 23 წლის ვიყავი, ლევანი რომ გავიცანი. ქეთის მაგალითზე ჭკუა ვისწავლე და ჩემი შეყვარებული დედას გავაცანი. არ დაუწუნებია, მაგრამ მანაც გამაფრთხილა, — არ იჩქარო, ჯერ კარიერაზე იფიქრე, არ მინდა ჩემსავით ინვალი და ბევრი რამ მოგაკლდესო. ლევანმა იცოდა, რაც მანუხებდა მთელი ცხოვრების განმავლობაში, ეს იყო სურვილი — მენახა და გამეცნო მამა. იმდენი ქნა, რომ მიაკვლია მას და ერთ მშვენიერ დღეს სიურპრიზიც გამიკეთა — ჩამსვა მანქანაში და სვანეთში

წამიყვანა (მე და ქეთი დედის გვარს ვატარებდით. ვიცოდით, მამა რა გვარისა იყო, მაგრამ მის ხსენებას ხმამაღლა ვერ ვბედავდით. ჩვენ ძალიან პატარები ვიყავით, როცა მშობლები გაცილდნენ). როცა მამამ გაიგო, ვინც ვიყავი, ატირდა. ცუდი არაფერი უთქვამს დედაზე, მაგრამ ერთი რამ კი წამოსცდა, ერთი შეცდომა არ მაპატიო დედაშენმა, მერე კი თქვენი ნახვის უფლებაც ამიკრძალაო. გამიკვირდა, თავი ვერ შევიკავე და ვკითხე, — იმან კი აგიკრძალა, მაგრამ შენ როგორ ძლებდი უჩვენოდ-მეთქი?! სევდიანად გამიღიმა და მიპასუხა, — ჩემს სურვილთან გამკლავება ძალიან ძვირად დამიჯდაო. იგი მძიმე სენით დაავადებული აღმოჩნდა. ჩემთვის (და ქეთისთვისაც) ბოლომდე საიდუმლოდ დარჩა, რა მოხდა მათ შორის. დედამ გაიგო რომ ლევანმა მამა მაპოვნინა და საშინლად გაბრაზდა. კატეგორიულად მომთხოვა, გამეწყვიტა ლევანთან ურთიერთობა. იძულებული გახდი გავზარულიყავი. იგივე განმეორდა, რაც ქეთის შემთხვევაში, — დედა დამემდურა. დრო რომ გავიდა ვთხოვე, შემრიგებოდა, მაგრამ მიპასუხა: უკვე დიდი ხარ, პატრონიც გვერდით გყავს, მამაც გიპოვნინა და მე რაღაში გჭირდება? საშინლად დამწყდა გული. იგი ჩვენთან დაუმშვიდობებლად თურქეთში სამუშაოდ წავიდა და ერთ იქაურ კაცს გაჰყვა ცოლად. უკვე 2 წელზე მეტია დედა არ მინახავს. მამა შარშან გარდაამეცვალა ძლივს ავისრულე სურვილი და როგორც მოულოდნელად ვიპოვე, ასევე მოულოდნელად



დავკარგე!.. დედა კი ძალიან მენატრება. ერთხელ ჩამოსულა თბილისში და მალევე გაბრუნებულა უკან. საკვირველია, ასე როგორ გაგვიბრაზდა შეილებს, რომ ჩვენდამი სიყვარულიც დააკარგვინა ამ სიბრაზემ და სიამაყემ. მინდა თქვენი ჟურნალის საშუალებით ხმა მივანდინო და ვუთხრა: დედა, მეც და ქეთისაც გვენატრები, ნუ შეგეპქცევ ზურგს, მოიბრუნე ჩვენკენ გული. ადამიანს დედა ყოველთვის სჭირდება.

ელენე“.

# „მამაკაცი გამოქანებით“:



## „ჩემს საქმიანობას უსგავსობას ვერ დავარქმევ“

ელენე ბასილიძე

რა აიძულებთ ქართველ მამაკაცებს, ჟიგოლოდ მუშაობას? ალბათ ხშირად მოგიკრავთ თვალი უამრავ ჟურნალ-გაზეთსა თუ საიტზე განცხადებას, სადაც ქალები ან მამაკაცები, დაოჯახების მიზნით, მეორე ნახევარს ეძებენ. ბოლო დროს კი იმატა განცხადებებმა, სადაც მამაკაცები სექსუალურ მომსახურებას სთავაზობენ მანდილოსნებს და როგორც უნდა გავიკვირდეთ, კლიენტებიც არ აკლიათ! მათთან დაკონტაქტება და მით უმეტეს, ინტერვიუზე დაყოლიება თითქმის შეუძლებელი საქმეა.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა, რომელიც ბოლოს და ბოლოს, საუბარს დამთანხმდა, ნაძალადევი სინანულით მაუწყა, — ჩემს კლიენტს თურქეთში მივყავი, ჯერ ბათუმში ვარ და 2 დღის განმავლობაში თუ შეძლებ, ინტერვიუსთვის აქ ჩამოდიო. ჩვენი საუბარიც ზღვისპირა ქალაქში შედგა, სადაც ჟიგოლოების მომსახურებაც თურმე უფრო ძვირად ფასობს.

**ბაჩანა, 23 წლის:**  
— მოკლედ, უკან დასახევი ყველა გზა მომიჭერი (იცინის)! ჯანდაბას, მკითხე, რაც გაინტერესებს, ოღონდ მანამდე ერთ კითხვას მე დაგისვამ: რატომ დაინტერესდი ჩვენი? — **მინტერესებს, რა უბიძგებს ქართველ მამაკაცებს ამ საქმიანობისკენ?**  
— გგონია, ეს საქმიანობა ახალი ხილია

# სსოვრება

საქართველოში?! არა, ბატონო. ის, ვინც ამ ბიზნესში ჩამართო, უკვე 17 წელია, ამ საქმიანობით ირჩენს თავს. ჩვენს პროფესიაშიც არის განშტოებები: ზოგი, მაგალითად ქალებს მხოლოდ ლირსეულ კავალრობას უწევს საზოგადოებაში და ამის იქით კლიენტსა და მას შორის არაფერი ხდება. მე ქალებს სექსუალურ მომსახურებას ვთავაზობ.

— რატომ? არ შეგიძლია, ღირსეული კავალერი იყო?

— (იციან) საქმე ეგ არ არის. კავალრობა უფრო შრომატევადია, ბევრი დრო სჭირდება. შეიძლება, რამდენიმე დღის განმავლობაში სახლში მისვლაც კი ვერ მოახერხო. თუ ქალს მამაკაცი საზღვარგარეთ მიჰყავს შეხვედრაზე, ამ შემთხვევაში რამდენიმე თვეც შეიძლება, ისე გავიდეს, რომ საქართველოში ვერ ჩამოხვიდე. მე კი ეს ყველაფერი ძალიან მგლის. სად შემიძლია, „შენი ჭირიმი“, „შენ გენაცვალეო“ რამდენიმე თვე ვიცხოვრო?! ყველაფერი მოსაბეზრებელია, უცხო ქვეყანაც და მაღალი საზოგადოებაც. ამიტომ მიირჩევნია, 1 ლამე გავატარო ქალთან და ფული ასე ვიმოვო.

— სხვა ხერხით ფულის შოვნა არ გიცდია?

— კი, დაბადებიდან ამ საქმეს კი არ ვაკეთებ!.. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბანკში დავიწყე მუშაობა, მაგრამ ის თუთრები, რასაც იქ მიხიდიდნენ, არაფერში მყოფნიდა. თავმოყვარეობა მელახებოდა, როცა ფულის სასესხებლად მშობლებთან მივდიოდი. ლამის სიკიფედ მივედი. პარალელურად, სხვა სამსახურსაც ვეძებდი, მაგრამ არაფერი გამომიდოდა. ზუსტად ამ დროს გავიცანი ჩემი პირველი კლიენტი — ნუცა. ბანკში შემოვიდა და მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება. სასწაული ქალი იყო, ჩემზე საკმაოდ დიდი ჩანდა, მაგრამ რომ გავიგე, 45 წლის იყო, ყურებს არ ვუჯერებდი, ასაკი საერთოდ არ ეტყობოდა. ნუცას, როგორც მერე მითხრა, დანახვისთანავე მოწონებოდა და ერთხელაც, სამუშაო დღის ბოლოს ბანკთან მანქანით დაშვდა, სახლამდე მიყვანა შემომთავაზა და გზაშივე გამიხილა, რომ ძალიან მოწონდი. აი, ასე დავიწყე ჟიგოლოდ მუშაობა.

— კი, მაგრამ თავიდან მითხარო, რომ ამ „ბიზნესში“ ვეტრანმა ჟიგოლომ ჩაგართო...

— ნუცამ ურთიერთობის მესამე თვეს მითხრა, რომ საცხოვრებლად ესპანეთში მიდიოდა და გულა გამაცნო. ადრე მისი კლიენტი ყოფილა. ჩემი თავი ჩააბარა, აეროპორტში თვალცრემლიანი დამემშვიდობა და ფულის საკმაოდ სოლიდური რაოდენობაც დამიტოვა. გულამ ჟიგოლოობის კულტურას მახიარა. უკვე 2 წელია, რაც ამ საქმეს ვწევი და კმაყოფილი ვარ.

— კმაყოფილი რითი?

— კლიენტებით, შრომის ანაზღაურებით, ცხოვრების სტილით. ჩემხელა ბიჭების უმრავლესობა ან შრომით ნელს იწყვეტს, ან მშობლების კისერზე ზის. მე არც ერთი მჭირდება და არც მეორე. ჩემი გარეგნობით საკმაოდ ფული ვმოულობ იმისათვის, რომ კარგად ვიცხოვრო და მომავალიც მოვიწყო.

— ბევრს იცნობ ისეთს, ვინც

შენსავით, ამ საქმიანობას ეწევა?

— 3 ბიჭს ვიცნობ, რომელიც ჩემსავით „შრომობს“. დარწმუნებული ვარ, ბევრი არ იქნება ნინააღმდეგი, ჩემსავით იცხოვროს, მაგრამ მათ არ იციან ის გზა, რომელიც მე გამოვიარე. მაგალითად, გაცნობის უამრავი საიტი არსებობს, სადაც მამაკაცები ქალებს სექსუალურ მომსახურებას სთავაზობენ, მაგრამ მათ იშვიათად ეკონტაქტებიან, რადგან ჩემი კლიენტები ძალიან ფრთხილი ხალხია და თუ არ იციან, რომ სანდო ხარ, ახლოსაც არ გაგეკარებინან. მე ჩემი პროფესიის ხალხში ე.წ. ელიტას წარმოვადგენ.

— რა კატეგორიის ქალები გეკონტაქტებიან?

— ერთადერთი, რაც მათ აერთიანებთ, ბევრი ფული და სექსის სიყვარულია... ძირითადად, მარტოხელა ქალები არიან, რომელთაც სითბო სჭირდებათ. რამდენიმე ისეთი კლიენტიც მყავს, რომელთაც ქმრები ჰყავთ, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ჩემთან ურჩევნიან ღამის გატარება. ბევრ ქალს მარტოობას ვუმზებუქებ. ჩემი ტელეფონის ნომერი ხელიდან ხელში გადადის. ჩემი კლიენტი სხვას ურჩევს ჩემს თავს, ის მიკავშირდება და მერე სხვასთან მქვებს — ასე მიკვეთდება რეკლამა (იციან)...

— ძირითადად, რა ასაკის ქალები არიან შენი კლიენტების საში?

— ასაკი 18-დან 45 წლამდე მერყეობს, მაგრამ თუ ქალმა გარეგნულად ვერ დააკმაყოფილა ჩემი გემოვნება, მას ურთიერთობაზე დელიკატურ უარს ვუხრებ.

— არ ბრზადებიან?

— (იციან) ვცდილობ, არ გავანანყნო. ამის უნარი მაქვს.

— შენმა ახლობლებმა თუ იციან შენი საქმიანობის შესახებ?

— არა, რას ამბობ? არ იციან და ვერც ვრასოდეს გაიგებენ. ქართველები ჯერჯერობით არა ვართ იმ დონეზე, რომ ჩემს საქმიანობას გაგებით მოეკიდონ გარშემო მყოფები. ან რატომ უნდა იცოდნენ ჩემი პირა-

დი ცხოვრების შესახებ რამე?! უახლოეს მძაყებსაც კი არ ვუხმელ, თუ რას ვსაქმიანობ. დარწმუნებული ვარ, ვერ გამოგებენ და ეგონებთ, რომ ამას მხოლოდ ფულის გამო ჩავდივარ, სხვა თვლით დაამწყვებენ ყურებას, მე კი ჩემი საქმიანობა მომწონს.

— შენს ინტერესს ტრადიციულად მოაზროვნე მამაკაცები რომ წაიკითხავენ, არა მგონია, შენდამი კეთილად განწყონ...

— არც მინდა, რომ ვინმე გაგებით მოეკიდოს ჩემს პროფესიას. ყველა ადამიანს აქვს იმის უფლება, როგორც უნდა, ისე იცხოვროს. იმ ტრადიციულ მამაკაცებს კი, რომლებსაც შენ გულისხმობ, ყოველთვის დავცინი. ეგენი ისინი არ არიან, ცოლებს ერთ პოზაში სექსით მიეღი ცხოვრება სულს რომ ხდინან და რაიმე განსხვავებული რომ მოუხდებთ, მძვავებთან გარბიან... არა, ჩემს ცოლს ამას ვერ ვაკადრებო?! სუფრასთან და ყანის ჭურში მაგრები არიან, მაგრამ ერთხელ დაინტერესდით და მათ ცოლებს ჰკითხეთ, რა „ოქროები“ უწვანან ლოგინში! ვილაცას შეიძლება, გაეცინოს, მაგრამ სწორედ მათი დამსახურებაა, რომ მე კლიენტები არ მაკლია...

— ხომ არ აჭარბებ?

— არა, სიმართლეს გუებნები. დასაძალი და მოსატყუებელი რა მაქვს?! მართლაც ასეა, არ მინდა, დეტალებზე ვილაპარაკო, მაგრამ ცოლები ხშირად სწორედ იმიტომ ლალატობენ ქმრებს, რომ რალაც განსხვავებული სჭირდებათ.

— სამომავლოდ რას აპირებ?

— ჯერჯერობით კმაყოფილი ვარ იმით, რაც მაქვს. ერთ დღეს მეც დავანებებ ამ ყველაფერს თავს და ოჯახს შევქმნი. ოღონდ ისეთ ოჯახს კი არა, როგორც წელს გესაუბრებოდი, — ღმერთმა დამიფაროს!.. შეყვარებულისა და საცოლისთვის ვერ ვიცილი და არც მინდა! ოჯახს მაშინ შევქმნი, როცა მზად ვიქნები დიდი პასუხისმგებლობისთვის და ცოლს არასოდეს ვუღალატებ!

მეორე რესპონდენტმა ინტერვიუზე რამდენიმეჯერ სასტიკი უარი განმიცხადა, ბოლო საუბრის შემდეგ კი იმ პირობით დამთანხმდა, თუ მის გვარს არ გავამყლავებდნი. ბუნებრივია, პირობა მივეცი.

გიგლა, 21 წლის:

— უმრავლესობამ იცის, რომ სერვისი — „მამაკაცი გამოძახებით“ არსებობს და ამას ყველა უხამსობას უწოდებს. სხვისი გაკიცხვა ძალიან ადვილია; როგორც მგონია — რასაც წერ, ამას ბევრი მკითხველი მოიწონებს?

— ალბათ არა, მაგრამ ფაქტია, რომ თქვენ არსებობთ და ამ თემისთვის გვერდის ავლა უკეთესი იქნებოდა?..

— უურნალისტი ხარ და უნდა დანერო კიდევ, მაგრამ ჩემნაირ ადამიანებს, როგორც წესი, პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი არ უყვართ. არ მინდა, ჩემი საუბრით ვინმე გავლიზიანო, მაგრამ სადაც უამრავი პოლიტიკოსი ბედავს და ხალხს ტყუილებით „აბოლებს“, ხომ შეიძლება, ჩემი სიმართლე მეც ვთქვა?! ამიტომაც დაგთანხმდი ინტერვიუზე. ვერ ვიტყვი, ამ საქმეს იმიტომ მოვიკიდე ხელი, რომ სხვა გზა არ მქონდა-მეთქი, მაგრამ იმ პერიოდში ჟიგოლოდ მუშაობის



იდეამ სულზე მომისწრო, თორემ დღეს ალბათ გლდანის ციხის კედლებს გაგხებდი.

— **მოდი, თავიდან მომიყვიე ყველაფერი.**

— ბავშვთა სახლში გავიზარდე. რაც თავი მახსოვს, ჩემი დანახვისას ყველა იმას ამბობდა, — ეს ანგელოზივით ბავშვი აქ ჩასაბარებლად ვინ გაიმეტაო?! მეურვე ვერ ვიპოვე, უფრო სწორად, იყო ერთი ოჯახი, რომელსაც ჩემი შვილად აყვანა უნდოდა, მაგრამ ვერ შევეგუე და სრულწლოვანი რომ გაგხდი, ბავშვთა სახლის დატოვებამ მომიწინა. ქუჩაში აღმოვჩნდი, არც ნაცრობი მყავდა ვინმე და არც გულშემატკივარი. ხეზე კვთა ვიცოდი, მაგრამ სადაც მივედი, ყველგან უარით გამომისტუმრეს, არ გვჭირდებიო. მერე ქურდაცაცებმა შემამჩნიეს და მათთან ერთად საზოგადოებრივ ტრანსპორტში კარგა ხანს ვმარცვავდი ხალხს. ჩვენი ბედი, რომ ზაფხული იყო და არც ციოდა: ღამეს პარკში, მერხზე ვათენებდით. ერთ დღიასაც, „მზიურში“ შეძინა, როცა ქალის ხმა ჩამესმა: ადექი, გენაცვალე, გაიღვიძე! თვალი რომ გაგახილვ, ისეთი მაგარი ქალი დავინახე, თვალები ვჭყიტე... ნინო ვერ ჩემი ამბები გამომკითხა. ყველაფერი ვუამბე, არც ის დამიმაღავს, რომ ხალხს ვქურდავდით. სახლში წამიყვანა, ადამიანს დამამსგავსა და იმ დღის ბოლოს უკვე მის საწოლში ვინეცი (იღიმება).

— **იოლად მოგიგია მისი გული.**

— მიხვდა, რომ გულწრფელი ვიყავი, თან ჩემმა გარეგნობამ მთავარი როლი ითამაშა. 18 წლის ღლაპმა 37 წლის ქალი თვალის დახამამებაში დავერე (იციინის). მარტო ცხოვრობდა, შვილები არ ჰყავდა, მუშაობდა და დროს ატარებდა. მის ცხოვრებაში ახალი ხილი ვიყავი და კარგი სიახლე ხომ ყველა ქალს იზიდავს!.. რომ გავიზარე, სად მოვხვდი, ჩემს თავს ღამის მხარზე წამოვარტყი ხელი (იციინის). იმ დღის შემდეგ, ნინო გახდა ჩემი მეურვე. არაფერს მაკლებდა და მეც შევიფერე უზრუნველი ცხოვრება. სიმართლე გითხრა, არაფრის შეცვლას ვაპირებდი, რომ არა ის დღე, როცა ნინოს დაქალები ჩემს სანახავად ეწვივნენ. სამუზეუმო ექსპონატივით მათ ვალიერებდნენ, გარშემო მივიღინე და აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ. ჩემმა გარეგნობამ მართლაც მოხიბლა ყველანი. შუბლზე არ მეწერა, 18 წლის რომ ვიყავი და არც ნინო გაუმხილა მათ ჩემი ასაკი.

ერთ-ერთმა დაქალმა ნინოს უთხრა: მოდი, ცოტა ხანს მათხოვე შენი აპოლონიო. მეგონა, სურობდა, მაგრამ ნინო დაეთანხმა: წაიყვანე, ოღონდ მალე დამიბრუნეო. თვალები ვჭყიტე: ვაა, მე აღარაფერს მეკითხებით-მეთქი?! ქეთი გვერდით მომიჯდა და, — რა გინდა, ცოტა ხნით ჩემთან იქნები და კარგად გადაგიხდით. ამ „კარგად გადაგიხდით“ მომხიბლა და დავეთანხმე. მოკლედ, ნინოს 3 დაქალი რიგში ჩადგა, ხან ერთთან ვიყავი, ხანაც — მეორესთან. არც ერთი მაკლებდა აქეთ-იქით სიარულსა და საჩუქრებს და მივხვდი, რომ იოლი ფულის გამოუმუშავება ვისწავლე საიმოვნების გზით.

— **ხომ შეგიძლია, სხვა გზათაც იმოგო ფული?**

— კი, მაგრამ ახლა მუშაობით წელი არ

მწყდება. კარგ ხალხში ვტრიალებ და მფარველობაც არ მაკლია. სწორედ მათი წყალობით ვარ დღეს სტუდენტი. ყველანიჩრად შემინყვეს ხელი, რომ მესწავლა, ამ ადამიანებისგან ცუდი არაფერი მახსოვს და მეც ვცდილობ, ამაგი დავუფასო. იცი, ჩემი კლიენტების ოჯახის წევრებსაც კი ვიცნობ. რა თქმა უნდა, ისინი აზრადაც ვერ გაივლებენ, თუ რა მკავშირებს მათი ოჯახის დიასახლისებთან. რქებდადგმულ ქმრებთან ერთ სუფრასთანაც ვსვამ და მათ ქებასაც გულით ვიღებ (იციინის) — აბა, რა ჩემი ბრალია, მათ ცოლები ჩემთან რომ ღალატობენ?! მივხვდათ და ასე არ მოხდებოდა!

— **ასე მგონია, მათ მწარედ დასცინი.**

— არა, მართლა, არ დავცინი, ძალიან მეცოდებიან. ხშირად მივიქრია, ოდესმე მათ ადგილზე რომ აღმოვჩნდე, რა დამემართება-მეთქი?! არ დავცინი, მაგრამ არც ვუთანაგრძობ. ყველაფერი ხომ მათზე იყო დამოკიდებული და არ დაუვით, რომ ასე მომხდარიყო! ამას წინათ ერთ-ერთი კლიენტის გოგონას მოვეწონე. რას არ აკეთებს, ჩემი ყურადღება რომ მიიპყროს. უკვე დედამისმაც შენიშნა ეს და გაგიჟებულია ქალი!

— **შენ?**

— მე რა? ნამუსი იმ დონემდეც არ დამიკარგავს, რომ იმ გოგოს სერიოზულად შევხედო. ღმერთმა დამიფაროს (პირველს იწერს)! ამას არასოდეს დავუშვებ.

— **მეგობრებმა თუ იციან შენი საქმიანობის შესახებ?**

— რამდენჯერმე უნივერსიტეტში კლიენტმა მომაკითხა და დეიდად გავასაღე. არ მინდა, ვინმემ გაიგოს, რომ ჩემი უზრუნველი ცხოვრება — „დეიდა ქალების“ საყვარლობის წყალობაა. სიმართლე გითხრა, სხვისი აზრი ნაკლებად მაინტერესებს, მაგრამ ვერ ავიტან, რომ გარშემო მყოფებმა ეჭვისა და დაცინვის თვლით მიყურონ. შეყვარებული ვერჯერობით არ მყავს, მაგრამ რომც მყავდეს, ალბათ მასაც კი ვერ გაფუხვულ ჩემს საიდუმლოს. იშვიათია ისეთი გოგო, რომელიც გაგებით მოეკიდება ჩემს საქმიანობას. ამიტომ ვიკავებ თავს სერიოზული ურთიერთობისგან. ვერ ასე ვარ, მაგრამ ალბათ მოვა დრო, როცა ჟიგოლოობას თავს დავანებებ და ოჯახს შევექნე. ალბათ ეს უფრო შორეული მომავლის პერსპექტივაა.

დათა კი ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე აღმოვაჩინე. ადრე ის მანდილოსნებს „საიმეოვო სერვისს“ სთავაზობდა, მაგრამ ცოტა ხნის წინ, მიმზიდველი გარეგნობის კავალერმა, როგორც თავად მითხრა, პროფილი შეიცვალა...

— **ღამის, 22 წლის:**

— ჩემი გარეგნობის წყალობით, კლიენტები წამდვილად არ მაკლია. უკვე 2 წელია, რაც ღამის ქალბატონებს ვემსახურები და ფულს ასე ვმოულობ.

— **რამ გადაგანწყვეტინა ფულის ამ გზით შოვნა?**

— „გაჭირვება მიჩვენა და გაქცევა გიჩვენებო“, — ხომ გაგიგონია? იოლ ფულზე უარს არავინ ამბობს, თუმცა ეს კიდევ გასარკვევია, თუ რამდენად შეიძლება, ჩემი პროფესიით ნამოვნ ფულს იოლი დაარქვა.

— **იმის თქმა გინდა, რომ შენი**

**საქმიანობა მიიმა?**

— სწორედ ეს ვიგულისხმე! პირველად, როცა წარმოდგენაც არ მქონდა, თუ რა საშინელი სამუშაო იყო, ყველაფერს ნათელ ფერებში ვხედავდი. რა უნდა ამას? — ქალს დაკერავ, დანვები, ფულს აიღებ და წამოხვალ-მეთქი, — ვფიქრობდი, მაგრამ...

— **მაგრამ?**

— ადრე, ფულიანი „მამიკოს გოგოს“ ვუყვარდი; არც მე ვიყავი მის მიმართ გულგრილი. გოგოს ფული თავზე ვყარა და უგზოუკვლოდ მახარავდა. სწორედ მაშინ მივხვდი, თუ რა სასიამოვნო იყო სხვის ხარჯზე ცხოვრება... მაგრამ სულ მალე ჩემი შეყვარებული ამერიკაში წავიდა საცხოვრებლად და მეც გართობის, ღამის კლუბებისა და ფულის გარეშე აღმოვჩნდი. ერთ დღესაც, როცა „გაქანებული“ დეპრესია მქონდა და თვალის გახელაც კი მუხარებოდა, ბუბიჩემი შემოვიდა ჩემს ოთახში და მითხრა, რომ მისი დაქალის გოგოს სადაც გაყოლა სჭირდებოდა: ტელეფონით გირეკავს, მიდი და უპასუხო. ნონამ მითხრა, — „ტუსოკვაზე“ გამოყვევი, ტანსაცმელი ჩემზე იყოს, ძალიან მჭირდები და უარი არ მითხრაო. მეორე დღეს დამზმანა და ერთ „დერუკი ტუსოკვაზეც“ გავიჩითე... მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე წამიყვანა სხვადასხვა წვეულებაზე: იმიჯისთვის მამაკაცი სჭირდებოდა და რომ ეკითხებოდნენ, ვინ არისო? — ჩემი შეყვარებულიაო, — პასუხობდა. არ გეგონოს, უფასოდ დამატარებდა; ფულსაც მიხდიდა და მადლობასაც მუთნებოდა. ზუსტად ის ხარ, ვინც მჭირდება, თავი შესანიშნავად გიჭირავსო. მერე დაქალმა სთხოვა ჩემი თავი; დაქალის დაქალსაც დავატარებდი საქმიან შეხვედრებზე... ერთი წლის წინ ლონდონშიც ვახლდი საქმიან ვიზიტზე, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ გაყოლა-გამოყოლით შემოიფარებოდა. არავის ეგონოს, რომ ადვილია, სრულიად უცხო საზოგადოებაში თავი შინაურვით იგრძნო და შენ გვერდით მყოფ ქალსაც ყურადღება არ მოაკლო. ძალიან დამალა, მუდმივად უზადო კავალრის როლში ყოფნამ და პროფილიც ამიტომ შევიცვალე.

— **რას გულისხმობ?**

— ღირსეული კავალრობიდან — სექსუალურ მომსახურებაზე გადავდი (იციინის) ასე მიჩვენია. მართალია, არც ეს საქმეა ადვილი, მაგრამ გაცილებით სასიამოვნოა. ქალს როცა ყველა სურვილს უსრულებ, თავს მეფესავით გრძნობ. თან, ქონებელი ქალების ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება ძალიან ძნელია! უცხოელებთან გაცილებით ადვილია ურთიერთობა...

— **შენი კლიენტების სააში უცხოელებიც არიან?**

— კი, საზღვაო სერვისის დროს ზღვის სპირეთში მივდივარ, უამრავი ალერსმონყურებული ქალია და მეც ჩემს სერვისს ვთავაზობ (იციინის). შეიძლება, ვინმესთვის ჩემი ქცევა ამორალური იყოს, მაგრამ მაშინ ვინლა მიხედავს ამდენ ნევროზიან, უკაცო ქალს (იციინის)?!. არა, ვხუმრობ, მაგრამ ჩემს საქმიანობას უმსგავსობას ვერ დავარქმევ. ვისაც როგორ უნდა, ისე იცხოვროს, არავის არაფერს ვუშლი და სურც მე შემეხება ვინმე.

დასაწყისი იხ. „გზა“ №30-37

მარი ჯაფარიძე

**მერაბი:** ვის ელაპარაკებოდი, სანამ მე მოვიდოდი?

**ანა:** თაყვანისმცემლებს.

**მერაბი:** შენი თაყვანისმცემლები ის დედა ვატირე. შენ ერთი თაყვანისმცემელი გყავს და რა ჰქვია მას?

**ანა:** მას ჩემი სიხარული და სიცოცხლე ჰქვია... ჩემი მერაბი... ჩემი ცუნცულაა!

**მერაბი:** გოგო, ცუნცულა კი არა, შენი მგელი ვარ.

**ანა:** როგორ მინდოდა, დღეს შენ გვერდით ვყოფილიყავი, რესტორანში...

**მერაბი:** მერე, შენი ბრალია, რომ არ წამოხვედი.

**ანა:** გამოვიპრანჭებოდი და წამოვიდოდი.

**მერაბი:** ეგრეც უნდა იყოს. შენი დიზაინერი ხომ იცი, ვინ არის?

**ანა:** ეგეც შენ შეითავსე?

**მერაბი:** რით ვერ გაიგე, ვისთან გაქვს საქმე? მე დღეს ისეთი რაღაცები გადავწყვიტე, დაიცენტრები... ასეთი კაცი მოგველინა შენ...

**ანა:** მერე, შენ ასეთიც უნდა იყო, აბა... კაცი ხარ და იმიტომ... მე კიდევ, მშიშარა ვარ იმა შენ უნდა დამიცვა... მე ხომ იმიტომ მომეწონე, რომ ასეთი ხარ...

აბა, კურდღლები და მშიშრები რად მინდა? ყოველდღე უფრო და უფრო მიყვარდები, რადგანაც შენში კარგ თვისებებს ვხედავ... ძალიან ვინერვიულე, გაბრაზებული რომ იყავი...  
**მერაბი:** ანა, მეძინება, დღეს მართლა გადავიღალე. დავიძინოთ.

**ანა:** დაიძინე, სიხარულო... ჩვენ შორის მანძილი კიდევ ერთი დღით შემცირდა...

**მერაბი:** ანა, მეძინება, დღეს მართლა გადავიღალე, მორალურად და შედეგიც მივიღე. საიდან მომევილინე, ვინ გამომიგზავნა შენი თავი ანა?... აბა, კარგად, დროებით. შემომიძვერი ლოგინში და თავი დამაადე.

13 მაისი. 10:17

**მერაბი:** რა არის, ვერ ადექი?



ნავედი ახლა სახლში, დავისვენო, თორემ გადავიღალე. გკოცნი.

**ანა:** ჩემო სიხარულო, მენატრები... 1 კვირის მერე უკვე გზაში ვიქნები და შენკენ მომავალს ნახევარი გზა გამოვლილი მექნება... ჩემი სიხარული და ცუნცულა ხარ... ჩემი ვნებათაღელვა...

14 მაისი. 15:01

**ანა:** მოკლედ, აიყარე ჩემზე გული, არა?

**ანა:** აქ იყავი და მესიჯებზე არ წაიკითხე? რა ხდება, მერაბ, მითხარი მაინც...

**მერაბი:** დილა მშვიდობის, ანა, ტყუილად ბრაზდები. ისეთ ადგილზე ვიყავი, ვერ შეგეხმინან. რა არის, რამ გაგაგიჟა ასე. ხომ იცი, ჩემი სამსახური როგორია? ხან მცალია, ხან — არა. დღეს მორიგე ვარ.

**ანა:** ძალიან ვინერვიულე... გუშინ საღამოს აქ იყავი და მესიჯები არც კი გახსენი... გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა არ მინდა. თუ რაზე შეიცვალა, მირჩევნია, ვიცოდე.

**ანა:** ვგრძნობ, რომ რაღაც მოხდა... მითხარი...

**მერაბი:** გუშინ აქ არ ვიყავი და არც არაფერი შეცვლილა. ერთი დღე ვერ შეგეხმინან და დაანგრე ახლა ყველაფერი. საღამომდე რაიონში ვიყავი. მერე, ხომ გითხარი, სტუმრები ჩამომივიდნენ თბილისიდან და იმათთან ერთად დავთვერი. ეგ იყო და ეგ.

**ანა:** კარგი, მინდა, რომ ასე იყოს...

მაგრამ წუხელ მაგრად ვინერვიულე, გეფიცები... თითქმის არ მეძინა... 20-ჯერ მაინც გამეღვიძა და გული მეკუმშებოდა...

**მერაბი:** მასე არ მიძინია მეც, სულ ოფლიანი ვიყავი, გულიც მიხურებდა.

**ანა:** ნასვამი რომ იყავი, ალბათ, იმიტომ... მოსაფერებელ სიტყვებს ვეღარ გეუბნები, მგონია, გაბრაზდები...

**მერაბი:** რა გამაბრაზებს, შენ თქვი... ახლა სად ხარ, რას შვრები?

**ანა:** ახლა სახლში ვარ. ცოტა ხანში გავალ... გინდა, რომ დღეს შენთან ვიყო?

**მერაბი:** აბა, ვისთან უნდა იყო? მეც მივდივარ რაიონში, რალაც მიტინგია და საღამოს შემეხმინან, კარგი?

**ანა:** კარგი, სიხარულო... უზომოდ მიყვარხარ... გკოცნი.

16 მაისი. 00:09

**ანა:** სიხარულოოო... ახლა ისეთი მთვრალი ვააარ... ისე მინდა შენთან... პატრულის რომ არ მეშინოდეს, ჩამოვიდოდი... ჩემს ნათლულს „ბოლო ზარი“ ჰქონდა დღეს და იქ ვიყავი... ის რესტორანში იყო, კლასელებთან ერთად, მე კი მასთან, სახლში. შენთან მინდა... მინდა და მორჩა!

**მერაბი:** მეც მინდა, მაგრამ რა ვქნა? 300 კილომეტრი გვაშორებს ერთმანეთს. მალე განახვ. მე დღეს საგიჟეთი მქონდა.

**ანა:** დაიღალე, ხომ? მითხარი, გინდა, რომ ჩამოვიდე? სიმართლე მითხარი...

**მერაბი:** სიმართლეს გეუბნები, აბა, რაა!..

**ანა:** მეჩხუბები?

**მერაბი:** რატომ მეუბნები სულ, მეჩხუბებით? როდის ერთხელ გეჩხუბე, მითხარი.

მარტო მოდიხარ თუ დაქალი მოგყავს?

**ანა:** შენ რა, გგონია, აქ ნაშების სასტავი ვართ და ქუთაისში ჩამოვალთ კაცებთან, თუ რა? მე რომ მოვდივარ, ეგ მარტო შენ იცი და შენგან — შენმა ძმაცაცებმა... აქ ჩემს ერთ ნაცნობსაც კი არ ვუუბ-

ნები ამას. რასაც ვაკეთებ, თავის მოჭრაა, მერაბ და არ მინდა, ამის შესახებ სხვებმაც იცოდნენ... ცუდად მიცნობ, როგორც ჩანს... ცუდი წარმოდგენა გაქვს ჩემზე, მაგრამ არ მიკვირს... რაც დავიმსახურე, ეგაა და შენ რა შუაში ხარ?

**მერაბი:** შენ რა, ბლატნოი „ვალნახე“ ხარ? კითხვას მისვამ და პასუხის გაცემას არ ელოდები, თავადვე გამოგაქვს დასკვნები. მე ვერე არ ვფიქრობ, ანა.

**ანა:** აბა, რა გგონია?

**მერაბი:** მგელი ხარ, მოკლედ, არაფერში არ ჩამომრჩები. ერთ დღეს მე ვარ ნასვამი, მეორე დღეს შენ და მიხურებ, არა? მე გადამონმებული მყავხარ და უკვე ვიცი, რა ბაჭიაც ხარ...

**ანა:** ამას არ მოველოდი. ვინ მოგცა მაგის უფლება? ჩემს პირად ცხოვრებაში რატომ იქექები?

**მერაბი:** იცი, რას გეტყვი? ეგ მარტო შენი პირადი ცხოვრება არაა. მე რაც მაინტერესებს, ის ჩემიცაა და ახლა უფლებებზე ბევრს ნუ ლაპარაკობ.

**ანა:** კარგი, რაა... შენ რომ ნასვამი ხარ, მე როგორ გინყობ ხასიათს, გეფერები... შენ კი ყინულის ნატეხი ხარ... ცივი და საძაგელი... მეჩხუბები და მაგიდაზე მუშტებს მიბრახუნებ...

**მერაბი:** სამაგიეროდ, სანოლში ვარ თბილი და სასიამოვნო.

**ანა:** მომეფერე ახლა, თუ გინდა, რომ ისევ მიყვარდე... სანოლში ასეთი ხარ თუ არა, ეგ ჯერ კიდევ არავინ იცის. რამდენი დღე დარჩა, იცი?

**მერაბი:** 20-მდე სულ ცოტა, ერთი მორიგეობა.

**ანა:** ჩემსავით დაიწყე დათვლა? ასე უფრო ახლოსაა, არა? ისე, 21-ში გინევს მორიგეობა კიდევ და დილით ადრე მოგიწევს ნასვლა...

**მერაბი:** ჩვენი შეხვედრა აუცილებლად მოხდება, ხომ იცი, ანა.

**ანა:** დილით ისე არ წახვიდე, რომ არ დამელაპარაკო... ხომ იცი, მერე ვერც დაგირეკავ... მიყვარხარ, აისბერგო...

**ანა:** სიხარულოო! — აალოს რომ მეტყვი ხოლმე, შენი ბუხუნა ხმით, ლამის ჩაგყლაპო... ეეეჰ... როგორ ველოდი შეხვედრას და... მეგონა, მოვიდა-მეთქი... მგონი, საერთოდ ვერ შეხვდეთ...

**მერაბი:** მოვედი. ახლა ჩამოვედი. აქ ხარ? რამ გაგიცრუა იმედები? ჩამოდი 20-ში. უბრალოდ, ასეთი სიტუაციაა, თორემ რომელი მამაკაცი იტყვის უარს ქალის ჩამოსვლაზე? თან, იმ ქალზე, რომელიც ჯერ არ უნახავს და მაინც, გაიას-

ნებული აქვს სიტუაციები. რატომ ფიქრობ ასე? შენ აქამდე ვერ მიხვდი, რომ მიყვარხარ და შენს ჩამოსვლას ძალიან ველი? უბრალოდ, „ჩემე“ მოხდა და 1-2 დღით გადაიღო.

**18 მაისი. 09:39**

**ანა:** მოდი, სიხარულოო... შენ გელოდები... დილით რომ გავიღვიძე, სანამ თვალებს გავახელდი, ბევრი მოგეფერე, ჩემს ფიქრებში... ისე მოგეფერე, როგორც მინდა, რომ მოგეფერო, როცა გნახავ... გკოცნი...

**მერაბი:** დილა მშვიდობისა, ანა. როგორ ხარ? მეც გნახე წუხელ სიზმარში, მე რომ მინდოდა, ისე.

**ანა:** მოვიდაა! ჩემი სიხარული მოვიდა... ჩემი გადარეული და ცუნცულა კაცი... გენაცვალე... ნეტავ, შენ როგორ გინდოდა? ეგაა ყველაზე საინტერესო...

**მერაბი:** მაგას საღამოს მოგიყვები. ახლა წავედი ქობულეთში. გკოცნი ბევრს. მეძახიან ქვემოთ, უკვე მანქანაში მელოდებიან.

**ანა:** გელოდები, ჩემო ჟრუნტელოო!

**მერაბი:** რაღაც, მოწყენილი ხმა გაქვს, რა ხდება?

**ანა:** არა... როცა ვრეკავ, ასე მგონია, განუხებ... არ ვარ მოწყენილი, შენ რომ გელაპარაკები, არ შეიძლება, მოვიწყინო...

**მერაბი:** რატომ გგონია, რომ მანუხებ? ამიხსენი.

**ანა:** არ ვიცი... სულ წუნუნებ, რომ დაიღალე და მგონია, რომ მე კიდევ უფრო გლლი... თან, შენ არ რეკავ და ვფიქრობ ხოლმე, — ჩემთან ლაპარაკი რომ უნდოდეს, 1 წუთით მაინც დარეკავდა-მეთქი...

**ანა:** მითხარი, დღეს ჭამე რამე? მშიერი ხარ?

**მერაბი:** არ მქონდა ჩართული და იმიტომ ვერ დაგირეკე. ამ საყვედურს არ ვიმსახურებ, საათობით გელაპარაკები ხოლმე. უბრალოდ, როცა ჩართული მაქვს და ნასვამი ვარ, არ მყოფნის დეპოზიტი, იმ დღესვე მეთიშება. დღეს ვერ ჩავრთე, ფული არ მქონდა. წინა კვირაში იმდენი სტუმარი მყავდა, მაგრად დამეხარჯა და მათხოვრობას ვერ დავიწყებ. ახლა გამოჩნდება რაღაცა და ხვალ ჩავრთავ. მივალ სახლში და ჩავრთავ. გაიგე, ანა?

**ანა:** კაი, ჰოოო... მე ჩაგირთავდი, მაგრამ ვიცი, გაბრაზდები... ჩემო სიხარულო, მერე თქვი, მასე... ახლა გავიგე და აღარ ვინერვიულებ... გკოცნი, ჩემო სიხარულო.

**ანა:** ნუ, არ ვიცი... სად ვიპოვე ასეთი კაცი... ყველაფერი კარგი და

გადასარევი რომ აქვს? თუ თვითონ მიპოვა, რა ვიცი... ჩემთვის ხარ დაბადებული... და ნახავ, თუ შენც ამას არ იტყვი, როცა მნახავ.

**მერაბი:** აღარ მელირსა შენი ნახვა და...

**ანა:** არა უშავს, ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია?..

**მერაბი:** მოვედი, მაგრამ არ დამხვდი. მე კიდევ, დღეს 2 პირი დავაკავე. ტკბილად იძინე, არ გაგალვიძებ, მე ჩემი უძილობაც მეყოფა, შენც რომ არ დაგაძინო... შენ ჩემს მაგივრადაც იძინე, სიხარულოო!

**21 მაისი. 10:23**

**მერაბი:** ე.ი. გავათენე, რა. ძილი მენატრება! ხალხი დილით დგება და ფიქრობს, სად „ვიგულოო“? მე კი დანაშაულის გახსნაზე ვიმტვრევ თავს. ნეტავ, მელირსება ნორმალური ცხოვრება? შენ ახლა ღრმა ძილში ხარ და თბილი ხარ... შემოგიძვრებოდი ლოგინში და მეც დავიძინებდი.

**ანა:** ჩემი ცუნცულა ყოფილა აქ... მე კი მეძინა... ხვალ 20-ია. რა დღე ჩაგვეშალა?! დღეს ვინმეს მოვკლავ და ხვალ ჩამოვალ... აღიარებით ჩვენებას შენ მოგცემ... გინდა? :)))

**ანა:** შენი ჩაცმება მაგიჟებს. ამ დროს ისეთი საყვარელი ხააარ... შენი ტურების გემო მინდა, გავიგო...

**მერაბი:** დილა მშვიდობის, საქართველოს სიამაყე. რა ვქნა, ისეთი სამსახური მაქვს, რომ ხანდახან შენთვის ვერ ვიცლი, მაგრამ იცოდე, სულ მახსოვხარ, ანააა.

**ანა:** წუხელ მთელი ღამე იმაზე ვფიქრობდი, გუშინ რომ წამოვსულიყავი, ახლა მის გვერდით ვიქნებოდი, მის ტურებს დანაწებული და ნეტარი-მეთქი... აბააა...

**მერაბი:** „ვაფშე“ ახლა დაანექი და წამოდი, დღეს ხომ მაინც, ნათლობაში მიდიხარ.

**მერაბი:** სად ხარ, არ მოდიხარ?

**ანა:** ახლა? გაგიჟდი?

**მერაბი:** რატომ, რა პრობლემაა? 4 საათში აქ იქნები!

**ანა:** დღეს ხომ მორიგე ხარ?

**მერაბი:** დღეს ცოტა თავისუფლებაა. წამოდი, მართლა.

**ანა:** ახლა ნუ გადამრე... სამსახურიდან გამოგიშვებენ? ტყუილად არ ჩამომიყვანო.

**მერაბი:** გამომიშვებენ.

**ანა:** გამასულელე, მოკლედ... ნახევარ საათში დაგირეკავ და პასუხს გეტყვი.

**მერაბი:** კარგი, გელოდები.  
**ანა:** კარგი...  
**მერაბი:** შენს ზარს ველოდები.

სსოვრება

მარი ჯაფარიძე

როგორც იქნა, გამოცემაზე საკუთარ თავისთვის დრო და ბოლო 8 წლის განმავლობაში პირველად, შევხვდებით ვისარგებლეთ თავდაპირველად ჩემს მეგობარს, ეკას ვენვიე გურიაში (მისი ოჯახის შესახებ წინათაც ბევრჯერ დამინერია „სიტუაციაში“ და ასევე ბლომად მაქვს დასაწერი). ამ შევხვედრისა და ზაფხულის მთავარი მოვლენა კი მგზავნელებთან შეხვედრა იყო. მათი დაფინანსებული მოთხოვნით, ბათუმს (მხოლოდ ქათქათას კი არა, განათებულს, გაჩირაღდებულს, გალამაზებულს) ვენვიე სიმართლე გითხრათ, ველაბედი-

სალამოს ბულვარში მესტრო, სუპერ-სთარი, ილინი და მანაველი (ის მართალია, ბათუმელი არ გახლავთ, მაგრამ ილინთან ერთად დასასვენებლად იყო ჩამოსული) მელოდნენ. თავიდან მორიდებით შემხედნენ, ლაპარაკის დროს უხერხულად იშუმნებოდნენ, მერე კი გამიშინაურდნენ. ვერ-მახტს კარგა ხანს ველოდით და, როგორც იქნა, ისიც გამოჩნდა. ბულვარში გვიანობამდე ვისეირნეთ და მეორე დღე დავეგემეთ. გადაწყდა, რომ მწვანე კონცხსა და ბოტანიკურ ბაღს დავლაშქრავდით. მეორე დღეს 3 საათზე შევიკრიბეთ. რამდენჯერმე შეცვალეს შეხვედრის ადგილი და ისედაც უცნობი ბათუმის ქუჩებში იმდენი მახორიალეს, სანამ პატრულმა არ გამაჩერა, — აქ ცალმხრივია, ქალბატონო, უკან გაბრუნდითო. ამჯერად დანარჩენებს Sweet-Girl-იც შეუერთდა... მანქანა რომ გავაჩერე და გადმოვედი, Sweet-ი შორიდან გამოიქცა და ეს გამწლიკული გოგო სუროსავით შემომჩვია. იმდენი ვკოცნეთ ერთმანეთი, ლამის ხელში შემომეჭყლიტა. დანარჩენებს ჩვეულებრივად მივსალამე და მესტრო ნაწყენი დამჩრა, რომ არ ვაკოცე. მოკლედ, იქვე, ზაზარში საჭმელ-სასმელი იყიდეს და ყველანი ჩემს „ოპელიში“ მოვითავსდით. გაგიკვირდებოდათ, ჩემიანად ამ მოცუტქნულ მანქანაში 7 ადამიანი ვისხედით. თუმცა სივინროვის გამო არავის უნუნუნია. მესტრო კმაყოფილიც კი იყო, სიზმარშიც კი ვერ ვნახავდი, ოდენიმე მარის „ოპელიში“ თუ ჩავჯდებოდით.

მოკლედ, ბოტანიკურ ბაღთან გაჩერდით და ძალზე თავდაჯერებულად გავწიეთ შესასვლელისკენ.  
 „ბილეთის ფასი — 6 ლარი, 5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის — 50 თეთრი“, — გამოკრულია შესასვლელში. აქ კი აღვმოვთადით — ბილეთის ფასი გვეყვია. მთელი 42 ლარი გვეკრებოდა, რომ ბოტანიკური ბაღი დაგვევალეო. — რა ამბავია 6 ლარი?! — გააპროტესტა ილინმა და სალაროს „ფორტოკაში“ თავით შექვრა. — ვერ დაგვიკლებთ? — ვერა, — თავი გააქნია „ფორტოკაში“ მჯდომმა ახალგაზრდა მამაკაცმა.  
 — მაშინ 50-თეთრიანი ბილეთები მოგვეცით, ვერ ხედავთ, რომ ბავშვები ვართ და ბაღიდან ვართ მოსული? — ისევ ილინი აქტიურობდა.  
 — აბა, შემომხედე, ბავშვი არ ვარ? —

# უპი სიპინდი,



## ზანბისთვის ნამღერი სერენადა და მიტოვებული გზაჯვარეულები

Sweet-Girl-ი ცოტა მოშორებით დადგა, რომ ბილეთების გამოიდევნეს კარგად შეეთვალიერებინა და ცოტა გაიპრაჩა კიდეც.  
 — აბა, ბიძიას ლექსი უთხარი, — მხარი ავუბი მეც.  
 — ჩვენ კახეთიდან ჩამოველით და ამხელა გზა გამოვიარეთ. ისე უნდა წავიდეთ, რომ ბოტანიკური ბაღი ვერ ვნახოთ?! — თავი შეაცოდა ილინმა.  
 ბოლოს, ყველა ერთად შეეხვეწა; როგორც იქნა, გაყინული გული მოუღება მოლარეს და 50-თეთრიანი ბილეთები მოგვცა.  
 სულ მალე კი ყველას იმედი გაგვიცრუვდა, რადგან განსაკუთრებული ვერაფერი ვნახეთ (ეს მხოლოდ ჩვენი აზრი არ იყო, ბევრი დამთვალეიერებელი დადიოდა ბუზბუნ-ბუზბუნით). ჩვეულებრივი ხეები თბილისის ხეებისგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ თითოეულ მათგანს ტრაფარეტი ჰქონდა მიმაგრებული, რომელზეც ხის ჯიში იყო აღნიშნული. ბავშვებმა იხალისეს, ირბინეს და ისე იქცოდნენ, როგორც 50-თეთრიანი ბილეთების კანონიერი მფლობელები.  
 იქიდან მალე ავიკარით გუდა-ნაბადი, მანქანიდან პროდუქტი ამოვალაგეთ და იქვე, ზღვისკენ მიმავალ ბილიკს მივყვეთ. ზღვის დანახვა ისე გაუხარდათ, თითქოს პირველად ხედავდნენ. ბათუმელეებმა შეასწრეს ზღვაში სტუმრებს. ვინ სად ყრიდა ტანისამოსს, ყურადღებასაც არ აქცევდნენ. ბო-

ლოს, ცურვით გული რომ იჯერეს, როგორც იქნა, ნაპირზე გამოვიდნენ და ტანისამოსის გადარჩევას შეუდგნენ. ისე გაერთნენ, რომ მესტრომ ლამის ილინის „კუპალნიკი“ ჩაიცვა, „შემთხვევით“... როგორც იქნა, ტანისამოსი გაინანოლეს, როგორც იქვე ცუცხლი დაანთო და სიმინდის შენვას შეუდგა, მესტრომ საზამთრო დაჭრა, გოგონებმა კი სუფრა გაშალეს. ამასობაში დაღამდა კიდეც. ნახევრად უში (თუ ნახევრად შემწვარი) სიმინდის გემო არასოდეს დამავინწყდება... თუმცა, მაინც ყველაზე გემრიელი მომეჩვენა, რადგან ასეთი ადამიანების გარემოცვაში ვიმყოფებოდი... შემდეგ „მეზობლებმა“ მიდღები (სამანწკები) მოგვიკითხეს და ილინის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იქვე, ცუცხლზე ისინიც უტებ შენვებს და დააგემოვნეს. თამადა, სუპერსთარი გახლდათ და როგორც ნამდვილ მსახიობს შეჰფერის, ისე მჭევრმეტყველებდა. ახალგაზრდები ამასობაში კარგად შეუუთუნდნენ კიდეც და ნამოსვლის დროც დადგა.  
 ჩემი მანქანის გვერდით საკმაოდ ღრმა ჭა იყო, რომელსაც გისოსებიანი თავსახური ჰქონდა.  
 — უი, რა დიდი ჭა ყოფილა! კიდეც კარგი, შიგ არ ჩავცვივდით! მარი, მანქანა ცოტა აქეთ გამოიყვანე, თან ფრთხილად, რომ ბორბალი არ ჩაგივარდეს და მერე ჩვენც ჩავჯდებით, — ილინმა სიფრთხილე გამოიჩინა და თავისი და მგზავნელების სიცოცხლეს გაუფრთხილდა.

ჰოდა, რადგან ჭაში ჩასავარდნად მე „გამწირეს“, დავქოქე მანქანა და იქიდან მოვუსვი. გაქცეულ მანქანაში მხოლოდ სუპერსტარმა მოასწრო შემოხტომა. ჰოდა, ძალზე მხიარულად განვავრდეთ გზა. დანარჩენები მივატოვეთ. მაგრამ 1-2 კილომეტრი რომ გავიარე, მერე შემეცოდნენ და მივბრუნდი. ილინს უთქვამს, ეგ ისეთია, უკან არ მობრუნდება, ჯობს, ფეხით წავიდეთო და გზას ოხვრა-ხენებით დასდგომიან. როგორც კი მანქანის ხმა გაიგონეს, გზაზე დაიმალნენ, მაგრამ ამ სიტუაციაში სასაცილო ის იყო, რომ მხოლოდ თავები ჰქონდათ ბუჩქებში შეყოფილი, უკანალები კი გარეთ დარჩათ და სირაქლემებივით დაიმალნენ. გვიკომ (სუპერსტარმა) შემომთავაზა, — მოდი, ვითომ ვერ დავინახეთ, ქვევით ჩავიდეთ და უკან რომ მოვბრუნდებით, მაშინ გავუჩეროთო. ჰოდა, ასეც მოვიქცეთ. უკან რომ მივბრუნდი, დავინახე — ხელიხელჩაკიდებულებს გზა გადაკვეთა (ძალა ერთობაშიაო, ხომ გაგიგონიათ). როგორც კი სვლა შევანელე, მაშინვე ეცნენ და სათითაოდ შემოლაგდნენ მანქანაში.

ილინის თხოვნით, მაგნიტოფონი ჩავრთე და მანქანაში ცეკვა-თამაშიც გაჩაღდა. ეს არ იკმარეს და გოგონები ღია ლიუკში აძვრნენ. ამ დროს:

— „ოპელი“, გადააყენე ავტომობილი! — სად იყო და სად არა, წესრიგის დამცველი პატრულიც გამოჩნდა.

რა თქმა უნდა, დავემორჩილე. ახალგაზრდები გაიტრუნდნენ.

პატრულის თანამშრომელი რატომღაც, კმაყოფილი და იდუმალი სახით ილინებოდა.

— საბუთები წარმოადგინეთ, თუ შეიძლება, — 4 გაშლილი თითი საფეთქელთან მიიტანა.

— ნიბეთ, ბატონო, — მივანოდე ჩემი სიმწრით ალებული მართვის მოწმობა და მანქანის პასპორტი.

— მართვის მოწმობა როცა აიღეთ, იქ არ გითხრეს, რომ ლიუკში აძრომა არ შეიძლება? — მკაცრი სახით მკითხა.

— არა, ეგ საკითხი ბილეთებში არ შედიოდა, — არ დავიბენი.

— ჰოდა, თუ არ შედიოდა, ახლა, გენაცვალე, დაგაჯარიმებ და ეგ იქნება... ფხიზელი ხართ? — პატრულის თანამშრომელს ისეთი სახე ჰქონდა, როგორც ჩანს, თავიდანვე დარწმუნებული იყო, რომ ნასვამი ვიყავი.

— დიას, აბსოლუტურად ფხიზელი ვარ. მომეცით ეგ თქვენი ჩასაბერი და ჩაებერავ, — თამამად შევთავაზე.

რა თქმა უნდა, ყოველგვარი მორიდების გარეშე გამომინოდა ტესტერი (მგონი, ასე ჰქვია). მეც შევუბნე.

— ფხიზელია, ბიჭო, — პატრულის გოცემას საზღვარი არ ჰქონდა. აი, თურმე რატომ ჰქონდა თავიდან კმაყოფილი და იდუმალი გამომეტყველება.

— კი, მაგრამ ფხიზელი თუ ხართ, ასეთ კარგ ხასიათზე რატომ ხართ? — გაოცდა პატრული. პრინციპში, მართალიც იყო. ნოდარ დუმბაძის პერსონაჟის, ილარიონის არ იყოს, ქვეყანა თუ ინგრევა, ირგვლივ ამდენი პრობლემა თუა და კაცმა არ იცის,

თბილისში დღეს წასული პრეზიდენტი ხვალ ისევ ჩამოვა ბათუმში თუ არა, რა გაცეკვებს და გამღერებს?

— კარგ ხასიათს სასმელი არ სჭირდება, კარგი ადამიანების შეხვედრაც საკმარისია, — ილინი მომეხმარა, — ეს ქალბატონი უურნალისტია, მარი ჯაფარიძე. გაგიგონიათ? ჩვენ კი მისი ფანები ვართ. ჰოდა, შეხვედრამ კარგ ხასიათზე დავგაყენა.

— აა, გამიგია, როგორ არა?! — პატრული ისე გამეჭიმა, როგორც ხელქვეითი — გენერალს. — იმედია, ჩვენზე არაფერს დანერთ (როგორც ჩანს, ისიც სცოდნია, პატრულებზე ხშირად რომ ვწერ).

— არა, როგორ გეკადრებათ?! — შევიბრდი.

— რა ვქნათ, ჭო, ვაპატიოთ? — „თავის ენაზე“ დელაბარავა მენყვილეს.

— აბა, რაი უნდა ვქნათ?! — დაუდასტურა მან.

ჰოდა, გვაპატიეს, ბატონო და არ დავგაჯარიმეს. ახალგაზრდები ჟივილ-ხივილით დაემშვიდობნენ წესრიგის დამცველებს და დავიძარი.

ის დღე ასე დასრულდა. თუმცა ერთი რამ გამომჩნია: ჩვენიან ერთად, Green Girl-ი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დედამ არ გამოუშვა. გულდანყვეტილმა, მანაველთან დარეკა. მან კი ყველას მოგვასმენინა, როგორ ქვითინებდა, სლუკუნებდა და ვიშვიშებდა ნათათო.

მეორე დღეს ისევ დავთქვით შეხვედრა და გადავწყვიტეთ, სარფში წავსულიყავით.

წინა დღეს გულდანყვეტილი ნათათო დედას გამოეპარა (ამას თუ წაიკითხავს, კი მოხვდება „მწვანეს“) და ქუთაისიდან ჩამოვიდა, კოზანოსტრაც შემოგვიერთდა (ჩემდა გასაოცრად, ის ჩვენი ძველი მგზავნელის, აბლახანუის შვილი აღმოჩნდა) და ამჯერად ჩემს ავტომობილში უკვე 9 ადამიანი ჩავეტიეთ. სარფში პლაჟზე კოზანოსტრამ, სუპერსტარმა და მანაველმა გიტარაზე სერენადები გვიმღერეს. მოხარული სიმინდით კოზანოსტრა გაგვიმასპინძლდა და „ამის პატრონმა რა ქნას“ გაჩაღდა. მე კოზანოსტრას აკომპანიმენტის თანხლებით, „აჭარულის“ ცეკვა მხვდა წილად, მანაველს კი პლაჟზე მომავალი ფერადკანიანი მამაკაცისთვის, გიტარაზე მიმღერება.

მანაველი „აუკიდა“, მაგრამ ფერადკანიანი კრკეტი კაკალი აღმოჩნდა — არაფრის დიდებით არ სურდა გაჩერება, ჯიუტად განაგრძობდა გზას. „უან მომენტ, უან მომენტ“, — უკან მისდევდა გიტარაამორჩილი მანაველი. როგორც იქნა, კაცი გაჩერდა. ხატიამ ცალ მუხლზე დაიჩოქა, მეორეზე გიტარა შემოიდო და მთელი გრძნობით უმღერა. ზანგის ტაში დაიმსახურა და დაემშვიდობა.

ამასობაში სიმინდისა და ბურბუშელას გამყიდველები მოგვიახლოვდნენ და ყური მოჰკრეს, როგორ თქვა Sweet Girl-მა — ამის პატრონმა რა ქნასო?... მაშინვე გაჩერდნენ და, — რა ქნას და სიმინდი იყიდოსო, — უცებ გამოიყენეს შეთხვევა, თავის სასარგებლოდ. მაგრამ ვინაიდან სიმინდი აღარ გვინდოდა, თამაშის პირობა შეცვალეთ და ვთქვით, — მაგის პატრონმა ბურბუშელა გაყიდოს-თქო. „ამის პატრონი“ ილინი აღ-

მოჩნდა, რომელმაც ერთი შეკვრა ბურბუშელა ლამის მთელ პლაჟზე ჩამოატარა და ლარის ნაცვლად, 50 თეთრდაც კი სთავაზობდა კლიენტებს: არ დამღუპოთ, ვინმემ იყიდეთო, — ესვენებოდა, მაგრამ მაინც ვერ გაყიდა და იძულებული გახდა, თავისთვის დაეტოვებინა. მასტროსა და კოზანოსტრას ბუნგალოს შესასვლელში ცეკვა ხვდათ წილად... და იქ მყოფი გოგონების ალტაცება და ტაში დაიმსახურეს, ეროტიკული მოძრაობებით...

ამასობაში დაღამდა, მაგრამ შინ წასვლა არავის უნდოდა. ჰოდა, ეშმაკობას მივმართე და როდესაც კიდევ ერთხელ იკითხეს, — ამის პატრონმა რა ქნასო? — ვთქვი: ჩემი „ოპელი“ ხელით გამოაგოროს ავტოსადგომიდან-მეთქი. ჰოდა, ყველანი დავიძარი. მე საჭეს მივუჯექი, ბიჭებს არც გოგონები ჩამორჩნენ და მანქანა გზაზე გამოაგორეს.



როგორც კი გავსწორდი, დავქოქე და ყველა მივატოვე. ამჯერად მარტო გაუდევნი ბათუმისკენ მიმავალ გზას... მგზავნელები კი აი, ასეთი ხერხით აპირებდნენ სახლებში დაბრუნებას, როგორც სურათებზე ხედავთ... მაგრამ ვინაიდან გამველი მანქანებიდან მხოლოდ ხელს უქნევდნენ სიცილით და მათ წაყვანას არავინ აპირებდა, ისევ მე მივბრუნდი და წამოვიყვანე. შემდეგ ჯერ ილინი და მანაველი გავაცილეთ (თბილისში იმ დღეს ბრუნდებოდნენ). მგზავნელების ცრემლი ზღვას ერთვოდა, იმდენი იტირეს. მაგრამ განმორებამ მაინც მოუნია... შემდეგ ნათათო გავაცილეთ ქუთაისში და რაც ცრემლი დარჩათ, მის გამო დაღვარეს... დავრჩით მე, კოზანოსტრა, ვერმასტი, მასტრო და Sweet Girl-ი და კარგა ხანს ვიჭორავეთ. მეორე დღეს გურიას მივაშურე, ხოლო ბათუმელები თავიანთ ლამაზ ქალაქში დარჩნენ და ჩემი გულიც მათ დაუტოვე...

P.S. მგზავნელების თვალთ დასახული ამ 2 დღის შთაბეჭდილებებს შეგიძლიათ, „გზავნილებში“ გაეცნოთ...

# მადამ დე პოპაადური — ქალი, რომელმაც საფრანგეთის ისტორიაში დიდი როლი ითამაშა



## მარი ჯაფარიძე

ეჭვგარეშეა ისიც, რომ როდესაც ფონტენელი სუსტი არსებების მნიშვნელოვან როლზე ლაპარაკობს, ცნობილ მარკიზასაც გულისხმობს, რომელმაც პოლიტიკოსები აიძულა, პომპაადურის ეპოქაზე სერიოზულად ემსჯელათ.

ლუდოვიკო XV-ის ფავორიტი, გაფლენიანი ქალბატონის ხელში მოქცეულმა ძალაუფლებამ ბევრი მონიშნაღმდეგე აიძულა, ქალის წარსულში ქექვანე ხელი აეღო. ეს საშინლად აღიზიანებდა პომპაადურს, რომელიც ყველა სფეროში სრულყოფილებისკენ მიილტვოდა.

თუმცა ჩვენამდე მანც მოაღწია ინფორმაციამ, რომ ჟან-ანტუანეტ პუასონის მამა მეფის ლაქია იყო, რომელმაც ოჯახი მიატოვა და ერთი ხანობა ქურდობდა კიდევ.

თავმოყვარე მარკიზას იოლად შეეძლო, ასეთ მშობელზე უარი ეთქვა, მაგრამ მას იმის აღიარებაც მოუწევდა, რომ უკანონოდ შობილი იყო.

საქმე ის გახლავთ, რომ თავის მამად მარკიზა სამეფო სასახლის ფინანსისტს, ნორმან დე ტურნემს მიიჩნევდა, რადგან 1721 წელს დაბადებულ გოგონას საუცხოო განათლება მისცა და მისი ბედის განსაზღვრაშიც აქტიურად მონაწილეობდა.

ჟანა ნიჭიერებით გამოირჩეოდა. კარ-

გად ხატავდა, უკრავდა სხვადასხვა ინსტრუმენტზე, ჰქონდა დაბალი, სუფთა ხმა და კარგად მღეროდა, მშვენივრად კითხულობდა ლექსებს. მისი მოსმენისას ყველანი აღფრთოვანებას გამოხატავდნენ, რაც მადმუაზელ პუასონს თავდაჯერებას მატებდა.

მკითხავმა მეფესთან სასიყვარულო ურთიერთობა ჯერ კიდევ 9 წლის ასაკში უწინასწარმეტყველა. ამ კეთილ ქალბატონს მარკიზამ სიცოცხლის ბოლომდე პენსია დაუნიშნა.

19 წლის ასაკში ჟანა თავისი მფარველის ძმისშვილს გაჰყვა ცოლად. საქმრო ტანდაბალი, შუუხედავი მამაკაცი იყო, მაგრამ ძალიან მდიდარი გახლდათ. რაც ყველაზე მთავარია, საცოლეზე უგონოდ იყო შეყვარებული.

ასე გამოეთხოვა ქალწული პუასონი თავის გვარს და მადამ დე ეტიოლი გახდა. მისი ოჯახური ცხოვრება მდორედ მიედინებოდა. 2 წლის შემდეგ, გოგონა — ალექსანდრა გააჩინა, მაგრამ მეფეზე ოცნება ვერც შვილმა დაავიწყა.

მრავალრიცხოვანი მეგობრების წრესა და მადალ საზოგადოებასთან ურთიერთობას (სადაც ქმრის სიმდიდრის წყალობით მოხვდა) ჟანა თავის სასარგებლოდ იყენებდა. ყველა ჭორი და ხანდახან სიმართლესთან მიახლოებული ამბები მეფის შესახებ მისი მესხიერების

„ყულაბაში“ ილექებოდა და მეფის ცხოვრებაზე წარმოდგენას უქმნიდა.

ამგვარად, იცოდა, რომ მეფე პერცოგინია დე შატორუთი იყო გატაცებული. მისი ხასიათის ძირითადმა თვისებებმა — მიზანდასახულობამ და სიჯიუტემ სწორედ აქ იჩინა თავი. მან სენარის ტყეში სიარულს მოუხშირა, სადაც მეფე სანადიროდ დადიოდა ხოლმე. თუმცა, არა მეფის, არამედ ამბიციური პერცოგინიას, დე შატორუს თვალთახედვის არეში მოხვდა, რომელიც უცებ მიხვდა მისი ტყეში სუიციდის მიზეზს და ჟანას ამ ადგილებში გამოჩენა აუკრძალეს. ცხვირში მოხვედრილმა წვიპურტმა ჟანა გამოაფხიზლა და დროებით უკან დაახევინა. მაგრამ სულ მალე, 27 წლის მადამ დე შატორუ პნევმონიით დაავადდა და გარდაიცვალა, რაც ეტიოლმა ღვთის განგებად მიიჩნია.

1745 წლის 28 თებერვალს, პარიზის რატუსაში (რომელიც დღემდე დგას) გამართული მასკარადის დროს ჟანა პირველად შეხვდა მეფეს პირისპირ. მას სახეზე ნიღაბი ეკეთა, მაგრამ მონარქი უცნობი ქალის ქცევამ დაინტერესა და სახის გამოჩენა სთხოვა. ქალმა გვირგვინოსანზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

ლუდოვიკო XV-ს რთული ბუნების, იდუმალებით მოცულ ადამიანად მიიჩნევდნენ და „ნაადრევად დაღლილ მეფეს“ უწოდებდნენ. მის მოკრძალებულ ხასიათს ნაკლად მიიჩნევდნენ და ვინაიდან ყველაზე უკეთ ქალების გარემოცვაში გრძნობდა თავს, „ცელქი ცოდევის“ მეტსახელითაც მოიხსენიებდნენ.

ლუდოვიკო XV 1710 წელს დაიბადა და ტახტზე დიდი ბაბუის, ლუდოვიკო XIV-ის სიკვდილის შემდეგ, 5 წლის ასაკში ავიდა. 9 წლის იყო, როცა პარიზში რუსეთის იმპერატორი, პეტრე ჩავიდა. მას ლუდოვიკო XV-ზე თავისი შუათანა ქალიშვილის, ელიზავეტას დანიშვნა სურდა.

ვერსალში ამ წინადადებით არ აღფრთოვანებულან, რადგან რუსი იმპერატორის ცოლის, ეკატერინას წარმოშობა ყველასათვის ცნობილი გახლდათ. ამის გამო ნიშნობა არ შედგა. ლამაზი ელიზავეტა შინ დარჩა და ამით არც ნაუგია — რუსეთის იმპერატრიცა გახდა.

11 წლის ლუდოვიკოს შესაფერისი მეუღლე, პოლონეთის მეფის, სტანისლავის ქალიშვილი, მარია ლემინსკა მოუძებნეს. როდესაც მეფეს 15 წელი შეუსრულდა, ისინი დაქორწინდნენ. დედოფალი ქმარზე 7 წლით უფროსი, უზო-





ეტიოლან შეხვედრის მომენტში, სამეფოში ყველაზე ლამაზ მამაკაცად აღიარებული ლუდოვიკო 35 წლის გახლდათ

მოდ მორწმუნე, მოსაწყენი და უშნო გახლდათ. ზოგიერთი ცნობის თანახმად, გათხოვებიდან 12 წლის განმავლობაში 10 შვილი გააჩინა. მეფეს, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში სანიმუშო ქმრად და მამად მიიჩნეოდა, მოპებურდა ოჯახური ცხოვრება, პოლიტიკაც, ეკონომიკაც და გადაწყვიტა, თავი ნატიფი ხელოვნებითა და არანაკლებ ნატიფი ქალებით შეეცქია.

ჟანა დე ეტიოლან შეხვედრის მომენტში, სამეფოში ყველაზე ლამაზ მამაკაცად აღიარებული ლუდოვიკო 35 წლის გახლდათ.

ვერსალის ტყეებისა და ბაღების ობერ-ეგერმასტერი, მუსიე ლერუა მომავალი მამად პომპადურის გარეგნობას ასე აღწერდა: „მშვენიერი სახის ფერი, ხშირი, ხვეული, ნაბლისფერი თმა, სრულყოფილი ფორმის ცხვირი, ლამაზი, მხურვალე კოცნისთვის შექმნილი ტუჩები, დიდი, გაურკვეველი ფერის თვალები“. ეს აღწერილობა სავესებით შეესატყვისება ფრანსუა ბუშეს მიერ შექმნილ პორტრეტებს. ბუშეს მარკიზა მფარველობდა და შესაძლოა, სწორედ ეს გარემოება გახლდათ იმის მიზეზი, რომ მხატვრის მიერ შექმნილ ტილოებზე მარკიზა მართლაც უზადოდ გამოიყურება და სილამაზის ეტალონადაა წარმოჩენილი. ისტორიამ შემოინახა ინფორმაცია, რომ პომპადურს სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა, რის გამოც, გარეგნული სილამაზის შენარჩუნება მას დიდი მოთმინების ფასად უჯდებოდა.

ასე იყო თუ ისე, მისი „გაურკვეველი ფერის თვალები“ მეფის თვალებს შეეჩენენ. მეფემ ის მასკარადის დამთავრების შემდეგ წარმოადგინა, იტალიურ კომედიაზე, შემდეგ კი ვახშმად მიიწვია; ეს შეხვედრა მათი ურთიერთობის დასაწყისად იქცა.

პაემნის შემდეგ მეფემ ნდობით აღჭურვილ პირს, რომელიც წინდახედულმა ჟანამ მოისყიდა, უთხრა: „რა თქმა უნდა, მამად დე ეტიოლი ძალზე მომხიბვლელია, მაგრამ მომეჩვენა, რომ გულახდილი არ არის და ანგარება ამორავებს. ჩემმა უფროსმა ვაჟმა კი მითხრა, რომ ის ვულგარულია“.

მეფის ამ სიტყვებიდან ჩანდა, რომ ჟანასთვის სანუკვარი მიზნის მიღწევა იოლი არ იქნებოდა. შემდეგ პაემანს დიდი ძალისხმევის შედეგად მიაღწია. ამ პაემანზე თავისი როლი მშვენივრად შეასრულა. მეფეს მელოდრამატული სიუჟეტი შესთავაზა: საწყალობა, ძლივს შეაღწია სასახლეში იმის შიშით, რომ ეჭვიან ქმარს თვალში არ მოხვედროდა; ამ რისკზე კი იმიტომ წავიდა, რომ სათაყვანებელი ადამიანისთვის თვალი შეეცლო...

მეფე არ დაუძახია „ბრავო“, მაგრამ ჟანას შეჰპირდა, რომ „ეჭვიანობის მსხვერპლს“ ოფიციალურ ფავორიტად აქცევდა.

მამად დე ეტიოლი მეფის გზავნილებს ხშირად იღებდა, ერთ მშვენიერ დღეს კი მან მიიღო წერილი, რომელიც მარკიზა დე პომპადურისთვის იყო გაგზავნილი. ჟანამ, როგორც იქნა, საოცნებო ტიტული მიიღო.

1745 წლის შემოდგომაზე მეფემ „ახალგაომცხვარი“ მარკიზა ახლობლებს მეგობრად წარუდგინა. ქალი გოცნებული დარჩა დედოფლის ლოიალობით, რომელიც ამ დროისთვის უკვე ყველაფერს შეგუებული იყო. სასახლეში მარკიზას აგრძნობინეს, რომ არაფრით იყო იმ ქალებზე უკეთესი, ვინც თავს კერვითა და ფუნთუშების ცხობით ირჩენდა. ჟანამ იცოდა, რომ ვიდრე მეფე მთლიანად მისი გავლენის ქვეშ არ მოექცეოდა, მანამდე ფავორიტის ტიტულს დიდი ხნით ვერ შეინარჩუნებდა. ამიტომ, ის ლუისთვის შეუცვლელი უნდა გამხდარიყო. ამის მიღწევა კი მამინი იქნებოდა შესაძლებელი, როცა მეფეს ცხოვრების სტილს შეაცვლევინებდა და მელანქოლიასა და მონყენილობაზე ხელს ააღებინებდა, თავად კი ვერსალის შაჰრეზადად გადაიქცეოდა...

მარკიზამ მიზნის მისაღწევად, დახვეწილი ხელოვნება გამოიყენა და მეფის ცხოვრება მთლიანად შეცვალა. ახლა ყოველ საღამოს მეფეს მარკიზას სასტუმრო ოთახში ახალ-ახალი, საინტერესო სტუმრები ხვდებოდნენ: ბუშარდონი, მონტესკიე, ფრაგონარი, ბუშე, ვანლოო, რამო, ბუფონი... ეს გახლავთ არასრული სია იმ ადამიანებისა, რომლებიც მხატვრული და ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები იყვნენ. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ვოლტერს, რომელსაც მარკიზა ბავშვობიდან იცნობდა და მის მოსწავლედ მიიჩნევდა თავს. სწორედ პომპადურის დამსახურება გახლდათ, რომ ვოლტერმა აღიარება, აკადემიკოსის წოდება და სასახლის კამერგერის თანამდებობა მიიპოვა.

მადლიერმა ვოლტერმა მარკიზას თავისი საუკეთესო ნაწარმოებები მიუძღვნა.

ასეთ დახვეწილ საზოგადოებაში ყოფნა მეფეს ართობდა, ის ცხოვრების ახალ-ახალ ნახნაგებს ეცნობოდა. ამასთანავე, მარკიზას სტუმრები საზოგადოების

თვალში საკუთარ სოციალურ სტატუსს იმაღლებდნენ. მარკიზამ მეცენატობას მოუსინჯა გემო და ამ საქმიანობისთვის მთელი ცხოვრების განმავლობაში აღარ უღალატია.

1751 წელს მარკიზას მონადინების შედეგად, პირველი ფრანგული ენციკლოპედია გამოიცა. იდეის ავტორი და რედაქტორი, აბსოლუტიზმისა და ეკლესიის მონინალმდეგე, დენი დიდრო გახლდათ.

მამად პომპადურის ფავორიტი ასევე, მოქანდაკე ფალკონე და ჟან-ჟაკ რუსოც გახლდათ, რომლის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში ჟანამ მამაკაცის მთავარი როლიც შეასრულა.

მარკიზას მიერ შექმნილ მორიგ მამულს სევრი ერქვა, სადაც მისივე მონადინებით, ფაიფურის წარმოება დაიწყეს.

1756 წელს ამ მიწაზე 2 საუცხოო ნაგებობა ააშენეს: ერთი — მუშებისთვის, მეორე — საწარმოსთვის. პომპადური ხშირად მიემგზავრებოდა სევრში, მუშებს ამხნევებდა, გამოცდილ ოსტატებსა და სკულპტორებს სამუშაოდ ინვესტა. ექსპერიმენტები არ წყდებოდა და მუშებს დღედაღამ მუშაობა უწევდათ, რადგან მამად პომპადური მოუთმენელი იყო და საქმის გაჭიანურებას ვერ იტანდა. ის თავად მონაწილეობდა ყველა პრობლემის გადაჭრაში. ფაიფურის სწავლაში, ვარდისფერი შეფერილობის წარმოება ამ ექსპერიმენტების შედეგად მიიღეს და მას Rose Pompadour-ი უწოდეს. მარკიზამ ვერსალში დიდი გამოფენა მოაწყო და ნიმუშები თავად გაყიდა.

მისივე დაარსებული იყო ვერსალში კამერული თეატრი, რომელიც 1747 წლის იანვარში მოლიერის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლით — „ტიარტიუფი“ გაიხსნა. სპექტაკლის წარმატებამ



11 წლის ლუდოვიკოს შესაფერისი მეუღლე, პოლონეთის მეფის, სტანისლავის ქალიშვილი, მარია ლეჰინსკა მოუქმენეს

სსოპრება

მოლოდინს გადააჭარბა და მასში თავად მარკიზა მონანილეობდა. მეფე აღფრთოვანებული იყო მისი მსახიობური ნიჭით. „თქვენ საფრანგეთის ყველაზე მომხიბვლელი ქალი ხართ“, — უთხრა მას სპექტაკლის დასრულების შემდეგ.

ამ ფრაზამ მარკიზას უპირატესობა მეფის დანარჩენ ფავორიტებთან შედარებით, ყველასთვის ნათელი გახადა. პომპადურის თავის მდგომარეობას იყენებდა და საკუთარი უპირატესობის დემონსტრირებას ყოველ მოსახერხებელ მომენტში ცდილობდა. მარკიზა თავმდაბლობით არასდროს გამოირჩეოდა. შეეძლო, ელჩები და სხვა, ძალზე პატივსაცემი სტუმრები მიეღო მდიდრულად მოწყობილ დარბაზში, სადაც მხოლოდ ერთი საგარძელი იდგა: თავად

მაღლიერმა ვოლგერმა მარკიზას თავისი საუკეთესო ნაწარმოებები მიუძღვნა



ჯდებოდა, დანარჩენები კი იძულებული იყვნენ, ფეხზე მდგარიყვნენ!..

მიანია იმასაც, რომ მისი ქალიშვილისთვის სახელით მიემართათ — ისევე, როგორც მეფის ოჯახის წევრებს მიმართავდნენ. გარდაცვლილი დედის ფერფლი მარკიზამ პარიზის ცენტრში დამარხა. ამისთვის სპეციალურად ნაყიდ მიწის ნაკვეთზე მავზოლეუმი ააშენებინა. ნათესაებს, რომლებსაც მარკიზა სწყალობდა, მეფე თანამდებობებს, ტიტულებს, ჯილდოებს ურიგებდა. მოგვიანებით ჩატარებული დანაგარიშების მიხედვით გაირკვა, რომ მან საზინიდან „წერილმანი“ ხარჯებისთვის 4 მილიონი, ხოლო მეცენატობის გასანებად — 8 მილიონი ლივრი დახარჯა.

თეატრის გარდა, მისი კიდევ ერთი გატაცება — მშენებლობა გახლდათ. ის დიდძალ უძრავ ქონებას ფლობდა და ყოველი ახალი შენაძენი საფუძვლიან გადაკეთებას ექვემდებარებოდა. მარკიზა ახალი შენობის კონსტრუქციის ჩანახატს ქაღალდზე თავად აკეთებდა. თუ

ახალი შენობის ასაგებად ფული არ ჰყოფნიდა, დაუნებლად ყიდდა ადრე აშენებულს და ახალ ოცნებას ასხამდა ფრთას. მისი ბოლო შენაძენი — მენარის სასახლე გახლდათ, რომლის გადაკეთებაც ვერ მოასწრო. მეფის სასახლეები და ქალაქგარეშე მდებარე რეზიდენციებიც საკუთარი გემოვნებით მოაწყო. ამ „მოვლენას“ ვერც ვერსალი გაექცა: მარკიზას ბრძანებით, მეფის ბაღის ახლოს მომცრო ზომის, მყუდრო სახლი ააშენეს და ეზოში ადონისის თეთრი მარმარილოს ქანდაკებაც დადგეს.

30 წლის მარკიზამ იგრძნო, რომ ლუდოვიკოს სასიყვარულო ცეცხლი უნელდებოდა. მისი სილამაზე ჟამთაგულამ გაახუნა და ალბათ, ვეღარასოდეს დაიბრუნებდა...

მარკიზა დე პომპადური 5 წლის განმავლობაში იყო მეფის საყვარელი, ხოლო მომდევნო 15 წელი ბევრ საკითხში მისი მეგობარი და მრჩეველი გახლდათ, ხშირად — სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაშიც მონაწილეობდა.

რთული სიტუაციიდან გამოსავალს ცივი გონებისა და რკინისებური ნებისყოფის წყალობით ახერხებდა. მარკიზამ პარიზის ერთ-ერთ უბრალო უბანში, არაფრით გამორჩეულ სახლში ხუთოთახიანი ბინა იქირავა. ეს ადგილი მარკიზას მიერ მოწვეული ქალიშვილებისა და მეფის შესხედრის ადგილი გახლდათ.

მეფე იქ ყოველთვის ინკოგნიტოდ ცხადდებოდა. ქალიშვილები მას დიდგვაროვნად მიიჩნევდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, რომ თავად მონარქს ხვდებოდნენ. როდესაც ქალწულის მიმართ მეფის წამიერი ვნება ჩაცხრებოდა, მას მდიდრულ მზითვს აძლევდნენ და ათხოვებდნენ. თუ კავშირი ბავშვის გაჩენით სრულდებოდა, მაშინ დედა-შვილი სოლიდურ თანხას იღებდა; მარკიზა კი კვლავ მეფის ოფიციალურ ფავორიტად რჩებოდა.

1751 წელს პომპადურს რეალური საფრთხე ნორჩი ირლანდიელის, მარილუიზა ო'მერფის სახით დაემუქრა. ამ ინტრიგის განვითარებას ნახევარი ევროპა ადევნებდა თვალყურს. პაპის ელჩი რომს ატყობინებდა, რომ პომპადურის დღეები დათვლილი იყო: „მთავარი სულთანნი თავის მდგომარეობას კარგავს“, — წერდა ის, მაგრამ შეცდა. ლუდოვიკომ მარკიზას ყველა პრივილეგია შეუნარჩუნა, რითაც ახალგაზრდა ლამაზმანებსა და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე კიდევ ერთხელ გაამარჯვებინა. ყველასათვის მოულოდნელად, სიტუაცია მაშინ დაიძაბა, როდესაც პომპადური ავსტრიის ერც-ჰერცოგინიასთან, მარია-ტერეზასთან დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა. ამან ორ ქვეყანას შორის მეგობრულ ურთიერთობას სერიოზული ზიანი მიაცენა.

ლუდოვიკომ, რომელიც იგუზიტებს არ წყალობდა, საფრანგეთში მათი ორდენი გააუქმა. ამ ნაბიჯმა მაღალი სა-

ზოგადობის უკმაყოფილება გამოიწვია და მარკიზა თავს დატყულებ ველარ გრძნობდა. მას კარგად ესმოდა, რომ საფრთხე ემუქრებოდა. გამუდმებით მონმდებოდა მისთვის მომზადებული კერძები, რათა მარკიზა არ მოეწამლათ.

ერთადერთი ქალიშვილის მოულოდნელმა გარდაცვალებამ, რომლის დაქორწინებასაც მეფის უკანონო შვილზე აპირებდა, ასეთი იშვიათი გამძლეობის ქალიც კი ჭკუიდან გადაიყვანა. მას ეჭვი ჰქონდა, რომ შვილი მტრებმა მოუკლეს და გვამის გვერთა მოინდომა, მაგრამ ამით ვერაფერს მიაღწია.

მარკიზამ ძალზე მძიმედ გადაიტანა შვილის სიკვდილი და მარტობას ისე მძაფრად გრძნობდა, როგორც არასდროს. მისი ყველაზე ახლო მეგობარი მტრებმა მოიხიფდეს, მეფე კი სანდო მეგობრად აღარ ეგულებოდა.

სულიერმა კრიზისმა მარკიზას სასახლიდან წასვლის გადაწყვეტილება მიაღებინა. მან ქმარს წერილი გაუგზავნა, სადაც მიყენებული ტკივილის გამო პატივსაცემი სთხოვდა. როგორც ჩანს, დიდი ხნის წინ მიტოვებულ ოჯახში დაბრუნებას ცდილობდა. ქმარმა უპასუხა, რომ ყველაფერს აპატიებდა, მაგრამ მეტის გაკეთება არ შეეძლო...

1760 წელს მარკიზასთვის საზინიდან გამოყოფილი თანხის რაოდენობა 8-ჯერ შემცირდა. მან ძვირფასეულობის გაყიდვასა და ბანქოს თამაშს მიჰყო ხელი. როგორც წესი, ყოველთვის უმართლებდა... მას ფილტვებთან დაკავშირებული პრობლემა ჰქონდა, რომლის მკურნალობაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მარკიზა იძულებული გახდა, ფული ესესხა. მძიმე ავადმყოფმა კი საყვარელიც გაიჩინა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მარკიზა მეფეს გვერდიდან არ სცილდებოდა და ყველგან თან დაჰყვებოდა. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს გონება დაკარგა. ყველა მიხვდა, რომ მისი ალსასრულის დღე არცთუ ისე შორს იყო. მიუხედავად იმისა, რომ ვერსალში სიკვდილის უფლება მხოლოდ მეფის ოჯახის წევრებს ჰქონდათ, ლუდოვიკომ მარკიზა სასახლის აპარტამენტებში გადააყვანინა.

1764 წლის 15 აპრილს მეფის ქრონოლოგმა სპეციალურ წარმოთქვა: „მარკიზა დე პომპადური, დედოფლის კარის ქალბატონი, 43 წლის ასაკში, საღამოს 7 საათზე, მეფის პირად საძინებელში გარდაიცვალა“.

როდესაც დამკრძალავი პროცესია პარიზში დაბრუნდა, თავსხმა წვიმაში, აივანზე მდგარმა ლუდოვიკომ წარმოთქვა: „უკანასკნელი გასივრცისთვის სწორედ ასეთი საზიზღარი ამინდი აირჩიეთ, მადამ“. ამ უადგილო ხუმრობის მიღმა წრფელი სინანული იგრძნობოდა.

მადამ პომპადური დედისა და შვილის გვერდით, მონასტრის ეზოში დაკრძალეს. ახლა ამ ადგილას დე ლა პეს ქუჩა გადის, რომლის ქვაფენილიც XIX საუკუნეში, მონასტრის დანგრევის შემდეგ დააგეს...



# სამყარო

## მსოფლიოს პორნოდედაქალაქები

ნათია ჟივიკა

იმ ქალაქებს შორის, რომლებიც თანამედროვე სოდომისა და გომორის სტატუსზე პრეტენზიას აცხადებდა, მოსკოვი ბერლინსაც კი სჯობნის, რომელსაც ე.წ. „ხმაურიანი“ პორნოს სამშობლოს უწოდებენ. თუმცა ბოლო დროს, ტოტალური გარყვნილების ფრონტზე გერმანელებმა პოზიციები საკმაოდ დაკარგეს. იქნებ, ეს პროსტიტუციის ლეგალიზაციის შედეგია? აკრძალული ხილი ხომ გაცილებით ტკბილია! თუმცა, ახლაც შეიძლება შეიგრძნო ბერლინის კედლის მანკიერი ეფექტის ნარჩენები. დღეს, ამ კედელთან ერთად, უკვე ისტორიას ჩაჰბარდა ცოდვების დაყოფა, ამასთან, ჰედონისტური სიამოვნებებიც უნინდებურად აღარ ინვესტურისტებში ადრენალინის დიდი დოზით გამოყოფას და მინც, **ბერლინი** დღესაც რჩება დომინირების მოყვარულთა მსოფლიო დედაქალაქად: იქაურ (ახლა უკვე ლეგალურ) კლუბებში უხვად იხილავთ ჯაჭვებს, ხელბორკილებს, მათრახებსა და სანამებულ კომპლექტებსაც — მათთვის, ვისაც ტყვილის მინიჭება ან თავად შეგრძნება უყვარს. მიუხედავად ყველაფრისა,



ამსტერდამი

### გარყვნილების საუფლოს პირველი ათეული



რიო

„ცოდვილი“ დედაქალაქების ათეულში ბერლინს ბოლო ადგილი ერგო.

მეცხრე ადგილი სავსებით სამართლიანად, ჩინურ **მაკაოს** ეკუთვნის. იქ გარყვნილებისა და ცოდვათა სათავე შორეული საუკუნეების სიღრმეში იკარგება. ნახევარკუნძულზე ჯერ კიდევ პორტუგალიელთა გამოჩენამდე, მაკაო, რომელიც მეთევზეთა მფარველი ქალღმერთის, ამაჰს პატივსაცემად დაარქვეს, მათთვის არა მარტო ნავსაყუდელს წარმოადგენდა, არამედ მეკობრეთა ბუნაგადაც ქცეულა. იმ დროიდან მოყოლებული, მაკაოში საექსო წარმოშობის ფული და მისი თანმშლები — ბანდიტიზმი და პროსტიტუცია ყვაოდა. ამას ჩინეთისთვის დამახასიათებელი, ოპიუმის მოხმარების მდიდარ ტრადიციას თუ დაფუძავტებთ, იოლად მიგვადებით, რომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან, მაკაოს ნავსადგური ცოდვილთა საუფლოს წარმოადგენდა. XVI საუკუნეში ჩინეთში ჩასულმა პორტუგალიელებმა ყველა მეკობრე დაცხრილეს ან ჩამოახრჩვეს, მაგრამ შემდეგ, თავადაც ამ საქმიანობას მიჰყვეს ხელი და ადგილობრივ ყაჩაღებსაც

გადააჭარბეს. ჩინელებმა ასეთი ბარბაროსობა ვერ აიტანეს და პორტუგალიელებს მათ მიწაზე გამოჩენა აუკრძალეს. კათოლიკური ეკლესიის დროშის ქვეშ მოკალათებული მაკაო გამოწაკლისს წარმოადგენდა და ის ცოდვის, ძალადობის საუფლოდ იქცა. უკვე XVII საუკუნეში ფრანცისკელი ხოც ხესუს მარია წერდა: „მოცრო პორტუგალიურ კოლონიამი თამაში, ლოთობა, ყაჩაღობა, ქურდბაცაცობა, მუშტი-კრივი, თალითობა და ათასგვარი სხვა ცოდვა ბატონობს“. მისიონერის მიერ ჩამოთვლილი მანკიერებები დღევანდელ მაკაოშიც ყვავის, თუმცა შეიარაღებულმა ყაჩაღობამ და ქურდობამ შესამჩნევად იკლო. სამაგიეროდ, ახლა ეს ნახევარკუნძული — თამაშის მანიტი შეყვრობილთა ნამდვილ მექას წარმოადგენს. სწორედ იქ მდებარეობს მსოფლიოში უდიდესი კაზინო. ჩინელები, ისევე როგორც სხვა ეროვნების ტურისტები, იქ მხოლოდ აზარტის გამო როდი ჩადიან; მაკაოში ლეგალიზებულია პროსტიტუცია.

ის, რაც ჩვენ სავსებით მისაღებად მიგვაჩნია, ირანსა და საუდის არაბეთში საშინელ

საყარო

განრისხებას იწვევს და სიცოცხლის ფასადაც შეიძლება დაგვიჯდეთ. ამიტომ, იმისათვის, რომ საკუთარი კიდურები ან სულაც, თავი საფრთხის ქვეშ არ ჩააყენონ, ორთოდოქსული საუდის არაბეთის მკვიდრი არაბები სისტემატურად, მეზობელი



ბაჰრეინის დედაქალაქ მანამაში „იპარებიან“. თავის დროზე, პორტუგალიელმა კათოლიკეებმა ამ ქალაქსაც დააჩინეს საკუთარი კვალი, მაგრამ XX საუკუნეში იქ საკუთარი ფულიც გაუჩნდათ — ბაჰრეინში ნავთობი აღმოაჩინეს. დიდი ფულის თანხმლებ ცოდავთა აყვავებას დღემდე, ისლამის ძლიერი გავლენა აფერხებს, მაგრამ მაინც, მანამაში გაცილებით მეტი თავისუფლებაა, ვიდრე სხვა არაბულ სახელმწიფოებში. ცეცხლში ნავთს საუდის არაბეთიდან მასობრივად ჩასული ტურისტები ასხამენ, რომლებიც შარიათის უმკაცრესი მარწმუნებისგან დროებით თავისუფლდებიან.

რეიტინგში მერვე ადგილი ლუიზიანის შტატის ქალაქ ახალ ორლეანს ეკუთვნის. XIX საუკუნიდან იქ ფრანგები იყვნენ დამკვიდრებულნი, რომლებმაც ენ. ახალი სამყაროს ამ ცალკე ალბუბულ მხარეში არა მარტო შანსონი და კრუსანნი, არამედ სიყვარულის ხელოვნებაც ჩაიტანეს. ევროპული დოგმებისა და რწმენებისგან თავისუფალ, ამერიკულ ნიადაგზე ეს ხელოვნება მოსახლეობის უმეტესი ნაწილის საყვარელ საქმიანობად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ პროსტიტუცია ახალ ორლეანში კვლავ კანონგარეშეა, ადგილობრივი ხელისუფალნი „ღამის პეპლებსა“ და მათ კლიენტებს მონყალე თვალთ უყურებენ. ტრადიციები ძნელად იცვლება: ორლეანში უამრავი გასართობი დაწესებულებაა, რომელიც ერთობ გულახდილ სახელწოდებას ატარებს, მაგალითად: Live Sex Shows-ან Wash the Give Youv Choice. ამას ემატება მეორე უბედურება: ახალ ორლეანში მოთარეშე დრავდილერებზე (ნარკოტიკების გამსაღებლებზე) არაერთი ფილმია გადაღებული, ხოლო მომავდინებული ნამალი ამ ქალაქში განსაკუთრებით იაფია.

მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებულ ქალაქის სახელი **მაკაო** თავისთავად, ბევრ რამეს აკისრებს: აკრძალული ხილის ფასები განსაკუთრებულად მაღალია, სამაგიეროდ, არჩევანიც დიდია. ალბათ, სულ

რალაც, 1-2 წელი იქნება საკმარისი იმისათვის, რომ „ცოდვილი ქალაქების“ ნუსხაში მოსკოვი პირველ ხუთეულში შევიდეს, ჯერჯერობით კი — ექვსეულშია. და მაინც, მოსკოვის საქმე საამაყოდ აქვს: ამ სიაში მან „ცოდვების ლეგენდება“ ცნობილი ქალაქებიც კი უკან ჩამოიტოვა.

მას ბევრად უსწრებს რიო! მართლაც, ვინ შეედრება ცეცხლოვან ბრაზილიელ ლამაზმანებს?! ახლა მათ მიერ მოწყობილი კარნავალები გავისხენოთ.. **რიო-დე-ჟანეირო** საუცხოო ქალებით, ტემპერამენტითა და მაგარი სპორტიანი სახმელებით გამოირჩევა. მართალია, რუსეთის დედაქალაქის ზოგიერთი გარეუბანი შიშის ზარს სცემს მარტოხელა გამვლელებს, მაგრამ საშროების მხრივ, ის ახლოსაც ვერ მივა რიოს უღარიბეს უბნებთან, რომელთაც სისხლსა და კოკაინში არაერთგზის ჩაძირულ, ე.წ. ღვთის ქალაქის მემკვიდრედ მიიჩნევენ.

როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჭვროს, **ლას-ვეგასი**, რომელსაც „ცოდვის ქალაქის“ სახელის დაბადებას უნდა ვუმაღლოდეთ, უკვე კარგა ხანია, ყველაზე გარყვნილი ქალაქების სიას აღარ უდგას სათავეში, მაგრამ იქ უწინდებურად იყრიან თავს სხვადასხვა შტატის მკვიდრი, აკრძალულ სიამოვნებათა მოყვარულები. „რულეტკაც“ უკვე დიდი ხანია, აღარ წარმოადგენს გართობის ყველაზე მიმზიდველ სახეობას. ამიტომ, სანამ საშუალო სტატისტიკური შუახნის მენეჯერი სათამაშო მაგიდას უზნი, ადამიანები, რომლებსაც კანონი დიდად არ ეპიტნავენ, მაგრამ არც ზედმეტი პრობლემები ხიბლავთ, ლას-ვეგასში ჩაფრინდებიან, ეს კორტად ერთ-ერთ ლამაზმანს აიყვანენ, ახალთახალი „უზის“ სასროლეთით გაერთობიან (ნებისმიერი იარაღი თავისუფლად იყიდება, საკმარისია მხოლოდ მანქანის მართვის უფლების საბუთი წარმოადგინო), ღამეს კი პოკერის თამაშში გაატარებენ, ოღონდ — ნაკლებად ცნობილ კაზინოს VIP-ოთახში... სწორედ ასეთ ყმანვილებზე დგას დღესდღეობით ლას-ვეგასი; სწორედ ისინი არ აძლევენ ცოდვილ ქალაქს უფლებას, მსოფლიო გარყვნილების რეიტინგში მეოთხე ადგილზე დაბლა ჩამოვიდეს.

მაგრამ უფრო „მშვიდობიან“ ცოდავთა მიმდევარი გაცილებით მეტია. სხვა შემთხვევაში, **ამსტერდამი**, „ბრინჯაოს“ ვერ დაისაკუთრებდა. ნარინჯისფერ ქალაქში გავრცელებული ყველა ეროტიკული და ნარკოტიკული სიამოვნების მემილიონედ ჩამოთვლას აზრი არა აქვს. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ამსტერდამში სრული თავისუფლებაა და ეს ყველაფერი საუცხოოდაა შეზავებული უმაღლესი ევროპულ კულტურასთან. მოხდენილი და ლამაზი ჰოლანდიელების სახეები თითქოს, ამბობენ:



„დამნაშავეობა აქ მართლაც, გავრცელებულია, მაგრამ აბა, ნახეთ, რა მშვენიერია ჩვენი ქალაქი“. ამსტერდამი გვარწმუნებს, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს ჰედონიზმისა და კულტურის საუცხოო შერწყმის მაგალითები.

**ტიხუანა** ასეთი ადგილების რიგს ნამდვილად არ განეკუთვნება. ეს არის ტურისტებისთვის განკუთვნილი პუნქტი, სადაც ცოდვების ჩადენის მოყვარულთ დიდი ასპარეზი აქვთ და მათ არავითარ მუზეუმს, ძვირად ღირებულ კაზინოებსა თუ კაბარეებს არ სთავაზობენ. მხოლოდ იქ შეიძლება, კოკაინი ტევილაზე სუფთა აღმოჩნდეს (თან, მასზე არცთუ ისე ძვირად). თავგადასავლების მოყვარულებს ფართოდ გაუღებს კარს საკმაოდ ნორმალურად მოწყობილი ბარი, საიდანაც მას რამდენიმე ათეული წყვილი თაფლისფერი თვალი შენათებს არ სულ რამდენიმე წუთში, ეს ადამიანი შეიძლება, საფულის გარეშე აღმოჩნდეს, ხოლო თავი, თმაში შედედებული სისხლის ლაქით ჰქონდეს „დამშვენებული“; ასეთია ამ ქალაქისთვის დამახასიათებელი მექსიკური რიფრაჟი... სცენარი იმდენად შაბლონურია, რამდენადაც დაუჯერებელი და ამიტომაც, ტიხუანას „ვერცხლი“ მიანიჭეს.

აი, პირველი ადგილი კი, სავსებით დამსახურებულად, ტალიანდურ **პატაია** ეკუთვნის. თუ ტიხუანა ექსტრემალ, მაგრამ მაინც, ტრადიციულ, სექსტურისტებს იზიდავს,

პატაიაში სავსებით ლეგალური ტრანსვესტიტები არასრულწლოვან გოგო-ბიჭებს პოპულარობით ეჯიბრებიან. პედოფილია პატაიასთვის ნამდვილ უბედურებას წარმოადგენს და მთელი მსოფლიოდან ყველაზე გარყვნილ სუბიექტებს იზიდავს. არადა, მოზარდთან სექსმა შეიძლება, ძალზე „არასტუმართმოყვარე“ ტალიანდურ ციხეში ამოგაყოფინოს თავი, ისევე, როგორც ნარკოტიკის შენახვამ. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ტალიანდის ხელისუფლებამ საზოგადოებას ჯერ კიდევ 2003 წელს უშატავა ნარკომაფიზმზე საბოლოო გამარჯვების შესახებ, ეს ძალზე შორსაა სინამდვილისგან, მით უმეტეს, რომ ამ სენთი ტეკობას ცხელი კურორტის აღმოსავლეთი უწყობს ხელს. სამაგიეროდ, პატაია — მსოფლიოში პირველ ადგილზეა გარყვნილ ქალაქებს შორის.

# FERRARI-სა და ABARTH-ის ერთობლივი პროექტი

„ფერარი“ და კომპანია Abarth-მა ერთობლივად შეიმუშავეს ჰეჩბეკის — Fiat 500 Abarth esseesse — სპეციალური მოდიფიკაცია, რომელიც შეზღუდული ტირაჟით, მხოლოდ 200 ეგზემპლარად გამოვა.



როგორც მოსალოდნელია, სიახლეს ფრანკფურტის მსოფლიო ავტოსაფხვრის კვირის შემდეგ წარადგენენ. Fiat 500-ის სპეციალურ ვერსიას 695 Tributo Ferrari ეწოდა. ავტომობილი „ფერარის“ საფირმო ფერად — წითლად შეიღებება და 180 ცხ.დ. სიმძლავრემდე ფორსირებული, 1,4-ლიტრიანი ბენზინის ტურბომოტორით დაკომპლექტდება, რომელიც სიჩქარის ახალი 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფით იმუშავებს. სიახლის დინამიკური მაჩვენებლების შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი. შეგახსენებთ, რომ სტანდარტული Fiat 500 Abarth esseesse 160 ცხ.დ. სიმძლავრის ძრავათა ალტურვილი და მწარმოებელთა მონაცემებით, 100 კმ/სთ



სიჩქარეს 7,4 წამში ავითარებს. მანქანას Brembo-ს მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმები და BBS CH-ის ახალი, 17-დუმიანი ბორბლების დისკები უყენია, რომელთა დიზაინი სუპერავტოს — Ferrari 360 Stradale — დიზაინს ჩამოჰგავს. ავტომობილში კარბონისკარკასიანი განსხვავებული სავარძლები და ახალი საჭე დამონტაჟდება. სიახლის ფასი უცნობია.

## „ვოლვოს“ სიახლე

ცოტა ხნის წინ კომპანია „ვოლვო“ გაავრცელა ოფიციალური ინფორმაცია განახლებული ჰეჩბეკის — C30 — შესახებ, რომელსაც ფრანკფურტის ავტოსაფხვრის კვირის შემდეგ წარადგენენ. სიახლეს შეცვლილი დიზაინის ექსტერიერი, მათ შორის, განსხვავებული წინა ფრთები, ძარას შეფერილობის ახალი ვარიანტები, განახლებული სალონი და ბორბლების დისკების ხაზი აქვს — მყიდველებს პირველად მანქანის თეთრად შეღებილ დისკებს შესთავაზებენ. განახლებული ჰეჩბეკის — Volvo C30 — ძარას წინა ნაწილის დიზაინი, მომდევნო თაობის მოდელის — S60, აგრეთვე, კროსოვერის — XC60 და რესტაილირებული კუპე-კაბრიოლეტის — C70 — სტილშია შესრულებული. წინამორბედისგან მანქანა წინა ბამპერით, რადიატორის ახალი ცხაურითა და შეცვლილი ფარებით განსხვავდება. ამასთან, ვერსიებს — D5 და T5 — დამატებით, 90 მმ-ის დიამეტრის გამომშვებ მილაკებზე ფოლადის დეტალები დაუმონტაჟდება; C30-ს უფრო მძლავრი ამორტიზატორები და გადაწყობილი საჭის მართვა აქვს. ძრავათა გამა წარმოდგენილია 5 ბენზინის მოტორით — 1,6-დან 2,5 ლიტრამდე მოცულობითა და შესაბამ-

ისად, 100-დან 230 ცხ.დ. სიმძლავრით. დიზელთა შორისაა 1,6, 2,0 და 2,4-ლიტრიანი აგრეგატები, რომლებიც 109-დან 180-მდე ცხ.დ. სიმძლავრეს ავითარებენ. 5-ცილინდრიანი ბენზინისა და დიზელის ძრავები, ასევე, 2-ლიტრიანი მოტორი 6-საფეხურიანი მექანიზმით ან 5-სიჩქარიანი „ავტომატით“ აღიჭურვება. 2-ლიტრიანი ბენზინის ძრავა 6-საფეხურიანი ავტომატური სიჩქარის გადაცემათა კოლოფით იმუშავებს. ყველაზე ეკონომიური C30, „ვოლვოს“ მონაცემებით, 100 კმ მანძილის დასაფარავად 3,9 ლ სანავს მოიხმარს, ხოლო მანვე გამოწვეულია CO2 — დონე 1 კმ-ზე 104 გრამს შეადგენს. ამ ეტაპზე სიახლის ფასი უცნობია.



## „ლექსუსი“ ახალ ჰეჩბეკს გამოუშვებს

კომპანია „ლექსუსი“ ახალი მოდელის პროტოტიპის, კომპაქტური 5-კარიანი ჰეჩბეკის მორიგი ფოტო გაავრცელა. კონცეპტ-ავტოს LF-Ch ეწოდა. Lexus LF-Ch-ის მსოფლიო პრემიერა ერთი კვირის შემდეგ, ფრანკფურტის ავტოსაფხვრის შედეგად, კონცეპტუალურ ჰეჩბეკს პირიქითი ძრავა დაუმონტაჟდება, რაც მანქანას საშუალებას მისცემს გადაადგილდეს როგორც ელექტროგანაწევის საშუალებით, აგრეთვე, ჩვეულებრივი ბენზინის ძრავისა და ელექტრომომტორის ერთობლივი მუშაობით. პროტოტიპი ალტურვილი იქნება აგრეგატივით, რომელიც საკუთარ თავში

გაერთიანებს ატკინსონის ციკლით მომუშავე 4-ცილინდრიანი, 2,4-ლიტრიანი აგრეგატს, ნიკელ-მეტალჰიდრიდის აკუმულატორებს, ელექტრომომტორსა და ვარიანტორს. დანადგარის ჯამური სიმძლავრე 187 ცხ.დ. იქნება. ზოგიერთი მონაცემით, სერიული ჰეჩბეკი წინამორბედი იქნება (ამ მომენტისთვის, მარკის ყველა მოდელი უკანა ან სრულამძრავიანი სახითაა წარმოდგენილი) და მას Lexus CT ერქმევა. აღსანიშნავია, რომ იაპონურმა კომპანიამ აშშ-ში უკვე რეგისტრაციაში გაატარა სახელწოდებები — CT 200h, CT 300h და CT 400h.

სიახლე კონკურენციას გაუწევს Audi A3-ს, BMW 1-Series და ევროპაში უფრო იაფი ელირება, ვიდრე დიზელის მოტორით აღჭურვილი სედანი IS.



## კალაფი საკუთარ მანქანას გამოუშვებს

ლიბიის ლიდერმა მუამარ კადაფიმ 40 წლის იუბილეს აღნიშვნა საკუთარი სუპერავტოს გამოშვებით გადაწყვიტა, რომელიც მისივე სურვილების შესაბამისად შეიქმნა. კადაფის ავტომობილის აწყობით იტალიური კომპანია Tesco TS იყო დაკავებული. სუპერავტოს The Rocket ეწოდა, ხოლო მისი სახე თავად კადაფიმ შეიმუშავა. ავტომობილის გაბარიტული სიგრძე 5,5 მ, ხოლო მასა 1,8 ტონაა. Tesco AS-ის წარმომადგენელთა თქმით, პროტოტიპის აგება კადაფის 2 მილიონი ევრო დაუჯდა. ამ მანქანის მასობრივი წარმოების შესახებ არაფერია ცნობილი.



# 10 მითი სილაბაგის შესახებ

## 1. ივარჯიშეთ და წონაში დაიკლებთ

მხოლოდ ჩვეულებრივი ტანვარჯიშითა და დილის გამამხნევებელი ვარჯიშით გახდომა შეუძლებელია. იმისთვის, რომ წონაში 1 კგ დაიკლოთ, დღეში 8000 კალორია მაინც უნდა დახარჯოთ — მაშინ, როდესაც ნახევარსაათიანი ვარჯიშის შედეგად ორგანიზმი მხოლოდ 300 კალ-ს კარგავს. თუმცა, ტანვარჯიში სხვა სპეციალურ საშუალებებთან ერთად, გახდომაში ნამდვილად დაგეხმარება.

## 2. საუნაში ზედმეტ წონას დაქარავთ

საუნაში ოფლის გამოყოფის ხარჯზე მართლაც კარგავთ დაახლოებით 2 კგ-მდე წონას, რაც ორგანიზმიდან წყლის აორთქლების ხარჯზე ხდება. სამწუხაროდ, „ზედმეტი კილოგრამები“ ძალიან მალე — რამდენიმე საათში აღდგება.

## 3. არსებობს ისეთი დიეტები, რომელთა საშუალებით ერთხელ და სამუდამოდ გახდებით

ნებისმიერი დიეტა ნიშნავს ადრენალინის გამოყოფის შემცირებას, რომელიც ცხიმების წვის ხელშეწყობია. ასე რომ, დიეტის კურსის გავლის შემდეგ წონაში მალევე მოიმატებთ, თუ არ გააკონტროლებთ კვების რაციონს, არ შეზღუდავთ ცხიმებისა და ნახშირწყლების მიღებას.

## 4. რაც უფრო იზვიათად ჭამთ, მით მალე იკლებთ

ადამიანი დღეში 3-ჯერ მაინც უნდა იკვებოს. თუ მან საუზმე გამოტოვა, მაშინ სადილად 2-ჯერ მეტს შეჭამს; ხოლო თუ სადილის გამოტოვებაც ხშირად უნებს, ამ ყოველივეს რეჟიმიდან ამოვარდნა მოსდევს, ორგანიზმი ვეღარ ასერხებს ზედმეტი კალორიების დაწვას და მას ცხიმის სახით ინახავს. მღრღნელებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ 3-ჯერადი კვებისას მათი წონა უცვლელი დარჩა, მაშინ, როცა ერთჯერადი კვების შედეგად იმავე რაოდენობის საკვების მიღებისას, წონის შესაჩნვეი მატება დაეტყო.

## 5. ხილი არ ასუქებს

ნებისმიერი ხილი შექარს შეიცავს, ე.ი. ორგანიზმს კალორიებით ამარაგებს. ზოგი სახეობის ხილი, მაგალითად, ბანანი, ყურძენი, გაცილებით აქტიურად „ესმარება“ ორგანიზმს წონის მომატებაში, ვიდრე ცომეული და საკონდიტრო ნაწარმი. ამ-

იტომ თუ ხილის დიეტაზე ხართ, მიირთვით საზამთრო, გრეიპფრუტი, ყოლო, მარწყვი, ქლიავი, ანანასი. სხვათა შორის, ანანასიც საკმაოდ მდიდარია შაქრით, მაგრამ წონისთვის უსაფრთხო ხილია, რადგან შეიცავს ბრომელისს — ნივთიერებას, რომელიც ცხიმების წვას უწყობს ხელს.

## 6. ხალებისა და პიგმენტური ლაქების მოცილება არ შეიძლება

თუ ხალები და პიგმენტური ლაქები სხეულის ისეთ ადგილებში გაქვთ, სადაც ხახუნის დიდი ალბათობაა; ან ისინი ფერსა და ზომას იცვლიან, აუცილებლად უნდა მოიცილოთ, მაგრამ არა დამოუკიდებლად, არამედ სპეციალისტის დახმარებით.

## 7. დეკორატიული ყოსმეტიკა ჯანს აფუჭებს

მაკიაჟი არანაირად არ მოქმედებს კანის მდგომარეობაზე, თუ რასაკვირველია, ხარისხიან კოსმეტიკას იყენებთ. კარგი კანი, პირველ რიგში, მემკვიდრულ ფაქტორზე დამოკიდებული, შემდეგ — ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, დაბოლოს — ასაკზე. ჯანმრთელი, მოვლილ კანს კოსმეტიკური საშუალებები ვერაფერს დააკლებს.

## 8. ტონალური კრემი და მაკიაჟის ქვეშ გაკეთებული დამცავი საფარი ჯანს სუნთქვის საშუალებას არ აძლევს

თანამედროვე საშუალებები იმდენად დახვეწილია, რომ წარმოუდგენელია, კანს სუნთქვაში ხელი შეუშალოს. ჯანმრთელი კანი შესანიშნავად უძლებს ასეთ საფარს. პირიქით, მისი მემკვიდრებით კანი საიმედოდაა დაცული ქარისა თუ მზის მავნე ზემოქმედებისგან; გარდა ამისა, დამცავი საფარი ხელს უწყობს კანის ტენიანობის შენარჩუნებას.

## 9. ვიტამინი ხარისხიანი ნამზუურის გარანტიაა

სინამდვილეში A ვიტამინს ნამზუურთან არანაირი კავშირი არა აქვს. ეს მცდარი აზრი შესაძლებელია იქიდან წარმოიშვა, რომ კაროტინის გადაჭარბებული რაოდენობით მიღებისას კანი მოყვითალო ელფერს იღებს.

## 10. სახის კუნთების ვარჯიში ნაოჭების წარმოქმნას უშლის ხელს

ნაოჭები, უპირველეს ყოვლისა, კანის დაბერების ნიშანია და გამონეულია კოლაგენის ნაკლებობით. ამ პროცესის შეჩერება არაფერს — მათ შორის არც ვარჯიშებს შეუძლია. სამაგიეროდ, ვარჯიში კანს ელასტიკურობის შენარჩუნებაში ეხმარება და მიმოკური ნაოჭების წარმოქმნას უშლის ხელს.

### ვისკის გააბრილაბელი კოქტეილი



### მასალად საჭიროა:

- 1 კუბურა ყინული, 1,5 ჩ/ჭ ვისკი, 1 წილი ლიმონის წვენი, 1 წილი შაქრის სიროფი, სპირალურად დაჭრილი ლიმონის კანი.

ათქვიფეთ ლიმონის წვენი და ვისკი ყინულთან ერთად. ჩაასხით ფართო ჭიქაში. გააფორმეთ ჩხირზე ნამოცმული ლიმონის კანით.

### სოკსი ტომატის ბარნიკით

### მასალად საჭიროა:

- 1 კგ ხბოს ხორცი;
- 2 ს/კ ტომატის პასტა;
- 4 თავი ხახვი;
- 2 ს/კ ფქვილი;
- მარილი;
- ზეთი.

ბრტყლად, შუაზე გაჭრილი ხბოს ხორცი შეწვით ზეთთან, ღრმა ტაფაში. გააკეთეთ ტომატის სოუსი: ცალკე მოშუშეთ ხახვი ტომატის პასტასთან ერთად და დაუმატეთ მოშუშული ფქვილი, ასევე წვრილად დაჭრილი ოხრახუში და მარილი. დაჭერილი ხორცი სასურველი ფორმის ნაჭრებად, დაანყვეთ თევშზე და მოასხით მომზადებული ტომატის სოუსი.



# როგორი ფერის თეთრული მოგწონთ?



აღმოჩნდა, რომ ესოდენ ამოუცნობი და იდუმალი არსების — ქალის უკეთ შეცნობა და მისი ხასიათის დაფარული მხარეების გაგება იმის მიხედვითაც შეიძლება, თუ რა ფერის თეთრულს ამჯობინებს იგი.

**ყვითელი** თეთრულს კეთილგანწყობილი და ოპტიმისტი ქალები ეტანებიან, ისინი არ ცნობენ არსებულ ტრადიციებს და საზოგადოებაში ქცევის მიღებული ნორმებს. ასეთი ქალები სიცოცხლით აღსავსენი და გულახდილები არიან. ერთი შეხედვით, თითქოს გულუბრყვილოებიც ჩანან, მაგრამ სინამდვილეში კარგად იციან საჭირო ზღვრის დაცვა ურთიერთობაში.

**თეთრი** — ენ. ციკსისხლიან და ჭკვიან ქალებს მოსწონთ. ამ ტიპის ქალებისათვის მთავარი შედეგია, ხოლო ის, რა გზით შეძლებენ სასურველი მიზნის მიღწევას, სრულებით არ აღეგულებ. მათთვის „მიზანი ყოველთვის ამართლებს საშუალებას“.

**სტაფილოსფერი** ახალი იდეებით სავსე, გამირული საქციელისთვის მუდამ მზად მყოფი ქალები ამჯობინებენ. ასეთი ქალები მძაფრი განცდებისკენ ისწრაფვიან. რეალობა მათთვის ზედმეტად პირქუში და ნაცრისფერია, ამიტომ მუდამ ცდილობენ ცხოვრების გადახალისებას; ძალიან უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა.

**წითელი** — ენერგიული, აქტიური ქალებისთვისაა განკუთვნილი. მათ არ ერიდებთ თავიანთი სურვილებისა და გრძნობების დემონსტრირების, საოცარი ფანტაზიის უნარი აქვთ და ტემპერამენტებიანებიც არიან. წითელი თეთრულს

მოყვარული ქალბატონები ბავშვობიდანვე ლიდერობისკენ ისწრაფვიან და ენთუზიაზმით ჰკიდებენ ხელს ახალ საქმეებს. მათ გარშემო მყოფებს კი სიფრთხილე მართებთ — არავინ უნდა შეეხოს მათ თავმოყვარეობას.

**ვარდისფერი** — ნაზი და დელიკატური ქალების არჩევანია. სენტიმენტალობა და მოჭარბებული რომანტიკულობა სწორედ რომ მათი საქმეა. ასეთი ტიპის ქალებს ყველაფერი ადვილად სწყინთ, ეშინიათ კონფლიქტების და მზად არიან, იოლად დათმონ პოზიციები, ოღონდაც კი ირგვლივ სიმშვიდე და ურთიერთთანხმობა სუფევდეს.

**იასამნისფერი** საკუთარ თავში ჩაკეტილი და გარეგნულად ცივი ქალები ანიჭებენ უპირატესობას. ისინი უმეტესწილად, გულგრილი ადამიანის როლს თამაშობენ, სინამდვილეში კი მთელი არსებით სურთ, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოხვდნენ.

**ლურჯი** — პუნქტუალური, მონეტარიგებული ქალების საყვარელი ფერია. ამ ტიპის

ქალებს სიამოვნებას ანიჭებს სხვებისთვის დახმარების განევა, დაინტერესებულნი არიან გარშემო მყოფთა პირადი ცხოვრებით; ახლობლებს კი ჭკუის დარიგებითა და მორალის კითხვით ხშირად თავს აბეზრებენ — შეიძლება ითქვას, ეს მათი ჰობია.

**ცისფერი** — მეოცნებე ქალებს უყვართ. ისინი ვერასოდეს სჯერდებიან მიღწეულს, დაუღალავად იქექებიან წარსულში და ოხვრით იხსენებენ გარდასულ ტკბილ დღეებს. ამასთანავე, გამუდმებით რალაცით უკმაყოფილონი არიან, რალაც არ მოსწონთ პარტნიორ მამაკაცში და ხელახლა, კვლავ უშედეგოდ იწყებენ იდეალის ძებნას.

**მწვანე** თეთრულის მოყვარულ ქალებს საოცრად გამახვილებული ინტუიცია აქვთ; ძალიან უყვართ მეგობრებთან ყოფნა, მაგრამ არანაკლებ — ოჯახური გარემო და მოვლილი სახლი. დაუღალავად ზრუნავენ ბავშვებსა და შინაურ ცხოველებზე. ემოციის სახალხოდ გამოხატვა მათი სტილი არ არის.

**რუხი** თეთრული თითქმის არაფრით გამორჩეულ ქალებს მოსწონთ. სამაგიეროდ, ისინი უზომოდ ერთგულნი არიან და კარგად იციან მეგობრობის ფასი.

რაც შეეხება **შავ** თეთრულს, ის იმდენად მასობრივ მოხმარებაშია, რომ თითქმის ყველა ტიპის ქალი იყენებს, ამიტომ ამ ფერის თეთრულის მიხედვით მისი ხასიათის გამოცნობა ნაკლებად შესაძლებელია.

## კაკტოფილის სალათა

მასალად საჭიროა:

- 2 ცალი ხახვი;
  - 75 გ კურკაგამოცლილი შავი ზეთისხილი;
  - 2 ს/კ მცენარეული ზეთი;
  - მარილი, ლიმონის წვენი ან ძმარი — გემოვნებით.
- მომზადების წესი:**  
კარგად გარეცხილი კარტოფილი მარილიან წყალში კანიანად მოხარშეთ. შემდეგ გაფცქვენი და დაჭერით კუბურებად. შეურიეთ წვრილად დაჭრილი, მოშუშული ხახვი, ასევე წვრილად დაჭრილი ზეთისხილი. ყველაფერი თასზე მოათავსეთ, მოასხით ზეთი, ლიმონის წვენი (ან ძმარი), დაუმატეთ მარილი და კარგად აურიეთ. მზა კერძი შეგიძლიათ მწვანე სალათის ფოთლებით გააფორმოთ.



### სალათა შავოლილი სულუგუნით

მასალად საჭიროა:

- 300 გ კარტოფილი;
- 300 გ შებოლილი სულუგუნი;
- 2 თავი ხახვი;
- 100 გ მაიონეზი;
- მარილი, შავი პილპილი გემოვნებით.

მოხარშული კარტოფილი დავჭრათ წვრილად, დავამატოთ ასევე წვრილად დაჭრილი სულუგუნი, ხახვი და შევანელოთ მარილით, პილპილითა და მაიონეზით.

საყვარო

ანტილავკასანტი

ინფორმაციულ-ხელოვნებითი კოლაჟი

ეოზა ღვალის უბის წიგნაკრძან:

1. „დსთ“-ის შტაბბინა მინსკში მდებარეობს.
2. რენუარი 1919 წელს ძილში გარდაიცვალა.
3. ინდირა განდის 31 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი.
4. ვლადიმირ პუტინი კარგად ფლობს გერმანულ ენას.
5. იანგული ალექსანდრიდის ვირს სახელად აპოლონი ერქვა.
6. ნინო სურგულაძის საოპერო დებიუტი ლა სკალაში შედგა.
7. მოსკოვში აღმართული პეტრე პირველის ძეგლის ავტორი ზურაბ წერეთელია.
8. საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ევგენი მიქელაძის სახელობისაა.
9. 1995 წელს იაპონიის ქალაქ კობეში მინისძვრამ 120 ათასი შენობა გაასწორა მინასთან.



10. ნონა გაფრინდაშვილი ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონია და თერთმეტგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

11. ყველაზე მაღალი ძველრომაული აკვედუცი პონდუ გარი სამშენებლო დუღის გარეშე აშენდა.

12. „მეტი შავი ქვა პარტიას“, — ასეთი ლოზუნგი

ჰქონდათ თავის დროზე ტყიბულელ მემხატეებს.

13. „ვ რასიი მუჟიკ შტო რებიონოკ ბალსოი, ონ დაჟე ვ ნასუ კავირიაც ს დუშოი“, — ამბობენ რუსები.

14. საქართველოში როიალი და ინგლისური ბილიარდი პირველად ალექსანდრე ჭავჭავაძემ შემოიტანა.

15. მერილინ მონროს ყოველთვის პანიკურად ეშინოდა კამერის გადასაღებ მოედანზე ისე წერვიულობდა, რომ ხშირად პირველი დუბლის გადაღებამდე იყო სრულიად გამოფიტული.

16. ცელოფანის პაკეტი 1912 წელს გამოიგონეს. თერმული ნებოს უქონლობის გამო თავდაპირველად პაკეტებს თეთრი ძაფით კვრავდნენ.

17. მინის სიღრმეში 105 მეტრზე მდებარე კივის მეტროს სადგური „არსენალსკაია“ ყველაზე ღრმა არის მსოფლიოში.

18. ცნობილი ფერმწერი ივან აივზოვსკის ნამდვილი სახელი და გვარი ოვანეს აივზიანი გახლდათ.

19. ფლორიდის საკურორტო ქალაქ პენსაკოლში მცხოვრებ ედი ბერინსტაინს, რომელსაც სარკინიგზო კატასტროფის დროს ორივე ფეხი ჰქონდა დაკარგული, თანამოქალაქები წარმატებულ ბიზნესმენად იცნობდნენ. ეს კაცი ექვსი თვე მშობლიურ ქალაქში ცხოვრობდა, ექვს თვეს კი ვაშინგტონში ატარებდა. ქვეყნის დედაქალაქში გატარებული თვეები, სადაც ბერინსტაინი

ყველაზე ორიბინალური ქუჩები

ყველაზე მოკლე ქუჩა შოტლანდიაში, 1883 წლიდან მდებარეობს. 2-მეტრიან ქუჩას მხოლოდ ერთი ნომერი აქვს;

ყველაზე გრძელი ქუჩა ამერიკის ორივე კონტინენტზეა გადაჭიმული. მისი სიგრძე 48 ათასი კმ გახლავთ. ჰაივეი აშშ-ს, კანადას, მექსიკას, პერუს, არგენტინასა და ელ-სალვადორში მდებარეობს;

ყველაზე ვიწრო — პარლამენტის ქუჩა ინგლისშია. მისი სიგანე 64 სმ-ია. თავდაპირველად, ქუჩას „ვიწრო“ ერქვა. მხარბეჭიან მამაკაცს მასზე გავლა გაუძნელდება;

გიზის პირამიდებთან მისასვლელი გზა 46 საუკუნისაა;

ბუენოს-აირესში (არგენტინა) ყველაზე განიერი ქუჩაა — „ხულიო ავენიუ“;

სან-ფრანცისკოში (კალიფორნია) მდებარე „ლომბარტ სტრიტი“ ყველაზე



მიხვეულ-მოხვეულია; ინგლისში, მარჯვენა მხარეს მოძრაობა მხოლოდ ერთ ქუჩაზეა შესაძლებელი.

აშშ-ის შტატები

აიდაჰო „განძის მთას ნიშნავს“; ვაშინგტონს ჯორჯ ვაშინგტონის პატივსაცემად დაერქვა სახელი; ვირჯინიას ინგლისის ქალწული-დედოფლის, ელისაბედ II-ის სახელი ეწოდა; დელავერს გუბერნატორ დე ლა ვერის სახელი დაარქვეს; კოლორადო მდინარის სახელია, რომელიც ესპანურად, შედებილს ანუ ფერადს ნიშნავს; მიჩიგანს, ინდიელთა ენაზე,

„დიდი მთა“ ჰქვია; მონტანა ესპანურად „მთიანს“ ნიშნავს; ნიუ-ჰემფშირის სახელწოდება ინგლისის საგრაფო ჰემფშირიდან, ნიუ-იორკის — ინგლისის ქალაქიორკიდან მომდინარეობს; ნიუ-მექსიკო, ატტეკების ენაზე, „ომის ღმერთს“ ნიშნავს; ტეხასი, ინდიელების ენაზე, „მეგობარს“, ხოლო ფლორიდა, ესპანურად „აყვავებულს“ ნიშნავს.

სილამაზის ეტალონი



მიანმასა და მასაის ტომის ქალები ყელს რკინის რგოლებით იგრძელებენ. ყველაზე ლამაზ ქალს 40 რგოლი უნდა ჰქონდეს. სხვათა შორის, რკინის რგოლების საშუალებით მამაკაცებს ცოლის დასჯაც შეუძლიათ — თუ ეჭვიანი ქმარი ცოლს ლალატში გამოიჭერს, რგოლებს ერთიანად შესწის. შედეგად, თავი კისერს ვეღარ შეიკავებს, ქალს კისერი მოსტყდება და მოკვდება;

ჩინელ ქალს პატარა ფეხი უნდა ჰქონოდა. საბრალო გოგონებს ფეხებს ბავშვობიდან უზინტავდნენ, შედეგად კი, დროთა განმავლობაში, სილამაზის მსხვერპლი დამოუკიდებლად ფეხის გადადგმასაც ვერ

ახერხებდნენ და ამიტომაც, მათ მსახურები ზურგზე მოკიდებულს დაატარებდნენ; აფრიკის ზოგიერთ ტომში ყველაზე ლამაზად კვერცხის ფორმის თავი მიიჩნეოდა და ამიტომაც, ბავშვს დაბადებიდანვე, თავს მჭიდროდ უხვევდნენ;

ინდიელები ყურს ჩხირების საშუალებით იგრძელებდნენ;

დასავლეთ აფრიკის ტომებში ლამაზად მიიჩნევა ქალი, რომელსაც ქვედა ტუჩზე დიდი, მრგვალი ხის რგოლი აქვს დამაგრებული;

იაპონელებსაც უცნაური წარმოდგენა აქვთ სილამაზეზე. მათი აზრით, ქალს შავი კბილები ამშვენებს. ამიტომაც, გოგონებს ბავშვობიდანვე უშავებენ კბილებს;

ევროპელებისთვის ცისფერი, ნაცრისფერი და ლურჯი თვალები მიზიდაველია, ჩინელები კი ასეთი თვალის ფერის მქონე ადამიანებს მაიმუნს ადარებენ;

მაიას ტომში ლამაზ ადამიანს ელამი თვალები უნდა ჰქონოდა. ელამთვალეებს ეთაყვანებოდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ასეთებს პარალელურ სამყაროებთან და ბნელ ძალებთან ჰქონდათ კონტაქტი.



# უჩვეულო რესტორნები

ტოკიოს ერთ-ერთი რესტორანი იმითაა განთქმული, რომ ბარის გარშემო შეგიძლიათ, მინიატიურული მატარებლების მიმოსვლას დააკვირდეთ;

რუმინეთის „დრაკულა კლავში“ გრაფ დრაკულას თაყვანისმცემლები იკრიბებიან;

ჰამბურგის ერთ-ერთი რესტორანი სპეციალურად იმ მამაკაცებისთვისაა შექმნილი, რომელთა ცოლებიც საყიდლებზე დადიან. ამ რესტორანში კაცებს თოჯინებით გართობა და იმპროვიზებულ წარმოდგენებში მონაწილეობა შეუძლიათ;

აბიჯანის აფრიკულ რესტორანში ნიანგისა და ვირთხების მრავალ-



ვეროვანი კერძით გაგიმასპინძლებიან; ბეირუთის ერთ-ერთი რესტორანი ჰეზბოლათა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს. ამ რესტორნის მზარეულს სამხედრო ფორმა აცვია, სტუმრები კი ბომბა-ბურგერებს სილის ტომრებზე მსხდომნი მიირთმევენ.

## ინფორმაციულ-ჰეპატატივი კოლაჟი

### ეონა ღვალის უბის ნიგნაკიან:

მათხოვრობით შოულობდა ფულს, მას საშუალებას აძლევდა წელიწადის დარჩენილი ექვსი თვე არხენად ეცხოვრა მშობლიურ ქალაქში.

20. საბჭოთა კავშირის ჯაშუშმა ზორგემ შექმნა დედგენა, რომ იაზონია არ აპირებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებას და რომ მათ მთავარ მიზანს ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენდა. ამან სტალინს საშუალება მისცა, შორეული აღმოსავლეთიდან დასავლეთის ფრონტზე ჯარები გადმოესროლა.

21. ბევრ ევროპულ ქალაქში ებრაელებს საცხოვრებელ სახლებზე მაღალი სინაგოგების აგება ეკრძალებოდათ. ამის გამო მშენებლები არქიტექტურულ ემპაობას მიმართავდნენ და სინაგოგებში იატაკს მინის სილრემში აკეთებდნენ. ეს არქიტექტურული სტილია დაცული კრემლის ყრილობათა დარბაზსა და თეატრში „შალომ“, რომელიც საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მდებარეობს.

22. ბესარიონ ლომინაძე, ლავრენტი ქართველიშვილი, ლევან ლოლობერიძე, სამსონ მამულია, ლავრენტი ბერია, კანდიდ ჩარკვიანი, აკაკი მგელაძე, ალექსანდრე მირცხულავა, ვასილ მჟავანაძე, ედუარდ შვეარდნაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, გივი გუმბარიძე, ავთანდილ მარგინი, ჯემალ მიქელაძე — ეს სია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთა ჩამონათვალია.

23. „წარსულმა მომატყუა, ანმყო მანვალებს, მომავალი მაშინებს და რადგან წარმავალი ვარ, სირბილს სიარული მირჩევნია, სიარულს დგომას, დგომას წოლა, წოლას ძილი და ძილს კი სიკვდილი“, — წუხდა ბედის უკუღმართობის გამო გივი შადური.

24. „მე მზად ვარ შევხვედ შემოქმედს, მაგრამ ის თუ არის მზად უმადლეს სასამართლოზე ჩემს შესახებდრად?!..“ — ამბობდა ცხოვრების მიწურულს უინსტონ ჩერჩილი.

25. „თუკი საქართველოს მოქალაქეები ქართულმა ენამ არ გააერთიანა, ჩვენი ქვეყანა ვერასდროს გათლიანდება“, — ამბობდა ლევან ღვინჯილია ერთ-ერთი გადაცემის დროს.

26. ვასილი ნეტარის ტაძარი მოსკოვში ივანე მრისხანეს მეფობის დროს აშენდა. არსებობს გადმოცემა, რომ მშენებლობის დასრულებისთანავე მეფის ბრძანებით ხუროთმოძღვრები შეიპყრეს და თვალები დასთხარეს, რათა მათ სხვაგან მსგავსი ვეღარაფერი აეგოთ.



# ბინების სამედიცინო რეკორდები

## ყვალაზა შვილუხვი დადა

1943-81 წლებში სან-ანტონიოში (ჩილე) მცხოვრებმა ლეონტინა ალბინამ 55 ბავშვი გააჩინა. პირველი ხუთი მშობიარობისას ქალს სამ-სამი ტყუპი უჩნდებოდა, თანაც, მხოლოდ ვაჟები.

## მრავალჯარ მშობიარე

ბრიტანელმა ელისაბედ გრინჰილმა 38-ჯერ იმშობიარა. მას 39 შვილი ჰყავდა — 31 ქალი და 8 — ვაჟი.

## ყვალაზა ხანდაზოული დადა

1994 წელს იტალიელმა როზანა დალა კორტამ, ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ, 63 წლის ასაკში ვაჟი გააჩინა; კალიფორნიელი არსელი კეხიც პირველად 63 წლის ასაკში გახდა დედა.

## გოლიათი ახალშობილანი

1955 წელს იტალიელმა კარმელიტა ფედელმა 10,2 კგ-იანი ჩვილი გააჩინა; 1992 წელს, ბრიტანელი გაი უორვიკ კარის ახალშობილი კი 7 კგ-ს იწონდა.

## ნამცა

1989 წლის 27 ივნისს, ილინოისის შტატის სამედიცინო ცენტრში დაბადებული გოგონას წონა 281 გრამს არ აღემატებოდა.



## 128-დღიანი ჩვილი

1987 წლის 20 მაისს, კანადელმა ბრენდა ოტავემ ფეხმძიმობის 128-ე დღეს ვაჟი — ჯეიმს გილი გააჩინა, რომელიც 624 გრამს იწონდა.

## რჩვეული მშობიარეობა

პენსილვანიელი (აშშ) პეგი ლინი ტყუპზე იყო ფეხმძიმედ. ტყუპისცალი 1995 წლის 11 ნოემბერს დაიბადა, მეორემ კი დედის მუცლიდან გამოვალა მხოლოდ 84 დღის შემდეგ — 1996 წლის 2 თებერვალს ინება.

## სიამის ტყუპი



პირველი სიამის ტყუპი — ჩანგ და ენგ ბუნკერები 1811 წლის 11 მაისს, სიამში (ტაილანდი) დაიბადა. მოგვიანებით, ისინი ამერიკელ დეებზე — სარა და ადელაიდა იეტებზე დაქორწინდნენ. მათ 10 და 12 შვილი ეყოლათ. ტყუპი ერთსა და იმავე დღეს (1874 წელი), 3 საათის განსხვავებით გარდაიცვალა;

ყველაზე უჩვეულო სიამის ტყუპი საბჭოთა კავშირში, 1950 წელს დაიბადა. მამა და დამა კრივოსლაბოვებს ერთი ტანი, ორი თავი, ოთხი ხელი და ორი ფეხი ჰქონდათ.

# იმპერატორი, რომელმაც ქრისტიანთა დევნა შეწყვიტა და აღგილი, სადას უფალი თავის სახიერებას გვიმჟღავნებს

განვაგრძობთ საუბარს ქრისტიანულ ეკლესიის ისტორიაზე გვესაუბრება არქიმანდრიტი მაკარი (აბუსაძე).

## შორენა მერკვილაძე

— სწორად, ქრისტიანთა დევნის წამოწყების მიზეზი ის გავლენიანი წარმართები იყვნენ, რომლებიც იმპერატორებზე ზეწოლას ახდენდნენ...

— იმპერატორთა უმეტესობა გაუნათლებელი გახლდათ. მათი უმრავლესობა ყოფილი უბრალო მეომარი იყო, რომლებმაც თავიანთი საბრძოლო ხელოვნებითა და ბრძოლაში სიმტკიცით მოიპოვეს ავტორიტეტი, შემდეგ კი თავიანთი ჯარით სამხედრო გადატრიალება მოაწყვეს და ხალხს იმპერატორებად მოველინენ. ასეთი ადამიანები ადვილად ექცეოდნენ სენატორების, ქურუმების და ა.შ. ზეგავლენის ქვეშ. ისეთი განათლებული და ნიგნეირი იმპერატორები, როგორიც მაგალითად, ავგუსტუსი ან იულიუს კეისარი იყვნენ, იშვიათობა გახლდათ.

— რომის იმპერატორთაგან კონსტანტინე დიდი (306-337 წ.) იყო პირველი, რომელმაც ქრისტიანთა დევნა შეწყვიტა და ქრისტიანთა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. რამ მიიყვანა იმპერატორი ამ გადაწყვეტილებამდე?

— კონსტანტინე დიდს, ვიდრე ის იმპერატორის ტახტზე ავიდოდა, დიოკლეტისანეს დროს ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა ჰქონდა. დიოკლეტისანემ ოთხთა მმართველობა შემოიღო — იმპერიას ორი იმპერატორი, ორი თანაიმპერატორი ჰყავდა და ერთ-ერთი თანაიმპერატორი სწორედ კონსტანტინეს მამა გახლდათ. მართალია, ისინი წარ-



მართები იყვნენ, მაგრამ ქრისტიანების წინააღმდეგ არ იბრძოდნენ. უფრო მეტიც, ქრისტიანთა მიმართ კეთილგანწყობილი იყო ელენე დედოფალი. კონსტანტინეს ქრისტიანების სიყვარული ოჯახიდან ჰქონდა გამოყოფილი. როდესაც დიოკლეტისანე გადადგა და რომის იმპერიაში სამოქალაქო ომები მიმდინარეობდა, ერთ-ერთი ბრძოლის წინ, როდესაც კონსტანტინე რომის იმპერიის ტახტზე თვითნებურად ასული მაქსცენციუსის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა, ზეცაში ჯვარი გამოჩნდა, ასეთი წარწერით: „ამით სძლეე“, ღამით კი თავად უფალი გამოეცხადა, ჯვრით ხელში და აუწყა: „გაკეთე მსგავსი ამისა და უბრძანე, რაზემემა წინ გაიძლოლონ, მაშინ მთელ შენს მტრებს სძლეე“. კონსტანტინემ თავის დაქვემდებარებაში მყოფ ჯარისკაცებს წინ ჯვრები წაუძღვარა, მათ მუზარადებზე, ფარებსა და მახვილებზეც ჯვრები გამოასახვინა და გამარჯვებაც მოიპოვა. ეს მოხდა 312 წელს. კონსტანტინემ სწორედ ამის შემდეგ გამოაცხადა პირველი ედიქტი ქრისტიანთა დევნის შეწყვეტისა და მათი უფლებების აღდგენის შესახებ. მართალია, დასავლეთ რომის იმპერიაში ქრისტიანთა დევნა შეწყდა, მაგრამ აღმოსავლეთში კვლავ გრძელდებოდა მანამ (318

წლამდე), ვიდრე იმპერატორმა კონსტანტინემ დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიები არ გააერთიანა და ერთპიროვნული მმართველი არ გახდა. კონსტანტინე დიდმა გამოაცხადა მეორე ედიქტიც, რომლის თანახმადაც, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ანუ წარმართობაზე აღმატებულად გამოცხადდა. იმპერატორმა აკრძალა ჯვარზე გაკვრით დამნაშავეთა მოკვდინება, სისხლიან სანახაობათა გამართვა და ბრძანა, რომ ქვეყანაში სადღესასწაულოდ აღენიშნათ აღდგომის დღესასწაული. კონსტანტინე ზრუნავდა ობლებსა და ღარიბ-ღატაკებზე. ამასთანავე, მან მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა მდგომარეობა მონებს... ქრისტიანებმა შვებით ამოისუნთქეს. აღარ იყო საჭირო საღმრთო ლიტურგიისა თუ სხვა საეკლესიო წესების ფარულად აღსრულება, ეპისკოპოსები თავისუფლად იკრიბებოდნენ ეკლესიის ცხოვრებაში წამოჭრილი აქტუალური საკითხების გადასაჭრელად. სწორად, ამგვარ შეკრებებს იმპერატორიც ესწრებოდა და მზად იყო, იმ ყველაფერზე თანხმობა განეცხადებინა, რაც ქრისტიანებისთვის სასარგებლო იქნებოდა. მან ის უპირატესობები, რითაც ადრე ქურუმები სარგებლობდნენ, ქრისტიან ღვთისმსახურებს მიანიჭა და ისინი სახელმწიფო გადასახადებისგანაც გაათავისუფლა. მანვე აკრძალა იმპერატორის სახელით კერპებისთვის მსხვერპლის შეწირვა. ქრისტიანების მიმართ აშკარა მხარდაჭერას იმპერატორი იმითაც გამოხატავდა, რომ ოლქების უფროსებად ქრისტიანების

### ანანურის ბაზილიკა



დანიშნავს ცდილობდა.

რადგან ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია გახდა, რომის მოქალაქეებმაც ქრისტიანული სარწმუნოების მიღება დაიწყეს, მაგრამ ადამიანთა გარკვეული ნაწილი ამას აკეთებდა არა სარწმუნოებისთვის, არამედ მინიერი პატივის მისაღებად ან სულაც, იმ პატივის შესანარჩუნებლად, რომელიც წარმართობის დროს ჰქონდათ. ცხადია, ასეთი ადამიანები დაშორებული იყვნენ სულიერებას და ადვილად იღებდნენ ცრუ, მწვალებლურ სწავლებებს.

— IV საუკუნეში უამრავი ქრისტიანული ტაძარი აშენდა.

— ტაძრები ამ დრომდე შენდებოდა. განსაკუთრებით, III საუკუნეში, როდესაც ქრისტიანები არ იდევნებოდნენ, მრავალი ტაძარი აიგო, მაგრამ IV საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ, როდესაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, ტაძრების მშენებლობა მასობრივად დაიწყო. იმპერატორ კონსტანტინეს დროს კი ამ საქმეზე თავად სახელმწიფო ზრუნავდა.

პირველად გავრცელებული გახლდათ ბაზილიკები, რადგან თვითონ რომის იმპერიაში იყო შენობათა ასეთი სტილი. იმპერატორმა კონსტანტინემ ქრისტიანებს ღვთისმსახურების ჩასატარებლად რამდენიმე დიდი შენობა გადასცა, სადაც ადრე მსაჯულები იკრიბებოდნენ. ამ შენობებს ბაზილიკები ეწოდებოდა და იმგვარი ინტერიერი ჰქონდა, რომ მათი ეკლესიად გადაკეთება იოლი იყო. იმპერატორი უხვ შესანიშნავს არც ახალი ტაძრების მშენებლობისთვის იშურებდა.

ისტორიკოს ვესევის აღწერილობით, იმდროინდელი ტაძარი ამგვარად იყო მოწყობილი: ტაძრის წინკარი კოლონებით გარშემორტყმულ ეზოს წარმოადგენდა, რომლის შუაგულშიც შადრევენები იდგა. ტაძარს მალალი სვეტები და მარმარილოს იატაკი ამკობდა. საკურთხეველს მლოცველებისგან მოჩუქურთმებული ღობე ჰყოფდა. საკურთხეველის უკან იდგა დასაჯდომლები ეპისკოპოსებისა და ხუცეებისთვის. ასევე, ტაძარში იდგა სანათლავი და სენაკები ეკლესიის მსახურთა და მონაწილეთათვის. ბაზილიკები დიდ დარბაზებს მოიცავდა და მოსახერხებელი იყო ღვთისმსახურების აღსასრულებლად.

შემდგომ საუკუნეებში თანდათან დაიწყო გუმბათიანი ტაძრების, ვარსკვლავისებური, როტონდა-წრიული ფორმის, სამნავიანი ბაზილიკების მშენებლობა. ადამიანები, აშენებდნენ რა ტაძრებს, სადაც უფალი უნდა ედიდებინათ, მთელ თავის შესაძლებლობასა და შემოქმედების უნარს იყენებდნენ იმისათვის, რომ მისი ფორმა რაც შეიძლება სრულყოფილი ყოფილიყო.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ტაძარს სხვადასხვანაირად, საკუთარი

ტრადიციული არქიტექტურის მიხედვით აგებენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ შორის რაიმე დოგმატური და არსობრივი სხვაობაა, რომ რომელიმე ტაძარში აღვლენილი ლოცვა არ ამაღლდება ღმერთამდე. სულიწმიდის მაღლი ნებისმიერ მართლმადიდებლურ ტაძარშია დამკვიდრებული. ყველა ქვეყანაში, ვიდრე მოსახლეობა ქრისტიანობას მიიღებდა, ჰქონდათ მშენებლობის, კულტურის — ფრესკებისა თუ ფიქარზე შესრულებული ნახატების შექმნის ტრადიცია, რომელიც ქრისტიანობის მიღების შემდეგ ტაძრების, ხატების, ფრესკების შესაქმნელად გამოიყენეს.

— რადგან ტაძარს შევებო, ისიც განვმარტოთ, თუ რა განსხვავებაა ტაძარსა და ეკლესიას შორის? ადამიანთა ნაწილს ეკლესია მხოლოდ ფიზიკურად აგებული ტაძარი, ხილული თვალთ დანახული შენობა ჰგონია.

— როგორც ვთქვით, ყველა ტაძარს თავისი ფორმა აქვს, მაგრამ შეიძლება, საგანგებოდ მოწყობილ ოთახშიც აღვავლინოთ ღვთისმსახურება. ეკლესია, უპირველეს ყოვლისა, არის არა ფიზიკური სხეული, არამედ ამ ფიზიკურად აგებულ სხეულში შეკრებილი ადამიანები — ქრისტიანთა კრებული ერთობაში აღიქმება ეკლესიად, ხოლო იმის გამო, რომ მართლმონაწილენი ადამიანთა კრებული ეკლესიად იწოდება, მათ შესაკრებელ ადგილსაც ეკლესიად მოვიხსენიებთ.

ტაძარი თავისი მნიშვნელობით გამორჩეული შენობაა. ტაძრები წარმართებსაც ჰქონდათ — იმპერატორების და დიდმოხელეების სასახლეებს, იმ ადგილებს, სადაც ისინი განსჯიდნენ, ტაძარი ეწოდებოდა. შესაბამისად, ქრისტიანობაშიც ტაძარი თავისი მნიშვნელობით გამორჩეული ეკლესიის შენობაა, მაგრამ ფიზიკურად აგებულ იმ შენობას, სადაც ქრისტიანები იკრიბებიან და ღვთისმსახურება აღესრულება, ტაძარს ვუწოდებთ თუ ეკლესიას, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ამით დოგმატური საკითხი არ ირღვევა.

— ეკლესია ძველი ალთქმის როდშიც არსებობდა. ძველი ალთქმის მართალთა სახით, რა იყო ძველი ალთქმის ეკლესიის დანიშნულება და რა მისია ეკისრება ქრისტიანულ, ახალი ალთქმის ეკლესიას?

— ძველი ალთქმის ეკლესიას, რომელიც მოსეს სჯულით ხელმძღვანელობდა,

კაცობრიობა, ადამიანები უნდა მიეყვანა ახალ ალთქმამდე, მოემზადებინა მაცხოვრის, მსხნელის მისაღებად. ახალი ალთქმის — ქრისტეს მიერ დაარსებულმა ეკლესიამ კი ადამიანი უნდა მიიყვანოს ზეციურ სასუფეველამდე. ეკლესიის წიაღში ყოფნის გარეშე ადამიანი სულს ვერ იცხოვრებს. ეკლესია არის ზეციური სასუფეველის კარიბჭე და ამ კარიბჭის გარეშე, სხვა გზებით ადამიანი სასუფეველში ვერ შევა. უფალი ბრძანებს: მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება ანუ — გზა არის ქრისტე და ვინც ამ გზით, ქრისტეს მიერ მოცემული მცნებებით არ მიდის, ვერ შევა სასუფეველში. ამ გზის დასაწყისი კი არის ეკლესია, ეკლესიის წევრად გახდომა, რადგანაც ცხოვრებისთვის საჭირო და აუცილებელი საიდუმლოებები მხოლოდ ეკლესიაში აღესრულება.



ქრისტიანები კონსტანტინე ღიღის დროს დაკულნი იყვნენ

— რატომ ვუწოდებთ ეკლესიას — ფიზიკურ შენობას — ღვთის სახლს?

— არც მატერიალურ და არც არამატერიალურ სამყაროში არ არსებობს ადგილი, სადაც ღმერთი არ იმყოფება. ვთქვით, რომ ღმერთი ჯოჯოხეთშიც იმყოფება, მაგრამ ყველგან ერთნაირად არ გვიმჟღავნებს თავს, თავის სახიერებას. მაგალითად, ჯოჯოხეთში თავს გვიმჟღავნებს როგორც მართლმსაჯული, სასუფეველში — როგორც მონაწილე და ამიტომაც იწოდება სასუფეველი ღვთის საყდრად, ღმერთის საუფლოდ... ჩვენ ეკლესიაში სალოცავად, უფლის მცნებათა აღსასრულებლად, ღვთისადმი მსახურებისთვის მივდივართ და ამიტომაც, ყოველად მოწყალე უფალი თავის სახიერებას, მონაწილეს ყველაზე მეტად ტაძარში, ეკლესიაში გვიმჟღავნებს და ეს ფიზიკური შენობა ღვთის სახლად სწორედ ამის გამო იწოდება.

P.S. საუბარს „გზის“ მომდევნო ნომერში განვაგრძობთ.

# მსვარი მოსაზრებები შეკრულობაზე

ამერიკულ სამედიცინო ჟურნალში დაიბეჭდა ნაშრომი, რომლის ავტორიც ცდილობს, რამდენიმე კლინიკური კვლევის შედეგზე დაყრდნობით, ყაბზობის ირგვლივ არსებული შეხედულებები გააბათილოს.

ამ ნაშრომის თანახმად, არ არსებობს აუტორიტოუსიკაციის თეორიის ანუ განავლის შეკავების დროს მისი დაშლის პროდუქტების შენოვა და შესაბამისად, ორგანიზმის მოწამვლის დამადასტურებელი მონაცემები. ქრონიკული შეკრულობა უსიამოვნოა, მაგრამ — არა საშიში. მრავალი ექიმი მას სერიოზულად არც კი ეკიდება.

ნაშრომის ავტორის აზრით, შეკრულობის შესახებ არსებობს უამრავი მცდარი შეხედულება, რომელსაც მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. მოგვეყვას ზოგიერთი მათგანი. ამრიგად, მცდარია მოსაზრებები, თითქოს:

**ნორმაზე მეტად დაბრძანებული მსხვილი ნაწლავი (დოლიქოკოლონი) შესაძლოა, შპარულულის მიზეზად იქცეს.** გამოკვლევამ ქრონიკული შეკრულობის დროს გრძელი და მოკლე ნაწლავის მქონე პაციენტებს შორის განსხვავება არ დაადასტურა. ამრიგად, შეკრულობის მსხვილი ნაწლავის დასამოკლებლად ქირურგიული ჩარევა აუცილებელი არ არის.

**შპარულულისადმი მიდრეკილება სხეულის მასაზე და მენტრუალური ციკლის ფაზაზეა დამოკიდებული.** ქრონიკული შეკრულობის მქონე ქალებს ხშირად უტარდებათ გინეკოლოგიური ოპერაციები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მენჯისმიერი ტკივილი ყოველთვის შეკრულობას არ უკავშირდება და შესაძლოა, გინეკოლოგიური პათოლოგიით იყოს გამოწვეული.

**ჰიპოთირეოზი შპარულულებს იწვევს.** ასე რომ, სხვა სიმპტომების არარსებობისას, ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა შეკრულობის დროს ნაჩვენებია არ არის.

**ფიზიკურად აქტიური ადამიანები შპარულულობის ნაკლებად არიან მიდრეკილნი.** ჰიპოდინამიკურ ასაკოვან ადამიანებს, რომლებსაც დეპრესია სჭირთ, მართლაც შეიძლება, შეკრულობა ჩამოუყალიბდეთ, მაგრამ ამ შემთხვევაში მიზეზი კომპლექსურია, გადაჭარბებული ფიზიკური აქტივობა კი — მაგალითად, მართათნული სირბილი ნაწლავთა მოტორიკას ნამდვილად ვნებს.

**ორბინიში მსუბუქ საფარავათო სპულალებს ეწვევება.** ისიც არ არის მართალი, რომ ასეთი პრეპარატები წონას აქვეითებს.



## ლიბა

მცენარეული ბოჭკოები ღარიბი დიეტა არ შეიძლება, ქრონიკული შეკრულობის მიზეზი იყოს. ზოგიერთ პაციენტს უჯრედის უხვმა მიღებამ შეიძლება, არგოს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც უხეში უჯრედის მიღება კლინიკას ამძიმებს.

ირწმუნებიან, რომ სითხის სათანადო რაოდენობით მიღება ყაბზობის საინანაღდეგო ერთ-ერთი საშუალებაა. სინამდვილეში, თუ დეჰიდრაცია (სითხისგან დაცლა) არ აღინიშნება, სითხის ჭარბი გამოყენება შეკრულობის სამკურნალოდ არ გამოდგება.

# ჯანსაღი კვება



## მწვანე წინაყის წვენი

მწვანე წინაყის წვენი მდიდარია სილიციუმით, რომელიც აუცილებელია ფრჩხილებისა და თმისთვის. მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია თმის

ცხიმოვანი ჯირკვლებისა და ცრემლის სადინარებისთვის. წინაყისა და სტაფილოს წვენის ნარევი (1:4, 1:2) კანს ლაქებისგან წმენდს. მათ, ვისაც ყაბზობა და ნაწლავში აირების დაგროვება ტანჯავს, შეეხება მოჰგერის 500 გ წინაყის წვენის, ამავე რაოდენობის სტაფილოსა და ისპანახის წვენების ნარევის ყოველდღიური მიღება.

გახსოვდეთ: წვენების მიღება ჯობს უზმოზე ან ჭამამდე 2-3 საათით ადრე.

## ვაშლი და კომიდორი ფილჯიანის სამსახურში

ბრონქული ასთმითა და ფილტვების სხვა პათოლოგიით დაავადებული 2,5 ათასი კაცის



გამოკვლევის შედეგად ბრიტანელი მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ვაშლი და კომიდორი აუმჯობესებს ფილტვების მუშაობას და ამცირებს ქოშინს. მეცნიერებმა შეისწავლეს ურთიერთკავშირი კვების ხასიათსა და ფორსირებულ ამოსუნთქვას შორის, რომელიც ბრონქების გამტარობის ხარისხის მაჩვენებელია. აღმოჩნდა, რომ ადამიანებს, რომლებიც კვირაში 5 და მეტ ვაშლს მიირთმევენ, ეს მაჩვენებელი საშუალოდ, 167 მლ-ით მეტი ჰქონდათ, ხოლო კვირაში 3 პომიდვრის მიერთევა მას 127 მლ-ით ზრდიდა. ამრიგად, ვაშლითა და პომიდვრით მდიდარი რაციონი საგრძნობლად ამსუბუქებს დაავადებული ფილტვების მქონეთა მდგომარეობას, ამცირებს ქოშინს. მედიკოსები ასეთი ეფექტის მიზეზად მიიჩნევენ ხილსა და ბოსტნეულში არსებულ ანტიოქსიდანტებს, რომლებიც ფილტვებს თამბაქოს კვამლისა და ჰაერში არსებული მავნე მინარევებისგან იცავს.

## რა „უყვარს“ კვლავს

არავისთვის საიდუმლო არ წარმოადგენს, რომ ძველებსთვის კალციუმი ძალზე მნიშ-

ვნელოვანია. ძვლები უფრო მყარი რომ გახდეს, ორგანიზმს კალციუმი არ უნდა მოაკლდეს. მაგრამ რამდენიც უნდა მიირთვათ ნაჭო და სვათ კალციუმის გლუკონატი, ქსოვილებში მისი მხოლოდ 15% მოხვდება, ეს კი ძვლების გასამაგრებლად საკმარისი არ არის. ორგანიზმმა კალციუმი უკეთ რომ აითვისოს, მიიღეთ C და D ვიტამინები, აგრეთვე — მაგნიუმი (Mg) და ბორი (B). D ვიტამინი, უფრო ზუსტად, მისი ერთ-ერთი ნაირსახეობა — D3, რომელიც კალციუმის ცვლას არეგულირებს, ყველაზე მეტი თევზის ქონშია.

ბორი ხელს უშლის კალციუმისა (Ca) და მაგნიუმის გამორეცხვას, შარდთან ერთად. ამ ელემენტით მდიდარია: პომიდორი, ვაშლი, მსხალი, წითელი ღვინო, ქიშმიში, სოიის პროდუქტები, შავი ქლიავი, არაქისი, ფონიკი, თაფლი და ზღვის პროდუქტები.

მაგნიუმი ხელს უშლის კალციუმის გახსნას. იგი ყველაზე მეტია ხორბალში, გარგარსა და კომბოსტოში.

ურიკოზ არ იქნება, თუ ძვლებს დროდადრო ლიმონის წვენისა და კვერცხის ნაჭუჭის კოქტეილით „გაუმასპინძლებით“: მაგრად მოხარშეთ კვერცხი (სასურველია, თეთრი), გაფცქვენით, ნაჭუჭს მოაცილეთ თეთრი აპკი, კარგად გამოაშრეთ და დაფქვით ან ძალიან წმინდად დანაყეთ. 1 სუფრის კოვზ ფხვნილს დაუმატეთ 1 ჭიქა ახალგაშობილი ლიმონის წვენი და 7 დღეს დააყენეთ. მიიღეთ თითო ჩაის კოვზი დღეში სამჯერ.

# ფრჩხილების ფარი ღიაგნოს ბეჭარნახობს

ალბათ ბევრისთვის უცნობია, რომ ფრჩხილის ფორმის, კონფიგურაციისა და ფერის შეცვლა ორგანიზმში მიმდინარე არასასურველ პროცესებზე მეტყველებს. სხვათა შორის, ამ ცვლილებათა მიხედვით დიაგნოზის დასმაც არის შესაძლებელი. მაგალითად:



ჯანმრთელი ადამიანის ფრჩხილები ვარდისფერია; ყვითელი ფრჩხილები ღვიძლის პათოლოგიაზე მიუთითებს; მონაცრისფრო-მოიისფრო — გულის დაავადებაზე; თეთრი ლაქები ფრჩხილებზე ცენტრალური ნერვული სისტემის დარღვევაზე მეტყველებს; მოყვითალო ლაქები ფრჩხილებზე ტვინის ზოგადი ფუნქციის მოშლას ააშკრავებს.

## მედიცინის სიახლეები

### ტკბილი გაზიანი სასმელი პოდაგრის განვითარების რისკს ზრდის

ხანგრძლივი (12 წელი) და მასშტაბური (46 ათასი კაცი გამოიკვლიეს) კვლევის შედეგად მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ტკბილი გაზიანი სასმლის ჭარბი მოხმარება მამაკაცებში პოდაგრის რისკს ზრდის და ამის მიზეზად ფრუქტოზა დაასახელეს, რომელსაც გაზიანი სასმელების დამატებობლად იყენებენ. ორგანიზმში ამ ნახშირწყლის მოხვედრა სისხლში შარდმჟავა მარილების მატებას იწვევს. პოდაგრული ართრიტი ანუ პოდაგრა — სახსრების ანთებითი დაავადებაა, რომელიც მათში შარდმჟავას მარილების ჩალაგებით არის გამოწვეული...

პოდაგრა უმეტესად, ფეხის თითებს აზიანებს. დაავადების განვითარებაში გარკვეულ როლს ასრულებს მემკვიდრეობა, ჭარბი კვება, ხორციანი საკვებისა და ალკოჰოლური სასმელების (განსაკუთრებით — ლუდისა და ყურძნის ღვინის) ჭარბი მიღება, ცხოვრების ჰიპოდინამიკური რეჟიმი. არცთუ ისე იშვიათად პოდაგრა თირკმლის უქმარისობისა და სისხლის დაავადების ფონზე ვითარდება. წინათ პოდაგრას „არისტოკრატთა დაავადებას“ უწოდებდნენ. დღეს ის უფრო და უფრო მეტად ვრცელდება სხვადასხვა სოციალურ წრეში. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავ-

ლობაში, აშშ-ში პოდაგრით ავადობამ ორჯერ და მეტად მოიმატა. ეს გაზიანი სასმელების მოხმარების მატებას დაემთხვა და, როგორც უახლეს გამოკვლევათა შედეგები ადასტურებს, ეს კავშირი შემთხვევითი არ არის. მეცნიერები აკვირდებოდნენ ამერიკელ მამაკაცებს (ექიმებს, ვეტერინარებს, სანიტრებსა და ფარმაცევტებს), რომელთაც პოდაგრა არ ჰქონიათ. 12 წლის განმავლობაში ისინი მკვლევრებს სისტემატურად აწვდიდნენ ინფორმაციას ყოველდღიური ცხოვრების, დიეტის, მოხმარებული ალკოჰოლური სასმლის შესახებ. პოდაგრის შეტევები 755 პირს აღერიცხა. ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ამ სენის განვითარების რისკს სხეულის მასის, ალკოჰოლისა და დიეტის სხვა თავისებურებებისგან დამოუკიდებლად, პირდაპირი კავშირი აქვს გაზიანი სასმლის მოხმარების სიხშირესთან. იმ მამაკაცებს შორის, ვინც დღეში 2 ქილა გაზიან სასმელს მაინც სვამდა, პოდაგრის 85%-ით მეტი შემთხვევა აღირიცხა, ვიდრე მათ შორის, ვინც გაზიან სასმელს თვეში ერთხელ ყიდულობდა, ხოლო მათ, ვინც ყოველდღე ერთ ქილა გაზიან სასმელს მაინც სვამდა, პოდაგრის განვითარების რისკი 45%-ით მაღალი ჰქონდათ.



### ფიზიკური დაზიანება ასთმის შეტევას აკროვოსიკავს

ნორვეგიელი მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ გადაჭარბებულმა ფიზიკურმა დატვირთვამ შესაძლოა, ფილტვის დაავადებათა პროვოცირება მოახდინოს. გადაძაბვისას ასთმის სიმპტომები უვლინდებათ მაღალი კლასის მძლეოსნებს, განსაკუთრებით — მათ, ვინც გრძელ დისტანციებზე მარათონულ რბოლას, სათხილამურო სპორტსა და ველოსპორტს მისდევს. სპორტის ამ სახეობებში შეჯიბრებას სდევს ხანგრძლივი ჰიპერვენტილაცია, რომელიც დიდ დატვირთვას აყენებს ბრონქებს. ამასთანავე, ფილტვებს აღიზიანებს მტვერი, ალერგენები, ცივი და მშრალი ჰაერი.

იზრდება ფილტვების ინფიცირების რისკიც. მაგალითად, ლოს-ანჯელესის მარათონის დასრულებიდან ერთი კვირის შემდეგ სპორტსმენების 13%-ს ზედა სასუნთქი გზების ინფექცია განუვითარდა, მაშინ, როცა მოკლე დისტანციაზე მორბენალთა შორის ავად სულ 2% გახდა. მრავალი მძლეოსანი ვარჯიშსა და შეჯიბრებებში მონაწილეობას რესპირატორული ინფექციის გადატანისთანავე განაგრძობს და არ ასრულებს იმ რეკომენდაციებს, რომლებიც დატვირთვის თანდათანობით ზრდას ეხება. მათ დასარწმუნებლად, სტატისტიკას მოვიშველიებთ: ექიმის ამ მარტივი მოთხოვნების შესრულებამ ნორვეგიელ მოთხილამურეებში ასთმის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება 6-ჯერ შეამცირა.

**აიკრია და შვიძინა სახლიდან გაუსვლელად**  
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები  
[www.elva.ge](http://www.elva.ge)


გამოცემის დასახელება	1ჯგ. ფასი	3 თვე
1. ИТОГИ	3.00	39.00
2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА	2.00	117.00
3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА.	32.00	32.00
4. КАРАВАН ИСТОРИЙ	8.00	24.00
5. НОВАЯ ГАЗЕТА	1.50	39.00
6. ВОКРУГ СВЕТА	9.00	27.00

პრესის და წიგნების ბაზრების  
საბაზრო „ელვა.ჯი“  
ქ. თბილისი  
თბილისის ქ. 7048  
ტელ: 28-26-73; 28-26-74  
ფაქს: 28-26-74  
E-mail: elva@kviripalitra.com

# იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელოვნების



**2** **ჯანმრთელი  
მეურნეობა**



## ცხელმა


ტემპერატურის მიხედვით შეუძლებელია მისი გამოწვევი დაავადების სიმძიმეზე ვიმსჯელოთ. 37-38 გრადუსის ფარგლებში მერყევიან, როგორც მედიკოსები ვამბობთ, სუბფებრილური ტემპერატურა შესაძლოა იყოს როგორც მძიმე, ასევე მსუბუქი დაავადების სიმპტომი.

## თანდაყოლილი და ტრავმული ამოვარდნილობები

მშობელი ამჩნევს, რომ ბავშვი ხელს ვეღარ ამოდრავებს, მათრახით აქვს ჩამოშვებული, უძრავ მდგომარეობაში მშვიდად არის, სძინავს კიდეც, მაგრამ როგორც კი ძილში რაიმე მოძრაობას გააკეთებს, უმალ ტირილს იწყებს.

## სულით ავადმყოფობა

კოლეგებს, რა თქმა უნდა, ვთხოვდი, როგორც კი პაციენტს ფსიქიკური დაავადების სიმპტომებს შეატყობენ, მაშინვე გამოვევსაყენო. საბოლოოდ ისინი მაინც ჩვენთან ხვდებიან, მაგრამ სწორად — მეტიმეტად გვიან. პატრონისა და პაციენტის წვალეხას, სჯობს ეს დროულად მოხდეს, მით უმეტეს, მკურნალობაც და მედიკამენტებიც უფასოა.



# ადამიანი

## „სატანურად“ დასრიალებული ექსტრემალური და აბრაქსიონი აბლაკლებული კლიენტები

მიუხედავად იმისა, რომ შემოდგომა დადგა, სექტემბრის პირველი ნახევარი აგვისტოსთან შედარებით ცხელი აღმოჩნდა, ამიტომაც, ქალაქს სვავტს გარიდებულმა, აკვაპარკის მოჩვენებით სიმშვიდეს შევადარე თავი და ექსტრემალი ადამიანების ჟივილ-სივილის ფონზე, მზეს მივეფიცე. მერე კი, როგორც ხდება ხოლმე, ცნობისმოყვარეობამ მძლია და იმ ადგილს მივაშურე, საიდანაც ახმაურებული ადამიანები წყლის ატრაქციონით პირდაპირ აუზში ეშვებოდნენ... კოშკურაზე ასულს, ერთ-ერთი მამულ-ინსტრუქტორის სასონარკვეთილი სმა შემომესმა, რომელიც სანწყლად მისჩერებოდა 4 ირანელ მამაკაცს და, — აუუუუუუ, ვაიმე, ინგლისური არ ესმით და ახლა ამით რა გააგებინებს, როგორ და რანაირად უნდა დაეშვან ქვემოთ?! — ამბობდა. ჰოდა, მეც შანსი ხელიდან არ გავეშვი და გულშემოყრელ მამულს გავესაუბრე.

### ელენე ბასილიძე

#### ღოზა:

— საუბედუროდ, აქ ძმაკაცმა მომიყვანა (იციან). პირველი 4 დღე შთაბეჭდილებების ბუმი მქონდა თავში, მერე უამინდობის გამო, ხალხი ხშირად აღარ შემოდოდა და მეც მოვიწყინე... ჩემი მოვალეობაა, აუუსხსნა კლიენტებს, თუ როგორ უნდა დასრიალდნენ ატრაქციონზე და თუ აუზთან ვარ, მივატციო ყურადღება, რომ არავის დაემუქროს დახრჩობის საფრთხე.

#### — კლიენტების ნაკლებობამ თქვენც შეგანუხათ?

— კი, აბა, რა! აქ ათასნაირი ხალხი შემოდის. ზოგჯერ ისეთი ტიპები „იჩითებიან“, უნდა დაჯდე, უყურო და ილადავო. როცა არავინაა, ჩვენც მონყენილები ვართ. ნახეთ, წელან რა არაადამიანური ბლავილით ჩასრიალდა ის ტიპი? აბა, ახლა აქ მასზე უკეთესს რას უნდა მოუსმინო?! უსმინე და იცინე (იციანს)!

— წყლის ატრაქციონიდან ბევრს ეშინია დაბლა დაშვების?

— კი, ბევრია ისეთი, ძალიან რომ უნდა დასრიალება, მაგრამ ეშინია. სანამ ჩვენ არ ჩავსრიალდებით, მანამდე ვერ იჯერებენ, რომ არაფერი მოსტყდებათ და არ დაშავდებიან. უპ, აქ ისეთი ურწმუნო თომების „პარადია“!.. ატრაქციონზე თუ 100 კაცი ამოდის, 50-60-ს ეშინია და ერთი საათი უნდა მათ დარწმუნებას, რომ როგორმე მიღზე დასვა... დანარჩენები კი თავისით მიდიან. ვერ ვიტყვი, რომ ყველას ვარწმუნებ; რამდენიმე კლიენტი, რომელიც დღემდე ვერ ბედავს ჩასრიალებას. ამოვლენ კოშკურაზე, ისევ ჩავლენ და ასე გრძელდება ყოველდღე (იღიმება).

— რამდენად რთულია თქვენი სამუშაო?

— გააჩნია, რომელ კოშკზე ვმორიგებოთ: პირველზე ფიზიკური დატვირთვა უფრო დიდია; აქ, ჩემს კოშკურაზე ფსიქოლოგიურად ვიღლები.

— უცხოელებს როგორ ეკონტაქტებით?

— რა ენებიც ვიცი, იმ ეროვნების ხალხთან კონტაქტი არ მიჭირს, მაგრამ



„სიდედრის ენაზე“ რომ ჩამოვასრიალე, საგანა ხარო, დამიბახუს

## ანუ როდის სთავაზობენ გაუპალები კლიენტებს „კიპიტინიკის“ აუზში ჩაშვებას?

გერმანული არ ვიცი და გერმანელებთან ხელებითა და ფეხებით ლაპარაკი მიწევს. ისე, სიმართლე გითხრათ, მუწჯურად ლაპარაკი სულაც არაა იოლი. უნდა ნახოთ, როგორ ვიტანჯები (იციანს).

— ჯიუტი კლიენტები ბევრი გყავთ?

— კი, მასეთებიც არიან. რომ ეტყვი, აქედან მჯდომარედ ჩასრიალება არ შეიძლება-თქო, მაინცდამაინც დამჯდრები

უნდა ჩასრიალდნენ!.. თითოეულ ატრაქციონს თავისი ინსტრუქცია აქვს და არასწორად ჩასრიალების შემთხვევაში, შესაძლებელია, რაიმე დაიზიანონ. ამიტომ როცა არ მიჯერებენ, ვემუქრები, კოშკურაზე საერთოდ აღარ ამოგიშვებ-მეთქი... ამის უფლება მაქვს! თუ მაინცდამაინც ხისთავიანი კლიენტი მოვიდა და სულ არაფერი ესმის, შემძლია დავატოვებინო ტერიტორია, მაგრამ ასეთი შემთხვევა ჯერჯერობით

აღაზიანი

არ მქონია. ერთი შეხედვით, ყველაფერი ადვილი და სახალისო ჩანს, მაგრამ ხანდახან მართლა ძალიან გვლლიან. იცით, რამდენჯერ მინატრია, ახლა ამის თავი მომცა აკვაპარკის გარეთ-მეთქი (იცი-ნის)!

ექსტრემალეზზე რას მეტყვი?

— ეჰ, მაგათთან ვერაფერს ვანყობთ! მილიონჯერ რომ ვუთხრა, უკუ-ღმა ჩასრიალება არ შეიძლება-მეთქი, არაფერი ესმით. მთავარია, ექსტრიმი შეიგრძნონ, რომელიც ნარკოტიკით სჭირდებათ. რამდენჯერმე ვაფრთხილებთ, არ ვაძლევთ იმის უფლებას, რომ თავიანთ ნებაზე იმოქმედონ. მაგრამ კი არიან ღირსები, თავში ქვა გიხლიათ-მეთქი, რომ მივძახხო (იცი-ნის)!

ყველაზე გამბედავები რომელ კოშკურას ეტანებიან?

— ოოო... აი, მესამე კოშკურაზე გადარეულების ბუმიან ხოლმე (ილიმება). იქ ყველაზე ექსტრემალური ატრაქციონებია — „კამიკაძე“ და „სიდდერის ენა“ განსაკუთრებით გაბედულებს ძალიან უყვართ. ამას წინათ გერმანელებს



როცა არ მიჯერებენ, ვეშუქრები, კოშკურაზე საერთოდ აღარ ამოგიშვებ-მეთქი...

ვერაფრით გავაგებინე, რომ სამკაცციანი კამერით არაფრით შეიძლებაოდა იმ ატრაქციონიდან დასრიალება, რომელთანაც იდგნენ. ფაქტობრივად, კი გაიგეს, მაგრამ გინდა თუ არა, ასე გაგვიშვიო, მითხრებდნენ. ჰოდა, ავდექი, მეც „ვეუკრისე“ და ისე გავუშვიო, როგორც სურდათ. ჩასრიალებისას ყველაზე მძიმემ გადასძახა, გასაბერი ლეიბი აუზში აუყირავდათ და დანარჩენი 2 ზემოდან დაახტა... მოკლედ, კარგად გაერთნენ! აი, ნელანაც, იმ ირანელებს ძლივს გავაგებინე, რა უნდა ექნათ და ყველაზე მსუქანი რომელიც იყო, მიღმი გაიჭე-

და. მილი საკმაოდ მსხვილია, მაგრამ წყლის ნაკადი ვერ მოერია, შუა გზაზე გაიჭედა და მიწოლა დასჭირდა (იცი-ნის)...

მიუხედავად იმისა, რომ ჯოჯოხეთში ნამდვილად არ მოვხვედრილვარ, გასართობ ადგილას სატანა მაინც აღმოვაჩინე. ეს სახელი ერთ-ერთ მამულ ინსტრუქტორს დამსვენებლებმა შეარქვეს და უკვე მეორე წელია, რაც სატანა თავის „ჯოჯოხეთურ“ ატრაქციონებზე ხალხს აწიოკებს.

სატანა:

— შარშან, როცა აკვაპარკი გაიხსნა, მივედი და ვიკითხე, ხომ არ სჭირდებათ მამულ-ინსტრუქტორი? აუცილებელი მოთხოვნა იყო, რომ ცურვა მცოდნოდა, პასუხისმგებლობის დიდი გრძობა და კლიენტთან ურთიერთობის ცოდნაც გამომადგა. ასე დავინყე აქ მუშაობა.

სატანას რატომ გეძახიან?

— ეს სახელი ორმა მოდელმა გოგომ შემარქვა. რალაც უურნალის პრეზენტაცია გაიმართა აქ და მოდლებმა გადალებების შემდეგ, ატრაქციონებზე სრიალი დაიწყეს. ცოტა არ იყოს „ნაგლობდნენ“. თავიდან ჩვეულებრივად ვუშვებდი, არ მინდოდა, შემეშინებინა და როცა მიეჩვივნენ, აი, მაშინ კი დაიწყეს წივილ-კივილი!.. სწრაფად დავატრიალე და აღარც ამოსულან ამ კოშკურაზე, შემინებულები. მერე სხვა კოშკურაზეც გავეყვი და ყველა ატრაქციონიდან გიჟურად გავუშვი. ბოლოს კი, „სიდდერის ენაზე“ რომ ჩამოვასრიალე, სატანა ხარო, დამიძახეს. ბავშვებმა აიტაცეს ეს მეტსახელი და დღემდე ასე მეძახიან. ყოველთვის კლიენტის სურვილის საწინააღმდეგოდ ვიქცევი და სატანის სახელსაც მათი აზრით, ამით ვამართლებ (იცი-ნის). ვისაც კამერით ჩასრიალებისას დატრიალება არ უნდა, აუცილებლად ვატრიალებ, ვისაც მიწოლა არ უნდა, ვანვები... მოკლედ, მთელი ხმით ვაკივლებ (ილიმება).

მერე პრეტენზიებითა და საყვედურებით არ გავსებენ?

— არა. პირველად ყველას ეშინია, მაგრამ როცა ადრენალინის გემოს შეიგრძნობენ და შიშიც გადაუვლით, მერე აქეთ მებვენებიან, მოგვანექი და დაგვატრიალეო! ერთი და იგივე ადამიანი შეიძლება, დღეში ათასჯერ ამოვიდეს და ჩასრიალება მთხოვოს, ოღონდ სხვას კი არ ეუბნება, მხოლოდ მე, მაინცდამაინც მე უნდა, რომ ჩავასრიალო, იმიტომ, რომ სატანურად ვასრიალებ (იცი-ნის)! დღეს ხომ ამ ატრაქციონთან ვარ, ხვალ პოსტი რომ გავცვალო და სხვაგან ვიდგე, იქ მაკითხავენ და, — ნამოდი, რა, შენ ჩავასრიალეო, — მთხოვენ... ან აქ რომ მოდიან და ვერ მხედავენ, — სატანასავით გაგვიშვიო, — სხვა ინსტრუქტორს ეუბნებიან. მკითხულობენ კიდევ, — სადაა, რას შვებობა?

უცხოელებს როგორ ეკონ-

ტაქტები?

— გაქცეულის მობრუნება ყველა ენაზე შემიძლია (იცი-ნის). თუ ვერ ვაგებინებ, ხელებსა და ფეხებსაც ვიშველიებ. მაგრამ ამას წინათ ერთმა გერმანელმა კინალამ გადამრია: ვერაფრით გავაგებინე, რომ უნდა დამჯდარიყო... ვეხვეწე, ხან ინგლისურად ვუთხარი, ხან თურქულად, ხან გერმანულად... ვერა და ვერ დავსვი... ბოლოს, გაბრაზებულ მივუბრუნდი და, — ჩადე ახლა ეგ შენი თეთრი უჯანალი კამერაში-მეთქი! — გაბრაზებულმა ვუთხარი და უცებ არ დაჯდა?! ისე გამიხარდა (იცი-ნის)...

ყველაზე სშირად რას ითხოვენ კლიენტები?

— სათხოვარი აღარაფერი რჩებათ — რაც საჭიროა და არაა საჭირო, ყველაფერს ვუკეთებ! სშირად, როცა გოგონები დიდი სიჩქარით ცვივდებიან წყალში, ბუსტპალტერი ცალკე მიფრინავს, თვითონ კი — სხვა მხარეს (იცი-ნის). მერე კოშკურიდან ვეძახით, — გოგონა, გოგონა, გაისწორე! — რაა?! — მკერდი გიჩანს!.. ღიმილით და ტაქტიანად ყველას ყველაფერს ეტყვი, მთავარია, დრო შეარჩიო. ჯობს, ჩვენ ვუთხრათ, ვიდრე ამდენი ხალხის დასახავად მკერდმოშიშვლებულებმა იარონ.

თორნიკა:

— მეორე სეზონია, რაც აქ ვმუშაობ. ჯერ ანიმატორი ვიყავი, მერე კი ანიმაცია სულ გაუქმდა და მამულ-ინსტრუქტორად დავინყე მუშაობა...

რომელი უფრო საინტერესო სამუშაო იყო?

— ორივეს თავისებური ხიბლი აქვს. მე პირადად, ანიმაცია უფრო მირჩვენია, რადგან მსახიობი ვარ და ჩემს პროფესიასთან უფრო ახლოსაა. მამულაობა მეტად საპასუხისმგებლო პროფესიაა. ერთგვარად, გემაყება, რომ ადამიანის სიცოცხლის ხსნა შეგიძლია. კლიენტებს იოლად ვეკონტაქტებით. ზოგი იმდენად დაგვიახლოვდა, რომ გვემეგობრება კიდევ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ პრეტენზიული კლიენტები არ გვეყავს. აბა, ამ სიცხეში აუზში წყალი რატომ არაა ცხელიო, რომ იკითხავენ, ხომ უნდა ვუთხრა, ჩაბრძანდი, გენაცვალე, და „კიბიტილინისკ“ ჩამოგიგდებ ახლავე-მეთქი (იცი-ნის)!. კიდევ ითხოვენ, რომ ყველა ატრაქციონი ერთდროულად ჩაირთოს, რაც დაუშვებელია: თითოეულ სასრი-ალოს ჩართვა-გამორთვის თავისი გრაფიკი აქვს. უცხოელებს, რომელთაც ვერაფერს ვაგებინებთ, ვცდილობ, მაგალითი ვუჩვენო — ჯერ მე ჩავსრიალდე და მიერე ისინი გაუშვიო, მაგრამ სშირად, მეცემული მაგალითის მიუხედავად, არასწორად სრიალებენ და გული მისკდება, თავ-პირი არ დაიმტვრიონ. ისე კი, აქ შემოსულებს რომ შევხედავ, იოლად ვხვდები, რა ტიპია, მაგრამ ვცდილობ, მანის მივცე და მამინევი წითელი ხაზი არ გადავუსვა...



# კვარიათის პლაჟის ეგზოტიკა



ცივი და წვიმიანი ზაფხულის შემდეგ ხავერდოვანი სეზონი შავი ზღვის სანაპიროზე მართლაც ზეხავერდოვნად მოგვეჩვენა: მზე, ზღვა, სკუტერები, შეზღონგები, მოხარული სიმინდი, ლეღვი და ყველაფერი, რაც კი გვესიამოვნებოდა, უღევად გვექონდა, თუმცა კვარიათის პლაჟი მაინც გამორჩეული იყო. მის ერთ მონაკვეთს ბუნგალო „ზულუ ბარი“ ამშვენებდა, შეზღონგებით კი შავკანიანი და მუდამ მოლიმარი, ხალისიანი დინი გვემსახურებოდა. დინის ვერც გამარჯობის თქმას დაასწრებდი, ვერც დამშვიდობებას. დაუზარებლად დარბოდა თითოეულ დაძახებაზე და შეზღონგების მოხმარების დროსაც უშეცდომოდ თვლიდა (კვარიათში შეზღონგის დაქირავება საათობრივი და საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნება იყო) და ფულსაც. ბოლო ხანს შეზღონგების ქართველი გამქარავებლები პლაჟიდან გაქრნენ, „დამტყვეული“ ქართულით მოლაპარაკე შავკანიანი დინი, ჩალი და „ზულუ ბარი“ კი ადგილზე დარჩნენ...

## ირმა ხარშილაძე

— კვარიათის პლაჟზე სამუშაოდ როგორ მოხვდით?

**ჩალი:** — მოგვეწონა აქ და სამუშაოც ვიშოვეთ. ისე, თბილისში ვცხოვრობთ.

— საქართველოში როდის ჩამოხვედით?

— ინტერნეტით გავიგეთ საქართველოზე, ვიდაცები გავიცანით, გვიტხრეს, ჩამოდიოთ. დავინტერესდით და ნელინად-ნახევრის წინ ჩამოვედით.

— თბილისში სწავლობთ?

— არა, ვმუშაობთ.

**დინი:** — ბათუმში მეგობარი გვყავს, იმასთან ჩამოვედით. მერე კვარიათში მოვედით.

— თქვენთან ერთ შავკანიან გოგონასაც ვხედავდი, პლაჟზე დამსვენებლებს აფროკულ ვარცხნილობას უკეთებდა — თმას უწნიდა. ისიც თქვენი მეგობარია?

— „პროსტა“, ისიც შავია და ჩვენც შეგები ვართ.

— რომელი ქვეყნიდან ხართ?

— ნიგერიიდან ჩამოვედით.

— ქართული გესმით და ნელინად-ნახევრის წინ ჩამოსული უცხოელების კვალობაზე, მშვენივრად ლაპარაკობთ. ვინ გასწავლათ?

— ისე რა, ვიცი. მომწონს ქართული. ცოტა სიტყვა ვიცი და კიდევ ვისწავლი. ასობესაც ვცნობ და ცოტა-ცოტას ნაკითხვა შემიძლია.

— ყოჩაღ! მართლა იმსახურებთ შექებას. ვხედავ, პლაჟზე ბევრ ქართველს დაუმეგობრდით.

**ჩალი:** — კი, ბევრს. პირველად რომ დაგვინახეს შავები, — ვაიმეო! — თქვეს (იციინის). ადრე „გამარჯობას“ არც იტყოდნენ, ახლა სხვანაირადაა.


— პლაჟზე პრეტენზიულ ადამიანებს არ ხვდებით? არავინ გაგაბრაზათ?

— არა, არა. აქ მეტი თბილისელი არის. სუყველა კი ადამიანია. პრობლემა არ არის. სალამოს მოდიან ჩვენთან კლუბში. მე იქ ვმუშაობ.


**დინი:** — აქ ყველა ჩემი ძმაცა-ცია. კაი ხალხია.

— ამდენ დღეა, გაკვირდები და დღეს პირველად დაგინახე ზღვაში ჩასული, მაგრამ არ გაგიცურავს...

— ცურვა ბევრი არ ვიცი, ვსწავლობ ცოტ-ცოტას.



აქ ყველა ჩემი ძმაცა-ცია, კაი ხალხია



ცურვა ბევრი არ ვიცი, ვსწავლობ ცოტ-ცოტას

— ქართული კერძები მოგწონთ?

— ყველაფერი. ჩვენთანაც მწარე საჭმელებია და... ხინკალი ძალიან მაგარია...

ამ დროს ზღვიდან, დინის სკუტერების ბიჭებმა დაუძახეს, წამო, გაგასეირნოთო და „ჰო, მოვიდვიარ“-ის შეძახილით, თვალსა და ხელს შუა გამიქრა. ჩალიც დამემშვიდობა და თავისი ბუნგალოსკენ გაეშურა. ხალისიანი დინი პლაჟზე კიდევ რამდენჯერმე ვნახე. დავპირდი, სტატია რომ დაიბეჭდებოდა, შეგატყობინებ-მეთქი. თვითონაც დამპირდა, თბილისში აუცილებლად გნახავო. ასე რომ, შეხვედრამდე...

# „...ქართველები და აფხაზები ერთად ვიხდიდით შერიგების „მალარიას“

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელი გია ბარამია ერთ-ერთი იმთავანა, ვინც აფხაზეთის ომში საკუთარი ოჯახისა და მინის დასაცავად იბრძოდა. აფხაზეთში დაბადებულსა და გაზრდილს, 24 წლის ასაკში მოუწია იარაღის ხელში აღება. სამხედრო დაზვერვის 23-ე ბრიგადის ყოფილი მზვერავი ამბობს, რომ საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე არ ამოუ-



ნურავს და იმედოვნებს, რომ უთანასწორო ბრძოლაში დაკარგულ მშობლიურ კუთხეს ასლა დიპლომატიური გზით დაიბრუნებს. ბატონმა გიამ ინტერვიუს ჩასაწერად შინ მიგვიპატიჟა და არაჩვეულებრივ მეუღლესთან, ქეთი კაჭარავასთან და ორ მშვენიერ ქალიშვილთან — თათასა და ნინოსთან ერთად გაგვიმასპინძლა.

## გია ბარამია წარსულსა და აწმყოზე...

### სათუნა ბახტურიძე

— ბატონო გია, თქვენ იმ ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლაში მოგონიათ, რომლებიც ერთ დროს თქვენზე მეგობრები, მეზობლები ან თანამშრომლები იყვნენ. ამ ფაქტმა თქვენზე როგორ იმოქმედა?

— ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან გამიჭირდა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა?! თავიდან მეგონა, ყველაფერი ისევე მოგვარდებოდა, როგორც 1989 წელს. ალბათ იცით, რომ მაშინ ქართველებსა და აფხაზებს შორის მხოლოდ 2 კვირის განმავლობაში იყო დაძაბული სიტუაცია. სამწუხაროდ, შეეცდი. გაგრის დაცემის შემდეგ ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ თუ ქვეყანა გიყვარდა და თავმოყვარეობა გქონდა, ხელში იარაღი უნდა აგეღო. მარტო მე კი არა, ბევრი მამაკაცი იძულებული გახდა, ეს ნაბიჯი გადაედგა. შეიძლება, დაუჯერებლად მოგეჩვენოს, მაგრამ აფხაზები და ქართველები ზოგჯერ ერთმანეთს საკუთარი სიცოცხლის ფასად ვიცავდით. ომი ადამიანის რეალურ სახეს ავლენს. ნაღდი მეომარი, ქართველი იქნება ის თუ აფხაზი, ღირსეულად იქცევა. სამწუხაროდ, უღირსებიც იყვნენ, თანაც — ორივე მხარეს. როდესაც შევარდნაძისა და ელცინის გარეგნის შედეგად შერიგების შემორანდუმს მოეწერა ხელი, იმედი მოგვეცა, რომ ეს საშინელება დამთავრდებოდა. ამ დღეს ძალიან ბედნიერები ვიყავით. ქართველები და აფხაზები ერთად ვიხდიდით შერიგების „მალარიას“. სამწუხაროდ, ჩვენი სიხარული ნაადრევად აღმოჩნდა. როგორც მოგეხსენებათ, ხელშეკრულება რუსებმა და

სეპარატისტებმა დაარღვიეს და განიარაღებულ ქართველებს გაათამაგებულნი ძალებით შემოგვიტყეს.

— როგორც ედუარდ შევარდნაძემ ერთ-ერთი ინტერვიუსას მითხრა, ის მაშინ ელცინმა და არძინბამ მოატყუეს. თქვენ, როგორც მოვლენების უშუალო მონაწილე, როგორ ფიქრობთ — რუსებისა და აფხაზების ჩანაფიქრის გამოცნობა რთული იყო?

— არა, რას ამბობთ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მაშინდელი თავმჯდომარის, ცხონებული ყიუღი შარტავასგან მოყოლებული, სამხედროებით დამთავრებული, შევარდნაძეს ყველა ეუბნებოდა, რომ რუსების ნდობა არ შეიძლებოდა. როდესაც შერიგების შემორანდუმში გაფორმდა, გადანყდა, რომ განიარაღებულიყო როგორც ქართული, ისე აფხაზური და რუსული საჯარისო ფორმირებები. რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოს, მხოლოდ ქართული მხარის განიარაღების პროცესი კონტროლდებოდა. რატომღაც შევარდნაძემ არ მოითხოვა, რომ მსგავსი მონიტორინგი რუსებსა და აფხაზებზეც დაწესებულიყო. არადა, ჩვენ ვფლობდით ინფორმაციას, რომ რუსებს მზაკვრული გეგმა ჰქონდათ მოფიქრებული და განიარაღებას არ აპირებდნენ. ამ ყველაფრის შემდეგ თავად გააკეთეთ დასკვნა, შევარდნაძემ მოატყუეს თუ თავი მოიტყუა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ დონის პოლიტიკოსი ასე ადვილად მოტყუებულიყო. ჩემი აზრით, ეს მუხანათური ლაღატი იყო, რომელსაც რამდენიმე ათასი ქართველის სიცოცხლე შეენირა.

— თქვენი აზრით, არის თუ არა დღევანდელი ხელისუფლება ვალდებული, ამ შეცდომისა თუ ლაღატისთვის კონკრეტულ პირებს პასუხი აგებონ?

— მე თუ მკითხავთ, 1992-1993 წლებში მომხდარი ფაქტების სამართლებრივი შეფასება აუცილებლად უნდა მოხდეს და გაირკვეს, როგორი იყო საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის პოზიცია და რამდენად მართებული იყო იმ პერიოდში გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯები. ეს ყველაფერი, როგორც ჩემთვის, ისე სხვა დევნილისთვის ძალზე მძიმე გასახსენებელი იქნება, მაგრამ მაინც გვინდა ვიცოდეთ, ვის რა წვლილი მიუძღვის ამ მარცხში. სოხუმის დაცემა ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მძიმე მომენტი იყო. გარდა იმისა, რომ როგორც მეზობლი, განცდილი მარცხის გამო დიდ ტკივილს ვგრძნობდი, აფხაზეთში ჩარჩენილ ჩემს მშობლებსა და ცოლ-შვილს ვერ ვპოულობდი. 3 დღის განმავლობაში ისიც კი არ ვიცოდი, ცოცხლები იყვნენ თუ მკვდრები.

— როგორც ვიცო, ოჯახი სწორედ მაშინ შექმნილი, როდესაც ქვეყანაში საომარი ვითარება იყო...

### გია:

— ქორწილი 1989 წლის 3 ნოემბერს გვექონდა. იმ პერიოდში გარკვეული შეხლა-შემოხლა უკვე დანწყებული იყო და სოხუმში რუსის ჯარი იდგა. კომუნდანტის საათი იყო გამოცხადებული და ქალაქში მოძრაობის უფლება მხოლოდ ღამის 11 საათამდე გვექონდა. არსებული რეალობის გათვალისწინებით, გადაწყვიტე, ქორწილის ცერემონია დღის პირველ საათზე დაგვეწყო.

### ქათი:

— გია ისე გაერთო საქორწილო სამზადისით, რომ მე სულ დაავიწყდი და კინაღამ უპატარალო ქორწილი გადაიხადა...



იმ დილას მე და ჩემი მამამთილი უნივერსიტეტში წავედით — ქიმიკში გამოცდა მქონდა ჩასაბარებელი. გიას მამა „საბალელშიკოვ“ გამოცდა. გამოცდა წარმატებით ჩავაბარე და საბატარძლო კაბა რომ ჩამეცვა, მშობლების სახლში წავედი. მაყარს იმდენი ხანი ველოდი, მამამ ისიც კი მითხრა, — ალბათ გიამ დაქორწინება გადაიფიქრაო.

**ბიძა:**  
— ქეთის მოთმინება რომ გამოვლია, დამირეკა და მითხრა, — მე თუ აღარ გინდევარ, ქორწილი რაღაში გჭირდებაო?

**— იმ პერიოდში უკვე ერთად ცხოვრობდით?**

**ქეთი:**  
— კი, ამ დროისთვის უკვე „გაპარულეზი“ ვიყავით.

**ბიძა:**  
— მომატყუა და მომიტაცა.

**ქეთი:**  
— (იციან) დიახ, მოვიტაცე. სხვათა შორის, პირველ აპრილს გავიპარეთ.

**ბიძა:**  
— წარმოგიდგენიათ? პირველ აპრილს მოვიყვანე ცოლი!.. ამ დღეს ხომ მოტყუება ადვილია!

**— რომელმა რომელი მოატყუეთ?**



**ქეთი:**  
— მე მოვატყუე!

**ბიძა:**  
— ვეთანხმები, ქეთიმ მომატყუა!

**— ერთმანეთის გაცნობაც რაიმე სახიფათო ფაქტს ხომ არ უკავშირდება?**

— არა, ერთმანეთი ბედნიერი შემთხვევის წყალობით გავიცანით. ქეთის ბიძა და დედაჩემი თანაკლასელები იყვნენ. სკოლის დამთავრების 30 წლისთავი ქეთის ბიძის სახლში აღნიშნეს და იქ მე და მამაც მიგვიწვიეს. პირველი კურსის სტუდენტი გახლდით. ქეთიმ, რომელიც საკუთარი ბიძის სახლში სტუმრებს მასპინძლობდა, ღომი ჩამოატარა და 200 კაციდან მხოლოდ მამაჩემს არ მიუტანა. მამამ დაუთხა და უსაყვედურა: რა დაგიშავე, მაინცდამაინც მე რატომ გამომტოვეო? — თან ჩამჩურჩულა: ნახე, რა კარგი გოგოაო!.. ძალიან რომანტიკული შეყვარებული ვიყავი. ერთ-

ელ ფუნქციონირზე ავიყვანე; უკან რომ ვბრუნდებოდით, გზად ლამაზი გვიჩვენა და ვინახე. მანქანა გაგაჩერე, ყვავილი მოვწყვიტე და ქეთის მივართვი... მეერ ქეთი სტავროპოლის სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაირიცხა და საქართველოდან წავიდა. ერთ მშვენიერ დღეს — 1989 წლის 1-ელ აპრილს იქ ჩავაკითხე და ცოლობა ვთხოვე.

**— ესე იგი, თქვენ მოგ-იტყუებით, ბატონო გია...**

**— (იციან) არა, ეს წინასწარ იყო შეთანხმებული და იმიტომ ჩავაკითხე.**

**ქეთი:**

— პოპულარული ბიჭი იყო და თან, ჩემი გულის მოსაგებად, ძალიან იაქტიურა.

**— არ დაუფერო, არაფერსაც არ ვაქტიურობდი. განახვით ჩემი მაშინდელი სურათები? ქორწილის ვიდეოსაც გიჩვენებთ და დარწმუნდებით, რა კარგი ბიჭი ვიყავი...**

**ქეთი:**

— აფხაზეთიდან მხოლოდ ქორწილის სურათებისა და ვიდეოს წამოღება მოვახერხეთ... ეს დღეები მართლაც, უბედნიერესი იყო ჩვენს ცხოვრებაში.

*ვიდრე ქალბატონი ქეთი წარსულის ლამაზ დღეებს იხსენებდა, ბატონმა გიამ ალბომი გამოიჩინა და ქორწილში გადაღებული სურათები მომანოდა.*

**— ლამაზი წველი ყოფილხართ...**

**ბიძა:**  
— კი, მაგრამ მე უფრო მაგარი ვიყავი!

**ქეთი:**

— დაუფერეთ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს... ეს სურათები ბედნიერ დღეებს მაგონებს... მიუხედავად იმისა, რომ დაძაბული სიტუაცია იყო, ომის დანწყებას მაინც არ ველოდით. ყველაზე დიდი საშინელება, „შერიგების“ შემდეგ მომხდარი თავდასხმა იყო. ახლაც გუშინდელივით მახსოვს ის დღე, შეთანხმება — ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ერთი კვირის გაფორმებული იყო. წლინახევრის თათასთან ერთად, ეზოში ვიყავი გამოსული, მოულოდნელად სოსუმის თავზე ბომბები ჩამოყარეს. გიას მამა შეიარაღებული გვდარჯობდა, მაგრამ მაინც ძალიან გვეშინოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენმა მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ მე და თათა სამშვიდობოს გავეყვანეთ, ხოლო თვითონ იქ დარჩენილიყვნენ. მამამ დრანდის აეროპორტიდან ბოლო თვითმფრინავს გამომაყოლა.

**— ბატონო გია, ამ დროს თქვენ სად იყავით?**

— როდესაც ცეცხლის შესახებ შეთანხმებას მოანერგეს ხელი, ვიფიქრეთ, რომ ყველაფერი მოგვარდა და ცხოვრება მშვიდად გაგვგრძელდა. მე პირადი საქმის გამო აფხაზეთიდან ვიყავი წასული და ომი

რომ განახლდა, იქ დაბრუნება ვეღარ მოვხერხე. არ ვიცოდი, რომ ქეთი და ბავშვი სამშვიდობოს იყვნენ გამოსულები. საშინელ დღეში ჩავვარდი. სხვათა შორის, ამ ომში ბევრი სასწაული მოხდა — მაგალითად, ჩემი მშობლები აფხაზეტმა საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინეს.

**— საკუთარი სიცოცხლის ფასად**



**რატომ?**

— იმიტომ, რომ სეპარატისტი არძინბას განკარგულებით, აფხაზი, რომელიც ქართველს შეიფარებდა, სასტიკად ისჯებოდა. ახლაც გუშინდელი დღესავით მახსოვს: ფსოუზე გადადიოდა აფხაზი, რომელსაც ჩემი მშობლების მოძიება ვთხოვე; მომიბრუნდა და მითხრა, — თუ დღეში შენი მშობლები ვერ გამოვიყვანე, ესე იგი, ცოცხალი აღარა ვარო. ის 3 დღე ჩემთვის წამდვილ ჯოჯოხეთად იქცა. უფლის მადლით, მეგობარმა აფხაზმა დედ-მამა სამშვიდობოს გამომიყვანა.

**— აფხაზი თქვენც გადაგიჩინათ?**

— კი, თანაც — არაერთხელ. გარდა იმისა, რომ შუა ომში ჩემს აფხაზ მეზობლებს მაროდვილებისგან ვიცავდი, ლუკმაპურსაც ვუყუფდი. ამას არ ვნანობ, სიკეთე წამდვილად, დამიფასდა. სხვათა შორის, ნათლია აფხაზი მყავდა, აცხოროს ღმერთმა!..

**— თუ ქართველებსა და აფხაზებს შორის, ომის დროსაც კი ასეთი ურთიერთობები იყო, მათთან დიალოგის დანწყება შეუძლებელი რატომ გახდა?**

— იმიტომ, რომ შევადრნაძის ხელისუფლების პერიოდში ამის პოლიტიკური ნება არ იყო. გარდა ამისა, მაშინ ომი ახალი დამთავრებული იყო და აფხაზები ეიფორიაში იმყოფებოდნენ. ეგონათ, თავისუფლებისთვის იბრძოლეს და დამოუკიდებლობა მოიპოვეს. დღეს კი უკვე ხვდებიან, რომ სისხლი ტყუილად დაღვარეს და ჩვენი საერთო მტრის ნისქვილზე დაასესს წყალი; მათი მარიონეტი ხელისუფლება კრემლიდან იმართება და რუსეთის მიზანი აფხაზეთში სამხედრო ბაზების განლაგება, იქიდან ბუნებრივი წიაღისეულის გატანა და ადგილობრივების რუსიფიკაცია. რადიკალურად განწყობილი სეპარატისტებიც არსებობენ, რომლებსაც ქართველების მიმართ ბევრი ცოდვა აქვთ ჩადენილი და

# ადამიანი

შერიგება არ აძლევთ ხელს, მაგრამ აფხაზების შეგნებული ნაწილი ამბობს, რომ რუსების ხელში მყოფთ გადაჯიშება ელით და მათი ერთადერთი ხსნა — ქართველებთან შერიგებაა.

### — დღევანდელი ხელისუფლება ამ ყველაფერს მოლაპარაკების დანაშაულის რატომ არ იყენებს?

— ნუ გგონიათ, რომ არ ვიყენებთ. ჩვენ ამ კუთხით ვმუშაობთ, მაგრამ სამწუხაროდ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ახლა დეტალებზე ვერ ვილაპარაკებ.

### — თქვენ აფხაზ სახლს შერიგებისკენ ერთხელ უკვე მოუწოდებთ, მაგრამ შამბასგან საკმაოდ კრიტიკურული პასუხი მიიღებთ.

— შამბასგან სხვა რამეს ნამდვილად, არ ველოდი. სხვათა შორის, ადრე ის კო-

### — აფხაზეთის დაბრუნებისთვის ძალისმიერი მეთოდის გამოყენება რომ გახდეს საჭირო, იარაღს ისევ აიღებთ ხელში?

— რაც ჩემზეა დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ აფხაზეთი მშვიდობიანი გზით დავიბრუნოთ, მაგრამ თუ აუცილებელი გახდება, იარაღს ისევ ავიღებ ხელში. ძალიან არ მინდა, რომ რუსებმა აფხაზები და ქართველები საკუთარი მზაკვრული მიზნისთვის გამოგიყენონ. ერთ ამბავს მოგიყვებით და კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ ქართველებსა და აფხაზებს ერთმანეთთან გასაყოფი არაფერი გვაქვს. 2001 წელი იყო. ჩემმა მეგობარმა, რომელსაც აფხაზი ცოლი ჰყავს, მითხრა: მეუღლის ნაყვანა მინდა მის ნათესავებთან, მარტო ნასვლა

გადაულაპარაკეს, — გია როგორმე აქედან უნდა გავიყვანოთო, — და არძინბას მკვლელების თვალის ასახვევად, აფხაზურად დამიწყეს ლაპარაკი. მეც ვპასუხობდი, როგორც შემეძლო... სამშვიდობოს რომ გამოვედით, სათითაოდ გადამხვივდნენ და მითხრეს, — შენს მათვს ცოცხლები არ დავთმობდითო! ამ საუბარში რომ ვიყავით, ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, — თუ რამე გაგიჭირდეს, დამირეკო, — და თავისი ტელეფონის ნომერი გამომიწოდა. ნომერს რომ დაგხედე, გავში: ჩემი მეუღლის ოჯახის ტელეფონის ნომერი იყო. მისამართი ვკითხე და ქეთის მშობლების სახლის მისამართი მითხრა. ერთხანს გაცემული ვუყურებდი, მერე ვკითხე, — თუ იცი, ჩემი სიმამრის სახლი რომ ცხოვრობ-მეთქი?! შერცხვა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, მიპასუხა, — სომხებისგან ვიყიდე, ვიდრე თქვენ დაბრუნდებით, სახლს მე მოვუვლი და მერე ისევ დაგიბრუნებთო.

### — ის თუ იცით, თქვენს სახლში ვინ ცხოვრობს?

— ჩემს სახლში ჯერ მეომრები ცხოვრობდნენ, მერე მათ ოჩამჩირის რაიონიდან ჩასული დედა-შვილისთვის მიუყიდიათ. ისინიც მუშენებიან, — რომ დაბრუნდებით, სახლს დაგიტოვებთო. დიასახლისმა ისიც კი თქვა, — სახლს რომ ვგვი, ასე მგონია, უკნიდან ვილაღ მიყურებსო.

### — ომის შემდეგ თქვენი სახლი ნახეთ?

— არა. 2006 წელს, როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი და მოლაპარაკების პროცესში ვმონაწილეობდი, აფხაზეთში გაეროს დელეგაციას გავეყვი. ჩამკვდარი იყო იქაურობა, გზად მხოლოდ 3-4 მანქანა შეგვხვდა. მოლაპარაკების შემდეგ, დელეგაციის წარმომადგენლებს ვთხოვე, ჩემი სახლი ეჩვენებინათ, მაგრამ უარი მითხრეს. არადა, ოფისიდან სულ რაღაც ერთი კილომეტრის მოშორებით იყო. შევპირდი, დებოშს არ ავტეხ-მეთქი, მაგრამ მაინც ვერ დავიყოლიე. მერე ისლა ვთხოვე, — ქალაქში მაინც გამატარეთ-მეთქი. იცით, ყველაზე მეტად გული რაზე დამწყდა?.. აკაკი წერეთლის სახელობის ქართული სკოლა, რომელშიც ვსწავლობდი, ერთიანად ჩამონგრეული და გაპარტახებული იყო, მის წინ მდგარი, გრიბოედოვის სახელობის რუსული სკოლა კი — ახალგაერემონტებული და გალამაზებული. თავი ველარ შევიკავე და ცრემლები წამომცვივდა. ნეტავ, საერთოდ, არ მენახა იქაურობა!..

### — აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშნა თქვენთვის მოულოდნელი იყო?

— როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი, ეს საკითხი განიხილებოდა, მაგრამ მერე სალონიკში, საქართველოს კონსულის თანამდებობაზე გამგზავნეს. ამ ეტაპზე ეს შემოთავაზება მართლა მოულოდნელი იყო, თუმცა — სასიხარულოც. აფხაზეთი ჩემი ტკივილია. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემმა შვილებმა სოხუმი ნახონ და იქაური მინის მადლი შეიგრძნონ.



მენტარს საერთოდ არ აკეთებდა. ახლა კი თქვა, რომ დიპლომის პროცესის დაწყება და შერიგება შესაძლებელია. აფხაზეთში არსებული რეალობის ფონზე ესეც პოზიტიური ფაქტია. მართალია, მან ისიც თქვა, — ჩვენ მოლაპარაკებას მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით დავინწყებთო, — მაგრამ ესეც გასაგებია... შეგახსენებთ, რომ მისი ყოველი სიტყვა და ნაბიჯი კრემლიდან კონტროლდება და სხვა რამის თქმის უფლებას არც მისცემენ. შეიძლება ითქვას, რომ დღეს აფხაზებმა გაიღვიძეს და სიმართლე დაინახეს. იმასაც მიხვდნენ, რომ ერთადერთი გამოსავალი — შეცდომების აღიარება, ერთმანეთისთვის ცოდვების მიტევა და სუფთა ფურცლიდან ცხოვრების დაწყებაა. ახლა მთავარია, აფხაზებმა და ქართველებმა ერთობლივი პროექტები დაგვეგმოს და ღონისძიებაში შეილაკმედარი დედები, თავისუფლებისმოყვარე ვაჟაკები და მოაზროვნე ახალგაზრდები ჩავრთოთ. დარწმუნებული ვარ, ეს შედეგს მალევე გამოიღებს.

### — ქალბატონო ქეთი, აფხაზეთის დაბრუნების იმედი თქვენც გაქვთ?


ქეთი:

— გია ისე იმედიანად არის განწყობილი, რომ დარწმუნებული ვარ, აფხაზეთს დავიბრუნებთ.

მეზარება და ენგურამდე მომყვები. ჯერ კი ვუთხარი, — ხომ არ გაგიფიქრებ-მეთქი?! — მაგრამ მერე მაინც გავეყვი. ენგურის ადმინისტრაციულ საზღვართან რომ მივედი, ჩემმა მეგობარმა თავისი ცოლ-შვილი ნათესავებს ჩააბარა და უკან გამოვბრუნდი. უეცრად აფხაზური საგუშაგოდან ყვირილი მომესმა: „გიხას, გიხას, ვორა ტიგარ?“ („გია, შენ ხარ?“) მივიხედე და ნაცნობი აფხაზი დავინახე, მაგრამ ისევ მოვბრუნდი: სად მქონდა იმათი შარის თავი?! თან, აფხაზებსა და ქართველებს შორის რუსების ბლოკ-პოსტი იყო. ჩემი ნაცნობი აფხაზი ჰინალამ გაგიჟდა, ადგა და თავად გადმოვიდა ენგურზე. გადაემკონა, მომიკითხა და მითხრა, — ნამოდი, სხვებსაც შეგახვდრებო. თავიდან ვიუარე, მაგრამ მერე ვიფიქრე, არ ეგონოთ, რომ მეშინია-მეთქი და ნავეყვი. მივედი თუ არა, ბლოკ-პოსტზე პურმარინი გაშალეს, მერე ხლებიც შემოგვიერთდნენ. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ თავი სოხუში მეგონა... უკვე შეზარხოსებულები ვიყავით, როცა არძინბას დაქირავებული მკვლელები გამოჩნდნენ, ტყვეები მიჰყავდათ გასაცვლელად. ჩემი თანამეინახენი შემოვითდნენ, მითხრეს, — ესენი სისასტიკით ცნობილი, გუდაუთის დაჯგუფების წევრები არიანო. მერე ერთმანეთს

# 6 წლის გოლიათი სკოლაში წავიდა

აი, დადგა 14 სექტემბერი, სასწავლო წლის მაუწყებელი ზარი დაირეკა და სკოლის კარიც გაიღო. სწავლის დაწყებას ბავშვები მოუთმენლად ელოდნენ, მაგრამ პირველ კლასში შემსვლელ პატარებს ხომ ამ დღის განსაკუთრებული მოლოდინი აქვთ ხოლმე! 14 სექტემბერს გულის ფანცქალით ელოდა ლუკაცის მთელი აგვისტო დღეებს ფუმფულა თითებზე გამუდმებით ითვლიდა და ყველას აჩვენებდა, — აი, ამდენი დღე დამრჩა სკოლაში წასვლამდეო; შინ სკოლის ჩანთაყიდებული დადიოდა... ის ასაკით მართლაც პატარაა, მაგრამ გარეგნულად სულაც არ ჰგავს 6 წლისას. უცებ ვერც იმას მიხვდები, რომ წელს სკოლაში პირველად შევიდა, ბევრს მე-4, მე-5 კლასის მოსწავლე ჰგონია (ვეჭვობ, ჩვენში კიდევ მოიძებნოს მსგავსი გიგანტი პირველკლასელი)...



მართალია, პატარაა, მაგრამ ყველა მაინც, როგორც დიდს, ისე უყურებს

## ლალი ფასია

გოლიათური აღნაგობის, სკოლაში პირველად მისულ ლუკას, თანატოლები და პედაგოგები გაცემბულეები უყურებდნენ. თანაკლასელთა მშობლებიც ვერ ფარავდნენ გაკვირვებას, თუმცა ყველანი დიდი სიყვარულითა და სიხარულით შეეგებნენ გამორჩეული გარეგნობის პირველკლასელს, რომლის ცხოვრებაც 6 წლის წინ ასე დაიწყო: დაიბადა 3 კგ და 900 გრამში, შემდგომ მისი წონის მატება დღითი დღე შესამჩნევი იყო, საოცარი სისწრაფით იზრდებოდა... ამის გამო 2004 წელს, პატარა გიგანტი გინესის რეკორდსმენობის კანდიდატიც კი იყო, მაგრამ ეს საქმე გარკვეულ გარემოებათა გამო ჩაიშალა, თუმცა ლუკაზე სიუჟეტების მოზადებით ქართული და უცხოური ტელეარხები მაინც დაინტერესდნენ... მელექსიშვილების ოჯახს გასულ კვირას ვესტუმრე და საკუთარი თვალით ვნახე, თუ როგორ ემზადებოდა 6 წლის გოლიათი სკოლაში წასასვლელად.

**ლია მელაქსიშვილი,** ლუკას დედა:

— ლუკა ახლა 57 კგ-ს იწონის. ერთი თვის წინ 59 კგ იყო; ცოტა დაიკლო.

— **ყოველთვის ქარბი წონის იყო?**

— კი. ერთი თვისას ერთი კგ ჰქონდა მომატებული და ყოველ თვეს თითქმის ორ კილომდე იმატებდა, ხოლო წლისა და 3 თვისა — 26 კგ-ს იწონიდა.

— **არადა, როგორც ვიცი, ერთი წლის ბავშვი 12 კგ-ს უნდა იწონიდე. ქამას მუდმივად ითხოვდა?**

## „თავიდან მისი თანატოლები ბიზიტა და გოცაბით უყურებან...“

— კი. ჩვენ მემანვნი ქალი გვყავდა, რომელსაც ლუკასთვის სპეციალურად კავთისხევიდან, კვირაში ორჯერ, 10-10 ქილა მანონი ჩამოჰქონდა, რადგანაც წლამდე, კვირაში 20 ქილა უნდოდა; წლისას კი უკვე — 25 ქილა.

— **კიდევ რას მიირთმევდა და ძირითადად, რამ გაასუქა?**

— ...უმთავრესად მანონზე იყო. ისე, კარგად მახსოვს, 4 თვისამ კატლეტს, ტოლმას, ქათმის ხორცს, ნამცხვარს, ლობიანს გაუსინჯა გემო და ძალიან მოეწონა... ვფიქრობ, რომ ბევრს აღარ ჭამს. უგემური საკვები არ უყვარს. ყველაფერი, რასაც მიირთმევს, მხოლოდ ნოყიერი და კალორიული უნდა იყოს; დღეს, უკვე საღამოა და მხოლოდ ორჯერ ჭამა, მაგრამ რასაც ჭამს, ყველაფერი ერგება. ბევრჯერ მიფიქრია იმაზე, თუ რა არის მისი გასუქების მიზეზი, გამოკვლეულიც მყავს, მაგრამ აბსოლუტურად ჯანმრთელია.

— **დღის განმავლობაში რამდენჯერ ჭამს?**

— ძირითადად, ორჯერ. თუმცა ძალიან უყვარს სასუნავი და სულ რაღაცას ისუნავს. ტკბილეული ძალიან იზიდავს. განსაკუთრებით ხორცი უყვარს.

— **ლუკა, მითხარ, მართალს**

**ამბობს შენზე დედიკო?**

— (თანხმობის ნიშნად, თავს მიქნევს).

— **ყველაზე მეტად კერძებიდან რა გიყვარს?**

— მწვადი!

— **რა არ გიყვარს?**

— ჩახოხბილი (მორცხვებს და მეორე ოთახში გარბის)...

— **პატარაობიდანვე მძიმე წონის რომ იყო, ალბათ მისი ხელში აყვანა გიჭირდათ, არა?**

— კი, ასე იყო. ძალიან მძიმე გახლდათ და მისი ხელში აყვანა სერიოზული პრობლემა იყო. ამიტომ სანოლზე იჯდა და სულ ხელები ჰქონდა გამოწვდილი, ყველას ეხვეწებოდა, ამიყვანეთო. ამასთან, მძიმე რომ იყო, ვნერვიულობდით, — ნეტავ, სიარულს როდის ისწავლის ან როგორ გაივლის-მეთქი? — მაგრამ ერთხელაც, მე და ჩემი ამხანაგები სამზარეულოში ვისხედით და ვსაუბრობდით. ლუკას გვერდით ოთახში ეძინა; რაღაც დღეები აკლდა, წლის რომ გამხდარიყო. უეცრად მხერა ოთახისკენ გამეპარა, დავინახე, რომ რაღაც სილუეტი მოძრაობდა. თურმე ნუ იტყვი და, ბატონ ლუკას გაუღვიძია, გადმოძვრალა და სანოლის გარშემო დაბაჯბაჯებდა. ვაიმე-მეთქი! — ერთი წამოვიყვირე. ამ-

ადამიანი

ანაგებმა გამაჩერეს, — არ შეაშინო, თორემ შეიძლება, მერე აღარ გაიაროსო. ის დღე იყო და ის — მას მერე ლუკამ თავისით აიდგა ფეხი. არავის დახმარება არ დასჭირვებია და არც არავინ გავეწვავლებივართ. სანამ ჭოჭინაში ეტეოდა, იმით დადიოდა და არც ფიქრობდა იმაზე, რომ გაველო, მაგრამ მერე ჭოჭინაში რომ ვეღარ ჩაეგია (რადგანაც იჭედებოდა), საწოლიდან ჩამოცოცდა და ფეხი, როგორც გითხარით, თავისით აიდგა. ლუკას კიდევ ერთი უცნაურობა იცით, რა იყო? ბავშვები თავიდან ხოხვას, ფორთხვას სწავლობენ; ამანაც ისწავლა, ოღონდ — უკან-უკან მიხობავდა. უცნაურობად მიმაჩნდა ისიც, რომ 10 თვისა მანდარინს კანიანად ჭამდა...

— ისე, როგორი ხასიათის ბავშვია?

— კეთილი და თბილია, მაგრამ მძიმე ხასიათიც აქვს. ყველასთან კონტაქტში შესვლა მაინცდამაინც არ უყვარს. ჯერ შორიდან უყურებს ადამიანს, აკვირდება და ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გადანყევტს, დაეკონტაქტოს თუ — არა. ყველა ბავშვთან არ მეგობრობს. არ შეუძლია. ჩემი უფროსი ვაჟი — ლევანი, რომელიც 15 წლის გახლავთ, სხვანაირია, ყველასთან გამოძენის საერთო ენას.

— ლევანი არასდროს ყოფილა მსგავსი წონის?

— 6 თვის ასაკში კი იყო 12 კილო, მაგრამ ფეხი რომ აიდგა, საგრძნობლად დაიკლო. აბსოლუტურად განსხვავებული ძმები არიან, როგორც გარეგნულად, ისე ხასიათითაც, საერთოდ არ ჰგვანან ერთმანეთს. ხომ ვამბობ, ლუკას თავისებური ხასიათი აქვს: რასაც მოითხოვს, უნდა შეუსრულო, ჯიუტია, რაც უნდა, ის უნდა გააკეთოს, თუ არა და გაიბუტება.

— ცელტა?

— საკმაოდ... არადა, ვერც იფიქრებთ, მაგრამ ისეთი მოძრავია, გაჩერებულს ვერ ნახავთ.



დედიკოსთან ერთად



მწვადი მიყვარს...

— 6 წლის ბავშვია, ფაქტობრივად ძალზე პატარაა, თანატოლები მის ასაკთან შეუსაბამო აღნაგობას როგორ აღიქვამენ?

— მართალია, პატარაა, მაგრამ ყველა მაინც, როგორც დიდს, ისე უყურებს. წელს პირველკლასელი ხდება. ცოტა ხნის წინ სკოლაში პირველად ფსიქოლოგთან და მასწავლებელთან გასაუბრებაზე რომ მივიყვანე, ისეთი გაცეცხულები უყურებდნენ ბავშვები, ნეტავ, ეს ვინ არისო... პატარები რომ დაინახავენ, თავიდან თითქოს ეშინიათ მისი. მერე, თუ კეთილი ინება და მათ გაუცინა, ადვილად ეკონტაქტებიან.

— ლუკას გონებრივ მონაცემებზე რას გვეტყვი? რა იზიდავს და აინტერესებს?

— ყველაფერი აინტერესებს. უამრავ კითხვას სვამს. უნდა, რომ ბევრი რამ გაიგოს და იცოდეს. დამოუკიდებლად ისწავლა ანბანი. 20-ის ფარგლებში ანგარიშობს. უყვარს ფილმების, მულტფილმების ყურება, წერა, ხატვა...

— ალბათ ძალიან ძნელია, მისთვის შესაფერისი საშუალებების ყიდვა საბავშვო მაღაზიაში, არა?

— შარშან მისი ტანსაცმლის შესაძენად, ძირითადად საბავშვო მაღაზიებში დავდიოდით. სადაც კი მივიყვანე,

მეუბნებოდნენ, — აქ რატომ ეძებთ? ჩვენთან ვერ იშოვით მის ზომას, ამხელა 6 წლის ბავშვები სად არიან, მათ საგანგებო სამოსის შეკერვა უნდათო. მერე ნავედით ჯინსის მაღაზიაში, იქ მკითხეს: რა გაინტერესებთ, რისი შეძენა გინდათო? — ჯინსის შარვალი მინდა-მეთქი, — მივუგე. მეუღლისთვისო? — მკითხეს (მოზრდილების მაღაზია გახლდათ). — არა, აი, ამ ბავშვისთვის-მეთქი. ისე, ამას თქვენი მეუღლის ზომა შარვალი კი დასჭირდებაო, — გაიცინეს. თუმცა იქ მისი შესაფერისი შარვალი მაინც ძლივს შევარჩიეთ. მერე ისევ მაშინის ზომა ვიყიდეთ, რომელიც ტოტებში გადავჭერთ და ისე ჩავაცვიტე (ძირითადად ასე ხდება, ტოტებს ვაჭრი, ვუპეცავ და ისე იცვამს).

— ფესსაცმლის გამოც პრობლემები გექმნება?

— ფესსაცმელი წელს პირველად, სკოლისთვის ძლივს ვუყიდე. ლუკა წლისა და სამი თვის რომ იყო, მისით „რუსთავი 2“ და არაერთი ჩვენი თუ უცხოური ტელეარხი დაინტერესდა და სიუჟეტები მოამზადეს. ერთ-ერთმა ყურნალისტმა მაშინ მკითხა, ფესსაცმლის პრობლემა ხომ არ გაქვთო? —



ლუკა და მისი თანაკლასელი

კი, ფაქტობრივად, ფესშიშველია-მეთქი, რადგანაც პრობლემური იყო თავიდანვე მისთვის ფესსაცმლის მორგება. არასტანდარტული ფეხი ჰქონდა. ეს რომ მოისმინა ტელევიზიით გასულ სიუჟეტში, დიზაინერმა თათა ვარდანაშვილმა მისთვის სპეციალური კალაპოტი დაამზადა და ორი ფესსაცმელიც შეუკერა... ასე რომ, სულ პრობლემა იყო და არის მისი ფესსაცმელი.

— ცელტაო, აღნიშნეთ, ნივთების გაფუჭება თუ სწვევია?

— არ უნდა ხოლმე გაფუჭება, მაგრამ თავისით უფუჭდება. ამიტომ მეშინია, რაიმის გაკეთება ან მოტანა რომ დავავალო, ვიცე, რაღაცას გააფუ-



კარგი ბავშვები მომწონს, ისეთები, რომ არ მეჩხუბებიან

ჭებს (იციინის).

— გარეთ რომ გაგყავთ, ალბათ საზოგადოების ყურადღებას იქცევს, არა?

— კი და მასთან ერთად სიარული არ მიყვარს. რომ დავდივართ, ადამიანებისთვის სულ იმის ახსნა-განმარტება მიწევს, რამდენი კილოა, რამდენი წლის და რომელ კლასში სწავლობს. მეტროში ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ მისთვის სამგზავრო ჟეტონის შექმნა მოუთხოვიათ. ჯერ პატარაა, სკოლაში არ დადის-მეთქი, — რამდენჯერ მითქვამს. გავუღანძღვივარ იქ მსხდომ ქალბატონებს: რატომ იტყუებით, როგორ შეიძლება, ამხელა ბიჭი სკოლაში არ დადიოდესო?! დაბადების მოწმობა ვატარო-მეთქი თან? რომც ვატარო, იქ ხომ სურათი არ არტყია, საიდან დავუმტკიცო, რომ ნამდვილად, ლუკა მელექსიშვილია? მოკლედ, ჩხუბისა და დავის შემდეგ ბოლოს მაინც გამოუტარებიათ.

— ბაღში თუ დადიოდა ლუკა?

— კი. ბაღში რომ შევიყვანე, ფუმ-ფულა რომ არის, ბავშვები ჩემეტდნენ, აწვალებდნენ... ერთხელაც, ერთმა ბავშვმა მაგრად უკბინა. ლუკამ ვეღარ მოითმინა და ხელი გამეტე-ბით მოუქნია. ბავშვი, შეიძლება ითქვას, სადღაც „გაფრინდა“ და თავი სკამს ჩამოარტყა... მის წამოსაყვანად რომ მივედი, მასწავლებელმა ეს ამბავი მომიყვა. თან დასძინა: კი არ ვამტყუნებ, ბავშვი გააბრაზეს, დაჩქმიტეს და დაკბინეს, მაგრამ ლუკა გააფრთხილეთ, ნურავის მოუქნევს ხელს, რადგან ბავშვები მასთან შედარებით, საკმაოდ პატარები არიანო. მეც გავაფრთხილე ლუკა: დედიკო, ბავშვების ცემა არ შეიძლება, დიდი ბიჭი ხარ და შენს ამხანაგებზე მეტი ძალა გაქვს-მეთქი; იმის მერე, ხელს არავის აკარებდა. ერთხელაც,

შინ სახეზე ჩამოკანრული მოვიდა. რა მოხდა-მეთქი? — ვკითხე. — ამა და ამ ბავშვმა დამკანრაო. — მერე შენც ვერ დაარტყი-მეთქი? — რომ დამეტრყა და რამე დაშავებოდა და სტკენოდაო?! — შენ რომ გეტკინა, კარგია-მეთქი?! — მე ხომ დიდი ბიჭი ვარ და მოვითმენო...

— რაკი ლუკას ძალა ასე ერჩის, არ აზირობთ, სპორტის რომელიმე სახეობაზე მიიყვანოთ?

— ჯერჯერობით სკოლაში მიდის. ცოტა ხანში მიწა, ცურვაზე დაიწყოს სიარული. იქნებ, ცურვა წონის დაკლებაში დაგვეხმაროს. მერე ფიქრობ, რომ კარგი იქნება, რაგბიზე ვატაროთ. მეჩვენება, რომ მორაგბის აღნაგობა აქვს.

— სკოლისთვის როგორ მოემზადეთ?

— ლუკა 29-ე საჯარო სკოლაში მიდის. ჩანთა უკვე ვუყიდე, რომელიც მთელი დღის განმავლობაში ზურგზე აქვს მოკიდებული, სახლში ასე დადის...

ლუკა:

— დედიკო, სანამ სკოლაში წავალ, ხომ 4 დღე დამრჩა?

ლია:

— მოკლედ, ძალიან უხარია და გულის ფანცქალით ელოდება ამ დღეს.

— ლუკა, რას ელი სკოლისგან?

— სკოლა კარგია. იქ დამხვდებიან მასწავლებელი და ბავშვები. სკოლაში იმიტომ მიხარია წასვლა, რომ უნდა ვისწავლო.

— ლუკა, რთი ერთობი და თამაზობ?

— კომპიუტერი მიყვარს და ხშირად ვთამაზობ სხვადასხვა თამაშს. მიყვარს

ძალიან თამაში „ვეტია“.

— ვინ გასწავლა კომპიუტერი?

— ჩემმა ძმამ. ლევანს თითებზე ვუყურებდი და ისე ვისწავლე. ერთი თვის წინ ველოსიპედზე სიარულიც ვისწავლე.

— კიდევ?

— მანქანა მყავს („X5“) ჯიპი და მაგიტ ვერთობი...

— როგორ ბავშვები მოგწონს და ვისთან მეგობრობ?

— კარგი ბავშვები მომწონს, ისეთები, რომ არ მეჩხუბებიან.


— ძირითადად, ასეთები არიან შენი ამხანაგები?

— ზოგი — კი, ზოგი — არა.

P.S. ამის შემდეგ, სასწავლო წლის პირველ დღეს, 29-ე სკოლასაც ვენწვი. დავესწარი პირველკლასელთა საზეიმო მიღებას და სკოლის დირექტორსაც გავესაუბრე.

ირმზ ჩარტიბა:

— ჯერ ერთი თვეც კი არ არის, რაც აქ დირექტორად დავინიშნე. ასე რომ, ჩემთვის ამ სკოლაში პირველი სასწავლო წელია. რაღა დაგიმალოთ და ძალიან ველეავ. გოლიათი პირველკლასელის სკოლაში მოსვლამ ერთობ გამახალისა. ცოტა ხნის წინ, როდესაც ლუკას დედამ ჩვენს სკოლას მოაკითხა და ბავშვის მიღება გვთხოვა, ადგილები არ გვქონდა — პირველი კლასები სრულად შევსებული გახლდათ, მაგრამ ყველანაირად შევეცადეთ, ლუკა აქედან არ გაგვეშვა და თან ისიც დავთხოვე, რომ ერთი ბავშვი რუსულ სექტორზე გადავიდა. მერე დავუკავშირდით ლუკას დედას და ბავშვი პირველ კლასში სასწრაფოდ ჩავრიცხეთ. ასე რომ, ძალიან გვინდოდა ჩვენს სკოლაში მისი მიღება. გონიერი ბიჭი ჩანს და ძალიან საყვარელია. წარმატებებს ვუსურვებ, სწავლასა და ცხოვრებაში ბევრისთვის მიეღწიოს. ■



# დამჯანჯავი სკოლის მოსწავლეები



## სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოსწავლეები ტვინს იჭყლებდნენ იმაზე ფიქრში, თუ რა უნდა ყვიდათ, პირველ დღეს როგორ ფორმაში უნდა ყოფილიყვნენ და ა.შ. როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლებმა ჩემთან საუბარში აღნიშნეს, თავის დროზე მათთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა: ჩვენ მხოლოდ წიგნებისა და რვეულების დარდი გვექონდა, თორემ რას და როგორ ჩავიცვამდით, ამას მშობლები წყვეტდნენო. თუმცა, ჩემს რესპონდენტებს შორის ძველი თაობის ისეთი წარმომადგენელიც აღმოჩნდა, რომელიც ცუდლუტობდა და მიუხედავად მასწავლებლების შენიშვნებისა თუ მშობლების წინააღმდეგობისა, პირველ სექტემბერს ყოველთვის განსაკუთრებულად გამოპრანჭული ენახებოდა კლასელებს, მომდევნო დღეებში კი სხვების მსგავსად, სასკოლო ფორმას იცვამდა.

„ტიქუბი ყიჭუბუ სიკყუბუ ვიჭუბუბო. ეოეონას სიყვალის ჰომო დეკონსა“

### ლიკა ქავია

ზოგიერთი მოსწავლე სასწავლო წლის დაწყებას მეუღლესთან ერთად ზეიმობს ანუ ბევრი ქორწინდება და ეს სწავლაში სულაც არ უშლით ხელს. არადა, იყო დრო, როცა მოსწავლეს ცოლის მოყვანა, გათხოვება სასტიკად ეკრძალებოდა და თუ მაინც, რომელიმე მათგანი გარისკავდა, მას სკოლაში არავითარ შემთხვევაში აღარ დაუშვებდნენ. დღესდღეობით, ბევრ სასწავლო დაწესებულებაში შეხვედებით ისეთ წყვილებს, რომლებიც ერთსა და იმავე კლასში სხედან. შესაბამისად, ფუნქციონირებს მოსწავლის დანახვაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რასაც განსაკუთრებით, პედაგოგები და უფროსი თაობის ადამიანები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ამას ხმაბალი ვერ ამბობენ, რადგან ეშინიათ, ამის გამო „ჩამორჩენილებად“ არ მონათლონ და ნაადრევად დაქორწინებულებისა თუ მათი მშობლების რისხვა არ დაიმსახურონ...

ამ თემისკენ ჩვენი ერთგული მგზავნელის, აბეზარას მესიჯმა მიბიძგა. ის მწერდა: „ლიკუშ, იცი, რამდენიმე დღის წინ ჩემმა ნათესავმა ცოლი მოიყვანა. ორივენი სკოლის მოსწავლეები არიან და მათი დაქორწინების ამბავმაც ამიტომ გაგვაკვირვა. არ ვიცი, რამდენად ძლიერია მათი გრძნობა, მაგრამ ფაქტია, რომ ერთად ყოფნა სურთ. არავინ იცის, ადრეულ ასაკში დაქორწინებას რა მოჰყვება, მაგრამ მთავარია, გრძნობა არ გაუქრეთ. უფალი იყოს მათი მფარველი. ორივეს უზომოდ ბედნიერებას ვუსურვებ“.

### დარიკო, 21 წლის:

— ჩემი კლასელები — ნანა და მამუკა მერვე კლასში ყოფნის დროს დაქორწინდნენ. მათი დაოჯახების გამო ჩემს რაიონში (მე რაჭიდან გახლავართ) ისეთი ამბავი ატყდა, დედა შვილს არ აიყვანდა ხელში. ბიჭის და გოგოს მშობლებთან ხალხი რიგრიგობით მიდიოდა და საცოდავებს ტყავს აძრობდა, — ასეთი შვილები როგორ გაზარდეთო?! თავიდან, ნანუკას და მამუკას სკოლაშიც არ უშვებდნენ, მაგრამ მერე, კლასელები გავიფიცეთ და ვიდრე ისინი გაკვეთილებზე არ დაუშვებს, სასწავლებელში ჩვენც არ მივდიოდით.

### — მათ სკოლაში რატომ არ უშვებდნენ?

— ამბობდნენ: ამით დანარჩენებს ცუდ მაგალითს მისცემთ და დაქორწინებას სხვებიც იჩქარებენო. სინამდვილეში, ეს ჩვენს სკოლაში პირველი და ჯერჯერობით, უკანასკნელი შემთხვევა იყო სკოლის მოსწავლეების ქორწინებისა. სხვათა შორის, ნანუკა და მამუკა დღესაც ცოლ-ქმარი არიან და ერთმანეთი ძველებურად უყვართ...

### — ნანუკა სკოლაში სწავლის პერიოდშივე დაფეხმძიმდა?

— მეთერთმეტე კლასში იყო, როცა დაფეხმძიმდა, მაგრამ ბავშვი მას

შემდეგ გაუჩნდა, რაც გამოცდები ჩააბარა. ასე რომ, ატესტატის აღებაში ამას მისთვის ხელი არ შეუშლია. იცი, ამ ქორწინებამ ერთი კარგი შედეგი გამოიღო, რამაც მასწავლებლები მართლაც, ალაფრთოვანა — მამუკამ სიზარმაცე შორს მოისროლა და წარჩინებული მოსწავლე გახდა. ახლა სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობს და იმდენად ნიჭიერია, რომ ერთ-ერთ საავადმყოფოში უკვე ქირურგადაც კი მიიწვიეს... მასწავლებლები ხშირად ეუბნებოდნენ ჩემს კლასელ ბიჭებს — მამუკას მიჰბაძეთო, ისინი კი პედაგოგებს ახელებდნენ: აბა, რას ვიზამთ, ჩვენც მალე მოვიყვანთ ცოლებს და ქორწილშიც დაგვატიყუებთო.

### — მოდი, გაიხსენებ, 1-ელი სექტემბრისთვის როგორ ემზადებოდი სკოლაში?

— იცი, ჩემთვის 1-ელი სექტემბერი ბევრს არაფერს ნიშნავდა, რადგანაც სწავლა ხან როდის გვეწყებოდა და ხან — როდის. ისეც მომხდარა, რომ მთელი სექტემბერი დაგვისვენია და სკოლაში ოქტომბერში მივსულვართ. სასწავლო წლის დასაწყისისთვის წინასწარ ვყიდულობდი ტანისამოსს, ძველი ტანსაცმლით სკოლაში არაფრით ნავიდო-



დი. მასსოვს, ერთხელ პანკივით გამოვწყვე და სკოლაში მისული დირექტორმა უკან გამაბრუნა — ეს უკვე მეტისმეტია! სახლში წადი და ნორმალურად ჩაიცვიო. ლამის გადავირიე და გავსკდი ტირილით, მერე კი, პროტესტის ნიშნად, სკოლაში მთელი კვირა არ მივლია.

**— სკოლაში რის ჩაცმას გიკრძალავდნენ?**

— ნუ, ძალიან გამომწვევად და გიჟურად თუ არ ჩაიცვამდი, არაფერს გეტყოდნენ. დირექტორი ყოველი დღის 8 საათზე, სკოლის შესასვლელთან იდგა და მოსწავლეების ჩაცმულობას პირადად აკონტროლებდა. ბევრი უტირებია ცხარე ცრემლით... ერთხელ, ჩემი მეგობარი გოგო სკოლაში მიდი სიგრძის ქვედაბოლოთი მივიდა, მაგრამ როგორც კი დირექტორის თვალს გაერიდა, მიდი მიწად აქცია. ფიზკულტურის მასწავლებელმა ეს ამბავი დირექტორს მოახსენა, მან კი ნია სკოლიდან მთელი 3 თვით დაითხოვა. თუმცა, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, სასჯელი „შეუმსუბუქა“ — მთელი წლის განმავლობაში კოჭებამდე კაბის ჩაცმა უბრძანა (იცინის).

**თამარი, 38 წლის:**

— მასსოვს, მეცხრე კლასში ვიყავი, როდესაც ჩემზე ერთი წლით უფროსი გოგონა მათემატიკის მასწავლებელზე დაქორწინდა და სკოლაში სიარული არა მარტო მას, არამედ მის ქმარსაც აუკრძალეს. უმუშევრად დარჩენილი პაატა მასწავლებელი სამუშაოდ თბილისში წამოვიდა და დღემდე ვაჭრობს. ამას წინათ შემხ-

ვდა და ვკითხე: სკოლაში მუშაობაზე აღარ გიფიქრიათ-მეთქი? მიპასუხა: მას შემდეგ, რაც მივხვდი, რომ პედაგოგებს ადამიანის განიერვა შეუძლიათ, მასწავლებლობის სურვილი დამეკარგაო. მართალია, ამ დროს მის თვალეში გულწრფელობა ვერ ამოვიკითხე და მის სიტყვებს თითქოს, დამაჯერებლობაც აკლდა, მაგრამ ფაქტია, რომ რამდენიმე წლის წინ, როცა ის ჩვენი სოფლის სკოლაში ისევ მიიწვიეს, პაატა მასწავლებელმა ხელეში გაასავსავა — სკოლაში არასდროს ვიმუშავებო!

**— როცა ისინი დაქორწინდნენ, მოსწავლეებმა გოგონას საქციელი არ განიხილეთ?**

— როგორ არა! ზოგს მოსწონდა მისი გამბედაობა, სხვები კი ლანძღვა-გინებით იკლებდნენ. ჩემი მშობლები, მოსწავლის საქციელზე მეტად, მასწავლებლის უსაქციელობაზე ლაპარაკობდნენ — ბავშვს სხვანაირად როგორ შეხედა? ბოლოს და ბოლოს, ის ხომ მისი პედაგოგი იყო... ამ ამბის შემდეგ, ლამის, ყველა ახალგაზრდა მასწავლებელი დაითხოვეს სკოლიდან...

**— თქვენ დროს მოსწავლეები სასკოლო ფორმებს იცვამდნენ...**

— დიას და ეს კარგიც იყო! ჩვენ არავისი გვშურდა, რადგან ყველანი ერთნაირად გამოვიყურებოდით, ახლა კი, ზოგს მასწავლებელზე უკეთ აცია, ზოგს — მათხოვარივით და ჩემი აზრით, ეს უსამართლობაა. სკოლაში მაინც არ უნდა იგრძნობოდეს, რომ ვიღაც ვიღაცაზე ცუდად ცხოვრობს. მერეც ეყოფათ ცხოვრებისეული სიმწარის შეგრძნება, რალა მოზარდობაშივე უნდა მოვუწამლოთ გუნება?!

**ვაჟა, 54 წლის:**

— აუფ, ახლა რომ სკოლაში დადიან, ისეთ ჩაცმულებს რომ გვევლო, რა გვიჭირდა? მაშინ ბიჭები კიბეზე სარკეებს ვდებდით, რათა გოგონას საცვალი რომ დაგვენახა, ახლა კი სარკეების დადება რა საჭიროა, როცა ისედაც, ტრუსის გარდა, არც არაფერი აცვიათ!

**— თქვენ მგონი, აჭარბებთ...**

— რას ვაჭარბებ, შვილო? გუშინ ლამის, გული გამისკდა. ავტობუსში 3 სკოლის მოსწავლე გოგონა ამოვიდა. რომ შეხედავდი, გული გაგინათდებოდა, ისეთი გოგონები იყვნენ, მაგრამ როცა დასხდნენ, ერთს წითელი საცვალი გამოუჩნდა, მეორეს — მკერდი, მესამეს — ორივე ერთად და... ავტობუსიდან სასწრაფოდ ჩამოვედი და სხვა ნომერს გავეყვი. ავადმყოფი გულის პატრონი ვარ და სად შემეძლო მათი ყურება? სხვა თუ არაფერი, ცოტა ხანაც რომ დავრჩე-

ნილიყავი, სამივე შემომელანძღებოდა.

**— აღნიშნეთ, კიბეზე სარკეს ვდებდითო...**

— ჰო, აბა, რა გვექნა? მაშინ სხვანაირად არავინ არაფერს დაგანახებდა. ის კი არა, გოგოს მკერდი ოდნავ თუ გამოუჩნდებოდა, მას სკოლის დირექტორი იბარებდა და ტუქსავდა. ამას წინათ, ტელევიზიით გამოვიდა პედაგოგი, რომელმაც აღნიშნა: ჩვენი მოსწავლეები დაქორწინდნენ და პირადად მე, წინააღმდეგი ვარ, რომ მათ სკოლაში სწავლა გააგრძელონო. ის ქალი ლამის გაპუტეს — ამის თქმა როგორ იკადრეო? აბა, რა სასიამოვნოა, სკოლის მერხთან „მოხასავე“ გოგო-ბიჭს რომ დაინახავ? ბოლოს და ბოლოს, მასწავლებლებსაც ხომ აქვთ ნერვები, კაცო?!

**— კი, მაგრამ არა მგონია, დაქორწინებულებმა სკოლის მერხთან დაინყონ ერთმანეთის ალერსი. ჩემი აზრით, ამას შეეყარებულები უფრო გააკეთებენ...**

— მერე, დაქორწინებულ წყვილს შეეყარებულებად არ მიიჩნევენ? თანაც, ახლა დაქორწინებულებს ჰგონიათ, რომ თავიანთი სურვილების დაკმაყოფილება ყველგან შეუძლიათ, რადგანაც უკვე ცოლ-ქმარი ჰქვიათ, შეყვარებულები კი თავიანთ ურთიერთობას უცხო თვალს უმაღავენ (ნუ, უნამუსოებს არ გუფლისხმობ).

**— თქვენ და თქვენი მეუღლე საზოგადოებაში ალერსს არ ერიდებოდით?**

— რას მეუბნები, თუ იცი? რას ჰქვია, არ ვერიდებოდით? ის კი არა, ხელს თუ მომივიდებდა, სასწრაფოდ ვიშორებდი თავიდან, ვინმე არ დამინახოს-მეთქი და ამის გამო ცოლი გამუდმებით მეზუზღუნებოდა... მე ახლანდელი, ახალგაზრდა ცოლ-ქმრები ვიგულისხმე, მათ ხომ არაფრის რცხვენიათ. ქორწილის დღეს მაყრებმა რომ დაიძახეს: „გორკა“, „გორკაო“, იქით ჩემი ცოლი გადაიპილიდა და აქეთ მე გაგხდი მოსასულიერებელი.

**— რატომ?**

— აბა, როგორ უნდა მეკოცნა ქალისთვის ამდენი ადამიანის თვალწინ?.. ახლა კი, ზოგს კოცნის კი არა, არაფრის ერიდება და პირდაპირ ხალხის თვალწინ „მუშაობენ“. იღუპება ქართველი ერი, შვილო, საშველი კი არსაიდან ჩანს!..

**ლიანა, 42 წლის:**

— 1-ელი სექტემბრის მოახლოება ისე მიხაროდა, რომ ამ დღისთვის 2 თვით ადრე ვემზადებოდი. მართალია, მაშინ იმ საშინელი სასკოლო ფორმით დავდიოდით, მაგრამ მე



ადამიანი

ყოველთვის ვახერხებდი, რომ პირველ დღეს საკუთარი თავისთვის ზენიმი მომეწყო და სკოლაში ჩითის კაბით „ვიჩითებოდი“ ხოლმე. ჩემი ამ ნიკის შესახებ ყველა მასწავლებელმა იცოდა და მხოლოდ „ლაით“ შენიშვნას მაძლევდნენ. არ გეგონოთ, რომ ყოველ წელს ერთსა და იმავე ფერის ჩითის კაბას ჩავიცვამდი, სულ სხვადასხვა ფერისა და სტილის სამოსს ვაკერინებდი ჩემს მეზობელ ლუბა დეიდას, რომელიც დღემდე შესანიშნავ კაბებს მიკერავს.

— თქვენ სასკოლო ფორმა არასდროს მოგწონდათ და ალბათ, მისი შემოღების წინააღმდეგიც ხართ...  
— ნუ, თუ მოსწავლეებისთვის ნორ-



მალური ხარისხის ქსოვილისგან ნორმალური სტილის კოსტიუმს შეკერავენ, საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს? მაგრამ იმ ყავისფერ კაბებში ბავშვებს კი არაა, ჩემი აზრით, მოხუც ქალებს უფრო ვგავდით. ისე, მეცხრე კლასის შემდეგ, ის საშინელი კაბა აღარ ჩამიცვამს — მშობლებს მოვთხოვე და რამდენიმე შავი და ლურჯი ფერის ქვედაბოლო შევაკერინე, ზევით კი თეთრ კოფთას ვიცვამდი.

— როგორც ვიცი, ადრე მოსწავლეებს დაქორწინება ეკრძალებოდათ...

— კი, ასე იყო, მაგრამ ზოგიერთები მაინც რისკავდნენ. ჩემს სკოლაში 3 გოგო იყო გათხოვილი, მაგრამ ისინი სკოლაში მაინც დადიოდნენ, მათთვის სწავლა არავის აუკრძალავს. ოღონდ, ნაადრევად დაქორწინებულებს ხელი არ უნდა ჰქონოდათ მოწერილი... ახლა ეს პრობლემას არ წარმოადგენს, ბევრი მოსწავლე ქორწინდება და მათ სკოლაშიც უპრობლემოდ უშვებენ.

— ნაადრევ ასაკში ოჯახის შექმნა, თქვენი აზრით, კარგია?

— ამაში ცუდსაც ვერაფერს ვხე-

დავ. იცით, მე 27 წლის ასაკში გავთხოვდი, მშობლები კი ამბობდნენ, რომ ჩემი გათხოვება ნაადრევი იყო, რომ ჯერ კარიერის აწყობაზე უნდა მეფიქრა...

კუკუზა:

— ჩემი ასაკი რად გინდა, ბებია, ყვავის ხნის ვარ. ახლა სკოლის მოსწავლეები მარტო იმაზე ფიქრობენ, რა ჩაცვან, მაშინ კი ოღონდ წიგნი, რვეულის ნაგლეჯი გვეშოვა და სკოლაში შიშველიც სიამოვნებით წავიდოდი. სულ 4 კლასი დავამთავრე და თავი განათლებული ქალი მეგონა. თურმე, არაფერი მცოდნია. ცოტა რუსულიც კი ვიცი, მარა შვილიშვილები დამცინიან, — შენი რუსული ჩინური უფროაო.

— მაშინ სკოლის ფორმა გქონდათ?

— სკოლის ფორმა კი არა, დახეული, ცალ-ცალი კალოშით დავდიოდი. ახლა ჩემს შვილიშვილებს ტანსაცმელი ამოსარჩევად აქვთ, მაგრამ სულ ახალ-ახალი უნდათ, დედამისს გამუდმებით ეწუნუნებიან და თუ სურვილი არ დაიკმაყოფილეს, სკოლაში ფესხაც არ გააადგამენ. მეცოდება ჩემი შვილი ამ სვავების ხელში.

— მაშინ სკოლის მოსწავლეები თხოვდებოდნენ?

— ხომ გითხარი, 4 კლასი დავამთავრე-მეთქი და 10-11 წლის ასაკში ვინ გამათხოვებდა? ისე, მაშინ უფრო ჩქარობდნენ ქალის გათხოვებას და მზითევსაც საგულდაგულოდ ურჩევდნენ. ახლა ჩემი ერთი შვილიშვილი გათხოვდა, მაგრამ მისთვის არაფერი მიუტანიათ. თურმე, საჭირო სულაც არაა, რომ ქალს რაღაც გააყოლო. ჩემს დროს კი ბევრი დაუწუნებიათ მცირე მზითევის გამო.

— თქვენ რა მოგყვით მზითევაში?

— „სპალნია“ და „ვეფხისტყაოსანი“.

— „ვეფხისტყაოსანი“ წაკითხული გაქვთ?

— 17 წლის ვიყავი, ეს წიგნი რომ წავიკითხე, მაგრამ

მაშინ ბევრი რამ ვერ გავიგე. დაახლოებით, 20 წლის მერე კიდევ წავიკითხე და მივხვდი, რომ მართლა გენიალურია, როგორც ამას ჩემი შვილი ამბობს.

— საინტერესოა, სკოლაში სწავლა რატომ შეწყვიტეთ, საშუალო განათლების მიღებაში ხელი რამ შეგიშალათ?

— ჩემს მშობლებს არ ჰქონდათ იმის საშუალება, რომ ჩემთვის რვეული ეყიდათ. სკოლიდან რომ გამომიყვანეს, ბევრი ვიტირე, მაგრამ ჩემი ცრემლები ჩემს მშობლებს არ უნახავთ...

საჩრბი, 17 წლის:

— წელს მე-12 კლასში მივდივარ. მე-9 კლასში რომ ვიყავი, ერთი სული მქონდა, როდის გავიდოდა კიდევ ორი წელი, როცა სწავლას დავამთავრებდი და უნივერსიტეტში ჩავაბარებდი, მაგრამ ვინ გამაზარა? — ერთი წელი კიდევ დამიმატეს...

— სკოლის დამთავრება ასე ძალიან რატომ გეჩქარება?

— ცოლი უნდა მოვიყვანო (იცი-ნის). შეყვარებული 3 წელია, მელოდება და უკვე გაფრთხილება მომცა: მხოლოდ 9 თვე დაგელოდები, მერე კი სხვაზე გავთხოვდებიო. ერთმენტის გარეშე ვერ ვძლებთ, სკოლა კი დაქორწინებაში გვიშლის ხელს.

— ბევრი მოსწავლე ქორწინდება...

— ნამდვილად არ მინდა, სკოლის მოსწავლე შევირთო, მასე სულწასულიც არ ვარ — ატესტატს ავიღებ თუ არა, ნატას ცოლად მოვიყვან. ბოლოს და ბოლოს, უდიპლომო სიძეს ატესტატიც არ მქონდეს (იცი-ნის)! ■





# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რას პაპირუსი, პრაგნილი, წიგნი

## მარბალები

ორიორ სეროქონი  
გენიოსთა  
მემკვიდრეობიდან

თითქოს ტვინში ვარ, ვე-  
ლარა ვწყდები! —  
მაქვს ქვეყნის წიგნი  
სხვათა და სხვათა.  
ვთქავ, ვერა ვძლები, მადა  
მაქვს ზღვათა,  
და მე ყოველთვის  
შემშილით ვკვდები.

ტომაზო კამბანელა



შაირობა პირველადვე  
სიბრძნისაა ერთი დარგი,  
საღმრთო, საღმრთოდ  
გასაგონი, მსმენელთათვის  
დიდი მარგი.

შოთა რუსთაველი

სიტყვა ხმალებდ უფრო  
უკეთ სჭრის და ზარბაზან-  
ზედ უფრო ძლიერ მო-  
ქმედებს. სიტყვა ძალაა და  
ძლიერება.

ილია ჭავჭავაძე



ყოფნის იმედი არ მიმა-  
ტოვებს —  
მე ჩემს წიგნებში ვიცოცხ-  
ლებ მკვდარიც.  
სიკვდილი ელის უნიგნურ  
ტომებს,  
ვინც განათლებას დაუხ-  
შო კარი.

უილიამ შექსპირი



არც რა ბიჭობა ეგ არი,  
მაძლარი ჰმლერდე, ჰგალობ-  
დე,  
მგოსნობას არვის აცლიდე,  
მუდამ ჰკვებდე და სცხარობ-  
დე.  
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,  
მშიერ-მწყურვალეც ჰგალობ-  
დე.

ვაჟა-ფშაველა

# რომანი სკოპრეპარატონი

## მარი ჯაფარიძე

შემოდგომის გრილი საღამოა. წვიმა და ცივი ქარი სრულიად საკმარისი მიზეზია, რომ თბილი ლოგინის სომყუდროვე შეაფასო...

— კონიაკი გაგვითავდა, ყავაც აღარ გვაქვს, — ოთახში ელზას ხმა გაისმა.

სალამოს, ტელევიზორის წინ მირთმეული კონიაკიანი ყავა ექიმმა აუკრძალა.

— როდესაც ადამიანი თითქმის 80 წლისაა, ალკოჰოლის ნებისმიერი დოზა...

— ექიმო, როცა ადამიანი თითქმის 80 წლისაა, მას უკვე ვალარაფრით შეაშინებთ, — იცინოდა ელზა. — შიში აღარ არსებობს, ეს საუცხოო შეგვრძნებაა და ჩვენ მისი სადღეგრძელო უნდა შევსვათ...

მან საკუთარი ხელით შეავსო 2 ბროლის ჭიქა...

დამშვიდობებისას ექიმმა ხელზე აკოცა...

რომანი მიჩვეული იყო ელზას უცნაურობებს. როდესაც მშობლებმა ის 10 წლის ასაკში ელზას დაუტოვეს, რათა დედაქალაქში გაზრდილიყო და კარგი მომავალი ჰქონოდა, პირველ საღამოს ხმამაღლა ბლაოდა, რადგან დედა ენატრებოდა. მისი ოთახის კარში ჩამდგარმა ელზამ უთხრა:

— ხვალ ცეკვაზე მიგიყვან.

— არ მინდა, — უარის ნიშნად თავი გააქნია, ბავშვური დარდით აღვსილმა რომანმა.

— მე შენ სამეჯლისო ცეკვაზე გატარებ, რომ ყველა საღამო ლამაზ ქალთან ჩახვეულმა გაატარო და აღარ იტირო.

— შენ? — მიაშიტურად ჰკითხა ბიჭუნამ. მას ვერ გაეგო, რა საჭირო იყვნენ ლამაზი ქალები, როცა ელზა არსებობდა.

— მე ნამდვილი კავალერი მჭირდება და არა შენნაირი მტირალა, — უთხრა მან.

მეორე დღიდან რომანი მთელი გულით ცდილობდა, მასწავლებლის მიერ ნაჩვენები ყველა პა ზუსტად გაემეორებინა და ლიზას თვალში ნამდვილი მამაკაცი გამოჩენილიყო.

შემდეგ წარმატებაც მოვიდა და თავის მენეჯერსთან ერთად კონკურსს კონკურსზე იგებდა. მას დიდი კარიერა ელოდა, როცა ჯარში წასვლის დრომ მოუწია.

შინიდან გასვლის წინ ელზამ ბიჭს პირველი გადასახა და უთხრა:

— იმედი მაქვს, უვნებელი დაბრუნდები... ხომ იცი, რომ უშენოდ ჩემი ცხოვრება აზრს დაკარგავს...

როდესაც რომანი ჯარიდან ფეხმოტეხილი დაბრუნდა და მოცეკვავის კარიერაზე უარის თქმამ მოუწია, ელზამ უთხრა:

— დიდი იმედი მაქვს, რომ ოფისში სამუშაოდ არ გაიმეტებ თავს...

ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ რომანმა სამაშველო სამსახურში დაინყო მუშაობა. შინ მისვლამდე ერთ



კაფეში უყვარდა შევლა. განსაკუთრებული არაფერი, უბრალოდ, ღია აივანი ჰქონდა, სადაც პლასტმასის მაგიდები და სკამები იდგა. კარგ ამინდში აივანზე დაჯდომაზე არც უნდა იოცნებო. შესაძლოა, ზოგიერთს ეს ადგილი ევროპას ახსენებდა... პარიზს, სადაც სხედან, ყავას მიირთმევენ და გამვლელებს აკვირდებიან...

შიგნით სივიწროვეა, სულ რამდენიმე მაგიდაა და უამრავი ადამიანი ირევს.

რომანს ზაფხულობით აქ შემოსვლა არ უყვარდა, რადგან ხალხმრავლობას ერიდებოდა. შემოდგომით კი ხშირად სტუმრობდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საფიქრალი ჰქონდა და მაშველი საკუთარ თავსაც ვერ შევლოდა. ასეთი რამ კი მათ ქალაქში ბოლო ავარიის შემდეგ მოხდა, როდესაც ერთმანეთს 2 მსუბუქი მანქანა ისე შეეჯახა, რომ შიგ მსხდომი ხუთივე ადამიანი დაიღუპა. მაშინ მაშველები სწორედ იმისთვის გამოიძახეს, რომ დაჭყლეთილი მანქანებიდან გარდაცვ-



ლილთა 4 სხეული ამოვლოთ... მაგრამ ამის შემდეგ მას თვალწინ ეს მამაკაცები კი არა, ის გოგონა ედგა, რომელიც შეჯახებამ საქარე მინიდან გადმოაგდო. თხუთმეტიოდე წლის იქნებოდა, ჯინსის შარვალი და ქურთუკი ეცვა. „სასწრაფომ“ მაშინვე წაიყვანა, მაგრამ რომანს რატომღაც, რამდენიმე დღის განმავლობაში მკვეთრად წარმოუდგებოდა თვალწინ სურათი, როგორ ინვა ცხელ ასფალტზე გოგონა. მაშინვე, თავისდა უნებურად, ავლანეთი ახსენდებოდა და ხვდებოდა, რომ ადამიანი თავის ცხოვრებას ვერ განაგებს და შესაძლოა, ყოველი წამი უკანასკნელი აღმოჩნდეს.

ახლაც, როდესაც კონიაკის საყიდლად კაფეში შევიდა, ეს ამბავი გაახსენდა. ალბათ იმიტომ, რომ კაფეში ერთ-ერთ მაგიდასთან ქალი შენიშნა. ის მარტო იყო და რომანისკენ ზურვით იჯდა. იმ გარდაცვლილ გოგონას მხოლოდ იმით ჰგავდა, რომ არ ინძრეოდა... მას თხელი, თითქმის გამჭვირვალე ბლუზა ეცვა. თბილი მოსაცმელი სკამის საზურგეზეც არ ჰქონდა გადაკიდებული...

როდესაც კონიაკის საფასურს იხდიდა, ქალს კიდევ ერთხელ გახედა. ყველა იქ მყოფი კედელზე მომაგრებული ტელევიზორის დიდ ეკრანს მისჩერებოდა, ქალი კი ფანჯარაში იყურებოდა. გვიანი ღამე იყო, კაფედან გამომავალი შუქი ფანჯრის მინას ეცემოდა და მასზე ჩამომდინარე წვიმის წვეთებს ანათებდა. ქალს შავი თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

რომანს აღარ უყოყმანია, მაშინვე მიუახლოვდა.

— ტაქსი ხომ არ გამოგიძახოთ? — რალაცნაირად, რბილად ჰკითხა.

ქალმა მცირე პაუზის შემდეგ თავი დაუქნია.

„მკურნალობის მეთოდს მძიმე ავადმყოფს არ უთანხმებენ“, — გაიფიქრა რომანმა და იდაყვი ხელი მოჰკიდა.

— გამომყევით.

ალბათ ყველა მისი ქმედება და ინტონაცია სწორი იყო, რადგან ქალს არ შეშინებია. ის დაემორჩილა...

— ელზა, სტუმარი გყავს, — დაიძახა რომანმა, როდესაც სახლის

კარი შეალო.

ისევე, როგორც მამაკაცისთვის, მოხუცი ქალბატონისთვისაც თვალის ერთი შეველებაც საკმარისი აღმოჩნდა სტუმრის შესაფასებლად.

— მობრძანდი, გენაცვალე, — გაუღიმა დიასახლისმა სტუმარს, — იმედაი, ყავას მოგვიდუღებ, — მიმართა შემდეგ რომანს.

მამაკაცმა 15 წუთის შემდეგ, ის იყო, სამზარეულოს კარი გამოიხურა და ყავის ფინჯნებით ხელში მისაღებში უნდა შესულიყო, რომ ოთახიდან ლაპარაკის ხმა გაიგონა, გადაიფიქრა და უკან, სამზარეულოში შებრუნდა.

— ეს უკვე ავადმყოფობაა, — ამბობდა ქალი. მის ხმაში ის გულახდილობა იგრძნობოდა, რომელიც ცხოვრებაში მხოლოდ რამდენჯერმე შეიძლება გამოიჩინო, — წინათ, როცა ჯერ კიდევ რაღაცის იმედი მქონდა, ყველაფერი უფრო მტკივნეული იყო. მაშინ მეგონა, რომ ის აუცილებლად შემოიყვარება. ახლა, როცა მივხვდი, რომ ეს შეუძლებელია, ჩემი სული უდაბნოს დაემსგავსა. ამბობენ, დრო გავა, უკეთ გავხდები, მაგრამ აგერ, თითქმის წელიწადი გავიდა და...

ელზა არ აწყვეტინებდა და არც კითხვებს უსვამდა, მხოლოდ უსმენდა. ქალი მის უკან, კედელს უყურებდა და თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა.

— მასზე ფიქრი წუთითაც არ მტოვებს. დაძინების წინ მასზე ვფიქრობ, ვიღვიძებ თუ არა — ისევე მასზე... ქუჩაში, სამსახურში — ყველგან... გაუსაძლისია მისი ზარის მოლოდინი. თითქოს სული კვდება... დარეკავს და ისევე მოლოდინი იწყება. ის მაინც ვიცოდე, რატომ მოხდა ასე... რა დავაშავე? არასოდეს ზედმეტი არაფერი მითქვამს. არასოდეს ვანუხებდი, მხოლოდ შორიდან ვუყურებდი ხოლმე. ის ვერ მამჩნევდა — ზუსტად ვიცი. ჰო, მას ოჯახი აქვს, მაგრამ ჩემ გამო ცოლ-ქმარს შორის ჩხუბი არასოდეს მოხდებოდა. ჩვენ ხომ ერთად მხოლოდ ერთხელ ვიყავით და ისიც, ისე საიდუმლოდ... შორს, ქალაქგარეთ წამიყვანა, მთელი საათი ვიმგზავრეთ... ახლა კი, თუ ქუჩაში მის მანქანას შემთხვევით გადავეყრები, თავს მიაბრუნებს და თითქოს ვერც მცნობს. პირველად შემთხვევით რომ შევხვდი, გახარებული ნავედი მისკენ. მეგონა, მასაც გაუხარდებოდა... შორიდან თუ შემნიშნავს, მაშინვე გზიდან გადაუხვევს ხოლმე. ვერ ვხვდები, რატომ იქცევა ასე... მისი შვილი რომ მხვდება, გული მინუხს. ის ვერ მცნობს, მე კი სული მეხუთება. მამის თვალები, წარბები და ტუჩები აქვს. მზერაც... მეც მინდა, რომ ასეთი შვილი მყავდეს. ღმერთს არც არაფერს ვთხოვდი... ეს საკმარისი იქნებოდა, ამით ვიცხოვრებდი...

მე კი ისიც ვიცი, მის ოჯახში მალე კიდევ ერთი პატარა დაიბადება.

— ჩემო კარგო, — ელზამ ხმა ამოიღო, — მამაკაცი მოხუცს ასეთი უხეშობა, მაგრამ ჩემი შვილიშვილი ამას მიჩვეულია. არსებობენ ადამიანები, რომლებიც შორიდან არიან კარგები; მიუახლოვდები თუ არა, მაშინვე დაინახავ, რა ნაგავიცაა. რაც მომიყვები, იქიდან ფიზიკური და მიუკერძოებელი თვალთ დასკვნას თუ გავაკეთებთ, მაშინვე მივხვდებით, რომ ამ კაცის გამო დარდი არ ღირს. შენ ეძებ... როგორი იქნება შენი სწორი ნაბიჯი?.. ასეთ დროს ქალები 2 გზას ირჩევენ: უნდა სცადო, დაუმტკიცო მას, რომ შესანიშნავი ქალი ხარ. ამისთვის ბევრი ფული უნდა დახარჯო — თავს მიხედო, ახალი ტანისამოსი იყიდო, ვარცხნილობა შეიცვალო, სოლარიუმში იარო, ახალი რომანი გააბა... მაგრამ ამ დროს მუდმივად მის თვალწინ უნდა იტრიალო: ამ ყველაფერს ხომ მისთვის გააკეთებ?! შენი ფასი რომ გაიგოს, ბოლოს და ბოლოს. შენ იმავე ცეცხლში დაინეჭები და შემსაც თავად შეუკეთებ... მეორე გზა ასეთია: უნდა გადაწყვიტო! კი, იმედი არ არსებობს, მაგრამ რადგან მე მის მეტი არავინ მინდა, მას კი არ ვუყვარვარ, მაშასადამე, სიყვარული დამთავრებულია; ახლა ჩემი ცხოვრების მიზანი სხვაა... ასეთ გადანწყვეტილებას რომ მიიღებ, რამდენიმე წუთში რამდენიმე წელი მოგემატება, დაჭკვიანდები და თანაც, სილამაზეს დაკარგავ, რადგან ეს ყველაფერი სიყვარულთან ერთად მიდის... შენ თვითონ მიხვდი, რომ მას არ სჭირდები. მას რომ ვაჟკაცობა ჰყოფნოდა და შეგხვედროდა, შესაძლოა, მის მიმართ პატივისცემის გრძნობა დაგრჩენოდა, მაგრამ რა რჩება მამაკაცისგან, როცა ვაჟკაცობა არა აქვს?.. ტანისამოსი და გენიტალიები... შენს დარდს უნდა სძლიო. არ შეიძლება, სხვისთვის იყო ლამაზი. არ შეიძლება როლის მორგება, რადგან იოლია როლიდან გამოსვლა, როცა თამაშზე არ ფიქრობ.

რაც შეეხება ცხოვრების აზრს: გეტყვი, რომ შესაძლებელია მხოლოდ ერთი, ნამდვილი რომანი — რომანი ცხოვრებასთან. ის ბოლო წუთამდე „არ გიღალატებს“. ამბობენ, ეს ბოლო წუთი ძალიან საინტერესოა... ჩემთვის მალე დადგება ეს წუთი. შენ კი ცხოვრებაში უამრავი

ლამაზი წუთი გელის. როდის იცეკვე უკანასკნელად? სასწაულის მოწმე უნდა გახდე — შვილი შეგეძინება... ეს შეუდარებელი გრძნობაა. ამდენი წიგნია, ამდენი ამბავი და ადამიანი, რომელიც აუცილებლად დაგაინტერესებს. როცა ამ ყველაფერს გაივლი, თავად გაგიკვირდება — როგორ შეიძლებოდა, შენ ამ მამაკაცით დაინტერესებულყავი?! შენ დედოფალი იქნები, რომელსაც „ასეთი“ ტიპი გრძნობებს ვერ აუშლის...

ლამის 2 საათზე, როგორც იქნა, ელზას რომანი გაახსენდა და უბრძანა, რომ ქალი სახლამდე მიეცილებინა.

— ძალიან ლამაზი მარგალიტის მძივი გაქვთ, — უთხრა ქალმა ელზას დამშვიდობებისას, — გისდებათ.

— მარგალიტი მიმტეველებია, ბრილიანტი — სასტიკი. ისინი დაუნდობლად უსვამენ ხაზს ვულგარურობას და სიმახინჯეს. მარგალიტი კი ნებისმიერ სახეს კეთილშობილებას სძენს. ის სიბერეს არ დასცინის.

...შემოდგომა გავიდა, ზამთარიც და გაზაფხულის უმეტესი ნაწილიც უკვე მიიღია, როდესაც რომანმა ქალი ისევ იმ კაფეში კიდევ ერთხელ ნახა.

— თქვენ ხართ? — ჩაესმა ხმა.

შავთმიანი მზეთუნახავი გულწრფელი სიხარულით უმზერდა.

— ისევ აქ შეხვდით! როგორ ხართ? ელზა როგორ არის?

— ელზა გაემგზავრა, რადგან როდესაც სახლში რემონტი წამოვიწყე, განაცხადა — ეს ნამდვილი არმაგედონია, ამას მე ვერ გაუძლებო! — და წავიდა... თქვენ როგორ ხართ?

— სამსახურიდან შემოვიარე კაფეში ყავის დასალავედ.

— ახლა შინ მიდიხართ? თქვენ ხომ აქედან შორს ცხოვრობთ. უკვე დაღამდა კიდევ. თუ ნებას მომცემთ, გაგაცილებთ.

მათ პარკი გაიარეს. ქალმა ხელკავი გამოსდო... მშვენიერი ამინდი იდგა...





ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით  
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი  
იხ. „გზა“ №37

**გოგა მანველიძე**

სახლში მისვლამდე არაფერი იცოდა. მეზობელმა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა უთხრა ტელეფონით:

სასწრაფოდ მოდი სახლში, ვახტანგი ცუდად არისო!

ეს იყო და ეს. ამის თქმის შემდეგ მეზობელმა ყურმილი დაკიდა.

გოგა შეაშფოთა მეზობლის ზარმა. დღის მეორე ნახევარში მამამისი შინ არ იქნებოდა, ამ დროს ის სამსახურში უნდა ყოფილიყო. ვახტანგი ჯანმრთელობასაც არ უჩიოდა და ასე უეცრადაც ვერ გახდებოდა ცუდად; რომც გამხდარიყო, ამის შესახებ დედას უნდა დაერეკა და არა მეზობელს...

სადარბაზოსთან უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. იქ იყვნენ მეზობლებიც, უბრალო გამკვლევებიც. მოშორებით პოლიციის მანქანები იდგა. პოლიციელები მეზობლებს ელაპარაკებოდნენ.

მანქანის შემჩნევაზე ყველა მისკენ შემობრუნდა. მეზობლების თვალებში ამოკითხულმა თანაგრძნობამ და შეშფოთებამ თავზარი დასცა. რამდენიმე ქალმა თვალებზე ცხვირსახოცი აიფარა და ზურგი შეაქცია, მათი ცრემლისთვის რომ არ მოეკრა თვალი. მამაკაცები კი მისკენ ნამოვიდნენ.

მანქანიდან გამდმოსვლისთანავე გოგა მეზობლებისა და პოლიციელების გარემოცვაში აღმოჩნდა. პოლიციელებს რალაცის თქმა სურდათ, მაგრამ გოგამ აღარ დააცადა, ხელი აიქნია, სადარბაზოში შევარდა და სირბილით აუყვა კიბეს.

ბინის შესასვლელთან პოლიციელთა სხვა ჯგუფს გადააწყდა. ერთერთმა მათგანმა გზა გადაუღობა. გოგას ისე აჭრელებოდა თვალები,

რომ პოლიციელი ვერც კი იცნო, მხოლოდ მისმა ხმამ მიახვედრა, რომ დავითი იყო.

— ნუ შეხვალ!.. — თქვა მან, თან მხრებში ჩააფრინდა და სადარბაზოს ფანჯრისკენ წაიყვანა.

— თავი დამანებე! — შეენინაღმდეგა გოგა, მაგრამ დავითი არ მოეშვა. ხელში სიგარეტის ღერი ჩაუდო, სანთებლით მოუკიდა და უთხრა: გამაგრდი... ახლა გმართებს გამძლეობაო!

— რა მოხდა, დავით?! — გაჭირვებით წარმოთქვა გოგამ.

— პირდაპირ გეტყვი ყველაფერს... — ყრუდ ჩაილაპარაკა დავითმა. — ვახტანგი დაიღუპა... დედაშენი მძიმედაა დაშავებული... უკვე გადაიყვანეს საავადმყოფოში... დეტალებზე ლაპარაკი ჯერჯერობით შეუძლებელია... მხოლოდ ერთია ნათელი — ეს მკვლელობა იყო!..

ვახტანგი დაიღუპა... დედა დაშავებულია... ამ სიტყვების გაგონებაზე ელდა ეცა. ვის და რაში უნდა დასჭირვებოდა ვახტანგის მოკვლა? ის ხომ სრულიად უწყინარი ადამიანი იყო. ხელქვეითებისთვის შენიშვნის მიცემაც კი უჭირდა. არავის ახსოვდა, ვინმესთვის რაიმე დაუშავებინოს. დედაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ის სახლიდანაც კი იშვიათად გადიოდა... მაგრამ ეს მაინც მოხდა. მამა დაიღუპა, დედა კი მძიმედ დაშავებული ინვა საავადმყოფოში.

თითების წვამ გოგა ფიქრს მონყვიტა. გაოცებულმა დაიხედა ხელზე..

როგორც კი გოგამ ნამწვი მოისროლა, დავითმა ახალი ღერი მიანოდა და სანთებლაც მიუშარჯვა.

— სახლში უნდა შევიდე! — თქვა გოგამ და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

— ახლა იქ კრიმინალისტები მუშაობენ...

— სახლში უნდა შევიდე! — უფრო კატეგორილად მოითხოვა გოგამ.

— მესმის... მაგრამ არ შეიძლება.

მათ ხელს შეუშლი... — წამოიწყო დავითმა, მაგრამ გოგამ არ დაასრულებინა — ხელი უბიძგა, გზიდან ჩამოიშორა და ბინის კარისკენ დაიძრა. ამჯერად მისთვის არავის შეუშლია ხელი. გოგამ პოლიციელთა შორის გაიარა და ბინაში შეაბიჯა.

პირველი, რაც თვალში მოხვდა, ვახტანგის ზენარგადაფარებული სხეული იყო. ის სასტუმრო ოთახში, დივანზე ესვენა. ცალი მკლავი გადმოჰკიდებოდა. მასზე კვლავაც, წვრილ ზოლად სისხლი მოწურწურებდა. მისგან ზენარზე წითელი ლაქები გაჩენილიყო, იატაკზე კი მომცრო გუბე დამდგარიყო.

გოგა მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა და დაღუპულს ზენარი სახიდან მოაშორა. ნანახმა თავზარი დასცა: ვახტანგს სახეზე წამების კვალი აჩნდა — ყვრიმალზე ნაჩეხი ჭრილობა ჰქონდა, თვალის უკვები კი ცემისგან ჩაშავებოდა. ნანახით ღონეგამოცლილი გოგა მძიმედ დაეშვა მუხლებზე, სახე მამის მკერდს მიაბჯინა და ატირდა.

დიდხანს დარჩა ასე. გაბრუებული და თვალაჭრელებული ველარც კი გრძნობდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ. სადღაც შორიდან ჩაესმოდა ვილატების ლაპარაკი, ნაბიჯების ხმა. ბოლოს მხარზე შეხება იგრძო. მძიმედ ასწია თავი. მის გვერდით დავითი იდგა.

— ლაპარაკი შეგიძლია? — ჰკითხა მან.

— ვისთან და რისთვის? — მძიმედ ჩაილაპარაკა გოგამ.

— მესმის, რომ ეს ადვილი არ იქნება შენთვის, მაგრამ გამოძიებულს რამდენიმე კითხვის დასმა სურს. შეიძლება, ეს საქმის გახსნაში დაგვეხმაროს, — უპასუხა დავითმა, მერე ადგომაში დაეხმარა და გვერდით ოთახში გაიყვანა.

გამომძიებელი, რომელიც გიორგის სახელით გაცნო, მისი თანატოლი იქნებოდა. თავიდანვე მოუხადა ბოდიში, რომ ასეთ ვითარებაში უნდა დაეკითხა, მერე კალამი მოიმარჯვა, მაგრამ ვიდრე პირველ კითხვას დასვამდა, გოგამ დაასწრო და თავად ჰკითხა:

— დედაჩემი როგორ არის?

— ის მძიმე მდგომარეობაში, საავადმყოფოში გადაიყვანეს და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჯერაც არ მოსულა გონს.

— რა მოხდა ჩემს ოჯახში?

— ჩვენც მაგის გარკვევას ვცდილობთ, — უპასუხა გამოძიებელმა, — მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ მწირი მონაცემები გვაქვს. თქვენი დედ-მამა მეზობელმა აღმოაჩინა ამ

მდგომარეობაში.

— რომელმა?

გამომძიებელმა უბის წიგნაკში ჩაიხედა და შემდეგ უპასუხა:

— ლამარა ციხისელი... ასაკი — სამოცდაათი წელი...

— ვიცი... — ჩაილაპარაკა გოგამ.

— თქვენი მეზობელი ეზოში ჩამოდიოდა, როცა ბინის კარი ღია შენიშნა. მან რამდენჯერმე დააჭირა ზარის ლილავს თითი. როდესაც არავინ გამოეხმაურა, კარი შეაღო, ბინაში შეიხედა და თვალი მოჰკრა დედათქვეს, რომელიც სასტუმრო ოთახის კართან იწვა. ამის მნახველმა ქალბატონმა ბინაში შესვლა ვეღარ გაბედა, მაგრამ განგაში ატეხა და მომხდარის შესახებ სხვა მეზობლებს აუწყა. მათ კი შემთხვევის ადგილზე პოლიცია გამოიძახეს... ზოგადად, სულ ესაა. მამათქვენი, ვახტანგ კილაძე უკვე დაღუპული იყო, როდესაც მოვედით. სიკვდილის მიზეზი ცეცხლსასროლი ჭრილობაა. მამათქვეს მიბჯენით ესროლეს მკერდში. მეზობლებს სროლის ხმა არ გაუგონიათ. ამიტომაც ვვარაუდობთ, რომ მკვლელმა მაყუჩიანი პისტოლეტი გამოიყენა. ცეცხლსასროლი ჭრილობის გარდა, რამდენიმე სხვა დაზიანება აღმოაჩნდა. ეს დაზიანებები გვიჩვენებს, რომ ის ანამეს...

— რატომ? — გაჭირვებით ჩაილაპარაკა გოგამ.

— სავარაუდოდ, ფულისა და ძვირფასეულობისთვის.

— ფულის გულისთვის მოკლეს?!

— თვალები გაუფართოვდა გოგას.

— იქნებ თქვენთვის სხვა მიზეზია ცნობილი? — სწრაფად ჰკითხა გამომძიებელმა.

— არა, — თავი გაიქნია გოგამ, — მე საერთოდ ვერ ვხვდები, ვინ და რისთვის დაესხა თავს ჩემს დედ-მამას.

— სხვა ვერსიების გამორიცხვაც არ შეიძლება, მაგრამ ჯერჯერობით

მანაც ერთი მიმართულებით გვინევს მუშაობა: ყაჩაღური თავდასხმა. ამაზე მინანიშნებს არეულობაც, რომელიც ბინაში დაგვხვდა. თავდამსხმელებმა ნაჩქარევად გაჩხრიკეს ყველაფერი და როდესაც ფულსა და ძვირფასეულობას ვერ მიაგნეს, მამათქვეს მიადგნენ. როგორც ჩანს, უარი უთხრა და ამის გამო ანამეს და მოკლეს...

— არა... — შეანწყვეტინა გოგამ.

— მამაჩემი ასეთი ადამიანი არ იყო: ასი და ორასი დოლარის გამო, დედაჩემს საფრთხეში არ ჩააგდებდა. თუ მხოლოდ ფულში იყო საქმე, მისცემდა და მშვიდობით გაისტუმრებდა.

— მესმის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ყაჩაღები არ სჯერდებიან მცირე თანხას. როგორც წესი, ისინი ასობით თუ არა, ათიათასობით დოლარს მოითხოვენ. ასი და ორასი დოლარის დათმობას კი თავისებურად იღებენ: ფიქრობენ, ყველა შეძლებულ ადამიანს წინასწარ აქვს გადანახული გარკვეული თანხა, რომელსაც თავდასხმის შემთხვევაში ყაჩაღებს დაუთმობს და ამით თავის დასხნას ეცდება... რა თქმა უნდა, ეს მცდარი შეხედულებაა, მაგრამ დაზარალებულთა ნამება ყველაზე ხშირად ასეთ შემთხვევებში ხდება. ბანდიტი, იმაში დარწმუნებული, რომ მსხვერპლი ორასი დოლარით მის მოლორებას ცდილობს, უკიდურეს ძალადობას მიმართავს...

— მაპატიეთ, — ისევ შეანწყვეტინა გოგამ, — მე არ შემიძლია თქვენი ვერსიების მოსმენა. კონკრეტულად რამე თუ გაინტერესებთ, მკითხეთ, თუ არა და, საუბარი დავამთავროთ.

— უკაცრავად... — გამომძიებელმა სიგარეტს მოუკიდა და მერე ჰკითხა: — თავად როგორ ფიქრობთ — რით დააინტერესა თქვენმა ოჯახმა დამნაშავენი?

— წარმოდგენა არა მაქვს, — მხრები აჩქინა გოგამ.

— მტრები თუ გყავდათ?

— არა... მამაჩემი უკონფლიქტო ადამიანი იყო.

— დანაზოგს სახლში ინახავდით?

— რომელ დანაზოგზეა ლაპარაკი?! — ყრუდ ჩაილაპარაკა გოგამ.

— ისევე, როგორც ყველა, მამაჩემიც თავის დროზე, მთელ დანაზოგს შენახველ ბანკში ინახავდა; რაც დემართა იმ თანხებს, თქვენთვისაც კარგადაა ცნობილი... „მსოფლიო დონის პოლიტიკოსმა“, საქართველო ხელის ერთი მოსმით დასვა ნულზე და მათ შორის, ჩემი ოჯახიც!.. დანაზოგი არ გვექონია. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ასეულ დოლარს.

— რაიმე ძვირფასი ნივთი თუ გქონდათ? — გამოკითხვა განაგრძო გამომძიებელმა.

— ერთადერთი ძვირფასი ნივთი, რომელიც ჩვენს ოჯახს ჰქონდა, XV საუკუნის, წმინდა გიორგის ხატი იყო. კიდევ, დედაჩემს ჰქონდა რამდენიმე ოქროს ნაკეთობა... ბეჭდები, საყურეები...

— ცეცხლსასროლი იარაღი?

— გვექონდა, — დაუდასტურა გოგამ, — პაპაჩემისგან შემოგვრჩა „ბრაუნინგის“ სისტემის სახელობითი იარაღი. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო და სამასსოვროდ ჰქონდა მიღებული სარდლობისგან. პისტოლეტს ტარებდა ოქროსფერი ფირფიტა ჰქონდა ოქროსფერი ლი, რომელზეც ეწერა: „კაპიტან გიორგი კილაძეს, გენერალ საროკასგან“. მამაჩემი იარაღს თავის საძინებელში, პატარა სეიფში ინახავდა.

— მე ვნახე ის სეიფი. კარი ღიაა და იარაღი არსად ჩანს, — თქვა გამომძიებელმა.

— მამაჩემის გარდა სეიფს ვერავინ გააღებდა!..

— ესე იგი, მძარცველებმა გააღებინეს და იარაღიც გაიტაცეს... თქვენი მეგობარ-ნაცნობებიდან ვინ იცოდა სეიფისა და იარაღის შესახებ? — იკითხა გამომძიებელმა.

— ამას რატომ მეკითხებით? — მზერა გაუსწორა გოგამ.

გამომძიებელი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

— ბევრს ვფიქრობ: ერთი შეხედვით, მკვლელობის მიზეზი არ არსებობდა — თქვენ თავად ამბობთ, რომ მნიშვნელოვანი დანაზოგი არ გქონიათ. ერთი ხატი და რამდენიმე ოქროს ნაკეთობა არ წარმოადგენს იმხელა ღირებულებას, რომ ყაჩაღები მკვლელობაზე წასულიყვნენ. მაგრამ ეს მანაც მოხდა და ვერ გამოვრიცხავ, რომ საქმეში თქვენი ნაცნობი იყოს გარეული. ანუ ადამიანი, რომელსაც თქვენი დედ-მამა დაუბრკოლებლად შეუშვებდა სახლში...



ზიგლუსი

— მე კი გამოვრიცხავ! — უყოყმანოდ უპასუხა გოგამ. — ამქვეყნად არ მეგულება ადამიანი, რომელიც მამაჩემს იცნობდა და მასზე ხელს აღმართავდა!.. კიდევ გაინტერესებთ რამე?

— არა... სულ ეს იყო. თუ რამე დამჭირდა, ისევ გენწვეით, — გამოძიებელმა საქალაქო დახურა და მერე დაამატა: — ჰო, კიდევ ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან. ბინა დაათვალიერეთ და ჩამოწერეთ ყველა იმ ნივთის დასახელება, რომელიც თავდამსხმელებმა გაიტაცეს...

მეორე დარტყმა გოგამ საავადმყოფოში მიიღო... მამის დაღუპვის შემდეგ მხოლოდ ის ასულდგმულებდა, რომ დედა ცოცხალი იყო. ის მალე მოიშუშებდა ჭრილობებს და მერე ერთმანეთის დახმარებით შეძლებდნენ მძიმე დღეების გადატანას. მაგრამ...

მკურნალი ექიმი ისეთი მზერით შეეგება, თითქოს ის ყოფილიყო დამნაშავე მისი ოჯახის თავს დატეხილ უბედურებაში.

— თავადაც ექიმი ხარ და ალბათ ბევრისთვის გითქვამს იგივე, — ყრუდ თქვა ექიმმა, — ძალიან მიძიმს, მაგრამ სანუგეშოს ვერაფერს გეტყვი.

— დაილუპა?! — სუნთქვა შეეკრა გოგას.

— არა... არა... — ხელები გაიქნია ექიმმა. — მაგრამ მდგომარეობიდან ვერ გამოგვყავს. დედაშენს რამდენიმე უმნიშვნელო ტრავმა აღმოაჩნდა; გვეგონა, გონება შიშისგან ჰქონდა დაკარგული. მაგრამ მოგვიანებით ზუსტი მიზეზი დადგინდა... ინფარქტი!

„ინფარქტი!.. — გონებაში გაიმეორა გოგამ, — სხვა რა შეიძლება და დამართოდა ვახტანგის დაღუპვის მხილველს?!“

— ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ მის მდგომარეობიდან გამოსაყვანად, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს.

— ახლა სად არის?

— რეანიმაციულ განყოფილებაში.

— ახლავე უნდა ვნახო! — თქვა გოგამ და რეანიმაციული განყოფილების შესასვლელს მიაშურა.

მარიამი პალატაში მარტო იწვა. ის ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იყო მიერთებული. გოგა ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ დედის ასეთ მდგომარეობაში ხილვა მოუწევდა. რა იყო დილით და რა ხდებოდა ახლა!.. რა უსუსური და ფაქიზი ყოფილა ადამიანის სიცოცხლე! ქარის ერთი ჩამოქროლება აღმოჩნდა საკმარისი, რათა ყველაფერი გაენადგურებინა... რატომ?.. რატომ?.. რატომ?.. — მერამდენედ იმეორებდა გოგა გონება-

ში. — რატომ უნდა მომხდარიყო ეს? ვის და რატომ უნდა გაემეტებინა ასე მისი ოჯახი?!

წარსულის სურათები კინოკადრებით ცვლიდა ერთმანეთს.

ბავშვობა... ყველა ადამიანის ცხოვრებაში უბედნიერესი ხანა... დედის თბილი ხელები, რომლებსაც რძის სუნი ასდიოდა... მამას მისი ჭერში ასროლა უყვარდა...

თითქოს ახლაც ჩაესმოდა მისი ხმა:

— აბა, ჩაისუნთქე!..

გოგამ წინასწარ იცოდა, რაც მოელოდა. ღრმად ჩაისუნთქავდა და სიამოვნების მოლოდინში ბურთად შეიკვრებოდა.

წამის შემდეგ — იატაკი, მამა, დედის მოლიმარი სახე — სადღაც ქვემოთ დარჩებოდა. გოგას ეჩვენებოდა, რომ უკვე დიდი იყო, მამაზე დიდცივი და თვალუნებელი სიმაღლიდან გადმოსცქეროდა სამყაროს. ოღონდ ეს ძალიან ცოტა ხანი გრძელდებოდა. ამოსუნთქვასაც ვერ მოასწრებდა, რომ კედლები ზემოთ იწყებდა მოძრაობას და ის ჭყვილით მიექანებოდა იატაკისკენ...

ექვსი დაბადების დღე... სკოლა... ახალი სამყარო...

იმ დღეებიდან უფრო მეტი მოგონება შემორჩა...

პირველი ორიანი და წყენით სავსე დედის თვალები...

მამისთვის მიცემული პირობა, რომ იგივე აღარ განმეორდებოდა...

ზაფხული... გაგრა... ლურჯად მოლივლივე ზღვა... მცხუნვარე მზე... თოლიის ჭყვილი...

ზამთარი... ბაკურიანი... კობტაგორა... თოვლი... ცივა... გუნდაობა...

და ირგვლივ ყოველთვის ღიმილი... დედ-მამას არნახული ბედნიერება მიანიჭა მისმა არჩევანმა, გამხდარიყო ექიმი...

თავიდან ეს მხოლოდ არჩევანი იყო... ოცნება...

მალე ეს ოცნება სინამდვილედ იქცა. ის ჯერ სტუდენტი გახდა, მერე ჰიპოკრატეს ფიციც დადო და თეთრი ხალატიც მოირგო...

საქართველოსთვის ავბედით დროებას დაემთხვა ექიმთა ამქარში მისი გაერთიანება. უჩვეულო სენი შეეყარა თითქოსდა ჯანმრთელ საქართველოს. ომი... ნგრევა... სისხლი... სიძულვილი...

ბოროტების ამ მორევში ოჯახი რჩებოდა ერთ-ერთ კუნძულად, რომელიც სიმშვიდეს ანიჭებდა. ახლა კი ნგრევამ და სისხლმა ამ კუნძულამდეც მოაღწია და ყველაფერს ხელის ერთი დაკვრით მოულო ბოლო. მან არ იცოდა, რას მოუტანდა მომდევნო დღე, მაგრამ რაც უნდა მომხდარიყო, ის, რაც მანამდე იყო, აღარასოდეს განმეორდებოდა. ბოროტებით

აღსავსე რომელიც ადამიანმა სამუდამოდ წართვა ის, რაც ყველაზე მეტად უყვარდა. მამა მკვდარი იყო. ახლა, ამ წუთებში ის პროზექტურის ყინულივით ცივ მაგიდაზე იწვა. დედა კი...

ექიმს არ ჰქონდა მისი გადარჩენის იმედი — ეს პირველივე წამს ამოიკითხა მის თვალებში. მამის დაკარგვის შემდეგ, დედაც ხელიდან ეცლებოდა. თავად კი არაფრის შეცვლა არ შეეძლო...

გარემომცველი სამყარო არარეალური გახდა. მარტოობის აუტანელი შეგრძობა სულს უხუთავდა. დროდადრო არც კი სჯეროდა, რომ ეს ყველაფერი მართლაც ხდებოდა. უბრალოდ, გონებას არ შეეძლო სამყაროს ისეთად აღქმა, როგორც ის სინამდვილეში იყო. დღე-ღამეში ორი-ოთხ საათით თუ ახერხებდა ჯოჯოხეთისთვის თავის დაღწევას — მაშინ, როდესაც უზომოდ დალილ-დაქანცულს თავისდა უნებურად ჩაეძინებოდა. დაძინებამდე მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა — გაიღვიძებდა და ყველაფერი, რაც ტკივილს აყენებდა და სულს უხუთავდა, თავისთავად გაქრებოდა. ჯოჯოხეთი მხოლოდ საშინელი სიზმარი, კომპარი აღმოჩნდებოდა. დედა ჩვეულებისამებრ, სამსახურში გააცვილებდა, უკან დაბრუნებულს კი ბინის ზღუბლზე შეეგებებოდა... მაგრამ...

გადიოდა ორიოდ საათი და გაღვიძებული, ისევ ჯოჯოხეთურ სინამდვილეს უბრუნდებოდა...

ცივი, სიცოცხლისგან დაცლილი ბინა. სასტუმრო ოთახში კუბო, რომელშიც მამის სხეული ესვენა. დერეფანსა და სადარბაზოში ნაცრობი სახეები — მეზობლები, მეგობრები, ნათესავები, თანამშრომლები...

ისინი რიგრიგობით შემოდიოდნენ ბინაში, უახლოვდებოდნენ, რაღაცას ეუბნებოდნენ და ისევ შორდებოდნენ...

მერე ყველა ამ ადამიანმა ერთ დღეს მოიყარა მის ბინაში თავი...

უცნაური იყო და ამას საკუთარ თავსაც არ უმხელდა, მაგრამ მამის დასაფლავებამ მცირე შვებაც კი მოჰგვარა: საჭირო აღარ იყო გამუდმებით სახლში ყოფნა. გამოუჩნდა დრო, რომელიც ახლა ყველაზე მეტად სჭირდებოდა, ის დრო, რომელიც დედის სიახლოვეს უნდა გაეტარებინა. ექიმები არწმუნებდნენ, რომ ამის საჭიროება არ არსებობდა. ის რეანიმაციის მუდმივად ვერ დარჩებოდა, მისი დერეფანში დგომა კი არაფერს შეცვლიდა. მაგრამ გოგა არავის უგადავდა ყურს. სამედიცინო ტერმინოლოგიით ამის ახსნა შეუძლებელი იყო, მაგრამ მას სჯეროდა,





რომ მისი სიახლოვე უკვალოდ არ ჩაივლიდა: დედა იგრძნობდა და ადრე თუ გვიან, მაინც დაუბრუნდებოდა... დრო კი გარბოდა...

დღე... მეორე... მეხუთე...  
კვირის თავზე გამოძიებული დაუკავშირდა და შეხვედრა სთხოვა.  
— თუ გინდათ, სახლში გამოგივლით ან თქვენ მოდით სამმართველოში!

— რისთვის? — ჰკითხა გოგამ.  
— საქმეში ახალი დეტალები გაჩნდა და უნდა დაგელაპარაკოთ, — უპასუხა გამოძიებულმა.

— მე მოვალ თქვენთან, — სწრაფად გადანიშნა გოგამ. მის ოჯახში მომხდარი უბედურების შემდეგ, შინ ყოფნა უჭირდა. იქაურობა იმ ავბედით დღეს აგონებდა. სტუმრის მიღება მით უმეტეს, არ შეეძლო, თუნდაც ეს სტუმარი გამოძიებული ყოფილიყო.

მეორე დღეს გოგამ გამოძიებულის კაბინეტის კარი შეაღო. გიორგი უკვე ელოდა. მასთან ერთად კაბინეტში კიდევ ერთი მამაკაცი იმყოფებოდა, რომელსაც გოგა ადრე არ შეხვედრია.

გიორგიმ ხელი სკამისკენ გაიშვირა, დაბრძანდითო, მერე კარადიდან ხატი გამოიღო, მის წინ დადი და ჰკითხა: ეს ნივთი თუ გეცნობათო?

გოგას თვალის ერთი შევლება ეყო ვერცხლით მოპირკეთებული, წმინდა გიორგის გამოსახულების ამოსაცნობად. ეს მისი ოჯახიდან გატაცებული ხატი იყო.

— საიდან მოხვდა ხატი თქვენთან? — გოგაცხობით გახედა გამოძიებულს გოგამ.

— ვმუშაობთ... — თვითკმაყოფილი ტონით უპასუხა გიორგიმ.

— ეს ზოგადად... — შენიშნა გოგამ.

— მართლაც, ზოგადი შეფასება. თან სხვის დამსახურებას ვერ მივინერ: ამ ხატის აღმოჩენას ჩემს კოლე-

გასა და მეგობარს უნდა ვუმაღლოდე. გაიცანი — მერაბ კავსაძე, უშიშროების სამსახურის საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომელი... ხატს მან მიაკვლია.

— ესე იგი, მკვლელებიც დააკავეთ?! — იკითხა გოგამ.

— არა... საქმე ასე მარტივად არ არის, — ლაპარაკში მერაბი ჩაერთო, — ამ ხატს შემთხვევით გადავანწყვიტე. ჩვენ დიდი ხანია, ვმუშაობდით კონტრაბანდისტთა ჯგუფზე, რომელიც ხელოვნების ნიმუშების საზღვარგარეთ გატანაში იყო ექვმიტანილი. ორი დღის წინ ოპერატიულმა სამმართველომ ამ ჯგუფის ორი წევრი სარფის საბაჟოზე მაშინ აიყვანა, როდესაც ისინი კონტრაბანდული ტვირთის თურქეთში გატანას ცდილობდნენ. ტვირთი ათამდე ფერწერულ ტილოსა და ამდენივე ხატისგან შედგებოდა. მათ შორის აღმოჩნდა თქვენი ბინიდან გატაცებული ხატიც.

— გასაგებია, მაგრამ თავად გამტაცებლები თუ დააკავეთ? — კითხვა გაუმეორა გოგამ.

— სამწუხაროდ, ისინი ჯერჯერობით თავისუფლებაზე რჩებიან. საქმე ისაა, რომ კონტრაბანდისტებმა არაფერი იციან მათ შესახებ. ხატი თბილისელი გადაწყიდველისგან, ვინმე თამაზ შუბითიძისგან შეიძინეს. ჩვენთვის უცნობია, საიდან შეიტყო შუბითიძემ კონტრაბანდისტთა დაპატიმრების შესახებ, მაგრამ აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში დაგვასწრო. მისი დაკავების ოპერაცია უშედეგოდ დასრულდა. ოპერატიულ ჯგუფს მის ბინაში არავინ დახვდა. შუბითიძე მიიმალა და დღესდღეობით მისი ადგილსამყოფელი უცნობია, — თქვა მერაბმა.

— ესე იგი, თქვენთვის ასევე უცნობია მამაჩემის მკვლელების ვინაობა... — ჩაილაპარაკა გოგამ.

— სამწუხაროდ, უცნობია, — დაუდასტურა გიორგიმ.

— მაშინ რისთვის მომიყვანეთ აქ?

— გოგა, ახლა უკვე გასაგებია, რომ თავდასხმა ამ ხატის გატაცებისთვის მოენყო. მაგრამ საიდან უნდა გამხდარიყო ცნობილი მკვლელებისთვის, რომ ხატი თქვენს ოჯახში ინახებოდა?

— წარმოდგენა არა მაქვს, — მხრები აიჩეჩა გოგამ.

— ჩვენ შუბითიძის მიმართულებით ისევე ვაგრძელებთ მუშაობას. ადრე თუ გვიან, მას მაინც ავიყვანთ. მაგრამ ვიდრე ეს მოხდება, ზანდა თარეშს განაგრძობს და მერწმუნეთ, არავინაა ისეთი საშიში, როგორც ბოროტმოქმედი, რომელმაც უკვე დაღვარა სისხლი. მას აღარაფერი აქვს დასაკარგი. ბოლომდე იბრძოლებს და ვიდრე აიყვანენ, კიდევ ბევრ უბედურებას დაატრიალებს! — თქვა გიორგიმ. — ამიტომაც გთხოვთ, გაიხსენეთ ყველა ის ადამიანი, რომელიც ბოლო დროს მოხვედრილა თქვენს ოჯახში.

— არ ვიცი... ვერაფერს გეტყვით. თქვენ უფუძლებელს მთხოვთ. უბრალოდ, ჩვენ არც გყავდა ისეთი ნაცნობები, რომლებიც... — გოგა მოულოდნელად დადუმდა, გამოძიებულს ჩაფიქრებულმა გახედა და თქვა: — იქნებ, ეს ხატი ჩვენს ოჯახში არც უნახავთ?

— რისი თქმა გინდათ მაგით? — ჩაეძინა მერაბი.

— ხედავთ ამ ბზარს? — გოგამ გამოძიებულს ხატზე მიანიშნა. — დაახლოებით ერთი თვის წინ ხატი საკიდრიდან ჩამოვარდა. ეს ბზარი მაშინ გაუჩნდა. მერე მამაჩემმა აღსადგენად რესტავრატორთან წაიღო, მაგრამ მან ხატის აღდგენა ვერ მოახერხა.

— რატომ? — ჰკითხა გიორგიმ.

— მოუცვლელია მოიმიზნება: ახლა დაკავებული ვარ და მოგვიანებით აღვადგენო, — მაგრამ ხატის დატოვება არ მოინდომა. მამაჩემს უთხრა: ასეთ ნივთზე პასუხს ვერ ვაგებ, ხატი წაიღე და როცა დრო გამოიჩინდება, თვითონ დაგიკავშირდები.

— რესტავრატორის კოორდინატიები თუ იცით?! — ჰკითხა მერაბმა.

— არა... მე არ შევხვედრივარ და მამაჩემსაც არაფერი უთქვამს მის შესახებ.

— არაფერია. ეგ არ იქნება ძნელი გასარკვევი. არც ისე ბევრი რესტავრატორი მუშაობს თბილისში! — სწრაფად ჩაილაპარაკა გიორგიმ და ტელეფონს დასწვდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



დასაწყისი — „გზა“, №38-37

**მარი ჯაფარიძე**

ვასიკომ კონიაკის ჭიქა გამომი-  
ნოდა და ანგარიშმიუცემლად გამ-  
ოვართვი. კარგა ხანს ვიჯექი გარინ-  
დებული და მომხდარზე ვფიქრობ-  
დი. ვცდილობდი, მელანოს საქციე-  
ლის მიზეზი გამომეცნო, მაგრამ  
რაც მეტს ვფიქრობდი, მით მეტად  
მიჭირდა დასკვნების გამოტანა.

ვასიკო ხმას არ იღებდა და  
ფიქრში ხელს არ მიშლიდა. მის  
არსებობას ვერც კი ვამჩნევდი, ჭერს  
ვიყავი მიშტერებული.

— ბიჭო, ერთი აზრი მაქვს და  
იქნებ, განვიხილოთ? — დაარღვია  
სიჩუმე ბოლოს.

— თქვი, იქნებ, მართლა საჭირო  
აზრია...

— ვოვა ხომ გახსოვს, მაშინ  
ჟორას ჭიშკართან რომ დავიჭირეთ?

— ჰო, ის პირობითი ზარი რომ  
გვასწავლა.

— ჰოდა, იქნებ, მაგან იცოდეს  
რამე... მოდი, მოვსინჯოთ მაინც...

მე ისევ ფიქრებში ჩავიძირე.  
ვასიკომ ხელი ჩაიქნია და ვოვას  
დაურეკა.

ნახევარ საათში ის უკვე ჩვენთან  
იყო.

— ბიჭებო, როგორც ვატყობ,  
სერიოზული პრობლემა გაქვთ და  
თუ რამით შემიძლია დახმარება,  
თქვენ გვერდით მიგულეთ, — გულ-  
წრფელად შემოგვთავაზა დახმარე-  
ბა.

— ჟორაზე მჭირდება ინფორმა-  
ცია. სად აქვს კიდეც სახლი? დამ-  
ალვა რომ დასჭირდეს, სად შეი-

შინიდან ისე გავედი, რომ დიდი  
იმედი არ მქონდა, რამეს თუ შევი-  
ტყობდით.

**— ახლა თქვი, სადაა ნიცა, თორემ აქედან  
ცოცხალი ვერ გახვალ, — ვასიკომ მისი  
გულისპირი ჩაბლუჯა**

ძლება, მივიდეს? შეგიძლია, ამ  
საქმეში დაგვეხმარო?

— მის ძმაკაცს ვიცნობ და ამას  
მისგან გავიგებ.

— გეტყვის?

— კი, მეტყვის.

— მაშინ ჩვენც მიგვიყვანე მას-  
თან. ახლავე, პირდაპირ წავიდეთ.

ჩვეულებრივი, ერთოთახიანი ბი-  
ნის კარს მივაღებოთ და ზარი  
დავრეკეთ. მამაკაცის ხმამ ჩვენი ვი-  
ნაობა იკითხა. ვოვამ უპასუხა. კარი  
მაშინვე გაიღო და სამივე შევედით.  
ჩემდა გასაოცრად, სავარძელში გაშხ-



*ჭამჭამებს იმ მამის ყაჭმირის,  
მამიქოაყან უმის ყოჭქოაყის  
ახსოვს ის თამიქოჭი,  
მამიქოჭიქ მქომქს ყყქ  
დიდი ხანის დავიწყდა*

ლართულ ჟორას ნავადეკით თავზე. ამას უკვე ნამდვილად არ მოველოდი.

ჩვენს დანახვაზე ჟორა წამოხტა. თვალის დახამხამებაში ვეცი და უკან, სავარძელზე დავაგდე. ზღარბივით მოიკრუნჩხა და ისეთი თვალებით შემომხედა, ლამის იქვე გავაფრთხოვინე სული.

ვასიკო მიხვდა, რომ შეიძლება, რამე სისულელე ჩამედინა და ხელის ერთი მოძრაობით ამაგლიჯა ჟორას.

— ახლა თქვი, სადაა ნიცა, თორემ აქედან ცოცხალი ვერ გახვალ, — ვასიკომ მისი გულისპირი ჩაბღუჯა.

— მე გითხარით, რომ რომანთანაა, — პირველ ჩვენებას აწვებოდა შეშინებული.

— რომანმა ყველაფერი გვითხრა. ისიც თქვა, რომ ამ საქმეში მელანოა გარეული და ისიც, რომ გოგო წამალზე ზის, — ვასიკო თანდათან ავიწროებდა ყულფს მის კისერზე, ჟორას კი თვალეები ბუდიდან უცვივდებოდა. როცა მიხვდა, სხვა გზა არ ჰქონდა, ალაპარაკდა.

— როგორც ვხვდები, შენ უტახარ, — ჩემკენ გამოიხედა. — მელანომ დამიბარა ერთ დღეს და შემომთავაზა, რომ მოსკოვში ჩამოვსულიყავი, რადგან აუცილებელი საქმე ჰქონდა. მეც, რამდენიმე დღეში ჩამოვაკითხე. მაშინ მითხრა, რომ ერთ-ერთი მსხვილი ნარკობარია უცხოეთში მიდიოდა და მისი ადგილი როსტოვში მე უნდა დამეკავებინა. ისეთ ზღაპრულ თანხებზე იყო ლაპარაკი, რომ უარს ალბათ, არავინ იტყვოდა. დავთანხმდი. ის ბინაც მან იყიდა, სადაც დილით თქვენ იყავით და წამლითაც თავად მამარაგებდა. მე ყოფილი მილიციელი ვარ და ის „ხოდები“, თუ როგორ უნდა გასაღდეს წამალი, კარგად ვიცი. ჰოდა, დავინყე მუშაობა. უკვე 6 თვეა, რაც ეს საქმე ჩავიბარე. ყველა პრობლემას მელანო აგვარებს, მე მხოლოდ „ტავარის“ მიღება და მისი გასაღება მევალება. ყოველთვის სხვადასხვა ადამი-

ანს მოაქვს საქონელი. არც ის „კანალი“ ვიცი, საიდან მოდის წამალი. ვცადე, მისთვის რაიმე ინფორმაცია დამეცინცლა, მაგრამ ვერ მოვახერხე, კერკეტი კაკალია. მოკლედ, ამ საქმეში ნდობა რომ მოვიპოვე, მერე ნიცას შესახებ მომიყვა და მითხრა, ეს გოგო გზიდან უნდა ჩამოამაშორო. მოკლედ, ქართველი ბიჭები დავიხმარეთ და ნიცა აქ წამოვიყვანეთ.

— ახლა სადაა? — ვასიკო ზედმეტად მშვიდი მომეჩვენა.

— დღეს მელანოს დავურეკე და შევატყობინე, რაც მოხდა. ნიცას ორმა მამაკაცმა მოაკითხა და წაიყვანეს.

— ახლა კიდევ ერთი სიმართლის თქმა მოგიწევს — გოგოს წამალს უკეთებდით?

— კი, — თავი ჩაქინდრა ჟორამ. — მელანოს მოთხოვნი. ის უკვე 2 კვირაა, დღეში 3-4 დოზას იღებს.

ყმუილი აღმოხდა, რადგან თავი დამნაშავედ ვიგრძენი — მის ცხო-

ტელეფონზე ვალერის ნომერი ავკრიბე და ყველაფერი დანვრისლებით მოვუყევი. ისიც ვუთხარი, რომ შესაძლოა, ნიცა უახლოესი რეისით მოსკოვში ჩაიყვანონ-მეთქი.

— კარგი, — მოკლედ მომიჭრა ვალერიმ და ყურმილი დაკიდა.

— ჟორა სახლში წავიყვანეთ და ჩვენც მასთან დავრჩით იმის გამო, რომ იქნებ, ვინმე კიდევ შესმიანებოდა და რაიმე შეგვეტყო.

სალამო ხანს სახლს მანქანა მოაგა. ვასიკომ ჟორას უბრძანა, სტუმრებს კართან დალოდებოდა და მათთან ჩვეულებრივად, ისე ელაპარაკა, რომ ვერაფერს მიმხედარიყვნენ. ჯიბეებში ხელეზანყობილი ჟორა ღია კარში იდგა და ეზოში მომავალ ხალხს უყურებდა. მე ფანჯარასთან მივედი. ერთ-ერთმა ჭიშკარი გააღო და ეზოში მანქანა შემოვიდა. ავტომობილი სახლთან ახლოს გააჩერეს, იქიდან კი ორმა

### უცნობმა ნიცა ბალახზე დააგდო და გაიქცა. მისი დევნის თავი აღარ მქონდა, გოგონას შველა სჭირდებოდა

ვრებაში მე რომ არ გამოვჩენილიყავი, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა.

— შენი აზრით, ნიცას სად წაიყვანდნენ? — ვასიკოს სიმშვიდე მეც გადმომიედო.

— არ ვიცი, ჩემთვის არაფერი უთქვამთ, — თვალეები ისე აახამხამა ჟორამ, ალბათ ეგონა, რომ ყველაფერი ვაპატიეთ.

— ტელეფონი არის ამ სახლში? — ვიკითხე და მიმოვიხედე.

— კი, მიპასუხა აქამდე ჩუმიად მყოფმა ბინის პატრონმა.

— რომელ საათზე წაიყვანეს ნიცა? — ჟორას მივუბრუნდი.

— საათ-ნახევრის წინ.

კაცმა თითქმის უგონოდ მყოფი გოგონა გადმოიყვანა.

ამის დანახვაზე სახლიდან გავვარდი, ვასიკო კი უკან მომყვა. მან 2 კაცი ისე „დაანვინა“, თვალის არ დაუხამხამებია — ისინი თითო დარტყმით გამოიყვანა მწყობრიდან. მე ორის გამკლავება გამიჭირდა და ამიტომ, მეც მომეხმარა. ერთი მამაკაცი კი, ვიდრე ჩვენ ჩხუბში ვიყავით ჩართული, ზურგზე მოკიდებულ ნიცას ჭიშკრისკენ მიარბენინებდა. 2 ნახტომით მასთან გავჩნდი და შევაჩერე. უცნობმა ნიცა ბალახზე დააგდო და გაიქცა. მისი დევნის თავი აღარ მქონდა, გოგონას შველა სჭირდებოდა.

— ჩქარა, „სასწრაფო“ გამოიძახე, შე ახვარო! — ჟორასკენ გავიხედე უმწეოდ, მაგრამ ის აღარსად ჩანდა. როგორც ჩანს, მომენტით ისარგებლა და გაიპარა.

ამასობაში, ვასიკო მომეხმარა. ნიცა ოთახში შევიყვანეთ და დივანზე დავანვინეთ. ვასიკომ ექიმი გამოიძახა. ნიცა მძიმედ სუნთქავდა. თვალის ქუთუთოები ავუნე — ლიბრი ჰქონდა გადაკრული და მივხვდი, ვერაფერს ხედავდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ჰოლოკოსტი — ეს ის დღეა, როდესაც წამოვიწყეთ ნიცას და ვეძებთ მას. ჩვენს მიზანია, ვიპოვოთ ის და ვიხსნათ ის.



# აქსარული ოქნებები

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგიზიაროთ ელფოსტით

[gza.fantazia@gmail.com](mailto:gza.fantazia@gmail.com)

### დასაწყისი

იმწუთას სამყარო ორ არათანაბარ ნაწილად გაიყო — პატარა „მდე“-დ და ჯერ კიდევ დასასრულის არმქონე „შემდეგ“-ად. თითქოს ვიღაცის უხილავმა ხელმა გაავლო ზღვარი ამ ორ ნაწილს შორის და ნითელი, პრიალა ლენტით „შემოღობა“ აკრძალული ზონა. დროც კი ორად გაიყო — ძველი, უკვე წარსულში დარჩენილი, სინანულითა და

დამსხვრეული ოცნებებით, გულგატეხილობით და იმედგაცრუებით და ახალი, კვლავ ნულიდან დასაწყები, შიშით და ძრწოლით, ფარული ვნებებით შენიღბული... გულმა თვითნებურად, მაგრამ მკაცრად დაიწყო ნამების ათვლა, რომ კვლავ ფუჭად არ ჩაეველო ძალისხმევას, იქნებ ახლა მაინც გამოსვლოდა რამე... მორჩა, აღარ განმეორებდა ის, რაც იყო. კიდევ ერთხელ ეცდებოდა დაკარგულის დაბრუნებას, თუმცა ამჯერად სხვაგვარად მიუდგებოდა საქმეს, აღარ იქნებოდა ისეთი მიაშიტი და მიმნდობი, როგორც ადრე იყო... „კიდევ სცადე“, როგორც გათამაშებაში ჩაშვებული სასმელების ბოთლის საცობებს აწერია ხოლმე მომხმარებლის მისატყუებლად... ეცდებოდა, აბა რა, მაგრამ არა ისე, როგორც მაშინ... ამწუთას ნინის ყველა ქმედება სააფთიაქო სასწორის სიზუსტით არის აწონილი და გათვლილი. არაფერი ზედმეტი! მხოლოდ ის, რაც საჭიროა. რაც არ არის საჭირო, „გადახაზეთ!“ — შეუძახა საკუთარ თავს გულში და თეძოების რხევით გაემართა ბარის სიახლოვეს მდებარე მაგიდისკენ...

ასე ჰგონია, საუკუნეა, რაც თორნიკვს იცნობს. არადა, მხოლოდ ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, პირველად რომ შეხვდა... არა, შეხვედრამდე ისე იცნობდნენ ერთმანეთს, ვირტუალურად... ანუ... ანუ მინერ-მონერით. არა, არა, სასიყვარულო ბარათებს კი არ გულისხმობს... „ოდნო-კლასნიკებში“ გახსნა შარშან პროფილი და თავისი ლამაზი ფოტოები დადო თუ არა, მამაკაცების შემოსევა დაიწყო. ოოოოო! რა ჯურის „მაჩო“ არ ცდილობდა მის გაცნობას — შავგვრემანი თუ ქერა, მაღალი თუ დაბალი, მსუქანი თუ გამხდარი, ახალგაზრდა თუ „ძველგაზრდა“... ერთი სიტყვით, ხანდახან პასუხის გაცემას ვერ აუდიოდა და იძულებული ხდებოდა, ვინც ოდნავ მაინც არ მოუვიდოდა თვალში, არ დაჰკონტაქტებოდა. თავიდან უხაროდა, ასეთი პოპულარული რომ გახდა, მაგრამ მერე და მერე, ნელ-ნელა მოჰპებრდა და მხოლოდ რაღაც ნიშნით გამორჩეულებს ეხმიანებოდა. ზოგის გარეგნობა მოსწონდა, ზოგის — იუმორი, ვიღაცის — ქალის შებმის სტილი, ვიღაცის — თანამდებობა ან ავტომანქანის მარკა... ასაკიც კი განსაზღვრა — 25-დან 35 წლამდე მამაკაცები, „ზღვარზე“, უმცროსები და

უფროსები კი „ჩამონერა“, როგორც უხარისხო საქონელი...  
ჰოდა... სწორედ მათ შორის აღმოაჩინა თორნიკე, რომელიც „მაჩოს“ მეტსახელით იყო შემოსული. ბიჭმა მაშინვე მიიქცია მისი ყურადღება. სხვებიც არ დაუწყია ხოტბის შესმა, — რა ანგელოზი ხარ, თვით სრულყოფილება გიპოვე, რა დედამ გშობა ასეთი დახატულიო, — და ა.შ. ორად ორი სიტყვა მისწერა — „მგონი, მომწონხარ“ — და ნინის რეაქციას დაელოდა. გოგონამ ჯერ თვალები დააჭყიტა, ასეთი ფრაზით აქამდე არავის მოუმართავს მისთვის, მერე კი უკმაყოფილოდ აიბზუა ტუჩი — რას ნიშნავს „მგონი“?! ამისთანა ლამაზ გოგონაზე შეიძლება, ვიღაცამ „მგონი“ თქვას?! შეურაცხყოფილად იგრძნო თავი... შურისძიების მიზნით, ადგა და მისი ყველა ფოტო დაბალი ნიშნებით შეავსა — ერთიანებით და ორიანებით. არადა, უცნობი მართლაც რომ ნამდვილი მაჩო იყო — შავგვრემანი, დიდი ბრიალა თვალებით, მაღალი, მოხდენილი... პასუხად უცნობმა ლიმილის ბევრი და კოცნის ერთი „სმაილიკი“ გამოუგზავნა. მერე ვირტუალური დიალოგიც თავისთავად აეწყო.  
მაჩო: რა დაგიშავე ასეთი? თუ შენი კომპიუტერი ხუთიანებს არ წერს?  
ნინი: ბანალური ფოტოები გაქვთ, არაფრით გამორჩეული.  
მაჩო: მხოლოდ ეს არის მიზეზი? ყველას ასე უფასებ ფოტოებს თუ მართლმე დამსაჯე?  
ნინი: დაგსაჯეთ? რისთვის?  
მაჩო: სხვებიც რომ არ გავილექსე...  
ნინი: თქვენ რა იცით, სხვები როგორ ილექსებიან?  
მაჩო: ვიცი, მეც გავლექსილვარ ვერე სხვა გოგონებთან, მაგრამ არა შენთან.  
ნინი: და ჩემთან რატომ არა?  
მაჩო: როგორ გითხრა?... მომეჩვენა, რომ განსხვავებული ხარ.  
ნინი: რაზე შემატყვევებ?  
მაჩო: ვგრძნობ.  
ნინი: იტყუებით.  
მაჩო: რაზე შემატყვევებ, რომ ვიტყუებ?  
ნინი: არ ვიცი...  
მაჩო: ეგ შენი უფლებაა, დაიჯერებ თუ არა... ტყუილი არ მიყვარს... არ გინდა, შენობით მომმართო? ასე უფრო გაგვიადვილდება ურთიერთობა.  
ნინი: მაგრამ მე არ გიცნობთ... სახელიც კი არ ვიცი თქვენი.  
მაჩო: მერე? ამაზე ადვილი რა არის? გავიცნოთ ნელ-ნელა, რაღაც ვუცდით? მე თორნიკე მქვია ანუ თოკო... შინაურები ასე მომმართავენ. მითხარი, რა გაინტერესებს და დავაკმაყოფილებ შენს ცნობისმოყვარეობას.  
ნინი: კარგი, დავიწყოთ. რამდენი წლის ხარ, რას საქმიანობ, ცოლიანი, უცოლო... მაღალი, დაბალი... მსუქანი, გამხდარი... შენი ლამაზი თვალების ფერი, პროფესია, სამსახური... საყვარელი კერძები... რა ვიცი, ყველაფერი.

მაჩო: იცი? ძალიან საყვარელი ხარ... და მართლაც მომწონხარ.

ნინი: გმადლობ. სასიამოვნო მოსასმენია... თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ფოტოზე ყოველთვის უკეთ გამოვიყურები, ვიდრე ორიგინალში... ასე რომ, მთლად სურათის შთაბეჭდილებებს ნუ დაეყრდნობი... ეგრეც ხდება... ადამიანი გარეგნობით ხშირად აგებს.

მაჩო: მე ჯერ ცუდს ვერაფერს ვხედავ.

ნინი: თუმცა მხოლოდ გარეგნობაც ყველაფერს როდი ნიშნავს.

მაჩო: ლამაზ ქალებს უმართლვით... ნინი: ვერ ვიტყვოდი მთლად ეგრე... მაინცდამაინც ვერ ვარ ილბლიანი.

მაჩო: ილბალი რა შუაშია ასეთ სილამაზესთან? შენ თავად ხარ სხვისი ილბალი.

ნინი: მგონი, ჩემს შეკითხვებზე უნდა გეპასუხა...

მაჩო: ჰო-ო-ო! ეგ სულ გადამავინწყდა... ჩემმა ფოტოგალერეამ ნაწილობრივ მაინც არ დააკმაყოფილა შენი ცნობის-მოყვარეობა?

ნინი: ფოტოებს დიდად არ ვენდობი. აკი გითხარი...

მაჩო: იცი? ძალიან მეზარება წერა. ასოები უნდა ვეძებო. ხომ არ ჯობია, ტელეფონის ნომრები გაცვალოთ? და გირეკავ... ძალიან მაინტერესებს, როგორი ხმა გაქვს. ძალიან მჭირდება ამის გაგება...

ნინი: თოკო... რატომ შექმენი ეს პროფილი? რას ეძებ აქ?

მაჩო: როგორ გითხრა... პირველ რიგში, მეგობრებს ვეკონტაქტები.

ნინი: კიდევ?

მაჩო: კიდევ... საინტერესო ადამიანებს ვეძებ...

ნინი: პოულობ კი?

მაჩო: შენ ხომ გიპოვე... თავად? თავად რას ეძებ, ნინი?

ნინი: მე... სიყვარულს.

მაჩო: სიყვარულს? შენნაირი გოგო სიყვარულს ვირტუალურ სამყაროში ეძებს? ვერ დავიჯერებ.

ნინი: გინდ დაიჯერე, გინდ — არა, მაგრამ ასეა. არ ვენდობი ჩემ გარშემო მორბენალ მამაკაცებს.

მაჩო: და აქ გაცნობილს გინდა, ენდო?

ნინი: მაგით რისი თქმა გინდა? რომ სანდო არ ხარ?

მაჩო: აბა, რა გითხრა... მე კი ვარ სანდო, მაგრამ...

ნინი: მაგრამ მაინც არ ხარ, არა? გულახდილად მითხარი, ცოლი გყავს?

მაჩო: ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს?

ნინი: ჩემთვის ძალიან დიდი.

მაჩო: შენ?

ნინი: რა მე?

მაჩო: შენ არასდროს ყოფილხარ გასხვისებული?

ნინი: ანუ გათხოვილი? არა, არასდროს, ჯერ ვერ მოვასწარი.

მაჩო: მოდი, რა, შევხვდეთ ერთმანეთს...

ნინი: დარწმუნებული ხარ?

მაჩო: რაში?

ნინი: რომ ჩემთან შეხვედრა გინდა.

მაჩო: როგორც არასდროს. მართლა ძალიან მინდა შენი გაცნობა. ასე არავის გაცნობა არ მომწონებია.

ნინი: ყველასთან ასეთი ხარ? როგორც ჩემთან?

მაჩო: როგორ გგონია?

ნინი: არაფერიც არ მგონია და იმიტომაც გეკითხები.

მაჩო: იცი, როგორ ვგრძნობ, რომ ერთმანეთს ვჭირდებით?

ნინი: ვიცი.

მაჩო: ჰოდა, თუ იცი, არ შეგიძლია, რაღაც გადაწყვიტო? აშკარად ვიგრძენი, რომ განსხვავებული ხარ და მიმიზიდავ.

ნინი: რა გავაკეთო?

მაჩო: მითხარი შენი ნომერი და და-

გირეკავ. ხმა გამაგონე შენი, ძალიან მჭირდება ეს, ოღონდ მართლა!

ნინი: ტელეფონი გათიშულია დავალიანების გამო.

მაჩო: ცალმხრივად?

ნინი: არა, ორმხრივად.

მაჩო: მობილურიც ორმხრივადაა გათიშული?..

ერთი სიტყვით, გაცნეს ერთმანეთი. ვირტუალური დიალოგი სატელეფონო საუბრებით შეიცვალა, სატელეფონო საუბრები — შეხვედრით... ნინის ძალიან მოეწონა ბიჭი, რეალურ ცხოვრებაში ბევრად უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე ფოტოებზე. თორნიკეც აღფრთოვანებული დარჩა მისი გარეგნობით. გოგონა მართლაც რომ სრულყოფილების განსახიერება იყო. განსაკუთრებით ის მოეწონა, რომ ნინი თითქმის არ იყენებდა კოსმეტიკურ საშუალებებს თავისი სილამაზის ხაზგასამკლავად, მხოლოდ ნაწინამებს იტუშავდა და ღია ფერის პომადას ისვამდა ტუჩებზე.

— ასე არ ჯობია? მიხარია, რომ ახლოს გაგიცანი. მითხარი, სად დაგპატიყო? — თბილად გაუღიმა ბიჭმა.

— რადგან შუადღეა, ყავას დავლევ, — დაიმორცხვა ნინიმ.

— ანუ შუადღეს ყავას სვამ?

— ჰო... და დილითაც. საღამოს მხოლოდ მწვანე ჩაის.

— კიდევ რა გიყვარს? მომიყვი შენზე, — თორნიკემ მანქანის კარი გამოაღო და გოგონას ხელი გაუწოდა.

— კიდევ?.. კიდევ კინო მიყვარს, ოღონდ არა ბოვეიკები და „ფანტასტიკები“. ფსიქოლოგიური ფილმები და მელოდრამები მომწონს, ეგრეთ ნოდებულ „კინო არა ყველასათვის“ ანუ, როგორც ამბობენ ხოლმე, „სხვა კინო“. მიყვარს ფოტოსელფონებაც...

— კიდევ? — არ ეშვებოდა მამაკაცი.

— კიდევ? გაინტერესებს კი?

— აბა, რა, თანაც ძალიან მაინტერესებს.

— არ მიყვარს კროსვორდები და ნარდის თამაში.


— ნარდი რატომ არ გიყვარს?

— ალბათ იმიტომ, რომ მისი არაფერი გამეგება, არ ვიცი ნარდის თამაში. ვგაიჟდები ზღვაზე. როცა ტალღების ხმაური მესმის, სიამოვნებისგან თავბრუს მესხვევა. როცა ვირუჯები, ხომ... საერთოდ... მიხდება გარუჯვა, სუუულ სხვანაირი ვხდები...

— უფრო სექსუალური?

— ... თუნდაც... კიდევ... ნაყინი მიყვარს... ვერ ვიტან წინაკიან კერძებს... სამაგიეროდ, სიამოვნებით ვაკნატუნებ მზესუმზირას, მიუხედავად იმისა, რომ მისი კნატუნი უზრდელობაა.

— ჰა-ჰა-ჰააა! როგორ გამაცინე! მეც მიყვარს მზესუმზირა, მაგრამ არც მიფიქრია, მისი კნატუნი თუ უზრდელობად მიიჩნეოდა. ზღვა მეც მიყვარს, მაგრამ მალევე მბეზრდება. ალბათ იმიტომ, რომ აქვე გვაქვს, ყურის ძირში. შენ არ გბეზრდება?



ზიგლუსი

— არასდროს. ზამთარშიც კი გავდივარ სანაპიროზე, რომ ტალღების ხმაურს დაუფგდო ყური. კიდევ კარგი, ბათუმში ვცხოვრობ, თორემ ალბათ ზღვის გარეშე ვერ გავძლებდი... ახლა შენ მითხარი, როგორი ხარ? — ნინიმ თავი გვერდზე გადახარა და კეკლუცად მიაჩერდა.

თორნიკემ წამით მოაბრუნა თავი, თანამგზავრს ნახად გაუღიმა და კვლავ გზას გახედა.

— მე როგორი ვარ?.. საინტერესო შეკითხვაა! ასე უცებ ვერ გიპასუხებ... როდის როგორი... სხვადასხვა სიტუაციებში სხვადასხვანაირი ვარ. ბოლო პერიოდში ძალიან მოვიწყინე, სევდა მომეძალა, ხშირად ვარ გულჩათხრობილი, უმიზეზოდ გულჩათხრობილი...

— რატომ?

— ალბათ სიყვარულის ნაკლებობის გამო... სიხარული წავიდა ჩემი ცხოვრებიდან და მისი ადგილი სევდამ დაისაკუთრა... ადამიანის ბუნება სიცარიელეს ვერ იტანს... ახალი შეგრძნებები მომენატრა...

— ბევრჯერ გიყვარდა?

— ერთხელ... და ისიც ძალიან ცოტა ხნით.

— მაპატიე, მაგრამ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი რამ უნდა გკითხო. ადრეც გკითხე, თუმცა თავი აარიდე პასუხს. იმედია, ახლა მაინც...

— ეს კარგი ბარია, აქ შევიდეთ, — თქვა მოულოდნელად მამაკაცმა და მანქანა დაამუხრუჭა.

— ჯერ დამამთავრებინე სათქმელი, — მკაცრად გამოუვიდა ნინის.

— გისმენ, გისმენ...

— ცოლიანი ხარ?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— ერთხელ უნევე გითხარი, ჩემთვის უზარმაზარი-მეთქი.

— რატომ? რატომ?

— რაკი თავს არიდებ პასუხის გაცემას, ესე იგი, ცოლიანი ხარ.

— ჰო...

— თოკო!.. ეს არაკეთილსინდისიერი საქციელია! — ტუჩები მობრიცა ნინიმ.

— კი, მაგრამ რატომ?

— იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ მე... სიყვარულს ვეძებ და არა საყვარელს... სექსუალური პარტნიორი კი არ მჭირდება, მამაკაცი მჭირდება, რომელთანაც ოჯახის შექმნა შეემძლება... ამაზე ვოცნებობ მხოლოდ! შენ კი მომატყუე!

— მაპატიე, მაგრამ მე შენ არ მომიტყუებხარ, ნინი! უბრალოდ, ამ თემაზე არ გვისაუბრია. არც შენ გითქვამს საზგამოთხარო, რომ ცოლიან კაცებზე „ალერგია“ გქონდა. ან კი რა დაშავდა ამით? მომწონსხარ, მოგწონვარ... მგონი, შემიყვარდი კიდევ... ვნახოთ, რა იქნება შემდეგ. განა ყველა სიყვარული ქორწინებით მთავრდება?

— ნახვამდის, თოკო. ყავა აღარ მინდა... ნავედი და გთხოვ, აღარ შემომხმინო... დაივიწყე ჩემი ტელეფონის ნომერი, — ჩამქრალი ხმით წარმოთქვა გოგონამ, გატრიალდა და ჩქარი ნაბიჯებით გაიქცა.

ბით გაუყვა ტროტუარს.

გაოგნებულმა თორნიკემ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ყვირილს ვერ დაინწყებდა შუა ქუჩაში, ვერც გაეკიდებოდა, მანქანას უპატრონოდ ხომ ვერ დატოვებდა. ადგილზე დარჩა და გულდანწყვეტილმა მხოლოდ თვალი გააყოლა მიმავალს...

მაგრამ მათი ურთიერთობა ამით არ დამთავრებულა. თორნიკე ყოველდღე ურეკავდა, მოსვენებას არ აძლევდა. ბოლოს, რამდენიმე დღიანი ხვეწნის შემდეგ, კვლავ დაითანხმა შესვენებაზე... მაგრამ არც მორიგი პაემანი აღმოჩნდა წარმატებული. გოგონამ ახლოს არ გაიკარა ბიჭი: ცოლიან მამაკაცთან რომანს ვერ გავაბამო. მაშინ თორნიკემ ხერხს მიმართა. ცოტაც მაცალე, ცოლს გავყვები და მერე ყველაფერი მოგვარდება.

და დაიწყო მათი პლატონური სიყვარული — ორი ახლო მეგობარი ფინჯან ყავაზე ან მსუბუქ ლანჩზე ხვდებოდა ერთმანეთს. თორნიკე აღარ მალავდა, რომ დაოჯახებული იყო, მაგრამ არც ცოლთან გაყრას ჩქარობდა. ნინი ერთი მხრივ, ამის გამო პატივსაც სცემდა ბიჭს, მაგრამ მეორე მხრივ, გულდანწყვეტილი იყო, რომ სასურველ მამაკაცს მის გამო მსხვერპლის გაღება არ შეეძლო, თუმცა მაინც დარწმუნებული იყო, რომ თავისას აუცილებლად მიაღწევდა...

მიაღწევდა კი? მამაკაცი ისეთი სიამაყით დაინწყებდა ხოლმე თავისი მუშაობის პროფესიულ წარმატებებზე ლაპარაკს, გოგონას გული უღონდებოდა. თუმცა საკმარისი იყო, ნინი მათი პირადი ცხოვრებით დაინტერესებულიყო, თორნიკე ღიზიანდებოდა და ცდილობდა, სხვა თემაზე გადაეტანა საუბარი. საინტერესოა, რატომ?.. ნინის ინტერესი კვლავდა. რამდენჯერმე ეცადა, როგორმე აელაპარაკებინა შეყვარებულს, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ამასობაში დრო გადიოდა და ყველაფერი უცვლელად რჩებოდა. გაცნობიდან ოთხი თვის თავზე გოგონამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და მათ ურთიერთობას მკაცრი განაჩენიც გამოუტანა.

— თოკო, ეს ჩვენი უკანასკნელი შესვენებაა... მაპატიე, — დაიწყო ნინიმ, როგორც კი ყავის დაღვევას მორჩა.

— რატომ? — გაიოცა ბიჭმა.

— იცი, რატომაც... რალაზე მალაპარაკებ ზედმეტად?

— ნინი, შენ რასაც მოითხოვ, არ არის ადვილი... ამას დრო სჭირდება, — კიდევ ერთხელ სცადა თავის დაძვრენა მამაკაცმა.

— აზრი არა აქვს... მაინც არაფერი გამოვა. ორი წელიც რომ გავიდეს, შენ მისი მიმტოვებული არა ხარ. ამაში უკვე დავრწმუნდი. ტყუილად წყლის ნაყვას ჩვენი ურთიერთობა. ხომ იცი, ჩემს პრინციპებს არ გადავუხვევ და თუ იმის იმედი გაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მომბუზრდება ასე ყოფნა და ლოგინში ჩაგინვები, მწარედ შემცდარხარ.

— მაგრამ...

— არავითარი მაგრამ! — გაანწყვტინა ნინიმ. — მე შენ იმაზე მეტხანს გელოდე, ვიდრე საჭირო იყო. აღარ მინდა უკვე. მიხედე შენს ოჯახს, მე კი ჩემი გზით წავალ. თუ ოდესმე განსხვავებულ გადაწყვეტილებას მიიღებ, შემომხმინე, დაგელოდები, — ცივად წარმოთქვა, ადგა, დემონსტრაციულად დატოვა ბარიც და განბილებული მამაკაციც.

აი, ასე დამთავრდა მათი ხანმოკლე რომანი. არ გასულა რამდენიმე კვირა და ნინიმ გაიგო, რომ თორნიკე სამსახურში დაანინაურეს, რის გამოც მეუღლესთან ერთად თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. ამ ამბავმა ძალზე დაალონა გოგონა, მაგრამ რას გაანყობდა? კარგა ხანს დარდობდა და ბალიშსაც ასველებდა ცრემლებით, ოცნებებში ათენებდა და ალაპებდა, წარამარა „ოდნოკლასნიკებში“ შედიოდა იმ იმედით, რომ თორნიკე ერთხელ მაინც გამოეხმაურებოდა, მაგრამ ამაოდ... მამაკაცის პროფილის ფანჯარა ერთხელაც არ აციმციმებულა... კიდევ ცოტა ხანი და საერთოდ გაქრა მისი გვერდი საიტადან. სხვა რალა დარჩენოდა ნინის? უნდა შეჰგუებოდა მომხდარს...

გამოხდა ხანი და თანდათან დამშვიდდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ნაკლებად ფიქრობდა პირველ სიყვარულზე... შეეგუა იმ აზრს, რომ თორნიკეს ვეღარასდროს შეხვდებოდა...

მას შემდეგ თითქმის ექვსი თვე გავიდა. და აი... ერთხელაც, სრულიად მოულოდნელად, ბარში არ გადაეყარა ყოფილ შეყვარებულს?

ზაფხულის გრილი საღამო იყო, ღრუბლებიანი. ნინი და მისი კოლეგა-მეგობარი ლელა ერთად გამოვიდნენ სამსახურიდან. დაძაბული დღის შემდეგ, გზად ბარში შეიარეს გულის გადასაყოლებლად და აჭარული ხაჭაპურის საჭმელად. ნინი ერთ-ერთ მსხვილ იურიდიულ ფირმაში მუშაობდა პასუხისმგებელ მდივნად. ბარი ნახევრად იყო განათებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ გასძინებია თორნიკეს შეცნობა. მას ხმაურიანი კომპანია ახლდა თან — ქალები, მამაკაცები... თოკო ხუმრობდა, იცინოდა, მარჯვნივ და მარცხნივ დამბრმავებელ ღიმილს აფრქვევდა.

ნინის ლამის გული წაუვიდა მის დანახვაზე. მიძინებული გრძნობა ჭიანჭველასავით აფუსფუსდა სულში, აიშალა და მთელ სხეულს მოედო... რა ქნას? კიდევ ერთხელ სცადოს? რას აგებს? არაფერს... ოღონდ ჭკვიანურად უნდა იმოქმედოს... ღმერთო, დამეხმარე! — ერთსა და იმავეს იმეორებდა გულში... ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. მისულიყო მასთან და გამოცნაურებოდა თუ საერთოდ არ მიექცია ყურადღება? იქნებ ხელსაყრელ მომენტს დაჰლოდებოდა? იქნებ თვითონ შეემჩნია მამაკაცს?

ხაჭაპური მალევე მოიტანეს. ნინი უგე-



მურად შეუდგა დანა-ჩანგლით მის „დამუშავებას“, თან ცალი თვალი თორნიკესკენ ეჭირა. ორიოდ ლუკმა ძლივს გადაყლაპა, ისე ანერვიულდა. სანამ რაიმეს მოიფიქრებდა, თავისით მოგვარდა საქმე. ბიჭი მოულოდნელად შემობრუნდა და ბარმენისკენ გაემართა. ამით ისარგებლა ნინიმაც, ხაჭაპურიანი თეფში გვერდზე მისწია, ლელას გადაულაპარაკა, ახლავე მოვალო და მამაკაცს მიუახლოვდა... ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ იდაყვზე შეავლო ხელი...

თორნიკემ თავი მოაბრუნა.  
— გამარჯობა, თოკო... ალბათ აღარ გახსოვარ...

მამაკაცი მოტრიალდა, ჯერ გაკვირვების ნიშნად წარბები აზიდა, მერე უცებ შეეცვალა სახის გამოთქმელება და გაიბადრა.

— ნინი?! ღმერთო ჩემო! აი, სიურპრიზი!.. თვალებს არ ვუჯერებ! რამდენი ხანია, არ მინახავხარ!

„დიდი ხანია“, — გაიფიქრა მის მომაჯადოებელ ღიმილში მობანავე გოგონამ.

— არაჩვეულებრივად გამოიყურები, — თორნიკეს დიდრონმა თვალბმა ქალის სხეულის ფარული „ჩხრეკა“ დაინყეს, მამაკაცმა სწრაფად „ჩამოატარა“ მზერა მის ნაბლისფერ თმაზე, მადისალმძვრელ მკერდსა და ჯინსის შარვალში მიმაღულ გრძელ ფეხებზე, — მარტო ხარ? შეიძლება, დავილაპარაკოთ?

— უკვე წასვლას ვაპირებდით, ძალიან მოგვმივდა და...

— ვისთან ერთად ხარ?

— ჩემი თანამშრომელია, შენ არ იცნობ...

— ვა, მუშაობა დაინყე?

— ჰო... იურიდიულ ფირმაში...

— აუ! მაგარია! გილოცავ!

— გავიგე, შენც დაუწინაურებისხარ...

— ოჰ, ეგ ძველი ამბავია, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა... კიდევ კარგი, მიცანი...

— მაშინვე შეგამჩნიე, როგორც კი შემოგხედე. რატომ ვერ უნდა მეცნე? ვიღაც ხომ არ ხარ... — ამის თქმაზე ნინის ღანწები შეეფაკლა.

— ჯერ ხომ არ წახვალ? დარჩი, გთხოვ! შენი მეგობარი გავუშვით და ცოტა ხნით განვმარტოვდეთ. აი, იქ დავსდეთ, კუთხეში რომ მაგიდაა, მიდი და მეც ახლავე მოვალ! რამე დასალევს შევუკვეთ. შამპანურს დალევ?

გოგონამ თავი დაუქნია, თუმცა შამპანურს ვერ იტანდა. ამწუთას ისეთ ხასიათზე იყო, შხამი რომ შეეთავაზებინა თორნიკეს, იმაზეც არ იტყოდა უარს. გული უცნაურად უცემდა. რას ნიშნავდა ყოველივე ეს? ნუთუ უბრალო შემთხვევითობაა მათი შეხვედრა? რატომ მოუნდა მაინცდამაინც ამ დროს და ამ ბარში შემოსვლა? ლამის ბარბაცით დაუბრუნდა თავის მაგიდას, ლელას დარცხვენით შეხედა და თვალბდახრილმა ძლივს გასაგონად ჩაილულღულა:

— მე ჯერ ვერ წამოვალ, ლე... ძველ ნაცნობს შეგხვდი და მთხოვა, ცოტა ხნით დარჩიო...

— რა მოხდა მერე, დარჩი. მე მაინც სალონში უნდა შევიარო, თმა მაქვს შესაღები.

...ორი წუთის შემდეგ ორივენი ტკბილედულით განწყობილ სუფრასთან ისხდნენ.

— შენი მეგობრები არ განაწყენდებიან, რომ მიატოვე და აქეთ გადმოჯექი? — შეწუხებული სახით იკითხა ნინიმ.

— მე მგონი, საერთოდ ვერ შეამჩნევენ ჩემს გაუჩინარებას, — ღიმილით წარმოთქვა თორნიკემ და შამპანური ჩამოასხა, — ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს. ძალიან გამიხარდა, რომ ბედმა კვლავ ერთად შეგვყარა.

ნინიმ ბოკალი მიუჯახუნა, გაუმარჯოსო, ხმადაბლა თქვა და სასმელი ოდნავ მოწრუტა.

— აბა, მომიყევი ახლა, როგორ ხარ, იურისტებთან რას საქმიანობ... ერთი სიტყვით, რითი ხარ დაკავებული? — თორნიკემ მარცხენა ხელისგული გოგონას მარჯვენა ხელის ზურგს დაადო.

„მოლოდ შენი მოლოდინით ვარ დაკავებული, მაგრამ ამ წუთამდე თავადაც არ ვიცოდი ეს“, — გაიფიქრა მისი შეხებით ათრთოლებულმა, თქმით კი სულ სხვა რამ თქვა:

— პასუხისმგებელი მდივანი ვარ.  
— ეს კარგია... სხვა? არ გათხოვილხარ?

— არა, ჯერ არა ვარ „გასხვისებული“, — გაეცინა გოგონას და ეშმაკურად გახედა მამაკაცს.

— ძალიან მიკვირს, შენისთანა ლამაზი გოგო ასე ეულად რომ დადის. ნეტავ, რას ფიქრობენ ეს კაცები? თვალები სად აქვთ?!

„იქ, სადაც შენ“, — კვლავ ფიქრებში გაეპასუხა ნინი და ორაზროვნად ჩაიღიმა.

— შენ რა ქარმა გადმოგაგდო აქეთ? — გოგონამ კითხვა შეუბრუნა.

— მომენატრა აქაურობა... მშობლები, სახლი, ჩემი ქუჩა, ზღვა... ერთი კვირა კიდევ დავრჩები და იმედია, კვლავ განახავ.

— იმედია, — გაიპრანჭა ნინი და შოკოლადის ფილის მოზრდილი ნაჭერი თეატრალური უესტით ჩაკბინა.

— რა ტკბილი და ლამაზი ხარ... თვალს ვერ გამოვრებ, — ძლივს გასაგონი ხმით თქვა თორნიკემ და ქალის შოკოლადით გათხუნილ ტუჩებს ხარბი მზერა მიაპყრო.

— შენი ცოლი სად არის? არ ჩამოგიყვანია? — მტკივნეულ თემას შეეხო ნინი.

— არააა, იმას სად სცალია, მუშაობს. წარმოგიდგენია?.. შევბუღება არ მისცეს, უშენოდ საქმეს თავს ვერ გავართმევთო.

— შვილი თუ გყვოლათ?

— არა, არც შვილი გყავს. არ ვქარობთ ჯერ, ცოტა უკეთ მინდა, ჩემი საქმეები ავანყო. თავოსაც ისეთი სამსახური აქვს... სახლში ვერ დაჯდება.

— ჰოო...

— იცი?... რაც აქედან წავედი, სულ ვფიქრობდი შენზე...

— ნუ მამოლებ... — მართლა გეუბნები, რატომ არ გჯერა? შენ რა, არ ფიქრობდი ჩემზე?

შეკითხვამ წამით დააბნია ნინი, უხერხულად ჩაახველა და მამაკაცს თვალბი აარიდა, რადგან ახლა უმონყალო ტყუილი უნდა ეთქვა.

— არა, არ ვფიქრობდი... დიდი ხანია, დაგივიწყე...

— ნუთუ? — ეშმაკურად ჩაელიმა თორნიკეს. — აბა, რატომ გამომეცნაურე?

— უბრალოდ, ცნობისმოყვარეობამ მძლია... მე წავალ, ხელს გიშლი, მეგობრები გელოდებიან...

— ხვალ შეგხვდებით ერთმანეთს? გთხოვ, უარი არ მითხრა, მაინც არ მივიღებ, იცოდე.

— კარგი, შეგხვდები. ზუსტად ამ დროს, ზუსტად აქ, ამ მაგიდასთან, — ნინიმ თავი ასწია და ჯიქურ გაუსწორა მზერა მამაკაცს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# შახვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ ხარკოვის ნიგნიდან „გენერალისიბუსი“



1990 წელს დაწერე ნიგნი — „დახვრეტილი მარშლები“, სადაც მიხაილ ტუხაჩევსკისაც მივუძღვენი ნარკვევი. ის „გამამართლებელ“ სტილში იყო დაწერილი — იმ პუბლიკაციების შესაბამისად, რომლებიც 90-იან წლებში ქვეყნდებოდა. „გენერალისიბუსზე“ მუშაობისას, უფრო საფუძვლიანად გავერკვიე რეპრესიების მიზეზებში, რადგან ახალგაზსნულ საარტივო მასალებს გავეცანი. ამიტომ, განსხვავებული დასკვნები გამოვიტანე.

დასაწყისი იხ. „გზა“, №27-37

ონერები იტაკვემეთში იმყოფებოდნენ და თითქოს, ერთიან პარტიას წარმოადგენდნენ, ჯერ კიდევ მაშინ იჩინა თავი პირველმა უთანხმოებებმა, როგორც საპროგრამო, ისე ტაქტიკურ საკითხებთან დაკავშირებით. პარტია ბოლშევიკებად და მენშევიკებად დაიყო. ამის მიზეზად ორივე მხარე ერთსა და იმავე არგუმენტს იშველიებდა — იმ მიზნით, რომ უფრო მალე მოეტანა ხალხისთვის თავისუფლება და ბედნიერება, ე.ი. ის, რისთვისაც საერთოდ დაიწყო რევოლუციური ბრძოლა.

მაგრამ განხეთქილების მიზეზი სულ სხვა იყო: არა დავა-კამათი და დისკუსიები, არამედ ის, რაც მუდამ ლუპავდა ნებისმიერ მოძრაობას და რევოლუციას — ბრძოლა ძალაუფლებისთვის, ამბიციები და ბატონობის პრეტენზია, რომელიც თითქოს, ჯგუფურია, მაგრამ სინამდვილეში, ინდივიდუალური და ეგოისტური გახლავთ. ამ სენის სახელი — ბელადომანიია. მას ყოველთვის საგულდაგულოდ მალავენ, მასში არავინ გამოგიტყდებოდა. თან, ამას არა მარტო გარშემო მყოფებს, არამედ საკუთარ თავსაც არ უმჯავებენ.

XX საუკუნის მეორე ნახევარში (სტალინის სიკვდილის შემდეგ) არც ერთ თემაზე არ დაუწერიათ იმდენი (და დღესაც წერენ), რამდენ-

იც საბჭოთა კავშირში ჩატარებული რეპრესიების შესახებ. ნუთუ, ეს შემთხვევითია?

რეპრესიების თითქოსდა ობიექტური მიზეზები ჩემთან საუბრისას, სტალინის ერთ-ერთმა უახლოესმა თანამოაზრემ და თანამებრძოლმა, ვიჩესლავ მოლოტოვმა დაასახელა. ერთხელ, როცა ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე ვლაპარაკობდით, ჩემი ვარაუდით, მთავარი რამ თქვა:

„უპირველესად, უნდა გავიაზროთ, რომ რეპრესიები, ერთი მხრივ, ძალაუფლებისთვის ბრძოლის პირდაპირი შედეგია, მეორე მხრივ კი, ის მტრის აგენტურის განადგურებას ემსახურებოდა, რომლაც ტროცკისტები გადაიქცნენ“.

ყველა ეპოქაში, ყველა სახელმწიფო მოღვაწე მხედართმთავარი ომის მოახლოებისას არა მარტო ჯარს ამზადებდა, არამედ ზურგსაც წმენდდა ჯაშუშებისა და არასაიმედო სუბიექტებისგან, რომლებსაც შეეძლოთ, საბრძოლო მოქმედების დაწყებისთანავე დიდი ზიანი მიეყენებინათ შეიარაღებული ძალებისთვის და დახმარება გაენიათ მონინალმდევისთვის.

ერთ ისტორიულ მაგალითს მოვიშველიებ.

როცა რუსულმა ჯარმა საკუთარი მიწა-წყლიდან ნაპოლეონი გააძევა და პარიზს უახლოვდებოდა, ბონაპარტე თავის მთავარ ძალებთან ერთად, არა დედაქალაქისკენ, არამედ სამხრეთით მდებარე ქალაქ მანდისკენ გაემართა, რათა მონინალმდევისთვის დარტყმა ფლანგიდან მიეყენებინა. კაზაკებმა იმ ფრანგი მალემსროლის დაჭერა მოახერხეს, რომელსაც ნაპოლეონის რამდენიმე პაკეტი პარიზში მიჰქონდა. მისი გზავნილები რუს მეფეს, ალექსანდრე I-ს გადასცეს. ერთ-ერთ მათგანში გადმოცემული იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პარიზში არსებობდა გავლენიანი პირთა ჯგუფი, რომელიც იმპერატორ ნაპოლეონის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას არ ფარავდა და დედაქალაქთან მონინალმდევის მიახლოების შემთხვევაში, საფრანგოს დიდ საფრთხეს შეუქმნიდა (ფრჩხილებში დავძენ, რომ ეს ძალები ჩვენებური ტროცკისტების მაგვარ ძალას წარმოადგენდნენ — ისინი ნაპოლეონის სამსახურში იდგნენ, მაგრამ ფარულად, რევოლუციამდელი წყობის აღდგენას ლაშობდნენ).

იმპერატორ ალექსანდრეს ყურამდე მანამდეც მიუღწევია ამ ინფორმაციას და ოპოზიციონერთა

რეპრესიები ყველა რევოლუციისა და აჯანყების დროს ხორციელდებოდა. ეს კანონზომიერებაა: ძალაუფლება ახალი ძალების ხელში ხვდება, ისინი წინამორბედი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მათთან დაახლოებულ პირებს იშორებენ... რუსეთში, რევოლუციის შემდეგ, ძველი წესწყობილების წარმომადგენლებისგან განმედა რამდენიმე წლით გაიჭიმა. მათ შორის, ვინც რეპრესიების მსხვერპლად იქცნენ, „ბურჟუები“, ყოფილი ოფიცრები, ჟანდარმები, „კულაკები“ და მღვდელმსახურები იყვნენ. მაგრამ ამას პოლიტიკური მოღვაწეებიცა და შემდგომ, ისტორიკოსებიც, რევოლუციისთვის სახასიათო, სავსებით ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევდნენ, ხოლო პროტესტს მხოლოდ რეპრესიების მასშტაბი იწვევდა.

## რეკონსილი

ყველას როდი ესმის, თუ რატომ მოხდა რევოლუციონერთა ორ ჯგუფად გაყრა, რომელსაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და შემდგომ, ერთმანეთის განადგურებაც კი მოჰყვა. როცა რევოლუცი-



ნარგზავნილი ემისრებიც არაერთხელ ესტუმრნენ, მაგრამ მეფეს მათი არ სჯეროდა. ამჯერად კი, რაკი თავად ნაპოლეონის წერილში იგივე ნაიკითხა, საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ ფრანგი იმპერატორისთვის მტრული ძალები მართლაც არსებობდნენ და შეეძლოთ, მოკავშირეებს დახმარებოდნენ. ალექსანდრემ ამის შემდეგ გადაწყვიტა, პირდაპირ პარიზისკენ აელო გეზი ისე, რომ ნაპოლეონის მთავარ ძალებს აღარ შეჰბრძოლებოდა: დედაქალაქის ალბა ომში გამარჯვებას ნიშნავდა. ამას თავად ნაპოლეონიც კარგად ხვდებოდა: „თუ მტერი პარიზამდე მოაღწევს, ეს იმპერიის სიკვდილი იქნება!“

ოპოზიციონერ-როიალისტებს (ისევე, როგორც ტროცკისტებს) ბევრი სახელმწიფო პოსტი ეკავათ. მაგალითად, ტალეირანი, უზუნაესი კამერგერი — ე.ი. მთავრობის თავმჯდომარე (როგორც თავის დროზე კამენევი) — გახლდათ. პარიზში მოკალათებული როიალისტები, დედაქალაქის თავდაცვასთან დაკავშირებით, ნაპოლეონის მიერ გაგზავნილ განკარგულებებს საბოტაჟს უწევდნენ, ავრცელებდნენ ხმებს იმის შესახებ, რომ რუსეთის იმპერატორი ფრანგებს პიროვნებისა და საკუთრების ხელშეუხებლობას ჰპირდებოდა. „რუს ხელმწიფეს პარიზი საკუთარი მფარველობის ქვეშ აჰყავს“, — ირწმუნებოდნენ ისინი. ტალეირანმა სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო და რუს მეფეს მოახსენა, რომ სენატმა ნაპოლეონი ტახტიდან ჩამოაგდო და ახალი მთავრობა ჩამოაყალიბა. შემდგომში სწორედ ამ მთავრობასთან წარმართავდნენ სამშვიდობო მოლაპარაკებას ალექსანდრე და მისი მოკავშირეები. მერე სენატმა მეფედ ლუდოვიკო VIII გამოაცხადა. ერთი სიტყვით, განხორციელდა კონტრრევოლუცია.

ეს მაგალითი ცხადყოფს: თუ ოპოზიციას („მეხუთე კოლონას“) დროულად არ მოიშორებ, ის გამარჯვებას იზეიმებს და ქვეყნისთვის ტრაგიკულ შედეგს მოიტანს.

ეჭვგარეშეა, რომ სტალინმა კარგად იცოდა ისტორია და ქვეყანას თავდაცვისთვის ამზადებდა, წმენდდა მტრული ძალებისგან. მას სრული ინფორმაცია ჰქონდა როგორც სახელმწიფოს შიგნით მოქმედ ოპოზიციასზე, ასევე გარედან შემოღებული აგენტურის შესახებ.

სხვათა შორის, გამოჩენილი მწერალი ლიონ ფოიხტვანგერი, რომელმაც იმხანად საბჭოთა კავშირში იმოგზაურა, თავის წიგნში წერდა:

„მთავარი მიზეზი, რომელმაც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები აიძულა, სასამართლო პროცესები საყოველთაო ყურადღების ობიექტად ექცია, ალბათ მაინც, ომის რეალური საფრთხე იყო. მანამდე ტროცკისტები ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენდნენ, ამიტომ მათი მიტევებაც შეიძლებოდა, უარეს შემთხვევაში — გადასახლება... ახლა, უშუალოდ ომის წინ, ასეთი ლიბერალიზმი გაუმართლებელი იქნებოდა. განხეთქილება, ფრაქციულობა, რომელსაც მშვიდობიან დროს სერიოზული მნიშვნელობა არა აქვს, ომის პირობებში უდიდეს საშიშროებად იქცევა.“

რეპრესიების ჩატარების აუცილებლობაში სტალინს იმ პიროვნებების სიტყვებიც ამართლებს, რომელიც არ შეიძლება, საბჭოთა კავშირის მეგობრად მივიჩნიოთ. მხედ-

ველობაში მყავს მოსკოვში, აშშ-ის ყოფილი ელჩი ჯოზეფ დევისი. აი, რას ამბობდა იგი 1941 წელს, საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ, გაზეთ „სანდი ტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში: როცა დევისს ჰკითხეს, — რას იტყვით რუსეთში არსებული „მეხუთე კოლონის“ ნევრებზე? მან უპასუხა: „ასეთები არ ჰყავთ — ისინი დახვრიტეს“. შემდგომ ის დასძენს: „მსოფლიოს უმეტესი ნაწილი მაშინ ფიქრობდა, რომ გახმაურებული პროცესები, რომლებზეც მოლაპარაკებებს ასამართლებდნენ, ბარბაროსობისა და ისტერიის გამოვლინება იყო, მაგრამ დღეს აშკარა გახდა, რომ ამით სტალინმა და მისმა უახლოესმა თანამებრძოლმა საოცარი წინდახედულობა გამოიჩინა.“

სიძე-სიდედრს ერთმანეთი დიდად არ ენატებოდეს გულზე, რა გასაკვირია, მით უმეტეს, თუ ამ ორ არსებას ერთ ჭერქვეშ იძულებით ერთად ცხოვრება უნევს...

ინგა ჯაყელი

სწორედ ასეთი „უსაშველო“ სჭირთ ბადრიასა და მის სიდედრს — ყუყუ-ნას:

— დედას შვილი უყვარს, თორემ ჩემი უტყინო გოგო რა გასაზრდელი იყო?! — შესჩივის ქვეყანას ყუყუნა, რომელიც ერთადერთი შვილის გაზრდას გადაჰყვა, მართლაც უდროოდ დაქვრივებული. მანამ კი, დაჰკრა ფეხი 16 წლის ასაკში და ლოთბაზარა, უსაქმურ, „ბირჟავიკ“ ბადრიას გაეკიდა კუდში, რომელმაც ისე მოაბეზრა თავი საკუთარ მშობლებს, რომ სახლიდან გამოაგდეს და ქალიშვილებს გადაუფორმეს მთელი ქონება: მიხედეთ, სანამ არ გაუნიავებია და წყლისთვის არ გაუტანებია ყველაფერიო...

ბევრი ეხვენა ყუყუნა შვილს: მოშორდი მაგ უბედურს, მაგნაირზე გათხოვებას ყოველთვის მოახერხებ, თუ უკეთესს ვერ ვიშოვითო! — მაგრამ გაგონილა?! სიცოცხლეზე მეტად მიყვარსო! — დაიჩემა გოგომ, რომელმაც ამასობაში ტყუილი ბიჭიც „გააგორა“ და რანაირად დაეტოვებინა ქუჩაში?! ჰოდა, გაულო კარი და შემოუშვა შვილთან და შვილიშვილებთან ერთად, საძულველი სიძეც...

მას შემდეგ ბრძოლა კი არა, ომი ჰქვია მათ თანაცხოვრებას, ორ ათეულ წელნიანზე მეტია უკვე, და ყველა კურიოზი რომ მოგიყვებო, კარგა სქელტანიანი წიგნი დაინერება. ამჯერად იმ ამბავს მოგიყვებით, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გადახდათ და, როგორც ყუყუნა, ისე ბადრია თავის სასარგებლო ვერსიებს ჰყვებიან. ვეცდები, ორივე ვარიანტი შევაჯერო და ისე მოგანოდოთ...

ერთ მშვენიერ დღეს ყუყუნამ აღმოაჩინა, რომ ტუალეტს საკეტი მოშლოდა და დიდი შანსი იყო, მეტად არასასურველ პოზაში შეესწრო ან შინაურს, ან სტუმრად მოსულს. კარგად იცოდა, სიძე ახალი საკეტის მყიდველი რომ არ იყო. ამიტომ გაიკრა ჯიბეზე ხელი უსიტყვოდ და სამსახურიდან მომავალმა, ბაზრობაზე შეიარა. სცადა, გამძლე და „გამომდგარი“ კლიტე შეეძინა. თურქული და ჩინური სხვა რა გამომდგარა, ამის იმედი რომ ჰქონოდა, მაგრამ მაინც ენდო ნაცნობ გამყიდველს და საკმაოდ ძვირიც გადაიხადა: თავი მომჭერი, თუ ამ საკეტს 100 წელი რამე მოუვიდესო! — სიცოცხლე გამიშეცა კაცმა.

# უცნაური ჰაქიმარი...



მოკლედ, მოიტანა ყუყუნამ საკეტი და დანამუსა სიძე: სახლში მოტანილი მაინც დაამაგრე დროზე; იმის შიშით, ვინმე მომისწრებს, შეკრულობა დამემართაო!..

კი დაჰპირდა, მაგრამ ისე გავიდა 2 კვირა, არც უფიქრია თავის შეწუხება და ყუყუნასაც უღალატა მოთმინება: სიძე წყევლა-კრულვით ჩადო და ამოიღო მიწიდან. დაქირავებულ ხელოსანს კი შეეხვენა: რაიმე ისეთი „სეკრეტი“ მასწავლე, იმ ჩემს საძულველ სიძეს ამ ტუალეტში რომ არ შემოესვლებოდესო!..

იმასაც, რა ენაღვლებოდა და მართლა დაუმონტაჟა ისეთი „კნოპკა“, თუ ის ჩაიკეტებოდა, გარედან დახმარების გარეშე, შიგნით მყოფი ვერ გამოვიდოდა...

ხან ვინ „გაება მახეში“ და ხან — ვინ, მაგრამ „პატიმრებს“ ხან ყუყუნა ათავისუფლებდა, ხანაც — მანანა; ბადრია ამისთვისაც არ იწუხებდა თავს...

ცოტა ხნის წინ მანანა ბაკურიანში გაემგზავრა ორი კვირით შვილებთან ერთად დასასვენებლად. რა თქმა უნდა, ყუყუნას ხარჯზე, თორემ ბადრიას ფულიც რომ მისცე, ისიც არ იცის, პური რომელ მაღაზიაში იყიდება...

ჰოდა, ერთ საღამოსაც სამსახურიდან შინ მობრუნებულ ყუყუნას ტუალეტიდან საძულველი სიძის ბლავილი მოესმა:

— მიშველეთ, კარი არ იღება,

საცაა, გული გამისკდება ამ ვინრო კედლებში!..

— უი, შენ მოგიკვდეს ჩემი თავი! — ვითომ შეწუხდა ყუყუნა და კარს ყასიდად დაეჯაჯგურა. — ამას ხელოსანი თუ უშველის, გავიქცევი და ახლავე მოვიყვან!..

რა ხელოსანი, რის ხელოსანი — მეზობელთან, შინაბერა მაშკოსთან გადავიდა. ხილი და ნამცხვარი გააყოლა ხელს. ივანშმა, ყავა დააყოლა... ორ თუ სამ სერიალს უყურა და უკვე ძილის დრო იყო, შინ რომ მიბრუნდა. მიადგა ტუალეტის კარს და „შენუხებული“ ხმით ამცნო სიძეს:

— ორივე ხელოსანი გაგლეჯილი მთვრალი იყო, დილაზე ვერ მოვლენ გონს, მოგიწევს ღამის ტუალეტში გათევაო...

იღრიალა, მაგრამ რა იღრიალა ბადრიამ:

— რა დროს დალევა იყო, მე მაგათი!..

— რავარც შენ იცი დრო და საათი, ისე იმათ სცოდნიათ! — მშვიდად გასწია საძინებლისკენ ყუყუნამ და ტუბილად დაიძინა. სულაც არ გაუტყნავს მისთვის ძილი სიძის დარდს...

დილით კი კენესა მოესმა ტუალეტიდან და გული შეუქანდა, — მგონი, მოკვალაო! მაგრამ რომ დაუძახა, ისე შემოულრინა სიძემ, — დამენგრა გვერდები, შენ არ გელირსა სიმშვიდე და მოსვენებაო! — ისევ დაიბოლმა და ისე წავიდა სამსახურში, არც უფიქრია „პატიმრის“ გამოშვება...

მხოლოდ საღამოს გახადა „ამნისტიის“ ღირსი — თავადაც სადამდე ერბინა მეზობლის საპირფარეშოში?!

გიჟს ჰგავდა ბადრია. წამოავლო ნაჯახს ხელი და კარი ნაფოტებდა აქცია. მეზობლები რომ არ ჩასდგომოდნენ შუაში, ყუყუნასაც ჩაარტყამდა ალბათ თავში.

მოკლედ, ახალი კარიც ყუყუნას შესაძენ-დასამონტაჟებელი გახდა, მაგრამ ამას კიდევ გადაიტანდა — დამნაშავე იყო და უნდა ეზლო, მაგრამ ბადრია ისე დააფეთა ამ უცნაურმა „პატიმრობამ“, ახლა, რომ მოკლა, ტუალეტის კარს ვეღარ დააკეტებებ. სტუმარსაც არ ერიდება, თორემ შინაური მით უმეტეს, სულ არ ენაღვლება, ღია კარში ილევს ყველა საჭიროებას და ღამის ჭკუაზე შეშალოს ყუყუნა...

# გზის გზნილები



## მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ჩემო კარგებო. დღეს თემად შურისძიება გვაქვს და მინდა, ერთ შემთხვევაზე მოგიყვეთ, რომელიც შვებულებაში ყოფნის დროს გადამხდა თავს. მოკლედ, ჩემი და პატრულის ურთიერთობაზე არაერთხელ დამინერია. ჰოდა, არც ბათუმელი პატრულეები აღმოჩნდნენ გამონაკლისი და სისხლი გამიშრეს. წარამარა მაჩერებდნენ, მაგრამ „პოვოდს“ ვერ პოულობდნენ, რომ დავეჯარიმებინე. 2 დღის განმავლობაში იმდენჯერ გამაჩერეს, რომ ყველას სახეზე ვცნობდი უკვე. ჰოდა, მოვდივარ გზაზე და ვხედავ, რომ პატრულის მანქანა საეჭვოდ ნელა მიდის. თვალი გავაყოლე მათ მზერას და რას ვხედავ? ბულვარის კიდეზე 3 გოგო მინარნარებს. ერთი მათგანი ისეთია, მეც კი დამიბნელა თვალები. ისინი გაჩერდებიან, საპატრულო მანქანაც გაჩერდება. თან ჩემი „ნაცნობი“ ბიჭები სხედან, ნახევარი საათის წინ რომ გამაჩერეს, ისინი. ჰოდა, წამოვეწიე ამ თითქმის გაჩერებულ მანქანას და ფანჯრის მინაზე მივუკაკუნე.

— შურნალისტი, მარი ჯაფარიძე, — გავეჭიმიე,

როგორც თვითონ გამეჭიმებიან სოლმე. გაცელებულებმა მოწყვიტეს თვალი იმ გოგოს და გამომხედეს.

— საბუთები წარმომიდგინეთ, თუ შეიძლება, — განვაგრძობდი.

— რატომ? — სერიოზული სახით მკითხა საჭესთან მჯდომმა.

— წესრიგს რატომ არღვევთ, ამხანაგო კუკარაჩა? — წარბი არ გამიხსნია, ისე ვუთხარი, — სხვა რომ არღვევდეს წესრიგს და ქუჩაში მიმავალ ქალს ასე უყურებდეს, თქვენ უნდა მოუწოდოთ წესრიგისკენ და თქვენ რა დღეში ხართ? აბა, ახლავე დაქოქეთ ეგ თქვენი მანქანა და შეუდექით მოვალეობის შესრულებას, თორემ დავიმასსოვრებ ეკიპაჟის ნომერს და შურნალში დავწერ.

— მიდი, ბიჭო, დაქოქე, მხარი გაჰკრა ერთმა მეორეს.

თვალის დახამხამებაში გაცეცალნენ იქაურობას... აი, ასე გადავუხადე სამაგიერო ბათუმელ პატრულს. ახლა კი თქვენი მესიჯები.

# როგორ ვიძინე შური

ანუ სომხებს საქსი უნდათ

ნახევრად საყვარელი

„ერთი მამარი გოგო მყავდა საყვარლად. ნუ, მთლად არა, მაგრამ ნახევრად საყვარელი იყო. თითქმის ერთი თვე ძალღიჯით დავდევედი და მაინც გავიტანე ჩემი. მამილა გოგო ცოტა ხანში და კვლუცობაც დამიწყო. აუ, რა ქალი იყო?! ნამდვილი ბომბი! მერე აქეთ დამდევა ხოლმე. სამი კვირის შემდეგ კი საათივით აწყობილი ცხოვრება ამირია ჩემმა თავქარიანმა ძმაკაცმა. მივიდა და იმ გოგოსთან ნამოაყრანტალი, შეყვარებული ჰყავსო (შეყვარებული არა, მაგრამ ერთ გოგოსთან მართლა მქონდა პატარა ფლირტი). ამ გოგომაც დაუჯერა, გემრიელად მითავაზა ყბაში და გაჭრა. გუშინ ჩემი ძმაკაცის დედამ გვთხოვა ორივეს, შეშა დამიჩხეთ და ფული მოგცემითო. თვითონ კი წავიდა. დავინწყე შეშის ჩეხვა და საღამომდე თითქმის დავამთავრე, შალვა კი პატარა ღლაპებს აწვავდა და ერთმანეთთან აჭიდებდა. საღამოს მარინა მოვიდა და ყველაფერი ვუთხარი, ჭორიკანა დედაბერივით. ამიტომ მხოლოდ მე ჩამაფულიანა. შალვას ყოველთვის ხელს ვაფარებდი, მაგრამ რა ეგონა? ძლივს ხელში ჩაგდებული ქალი რომ გამიქცია, კარგი იყო? ოჰ, მე მაგის... დღემდე ვერ მომიწელებია, რა ქალი დამაკარგინა?! ნამდვილი მამაკაცი“.

სომხებს სექსი უნდათ

„ამ ბოლო დროს ჯავახეთში მიწვეს პატრულირება. აქ ძირითადად სომხურენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს და ძალბოლო კარგად არ იციან. ჰოდა, ძალიან ბევრი კურიოზული სიტუაცია გვაქვს. ამას წინათ ერთი ბანკის მმართველი შეგვხვდა. მოვიკითხეთ ერთმანეთი და თქვა, ყველაფერი მომწონს ახალქალაქში, ჰაერი კარგია, წყალი კარგი, სიმშვიდეა, ოღონდ ერთი პრობლემა მაქვს, ბანკში რომ მოდიან სომხები სესხის ახალბედა, ქართულად სესხი და სექსი ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისგან. მოვლენ და სრულიად სერიოზულად მთხოვენ, სექსი მინდაო. მაგრამ ვიციან. გაკოცეთ. ელისო“.

ქალწულბომბი

„სტუდენტობისას გოგონებმა აიტყეს, მკითხავთან წავიდეთო. მეორე დღეს ერთმა ჯგუფელმა გვახარა, მაგარი მკითხავი გაჭითე და ლექციების მერე წავიდეთო. მე, როგორც ყოველთვის, კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ იმ ბატებს მართო ხომ არ გავუშვებდი? ჰოდა, ლექციების მერე ე.წ. მარჩიელთან გავსაქურეთ. ნუ, იქ სიტუაცია დაგვხვდა... უცნაური გარეგნობის, ქერად შეღებილი ქალბატონი, ასევე ძალიან უცნაურ გარემოში. ის-ის იყო, ყავა მოაღწეა და ახალი „სასტავი“ მოვიდა. ახლა ამათი დაბოლება დამიწყო — აუ, მე ისეთი მამარი მკითხავი ვარ, იმასაც ვხვდები, გოგო

ქალწულია თუ არააო და შეშინებული გოგონები რომ მოწყდნენ ადგილს, კოსმოსური სისწრაფით „გაფრინდნენ“ გარეთ. 5 წუთში მათი კვალიც აღარ აჩნდა მინას...  
არა რა, რაც მე იმ დღეს ვიკაიფე... გოგონებო, მენატრებით! თქვენი Crazy Girl“.

სასტიკი ცხოვრება

„სანამ რომა ლიკას (ჩემი დაქალია) გაიცნობდა, საყვარელი ჰყავდა, მასთან ცხოვრობდა და არც აპირებდა ცხოვრების წესის შეცვლას, მაგრამ გაიცნო ლიკა და „პლასტინკაც“ გადაუტრიალდა. საყვარლისგან წამოვიდა, სამსახური იშოვა და ოცნებებში გადაეშვა. ჩემმა დაქალმა რომაზე ბევრი არაფერი იცოდა. უბრალოდ, უყვარდა და ენდობოდა. ერთი შეხედვით ბედნიერები იყვნენ, მომავალსაც ერთად გეგმავდნენ, მაგრამ ერთ დღეს რომა დაიკარგა. არაფერი ისმოდა მისგან. ამ დროს მისმა ყოფილმა საყვარელმა დაურეკა ლიკას, გალანძლა და უთხრა, თითქოს რომის ცოლ-შვილი ჰყავდა და ჩემს დაქალთან მხოლოდ გართობა უნდოდა. გამწარებულმა დაიფიცა, სამაგიეროს აუცილებლად გადაუხდიდა. გადიოდა თვეები. ერთ დღეს რომა გამოჩნდა. რა თქმა უნდა, უარყო ყველაფერი და ლიკა შემოირიგა. თუმცა, მას შურისძიების სურვილი არ ასვენებდა და მომენტს ელოდა, რომ საკადრისად დაესაჯა რომა. იმ დღეს ნალვლიანმა დამირეკა, ატირებას ცოტა ალა აკლდა, რომას კიბო აქვსო. კი მინდოდა ისევე დატანჯულიყო, როგორც მე ვიტანჯე მის გამო, მაგრამ ასეთი საშინალებებისთვის ვერასდროს გავიმეტებდიო. P.S. ცხოვრებაა ასეთი თურმე, სასტიკი და დაუნდობელი! ფეშენა“.

ღირსი იყო

„კომაროვი“ სწავლისას ერთმა კლასელმა ბიჭმა სიყვარული ამიხსნა და სასწრაფოდ პასუხის გაცემას მთხოვდა. მის მიმართ არავითარი გრძნობა არ გამაჩნდა. ამიტომაც უარი ვუთხარი. ამის შემდეგ ისე იქცეოდა, აუტანელი გახდა. სულ მეუზრდელებოდა და ჩემზე ცუდად ლაპარაკობდა. ვეჩხუბე და მითხრა, თუ მისი შეყვარებული გახდებოდი, კარგად მოიქცეოდა. პასუხად ერთი სილაც მიიღო. ძალიან

გამწარდი. სამაგიეროდ აუცილებლად უნდა გამემწარებინა. სახლში მისვლისას გადავწყვიტე, „სასწრაფო“ გამომეძახა მისთვის. „სასწრაფო დახმარებაში“ დავრეკე და ვუთხარი, რომ იმ ვაჟბატონს გული ანუხებდა. ამ დროს თურმე გია (ასე ჰქვია) სახლში დადიოდა და გაიძახოდა, მიშველეთ, გული მტკივს, წამალი მომეცითო. მშობლებს უკითხავთ, რატომ გტკივთ და სიყვარულმა ამატკივაო, უთქვამს გიას. ამ დროს ზარი გაისმა. გიამ კარი გააღო, „სასწრაფოს“ ექიმმა მისი სახელი და გვარი იკითხა. თან უთხრეს, გული მართლა გტკივთ? გაკვირვებულმა გიამ ჰკითხა, თქვენ საიდან იცითო? შემდეგ გასინჯეს და წამლებთან ერთად ნემსიც გაუკეთეს. ნემსის კი გიას ძალიან ეშინოდა. ასე გადავუხადე სამაგიერო, ჩემი გამწარებისთვის. ზუკი“.

ნოდარიკო

„სამი დღის წინ ისე გამაწარა ერთმა ბიჭმა, მთელ მამრობით სქესის წარმომადგენელზე დამბოლმა. ნოდარი შემთხვევით მოხვდა ტელეფონით ჩემთან, ვილაც ნათესავს უმესიჯებდა და ერთი ციფრი შეეშალა. მოგეხსენებათ, როგორ გაგრძელდებოდა ჩვენი ურთიერთობა — რა გქვია, რამდენი წლის ხარ და ასე შემდეგ. ღამეებს ტელეფონზე ლაპარაკში ვათენებდით, თავის სასიყვარულო თავგადასავლებს მიყვებოდა. ცხოვრებაში ამისთანა მექალთანე ბიჭი არ გამიცნია, მეტსახელად „სექსის მონა“ შევარქვი. ბიჭი, რომელსაც ქალის მეტი არავინ და არაფერი აინტერესებს. თან იმასაც გაიძახოდა, ისეთ ადამიანს ვეძებ, რომელიც გამომასწორებს და დამხმარეო. მერე მითხრა, აკროპოლზე ვარ, შეფმა რალაც დამავალა, ძალიან ვწუხვარ, ვიცი, ახლა წყენისგან დაბლითა ტუჩი გაბუსკული გაქვს და დიდი სიამოვნებით გაკოცებდი გაბუსკულ ტუჩებზე, საღამოს შეგვადეთო. სიმწრისგან ფეხებს ვაბაკუნებდი და გავიფიქრე, დედას გიტირებ-მეთქი და შეხვედრა საღამოს დავუთქვი, ათენის გარეუბანში. საღამოს თავსხმა წვიმა იყო და მაგრად ციოდა. ვიცოდი, ნოდარი ძაან მცივანა იყო და ზუსტად იმ დროს დავუნიშნე შეხვედრა. უარს ვერ მეტყ-



სიამოვნებას ი ისე უნდა მიიღო, რომ ყოველთვის მოძველებანი იყოს შენივის

ოდა, რადგან იმ საათებში არ მუშაობდა. მოკლედ, ზუსტად 7 საათიდან ღამის 2 საათამდე წვიმაში ვალოდინე და რავარც მე გუშინ საქართველოში არ ჩამოვსულვარ, ისე არ მივსულვარ იმის სანახავად. აი, ასე ვიძიე შური და იმედია, ჭკუას ისწავლის. აღინა“.

სამაგიერო

„ჩვენ სულ ერთად ვიყავით, ერთად... არ შემეძლო უმისოდ. ის მიმანდა ყველაზე კარგად. ის ჩემთან მეგობრობდა და ამით ბედნიერი ვიყავი. მალე ქალაქში წავიდა. მარტო დავრჩი. მენატრებოდა. ვოცნებობდი და არც კი ვიცოდი, რომ მიყვარდა. როცა ჩამოვიდა, რა თქმა უნდა, მივედი, მაგრამ ის უკვე ის არ იყო, ვინც მიყვარდა. შეცვლილიყო. ვიტანჯებოდი, ის კი მამწარებდა, სულში მაფურთხებდა. გზაზე მოვდიოდი, ის ჩემს მეგობრებთან იჯდა. დაბადების დღე ჰქონდა და ნაქიფი იყო.“

— ლანა, მე რატომ არ დამპატიუე?  
— რატომ უნდა მეთქვა?  
— ჩვენ ხომ მეგობრები ვართ.  
— მე შენაირებთან არ ვმეგობრობ. წამოვედი. თვალისა და ცრემლები წამსკდა. შემძულდა და მხოლოდ ერთი რამ მქონდა ახლა მიზნად — შური მეძია. სახლში იყავი. ვილაცამ დაიძახა. ლადო იყო, ძმაკაცი.

- ნახე?  
— ვინ?  
— ჩამოვიდა.  
— ვინ?  
— ლანა.

ვნახე, გზაზე მიდიოდა. სახლში დავბრუნდი. ღამის ათ საათზე კი უკვე მის ეზოში ვიყავი. მხოლოდ ერთი მიზნით, მიმელო ის, რისი სურვილიც მკლავდა. მინდოდა, შური მეძია. სახლში ფანჯრიდან შევედი. ნათურები მოვსენი. აქედან უნდა შესულიყო საძინებელი ოთახში. დივანზე დავჯექი. ხელთათმანებიც მქონდა და ნიღაბიც. 12-ის ნახევარზე ფეხის ხმა გავიგონე. საკუთარი გულის ხმა მესმოდა. — მეშინია? არა, მე მაგარი ვარ! — ფიქრობდი ჩემთვის. ვილაცა ჩამრთველს დააწვა, მაგრამ შუქი არ აინთო.

— ნათურა გადამწვარა.

ეს მისი ხმაა. საძინებლისკენ წავიდა. უკან მიყვივი. პირი სკოჩით ავუკარი და სანოლზე დავაბი. თვალეში ჩახედე. ტიროდა, მაგრამ მისი თვალეში პატივბას არ მთხოვდნენ. ეშინოდა, კრთოდა, კანკალებდა. ობობას ჰგავდა, თავის ქსელში გახლართულს, რომელიც მანვე მოქსოვა, თავისი ხასიათით. ტანსაცმელი შემოვახიე და ვეამბორე შიშველ მკერდზე. ხმაური შემომესმა. კედელს ავეყუდე. მამამისი შემოვიდა. გავისროლე და ის დაეცა. ამ დროს გარეთ კვილი მოისმა. ლანას ხელი დავსვლე და გარეთ გასვლა დავაპირე. იქ უკვე მეზობლებიც მოგროვილიყვნენ. გარეთ წვიმდა.

— არ მომეკაროთ, თორემ მოვკლავ! გზას ნელა ვიკვლევ. უცებ დედაჩემიც შევინუნე. მას არც ჰგონია, რომ მე ვარ. ხალხი ზიზღით მიყურებს, მე კი მიყვარს და ჩემი უსუსურობა მაგიჟებს. გზისკენ გავდივარ და ხიდს გადავდივარ. ერთი საათია, ამ ხალხს ვებრძვი. მაკავებენ, მეხვეწებიან. მე კი თავის გადარჩენა მინდა. უკვე პოლიციაც მოვიდა.

აღყაში მომაქციეს. ავეყირდი.

— მიყვარდა! მიყვარდა! მან კი სულში ჩამაფურთხა, დამამცირა, ფეხზე დამიკიდა. ჩემს გულში სიძულვილი დათესა. დედაჩემიც ტიროდა. მძულს ახლა ეს გოგო, რადგან ჩემში ბოროტება ჩასახა და მინდა, ეს ბოროტება გავაქრო, ამ გოგოს სახით.

ვესროლე. მისმა თბილმა სისხლმა გაჟონა ჩემს ხელთათმანებში და მინახე დაეცა. მე ძლიერ მეტკინა. ხიდიდან გადავარდი.

— გაიღვიძე, — ვილაცამ ხელი მკრა. ჩემი ძმა იყო.

- ნამოვევარდი.  
— რაა?  
— ბოდავ, ბიჭო, ოფლში ხარ განუშრული, ასეთი რა სიზმარი ნახე? ემზარი, სამეგრელო“.

გადაგდებული

„შურისძიება ისეთი კერძია, ცივად უნდა მიირთვა ან თუნდაც მიართვა სხვას“. ეს ამბავი რამდენიმე ხნის წინ მოხდა: ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მდინარეზე წავეცუნტულდი. იქ მისულს ჩემი კლასელი გიო შემხვდა, მეზობელ დათოსთან ერთად. საერთოდ, ამ ბიჭის (დათოს ვგულისხმობ) ატანა ბავშვობიდან არ მაქვს. ჰოდა, ცოტა რომ გათამამდა, ძან ისეთი ლაპარაკი დამიწყო — სიხარულო, სიცოცხლე, რა კარგად ცურავ, გავიცნოთ ერთმანეთი... ნუ, მელადავებოდა, თავისი ჭკუით, მაგრამ როცა კენჭების სროლაზე გადავიდა, ჩემს ძმას ვუთხარი (ახალი მოსული იყო). მდინარის ნაპირზე ბეტონია და იქ იდგნენ. ამ დროს დათომ ხელი ჰკრა ჩემს ძმას და წყალში გადააგდო... ჩემი სიმშვიდის მარაგმა რომ უკვე 0 უჩვენა, ავდექი და მეც გადავავადე. იქ ამბავი ატყდა?! თურმე ცურვა არ სცოდნია და ისრჩობოდა. სხვისი ცუდი არასდროს გამხარებია, მაგრამ მაშინ უზომოდ გახარებული ვიყავი, წელიდან რომ ამოიტანეს (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით), ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა. დღესაც რომ დამინახავს, იმ ამბავს მახსენებს ხოლმე. ასე ვიძიე შური ენა-გატლევკილ დეგენერატზე, რომელიც მართლა იმსახურებდა გადაგდებას. არა, კი მიკვირდა, მთელი დღე ნაპირზე რა პონტშია ჩაცმული-მეთქი და ეგეც ხომ გავიგე. შეიძლება ის ლაპარაკიც გამეტარებინა, მაგრამ როცა ვითომ შემთხვევით თავისი აზვლილი ტალახი თმაში მესროლა, შურიც ვიძიე. ვოტ ტაკ! სოფი19“.

„ორკაციანი“ პატარძალი

„29 აგვისტოს, როგორც იქნა, მეღირსა თეთრი კაბის ჩაცმა ანუ ქორწილი მქონდა, მთელი წლის დაგვიანებით. ვინაიდან ჩემს მეუღლეს ზუგდიდშიც აქვს სახლი, თან მთელი სანათესაო იქ იყო, ქორწილიც იქ გადავიხადეთ. მოკლედ, მიმამბრძანა ქმარუკამ სალონში და თვითონ წვრილმან საქმეებს აგვარებდა. ვარცხნილობა გამიკეთეს, მაკიაჟიც, მერე კაბაც ჩავიცვი და არ ჩანს სიძე! ვურეკავ გაბრაზებული, სად ხარ-მეთქი? მოვდივარო. ასე გაგრძელდა კარგა ხანს. დავიწყე ნერვიულობა. როგორია, ეს „ორკაციანი“ პატარძალი („ორკაციანი“ იმიტომ, რომ პატარა „გზავნილშვილს“ ველოდები), თეთრი კაბით ბოლთას ვცემ, ხან სალონში, ხან ქუჩაში. გადავირიე და გადავირიე მთელი ხალხი. ბოლოს დავურეკე, თუ 5 წუთში აქ არ გაჩნდები, ცოლად აღარ გამოგყვები-მეთქი და მართლა გაჭრა ჩემმა ულტიმატუმმა. როგორც იქნა, მოვიდა. ისეთი „სიმპო“ იყო, სულ დამავინყდა საყვედურები. ჰო, ეს ერთი არაფერი, მაგრამ მერე შუა ქორწილში სადღაც დამეკარგა. აი, მაშინ კი მართლა გავბრაზდი. გავიხედე და დაქრის ეს საზიზღარი მაგიდებს შორის და ხან ვის ებასება, ხან — ვის (გოგონებს). ესეც მეორე საბაბი. ჰოდა, მივედი მუსიკოსთან და ვუთხარი, გთხოვ, გამოაცხადე, პატარძალი ეძებს სიძესო. მუსიკოსმა ყველა უცებ გააჩუმა და მიკროფონში გამოაცხადა: ბატონებო, პატარძალი ეძებს სიძეს, მხოვნილი დასაჩუქრდებაო. აუ, იქ ამბავი ატყდაა... როგორც იქნა, ისევ დავიბრუნე ქმარი. ვიძიე შური, მაგრამ ჯერ სად ხართ? იმან 2-ჯერ გამაბრაზა, მე კი ერთხელ ვიძიე შური. ჰოდა, რომ მითხრეს, ტორტი უნდა გაჭრა და ერთმანეთს უნდა აჭამოთო, მზაკვრულმა აზრმა გამიელვა. რომ დაალო ჩემმა საყვარელმა ქმარმა პირი გემრიელი ლუკმის მისართმევად, აბა თუ იციო, რა გააკეთა თქვენმა საამაყო მგზავნილმა? სწორია! ავდექი და ტორტს მიმართულემა შევუცვალე პირდაპირ ცხვირი გავულამაზე. ესეც მეორე შურისძიება. აბა, რა ეგონა? მოკლედ, მაგარი საღამო იყო. თუმცა, არც ახლა ვაკლებთ ასეთ შურისძიებებს ერთმანეთს. ლორელი“.

ყინულივით ცივი

„მინდა, ერთი ადამიანის სიყვარულის ამბავი მოგიყვებო. გოგოს ბიჭი მოენონა. თუმცა, ცდილობდა, ბიჭისთვის არ ეგრძობინებინა. მასთან ყინულივით ცივი იყო. ამ ყინულის უკან კოცონი იმალება. ცდილობდა, თბილად მოქცეოდა. მით უმეტეს, რაც გაიგო, რომ ბიჭს უყვარდა, მაგრამ არ გამოსდიოდა. ბოლოს მაინც გადაწყვიტა, სიტბო გამო-

ენინა. უკვე დიდი ხანი იყო, ბიჭი არ ენახა და ფიქრობდა, მათი მორიგი შეხვედრა სიტბოთი და სიყვარულით აღსავსე იქნებოდა. გეგმებს აწყობდა. ბიჭი ავად იყო. გოგომ ეს იცოდა, მაგრამ სჯეროდა, რომ განიკურნებოდა. ლოცულობდა მისთვის. ბედი მათ მხარეს არ იყო. სწორედ მაშინ, როცა გოგონამ თავს სძლია, სწორედ მაშინ, როცა გეგმებს აწყობდა, საშინელი ამბავი გაიგო. მათ შორის ახლა მხოლოდ სინანულის უზარმაზარი უფსკრული და სისხლისფერი ხავერდის ვარდების თაიგული რჩება. თა, გული არ გაიტეხო. უფალი დაგეხმარება და არასოდეს მიგატოვებს. P.S. ყველას ნამდვილ და მარადიულ სიყვარულს გისურვებთ. კლეოპატრა“.

დავიწყებული

„მგონი მეც მიყვარხარ!“ ამ სიტყვებით დაიწყო ყველაფერი. გვიყვარდა უზომოდ ერთმანეთი და არ ვფიქრობდით ხვალინდელ დღეზე. არადა, თურმე მალე დამთავრდებოდა ეს წყნარი იდლია, რადგან მიუხედავად ჩვენი სიყვარულისა, საათი არ გავიდოდა, რომ არ გვეჩხუბა. ძალიან დავილაღე და გადავწყვიტე, დაგვორებოდი. ისიც ჩემს ნებას დაჰყვა. ალბათ იფიქრა, ასე უკეთესიაო. თურმე, მის საქციელს უფრო ღრმა საფუძველი ჰქონდა. პირველი პერიოდი ძალიან გამიჭირდა უმისოდ. დღე და ღამე მასზე ვფიქრობდი, იმ ბედნიერ, დაუთვლელ წუთებზე, რომელიც ერთად გვექონდა გატარებული. მალე გავიგე, თურმე ჩემ გარდა, პარალელურად სხვა გოგოსაც აბამდა და მასთან ინტიმური კავშირიც კი ჰქონდა. ცხოვრებაში პირველად გამიჩნდა შურისძიების სურვილი. მასთან ერთად დადებული ფიცი გავტეხე და ახალი შეყვარებული გავიჩინე. მის ნათესავთან კარგად ვიყავი. ჩემი ახალი შეყვარებულის სურათები გაფუგავენე და ამ გზით გავაგებინე, რომ მეც მენჯია სიყვარული. მას ეწყინა, ასე მალე როგორ დამივიწყეო. მომადგა და საქმეები გამიჩნია. თითქოს თავად ცამდე მართალი იყო. მე სანადელს კი მივალწიე, თითქოს გულმაც სიმშვიდე პოვა, მაგრამ მიხვდვი, რომ თავს ვიტყუებდი, რადგან ჩემთვის რთული იყო ჩავხუტებოდი ადამიანს, რომელიც არ მიყვარდა და თანაც პარალელურად მასზე არ მეფიქრა. ასე ვარ დღესაც. მივტირი დაკარგულ სიყვარულს, რომელიც არ მეკუთვნოდა. ექსტაზი“.

დაუნახავი

„ერთ მდიდარ ბიჭს სიგიჟემდე უყვარდა ერთი გოგო და ყველანაირად ცდილობდა, მისი გული მოეგო. ჩუქნიდა ძვირფას საჩუქრებს, უძღვნიდა ლექსებს, მაგრამ ვერა და ვერ მოიგო გოგოს გული. ეშმაკი დაქალი ჰყავდა, რომელმაც ურჩია: უყვარხარ, ხომ არ ეზიზღები, ჭკუა არ გაქვს? საჩუქრებზე უარს ნუ ამბობ, იქნებ შეგიყვარდესო.

გოგომ დაუჯერა და სწორედ მანდ შეცდა. ბიჭმა ერთხელაც ხელი სთხოვა. გოგომ ამდენ ფარსს ვეღარ გაუძლო და უთხრა: სამწუხაროდ, ცოლად ვერ გამოგყვები, არ მიყვარხარო. ბიჭი სასტიკად გაბრაზდა, სილა გაანწა და გამნარებული სახლში დაბრუნდა. დაიწყო გაუთავებლად სმა. ბოლოს მიხვდა, რომ ასე თუ გააგრძელებდა, მალე გავიწყდებოდა. შინაგანმა ხმამ უკარნახა, შური იძიე და სიმშვიდე იპოვიო. თავი ხელში აიყვანა და შურისძიების გეგმა შეადგინა, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: გოგოსთვის თავი ტელეფონით უნდა შეეყვარებინა. ასეც მოიქცა. 2 წელი იჩალიჩა და თავი მაინც შეაყვარა. თანაც, წინასწარ ტკებულობდა იმ ბედნიერ დღეზე ფიქრით, როდესაც გოგოს ყველაფერს პირში მიახლიდა. გოგოს კი მის გარეშე ცხოვრება აღარ შეეძლო და სთხოვა, ერთმანეთი არასდროს გვიანახავს და იქნებ შევხვდეთ, უკვე 2 წელია მიყვარხარ, გადავწყვიტოთ, ჩვენი ურთიერთობა როგორ გავაგრძელოთ. ნუ გეშინია, შენ ისეთი სულის ადამიანი ხარ ჩემთვის, შენ გარეგნობას არსებითი მნიშვნელობა არ აქვსო. ბიჭი დათანხმდა. შეხვედრაც იმ ადგილზე დაუნიშნა, სადაც გოგო ყველაზე მეტ დროს ატარებდა წარსულში. გოგო ისე იყო სიყვარულით მთვრალი, ამას ყურადღება არ მიაქცია. პირველად გოგო მივიდა დანიშნულ ადგილზე და ელოდა მოთმინებითა და დიდი სიყვარულით, თავის რჩეულს. უცებ თავისი ყოფილი „ლოვე“ დალანდა. ეგრევე მივარდა ბიჭს, ლაპარაკი არც კი დააცადა, მაშინვე მიახალა: რით ვერ მანებებ თავს? უშენოდ ბედნიერი ვარ, მალე გათხოვებასაც ვაპირებ, ჩემს კუდში დევნას, ცხოვრება აიწყო, გირჩევნიაო. ბიჭმა მწარედ ჩაიციხა და უთხრა: ჩემთვის უარი რომ არ გეთქვა და გაგეგო, იქნებ სხვა თვალთ შემოგეხედა ჩემთვისო. გოგო გაოგნდა, ატირდა. პატივმა სთხოვა: დამეხმარე, იქნებ როგორმე გადავარჩინოთ ჩვენი ურთიერთობა, მიყვარხარ, გთხოვ, დამიჯერე, სამაგიეროს ნუ გადამიხდი, ხელი რომ გკარიო. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭს სიგიჟემდე უყვარდა გოგო, მაინც არ აპატია. მიზეზად კი დაუსახელა — მიყვარხარ, მაგრამ აღარ გენდობი. თუ ერთხელ მომატყუე, მეორედაც არ გაგიჭირდებო. გრუზინკა“.

გზავნელების თვალთ დანახული შეხვედრა

„მამინ, როცა ზაფხულის ცხელ დღეებს ხალხი გაურბის და მთელი წლის გადაქანცულ-ნამუშევარი ზღვის სანაპიროზე ექებს შვებას და თანაც ამ სიამოვნებაში კარგა მოზრდილ თანხასაც იხდის, მე, ჩემი გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ბათუმში ყოფნისას სულ რამდენიმეჯერ შევძელი სანაპიროს ნახვა. ჰოდა, როგორც გასულ წლებშიც ხშირად მომხდარა, ვფიქრობდი, რომ კიდევ ერთი უფერული ზაფხული ჩაიწერა ჩემი განვლილი ცხოვრების მოგონებათა კალენდარში, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ყველაფერი აირ-დაირია! სუპერსთარის სპექტაკლს ვესწრებოდი მე, ვერმასტი, კოზანოსტრა და Sweet-ი. მამინ თქვეს ბავშვებმა, ხვალ მარი, ილინი და მანაველი ჩამოდიანო. ჰოდა, დავეარგეთ მოსვენება. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ მარი ჯაფარიძე უნდა გვენახა! ისიც რეალში და თან აქ, ჩვენ გვერდით რამდენიმე დღე უნდა გაეტარებინა. მეორე დღეს სუპერსთარმა დამირეკა. ბულვარში შევხვდით. დიდი ლოდინის შემდეგ გიჟი ილინი და კახური სიღინჯის განსახიერება, მანაველიც ვნახეთ. ბოლოს დადგა მომენტი მარის ხილვისა და როგორც იქნა, გამოჩნდა. ზუსტად ისეთი საყვარელი, თბილი, ენერგიული, სიცოცხლითა და ოპტიმიზმით სავსე თვალბით, როგორც ყველას წარმოდგენაში ცხოვრობს. მე და სუპერსთარი ერთმანეთს ვჩქმტდით, რომ რეალობა შეგვეგრძნო! ძალიან ლამაზი და კარგი იყო ის წუთები. მერე ვერმასტს ველოდეთ ნახევარი საათი და როგორც იქნა გამოჩნდა ეს ჩერჩეტა მოციქული (სამწუხაროდ, კოზანოსტრამ იმ ღამეს თბილისში გაქუსლა და ჩვენთან არ იყო). Sweet Girl-მაც ვერ მოახერხა წამოსვლა და იმ ღამეს გასკდა ტირილით სანყალი ბავშვი. სამაგიეროდ, ჩვენ შემოვრჩით გვიანობამდე და მეორე დღეც დავგეგმეთ, თან ძაალიან მაგრად (მაესტრო).

დილით ზღვაზე წავედით. გადარეულმა ილინმა მთელი სანაპირო გააგვიჟა, სუპერსთარი და მაესტრო გოგონებს ცურვას ასწავლდნენ. უუუჰ, რა სასაცილო



სიმცხვილია  
ღამი ჭკუასაში  
იყო მდიდარი

ოები იყვნენ წყალშიიიი! გასაბერი ლეიბე-ბივით ტივტივებდნენ. Sweet girl რომ მოვიდა, მაშინ დავიშალეთ. შუადღეს ხომ წინ მწვანე კონცხი და უამრავი სიგიჟე გველოდა (ვერმასტი).

პირველი მე მივედი შეხვედრის ადგილზე და დავეყუდე, განათების ბოძით. მერე მანქნით მოლასლასდა, თავისხელა ჩანთით. ველოდეთ ბავშვებს, ველოდეთ და რომ აღარ მოვიდნენ, ნაყინზე გავიპარეთ. ძლივს შეგროვდა ყველა და მერე წავიდა იქ ქაოსი! ბატებივით დავბორიალებდით, თან გვეჩქარებოდა წასვლა, თან თავსაც ვერ ვაბამდით პროდუქტის ყიდვას. მანაველმა მარის სამჯერ სხვადასხვა მისამართი უთხრა და არბენინა წრეებზე. ბოლოს გამოჩნდა ჩვენი საყვარელი „ოპელიჩი“. გიომ მითხრა, მარი ესაო და მეც თან მისკენ გავერბოდი ჩასახუტებლად, თან ფეხები უკან მრჩებოდა. რალაც ამოუცნობი გრძნობა დამეფულა, უსაზღვრო სითბო ვიგრძენი ჩახუტებისას და ეს საყვარული არასოდეს ამოვა ჩემი გულიდან (Sweet Girl).

სანაპიროდან ბაზარში წავედით. გაგიჟდა ხალხი, როცა ერთი ციციქნა „ოპელიჩში“ 6 გიჟი ჩავეყარეთ. მეშივედ მარი იყო (ეგ რა არის, მაგ „ოპელიჩი“ ცხრანიც ვმსხდარვართ, მაგრამ ეს მერე იყოს, მომავალში მოგიყვებით). მე წინ დაჯდომის პატივი მხვდა, მაგრამ დანარჩენები უნდა გენახათ, რა დღეში იყვნენ! ვერ გაიგებდით ვინ, სად, როგორ და რანაირ პოზაში იჯდა. ბაზარში კიტრის, პომიდვრის და ყველის ყიდვას მთელი 30 წუთი მოვანდობო. კიდევ კარგი, რომ დანარჩენი რამეები წინასწარ მოვიმარაგეთ, თორემ ახლაც იქ ვიქნებოდი! როგორც იქნა, წავედით და მთელი გზა გიჟური მუსიკისა და სიცილ-ხარხარის თანხლებით მარტო ხალხი კი არა, თვით საანწყალი „ოპელიჩიც“ კი ჭკუიდან შევშალეთ (მანაველი).

ჰოდა, გადაწყვიტეთ ბოტანიკურ ბაღში შესვლა და შოკი მივიღეთ! ერთი კაცის შესვლა 6 ლარი ღირდა! — თქვენთან რევიზია არ ყოფილა-თქვა? რომ ვკითხე, ქე იყო გენაცვალე, მაგრამ თქვენი ბილეთის ფული არ გადაუხდიაო, მიპასუხა მოლარემ. გადავირიეთ ლამის (ნუ, მე კი არ მაკლია მაგეთები, მაგრამ მაინც). ბოლოს, ყელის გამოლაღვრებისა და არიქა, მოსწავლეები ვართ, კახეთიდან ჩამოვლით (მტყუანს?!), ცოტა დაგვიკვლის, დაშნაუბრება-პროვოცირების გზით, 5 წლამდე ბავშვისთვის განკუთვნილი ტარიფის შესაბამისად შეგვიშვა. უიმევე! რაც მე ის ვლოცევე! ბოტანიკურ ბაღში იმდენი ფოტო გადავიღეთ, ოცნება, რომელიც ჩემი გაბარიტების გამო (ცოტა ვარ) მეგონა, წარსულს ჩაჰბარდა, ნაწილობრივ ამიხდა! ფოტოები გვაქვს პოზებშიიიი?! მტერს და ავს! კარგა ხნის ხეტილის მერე კუჭმა ფაბრიკის სირენასავით რომ ინივლა და თან წითელიც აანთო, ყველა ზღვის სანაპიროსკენ გავეშურეთ, ჩვენი ადულტულ-გადახარ-

შული პროდუქტებით. ბიჭები წყალში გადაეშენენ და „თხა თხაზე რითა ვარ ნაკლების“ პრინციპით, მე და Sweet Girl-იც მივეყვით. „ტოჟე მნე“, მაგარი მოცურავე! წყალში წყალქვეშა ნაგებობით ვართ, მაშინვე ფსკერისკენ მივედივართ (ილინი).

საოცარი დღე იყო, ყოველი წუთი და წამი, სიცოცხლით და სიყვარულით სავსე თვლები, ზღვაში ჩამავალი, ოქროსფერი მზე და ერთმანეთის გვერდით ყოფნით გამოწვეული უდიდესი სიყვარული! სუფრის გამლა პრიმიტიული ნესით დაფინჯეთ. სიჩქარეში დანა დაგვიწყებოდა და მანაველმა დაჟანგული დანა ინათხოვრა, ვინცხაის კაფეში. საზამთრო და სალათა დავჭერით, როკომ და ილინმა საჩუქრად მოძღვნილი მიდიები შენვეს, სიმინდთან ერთად. მანქნით თამადად მე დამნიშნა და წავიდა... სადღეგრძელოები ერთმანეთს მისდევდა. დავლოცეთ მარი, მგზავნელების სრული შემადგენლობა... დაგვლოცა მარიმაც, ძალიან თბილი და სულშიჩამწვდომი სიტყვებით. იმ საღამოს ყველა მივხვდით, რომ თურმე ოცნებები ნამდვილად ხდება. მთავარია, ინატრო! სულით და გულით, მთელი არსებით ინატრო (სუპერსთარი).

P.S. ეს გზავნილი ყველამ ერთად დავწერეთ. მარი, დავგიბეჭდე, რააა“.

### თაბაზა და თამის გარეშე მოსული მოალე მისიკაბი

„ერთ ჩემს ნაცნობთან უნივერსიტეტში თურქი სტუდარი ჩამოვიდა. გაცნობის დროს უცხოელმა ხელი ჩამოართვა და მერაბაო, უთხრა. ეს უცებ ვერ მიხვდა, რა იგულისხმა და გიორგიო, უბასუხა, მაგრამ მერე უთხრეს, თურქულად როგორც იყო „გამარჯობა“ და ისეთ დღეში ჩავარდაა... აბეზარა“.

„ჩემი დაქალი იძიებს ხოლმე ორიგინალურად შურს, როცა შუალამისას მთვრალეების ღრიალი აღვიძებს. მდულარეს გადასახამს ხოლმე. :) პირველ სართულზე ცხოვრობს და ძალიან წუხდება. მეც ერთხელ შურისძიების მსხვერპლი გახვდი, როცა აბაზანაში გამეღვიძა, ჩემი დისა და დეიდაშვილის ვაჟკაცობით და ძლივს გადავურჩი ფილტვების ანთებას. არა, ისე მე რას ვერჩოდი საწყლებს, ლამის 2 საათამდე რომ არ ვაძინებდი, რადიოს ღრიალით. არა, რა ვიცი... ვიცი? არ ვიცი. დაგიბრუნდით და არ ვაპირებ ძველებულად დაკარგვას. :) ფლამინგო“.

„მარიამულ, როგორ ხარ? ერთ-ერთ ქართულ საიტზე ქალი ცდუნება, ამ ნიკით ვარ. გუშინ ბიჭმა მომწერა, შენ ის ქალი ცდუნება ხომ არ ხარ, „გზაში“ რომ ამესიჯებსო? ვუთხარი — არა, მაგრამ მეც ვამესიჯებ-მეთქი. გავიცანი ის ბიჭი და მითხრა, რომ „გზას“ დიდი ხანია კითხულობს და უნდა, „გზავნილებს“ შეუერთდეს, მაგრამ ეშინია, მარი არ დამიბეჭდავსო. მარი, მასაც ხომ მიიღებთ თქვენს დიდ და ლამაზ ოჯახში? გოგას კი მინდა მივმართო: გოგაა, მიცანი? შემოგვეერთდი და მარი შენც ისევე გინილადებს სიყვარულს, როგორც სხვა დანარჩენებს. ICE-Lady“.

„იყო ერთი ადამიანი, რომელსაც ძალიან ვუყვარდი. მე ვერა და ვერ შევიყვარე და არც მინდოდა. 15 წლის ვიყავი მხოლოდ. იმდენად მოსწონდა დედაჩემს, ყოველთვის მიჩინებდა, რომ ის ჭკვიანი, კარგი იყო და სულ მის ინტერესებს იცავდა... მეც თითქოს გადამიტრიალდა ბავშვური გონება და იყო მართლაც ბევრი ლამაზი დღე. ყველას უხაროდა, რომ მე გავლდი. თუმცა, მერე იყო ნაადრევი, ბავშვური ცრემლი, უძილო ღამეები. ის საპირისპირო ადამიანი აღმოჩნდა. ამას კი ვგრძნობდი... ბედნიერი ვარ, მალევე რომ მივხვდი. ერთი წელია, რაც საუკუნოდ დავშორდით. თუმცა, მას არც მივინჩვე რაიმე მოვლენად. უბრალოდ, ნაადრევი ცრემლისთვის მინდა ქალური სიამაყით დავაჩოქო. ნინი“.

„ჩემი დის შურისძიების შესახებ მოგიყვებით. ახალი დაბადებული რომ ვყოფილვარ, ჩემი და თურმე ყველაფერს თავში მირტყამდა (ეჭვიანობდა ალბათ და შური იძია). ჰოდა, ახლა მეუბნებიან, იმიტომ გამოხვედი ეგეთი თავგასილებულიო (არადა, სულ არ ვარ თავგასილებული). ჩემს დას კი შევპირდი, შენს პატარასაც ასე მოვექცევი და ვნახოთ, თუ მოგეწონება-მეთქი, მაგრამ ისეთი საყვარელია, სულ მენატრება და ღამეც კი მესიზმრება. ელეკუნა, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ“.

„მყავდა შეყვარებული, რომელსაც დავშორდი მისივე მიზეზით. მითხრა, მიყვარხარ, მაგრამ არა — სიგიჟემდე და ოჯახის შექმნა არ მინდაო. მასთან ახლაც კარგი ურთიერთობა მაქვს, ახლაც მეუბნება, ჩემი სიხარული ხარ და შეიძლება მომავალი გვეკონდესო. არ ვიცი, რა ვიფიქრო. ვერ ვხვდები, რა უნდა ჩემგან. არადა, ძალიან მიყვარს და ვერც ურთიერთობას ვწყვეტ. მას მოყვრების უფლება მივეცი და ვფიქრობ, ამის ბრალი ხომ არ არის? ვარ 22 წლის. მირჩიეთ რაიმე“.

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „ყველაზე სულელური საქციელი“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად კითხვა ასეთია — „ვის მინდა, ვგავდე?“.

გზავნილები

# „ოქროს გალიაში“ ჩაგსვამს და სულ იმ აყოლები გამოკატილი“

## „როგორ შეიძლება ენდო ხაცს, რომელმაც საუთარი სისხლი და ხორცი მიატოვა?“

„გზის“ №37-ში დაიბეჭდა 20 წლის უცნობის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გენერდა, რომ შეუყვარდა ტელეფონით გაცნობილი, 32 წლის მამაკაცი, რომელიც 4 წელია, ცოლს გაშორდა და 2 შვილიც მიატოვა. „მან თავიდანვე გამიჩინა ეს საიდუმლო, მაგრამ მაინც, უზომოდ შემეყვარდა. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ძალიან ლამაზი ვარ, ის კი... „ლოვე“ ცოლობას მთხოვს და თან, მეუბნება, რომ ამ შემთხვევაში სწავლას თავი უნდა დადებო“. უცნობს მშობლები შეყვარებულთან ურთიერთობას უკრძალავენ, მაგრამ გოგონა ამბობს, რომ მის გარეშე ყოფნა არ შეუძლია და თქვენგან რჩევას ამიტომაც ითხოვდა.



ლიკა ქავაია

### მებრელი კანიზაქა:

„არც ამ მამაკაცის ასაკია საგანგაშო და არც ის, რომ ცოლ-შვილიანია. იცოდე, ნამდვილ სიყვარულს ეს ვერ შეაფერხებს! მაგრამ შენ მის სიყვარულში დარწმუნებული ხარ? იქნებ, ცოტა მოგეცადა? ჯერ მხოლოდ 20 წლის ხარ და ამ ასაკში გემოვნება ბოლომდე ჩამოყალიბებული ვერ გექნება. 2 წელი მაინც დაიცადე და თუ მას მართლა უყვარხარ, აუცილებლად დაგელოდება. ამასობაში, სწავლასაც დაამთავრებ და მერე ცოლადაც გაჰყვები. ისე, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ შენი რჩეული ექვინანი და ეგოისტი ადამიანია, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ მოგთხოვდა, სწავლას თავი დაანებო. შეიძლება, ცოლთან დაშორების მიზეზი სწორედ მისი ეგოიზმი და ექვინანობა იყო. არ იქარო, ვიდრე რამეს გადანყვეტ, კარგად დაფიქრდი. უფალი გფარავდეს. P.S. წინა ნომერში ვილაცამ ჩემი მეტსახელით ისარგებლა და 23 წლის თამუნას რჩევა მისცა. ეგ დიდი არაფერი ტრავმადია. თუ მოგნონს, ამესიჯე ჩემი ნიკით, მაგრამ ზრდილო-

ბისთვის მაინც, იქნებ, ნებართვა ჩემგან გეთხოვა?! ხომ იცი, იურისტი ვარ და შარი რომ მოგდო, მერე? :) პატივისცემით“.

### თოლია:

„ვარდისფერი ილუზიებით თავს ნუ იტანჯავ, რა გარანტია გაქვს, რომ კაცი, რომელმაც ცოლი და მით უმეტეს, 2 შვილი მიატოვა, შენი ერთგული იქნება და არასდროს გილაღატებს? თანაც, ის ხომ ტელეფონით გაიცანი... შენ ახლა მხოლოდ სწავლაზე უნდა იფიქრო. შენი მშობლები არ ცდებიან, მათ დაუფერე და თავი არ გაიუბედურო. თან, ის კაცი შენზე ბევრად უფროსია — 12 წელი ცოტა ნამდვილად არ არის. კარგად დაფიქრდი. ღმერთი გფარავდეს“.

### ზუსტა და-კი:

„ჰოდა, შე ოჯახსაშენებულო, თუ ლამაზი ხარ, რაღა ცოლიან და თანაც, 32 წლის კაცზე გადაირიე? რა, საქართველოში ვაჟკაცები დაილია თუ? შეეში, თორემ უდიდეს შეცდომას დაუშვებ“.

### იკუშკაი:

„ჩემო კარგო, როცა ადამიანი ნამდვილად გიყვარს, ამას გულით, სულით, გონებით გრძნობ და ამ შემთხვევაში არავის რჩევა არ გამოგადგება, ყველაფერი თავადვე უნდა გადაწყვიტო, მაგრამ ვინაიდან დახმარებისთვის მოგემართე, ე.ი. საკუთარ გრძნობებში დარწმუნებული არ ხარ. იცი, რა არის ვნება? ეს ის გრძნობაა, რომელიც ქალსა და მამაკაცს შორის ჩნდება და როგორც კი ისინი სანოლში აღმოჩნდებიან, ეიფორია და მოჩვენებითი სიყვარულის ილუზია ნამშივე ქრება. ეცადე, სიყვარული და ვნება ერთმანეთისგან განასხვავო. მესმის, სიყვარულის დაკარგვა ძნელია, მაგრამ შენ ვერ ნარმოიდგენ, რამდენად მტკივნეულია ის ფაქტი, როცა ოჯახის შექმნის შემდეგ იმედები გიცრუვდება, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გიფუჭდება და ბოლოს, ოჯახიც გენგრევა. შენი სიყვარული იმ კაცისადმი რას ეფუძნება?

დარწმუნებული ხარ, რომ მის ცოლობას არასდროს ინანებ? როგორ შეიძლება ენდო კაცს, რომელმაც საკუთარი სისხლი და ხორცი, როგორც უთარი 2 შვილი მიატოვა? რა ვიცი, ასეთი კაცის ცოლობას მე ვერ გავრისკავდი. ერთ დღეს შენც რომ მიგატოვოს, შვილებთან ერთად, მერე რას იზამ? მამაკაცი, რომელიც ულტიმატუმს წამოგიყენებს, შენს პიროვნულობას პატივს არ სცემს. მგონი, მის გვერდით ცხოვრება, ტანჯვის გარდა, არაფერს მოგიტანს. არჩევანის საშუალება აუცილებლად დაიტოვე. ცხოვრება ყოველთვის მშვენიერია, მაგრამ ამ მშვენიერებას უფრო მძაფრად შეიგრძნობ მაშინ, როცა სიყვარული შენგან მსხვერპლს არ მოითხოვს. მგონი, შენს მომავალზე დაფიქრება ღირს. დავიჯერო, არ გინდა, უბედნიერესი ქალი იყო? შენს ადგილას საკუთარ გრძნობებში კარგად გავფრთხილდი და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებდი გადაწყვეტილებას. წარმატებებს გისურვებ!“

### ზუპი:

„დაიკო, მესმის, რომ გიყვარს, მაგრამ მის საქციელს უნდა დაუჯერდე. დამიჯერებ, მის გამო სწავლის შეწყვეტა არ ღირს. დაქალების დახმარებით გაარკვიე, თუ რა მიზეზით დაშორდა ცოლს, შვილებს ყურადღებას აქცევს თუ არა? იქნებ, ბუნებით უპასუხისმგებლო და მოლაღატე ადამიანია, რომელიც დაქორწინების შემდეგ შენც ანალოგიურად მოგექცევა და მიგატოვებს?! მერწმუნე, მოლაღატე მამაკაცის გამოსწორება არ იქნება. იცოდე, სწავლას თავი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაანებო. სწავლის ფასი არაფერია“.

### აპეზარა:

„საინტერესოა, შენს სატრფოს შეხვდი? მგონი, მას უბრალოდ, შეეჩვიე. ჯერ ახალგაზრდა ხარ და გადანყვეტილებას დამოუკიდებლად ნუ მიიღებ, მით უმეტეს, რომ მშობლები შენს არჩევანს არ ინონებენ. გახსოვდეს, სხვისი უბედურების ხარჯზე ბედნიერი ვერასდროს გახდები. წარმოიდგინე, როცა მისი ცოლი თქვენი ურთიერთობის შესახებ შეიტყობს, რა დაემართება... თან, სწავლაც ხომ ძალიან გინდა? რომ უყვარდე, არჩევანის წინაშე არ დაგაყენება. სწორი გადაწყვეტილების მიღებას გისურვებ!“

### შოკოლადა:

„ლამაზი ხარ და შენს შესაფერის პიროვნებასაც აუცილებლად იპოვი. მშობლებს დაუჯერე და იმაზე იფიქრე, რომ ის კაცი შენი ღირსი არაა. ღმერთი გფარავდეს“.



„გზის“ №36-ში დაიბეჭდა უცნობი გოგონას მესვენი, რომელსაც თავისი უფროსი შვიკვარდა და ახლა არ იცის, როგორ მოიქცეს... „მან ჩემი გრძნობის შესახებ არაფერი იცის... ლამის გავვიღე“, — გვწერდა გოგონა იმ იმედით, რომ „გზის“ მკითხველები-სგან ღირებულ რჩევას მიიღებდა.

# „შენმა უფროსმა შეიძლება, თავი არს გაგიყაროს“

„ცუდია, როცა აღაშინი გიყვარს, ის ჯი ვერაფერს ხვდება“

### ნამდვილი მამაკაცი:

„რა იცი, რომ არ უყვარხარ? რა, ეს თავად გითხრა? კარგი, რა, ქალო, ნუ ნუნუნებ, მიდი და უთხარი, რომ გიყვარს და იქნებ გაგიმართლოს კიდევ. მიდი, მიდი, ნულარ აყოვნებ სიყვარულში გამოუტყდი!“

### გრუნინა:

„რატომღაც არ მიუთითე, შენი უფროსი ცოლიანია თუ არა და ამ შემთხვევაში მეც მიჭირს რჩევის მოცემა. თუ უცოლოა, აგრძნობინე, რომ გიყვარს, ხოლო თუ დაიჯახებულობა, უეჭველად უნდა დაივიწყო! იცოდე, გრძნობებს თუ ვერ მოერევი, ჯობია, სამსახურიც მიატოვო. წარმატებები!“

### Eko Boy:

„გამარჯობა. ლიკა, რა ხდება, რა სჭირს ამ ხალხს? რა ყველა „უბედურ“ დღეშია: ზოგს ბიძაშვილი შეუყვარდა, ზოგს — მეგობარი, ზოგი კი არაფრის გამო ნუნუნებს! ჩემი აზრით, ბევრი მათგანი შოკისმომგვრელ „ესემესებს“ მხოლოდ იმიტომ გწერს, რომ ხალხის ყურადღება მიიქციოს. იქნებ, ვცდები?.. (კარგი იქნება, თუ Eko Boy-ის ამ შეკითხვას პასუხს გასცემთ. საინტერესოა, თქვენ რას ფიქრობთ ამ თემასთან დაკავშირებით?.. ავტ.)“

### ლუნა:

„უიმედო და ცალმხრივი სიყვარული, ტანჯვის გარდა, არაფერს მოგიტანს. ძალიან ცუდია, როცა აღაშინი გიყვარს, ის კი ვერაფერს ხვდება. გაბედე და სიყვარულში გამოუტყდი! თუ ამას ვერ შეძლებ, შეეცადე და ერთხელ მაინც ჩახედე თვალებში. მერწმუნე, მზერა „გაგყიდის“. ის აუცილებლად მიხვდება, რომ გიყვარს და ვინ იცის, იქნებ, სიყვარულითვე გიპასუხოს. გკოცნი და იმედების გამართლებას გისურვებ!“

### სიკვდილი:

„თუ არ უყვარხარ, ხვეწნას ნუ დაუნყებ. სიტუაცია რეალურად შეაფასე და შეეცადე, ის ტიპი დაივიწყო.“

### რუსიარი:

გოგოლო!.. იცი, რა? — იქნებ, ჯერ აზრები კარგად დაგეწყო და დახმარება მერე გეთხოვა. 2 წლის ბავშვიც მიხვდება, რომ შენი „ესემესი“ მთლად დალაგებული არ არის. რა იცი, რომ არ უყვარხარ? რა, უთხარი და უარით გამოგისტუმრა? იქნებ, მასაც უყვარხარ, მაგრამ ამის თქმას ვერ გიბედავს? დარწმუნებული ვარ, ასაკით შენზე უფროსია... იქნებ, ეს ყველაფერი გატაცებაა?... ეჰ, უბედურო საქართველო, რა დღეში ხარ?! იიიი!..“

### ლუბა-ბარსა:

„შენი უფროსი თუ შეგიყვარდა, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მიდი, ნელ-ნელა შეაპარე, რომ გიყვარს, მერე კი შენი გრძნობების შესახებაც უამბე. აბა, წარმატებს გისურვებ!“

### მამაგონე სული:

„თუ არ უყვარხარ, გულის გადაშლით რას მიიღებ? ამის შემდეგ თვალს ვერ გაუსწორებ, ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდები. პირდაპირ ნურაფერს მიახლი და შეეცადე, რაღაცას მიახვედრო. თუ ღირსეული აღაშინია, ისიც მიგანიშნებს, მასთან რაიმე შანსი გაქვს თუ არა.“

### მორჩილი:

„სამსახურებრივ რომანს მოერიდე, თორემ ქართული მენტალიტეტის წყალობით, შესაძლოა, „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“ დაგემართოს. თავი ხელში აიყვანე და ნამდვილ სიყვარულს დაელოდე.“

### ლი ჰარვი ოსვალდი:

„შენმა უფროსმა შეიძლება, თავი არც გაგიყაროს და ამის გამო უფრო დაიტანჯები. ამიტომაც, გირჩევ, სხვა მამაკაცი შეიყვარო. წარმატებები!“

### იპუტაძე:

„სავარაუდოდ, შენ ქალი ხარ, შენი უფროსი მამაკაცია. შესაბამისად, ალბათ ის ქალების გულთამყრობელია თავის გარეგნობის, თანამდებობისა და საბანკო ანგარიშის წყალობით. ასეთი კაცის მოხიბვლა და მისთვის თავის შეყვარებაც რომ შეძლო, ეს მხოლოდ დროებითია, გატაცება, დანგრევისთვის განწირული ურთიერთობა იქნება. საინტერესოა, ცოლ-შვილი თუ ჰყავს, თორემ საყვარლების მთელი არმია რომ ეყოლება ამაში ეჭვიც არ მეპარება... ჩემო კარგო, რატომ იტკივებ აუტკივარ თავს? ცალმხრივი სიყვარული ბედნიერებას ვერ

მოგიტანს. ვითომ, გამოუსწორებელი რომანტიკოსი ან ახალგაზრდა იდეალისტი ხარ? დღევანდელ დღეს რეალისტი უნდა იყო. არ მომწონს ცალმხრივად შეყვარებული, მიაბიტი ქალები, რომლებიც ტირიან, იტანჯებიან და სასონარკვეთილები დებრესიისგან მიყენებულ ფსიქოლოგიურ ტრავმებს ვეღარ მკურნალობენ... უყურადღებობა და უსაზრდოობა კლავს იმ მშვენიერ გრძნობას, რომელსაც სიყვარული ჰქვია. წარმატებებს და ორმხრივ სიყვარულს გისურვებ!“

### აპუზარა:

„თუ გიყვარს, მაგრამ ამის გამხელა არ გინდა შენი უფროსი რაღაცას მაინც უნდა მიახვედრო. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაურკვეველობა ორმაგად დაგტანჯავს. დააკვირდი მის ქმედებებს და მიხვდები, უყვარხარ თუ არა. ან საერთოდაც, უნდა შეეცადო და დაივიწყო. ცალმხრივი სიყვარულისთვის არ მემეტები? წარმატებები!“

### შოკოლადა:

„უკეთესი იქნებოდა, შენ შესახებ ცოტა მეტი რამ მოგეწერა. თუ იმ კაცს ცოლ-შვილი არ ჰყავს, შეეცადე თავი მოაწონო და თუ ის შენი ბედია, ბოლოს მაინც ერთად იქნებით... იმ შემთხვევაში, თუ ცოლიანია, მასზე ფიქრს შეეშვი. იცოდე, მისი სიყვარული ბედნიერებას არ მოგიტანს. იმედია, გაგიმართლებს.“

### ლიმონა:

„თავადაც ხვდები, რომ შენს სიყვარულს მომავალი არ აქვს და ჯობია მასზე ფიქრს შეეშვა. არ მწამს ცალმხრივი სიყვარულის... არ შეგიყვარა? — შენც ამოიგდე თავიდან და გულიდან. ტყუილად კი არ უთქვამთ: საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო. ეგ შენი სიყვარულის ობიექტი სხვა პიროვნებით ჩაანაცვლე. და კიდევ, ღმერთს მიენდე.“

## „სოლს გაშორდა და 2 შვილის მიატოვა... მასთან ურთიერთობა ამიარკალა“

უცნობი, 20 წლის:

„თქვენი დახმარება ძალიან მჭირდება. მიყვარს ტელეფონით გაცნობილი, 32 წლის მამაკაცი, რომელიც 4 წელია, ცოლს გაშორდა და 2 შვილიც მიატოვა. მან თავიდანვე გამიხილა ეს საიდუმლო, მაგრამ მაინც, უზომოდ შემეყვარდა. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ძალიან ლამაზი ვარ, ის კი... მას სიგიჟედ ვუყვარვარ და ჩვენ ერთმანეთს ვავსებთ. „ლოვე“ ცოლობას მთხოვს და თან, მუშნება, რომ ამ შემთხვევაში სწავლას თავი უნდა დაფანბო, რაც ჩემთვის საშინელების ტოლფასია იქნება. ჩემებმა ყველაფერი იციან და მასთან ურთიერთობაც ამიკრძალეს. თუმცა, უერთმანეთოდ ვეღარ ვძლებთ. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.“

# რა არის „ქარიზმა“?

ბევრი მგზავნიელი მეკითხება: რას ნიშნავს „ქარიზმატული პიროვნება“, ზოგი კი — შესაძლებელია თუ არა, ქარიზმატულობა „გამოიმუშაო“?

სიტყვა „ქარიზმა“, ისევე როგორც „აურა“, უკვე გაცვეთილია, მაგრამ ისევ გაუგებარია (სხვათა შორის, ჩემი კომპიუტერისთვისაც, რადგან ჯოუტად უსვამს ქვეშ წითელ, დაკლავნილ ხაზს). ძველბერძნულ მითოლოგიაში ქარტები სილამაზის ქალღმერთები იყვნენ, ხოლო ოლიმპოზე მცხოვრებთა ენაზე „ქარიზმა“ „საკუთარი თავისთვის ყურადღების მიპყრობას“ ნიშნავს.

ლემის არასტანდარტულად გადაჭრა უნდა შეგეძლოს. ეს ღვთის საჩუქარია, რომელიც ბავშვობაში ყველას ეძლევა, მაგრამ ბოლომდე ცოტა ვინმე თუ ინარჩუნებს. სამწუხაროა... იქნებ, ინფანტილურობა (ბავშვის თვალებით სამყაროს დანახვა და გულწრფელობა) ქარიზმატულობის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა?..

## მარი ჯავარიძე

დღესდღეობით ეს განსაკუთრებული თვისებაა, რომელიც ადამიანს ბრბოსგან გამოარჩევს და სხვებზე ზემოქმედების საშუალებას აძლევს. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, ნებისმიერი „სტანდარტული“ თვისება შესაძლოა, განსაკუთრებული აღმოჩნდეს — იქნება ეს ლატენტური სექსუალურობა თუ დაუფარავი აგრესია. ქარიზმატულს უწოდებენ ყველას, ვინც საერთო, „ნაცრისფერ“ ფონზე რაღაცით გამოირჩევა.

ერთი სიტყვით, სიტყვა „ქარიზმა“ განსაზღვრული განმარტება აქვს, რომელიც გერმანელმა სოციოლოგმა, ვებერმა ჩამოაყალიბა: „ქარიზმა ეწოდება განსაკუთრებულ პიროვნულ თვისებას, რომელიც ზებუნებრივ, ზეადამიანურ, სპეციფიკურ, განსაკუთრებულ ძალად და თვისებადაა მიჩნეული და სხვა ადამიანებს ხელი არ მიუწვდებათ“. აი, სწორედ ასე თქვა, მაგრამ არ განმარტა, რას ნიშნავს „განსაკუთრებული პიროვნული თვისებები“. ქარიზმა ნებისყოფა არ არის, არც ტალანტია და არც ბანალური მომხიბვლელობა. ტალანტი შესაძლოა, თავისავე სპეციფიკურობის მიხედვით შეიძლება, ნებისმიერი იყოს. ქარიზმა ადამიანების მიზიდვის არაჩვეულებრივი და იშვიათი ნიჭი და ღვთის წყალობაა.

ადამიანში შეიძლება, ბევრმა რამემ მიგიზიდოს: გარეგნულმა შარმმა, ხასიათის სიმტკიცემ, შინაგანმა კეთილშობილებამ, ინერტულობამ ან ყველაფერის მიმართ გადაჭარბებულმა მგრძობიარობამ.

ქარიზმატული შესაძლოა, იყოს მსახიობი ან თალღითი, მმართველი ან მეფე — ჩარლი ჩაპლინი, ინდირა განდი, ჩინგის-ხანი, ნაპოლეონი, ჰიტლერი, მუსოლინი, ოსტაპ ბენდერი, პარი პოტერი და შერლოკ ჰოლმსი.

ქარიზმატულობა დამოკიდებული არ

არის პიროვნების პროფესიაზე, საქმიანობაზე, მორალურ და ეთიკურ პრინციპებზე. ქარიზმატული შესაძლოა, იყოს წმინდანიც და დამნაშავეც. ის არც სქესს ცნობს. ქარიზმატული მამაკაცების სიას თამამად შეიძლება შევმატოთ არაჩვეულებრივი ქალები: სარა ბერნარი, დედა ტერეზა, მატა ჰარი, თოჯინა ბარბი...

ქარიზმატულებად არ იბადებიან — ეს აქსიომაა. ასეთ პიროვნებებად, არამიზანმიმართულად, პირადი ფსიქოლოგის ჩარევის გარეშე ყალიბდებიან. დამალული პიროვნული ღირსებების წარმოჩენა და განვითარება არცთუ ისე რთულია. ახლა შემოგთავაზებთ რამდენიმე რჩევას, როგორ გახდეთ ქარიზმატული პიროვნება.

1. ქარიზმატული პოტენციალის მქონე ადამიანები ყოველთვის რაღაცით არიან გატაცებული. ისინი ან ცეკვის წრეში ეწევიან, ან — დაივინგის კლუბში. თითქმის ზეპირად იციან მსოფლიო კინემატოგრაფის ყველა შედევი და ვარსკვლავების უამრავი ფოტო აქვთ. ხანდახან გეჩვენება, რომ მათთვის არაფერს წარმოადგენს სახლის გაყიდვა და საცხოვრებლად მარშალის კუნძულებზე გადასვლა. ყოველთვის მზად არიან, გაბედული ნაბიჯი გადადგან. ყველასა და ყველაფერზე საკუთარი შეხედულება აქვთ.

აქედან შეგიძლია, დაასკვნა: თუ გინდა, გახდეთ ქარიზმატული, ექსპერიმენტები ჩაატარე და იმ საქმეს მოჰკიდე ხელი, რომელიც გიყვარს. განსაკუთრებით მომგებიანი იქნება ის სფერო, რომელიც ახლა შემოდის მოდამში: უამრავ ახალ ნაცნობს გაიჩენ და ძველი ნაცნობების აღფრთოვანებას დაიმსახურებ.

2. გამომგონებლობა ქარიზმატული პიროვნების მთავარი თვისებაა. ნებისმიერი ამოცანის შემოქმედებითად ამოსხნა და ნებისმიერი პრობ-

3. ოფისში პირზე ანებებული, ხელლოვნური ღმილით სიარული აუცილებელი არ არის, მაგრამ შენმა ხალისიანმა განწყობილებამ ყველა კარგ გუნებაზე უნდა დააყენოს, გასაჭირის დროს დაეხმაროს და დადებითი ენერჯით დაამუხტოს. უნდა ისწავლო პოზიტიურად აზროვნება და ყველანაირ სიტუაციაში საუკეთესოს დანახვა.

4. უნდა შეგეძლოს შენს სიმართლეში ადამიანის დარწმუნება, ოღონდ — არა ძალდატანებით. ბევრი ფსიქოლოგი გვასწავლის: იმისათვის, რომ ქარიზმატული გახდე, უმჯობესია, მოსაუბრის მოსმენა ისწავლო, სხვებს ჭკუის დარიგება არ დაუწყო, საკუთარი უპირატესობა არ აგრძობინო, შენიშვნები არ მისცე, არ დასცინო, შეცდომები არ ექებო, პირში არ მიახალო, რომ ტყუის. ეს გახლავთ ტაბუს სტანდარტული ნაკრები, რომელსაც ფსიქოლოგები გთავაზობენ.

5. ქარიზმატულობის დაუნერვლი კანონია: უნდა იყო თავდაჯერებული! რა თქმა უნდა, იცი, რომ კომპლექსიანი და საკუთარ სამყაროში ჩაკეტილი ადამიანები არასრულფასოვნებაზე არიან კონცენტრირებული და ყურადღების ცენტრში ვერასოდეს აღმოჩნდებიან. ამიტომ, უნდა შეეგუო საკუთარ ნაკლოვანებებს და ღირსებებზე აუცილებლად წარმოაჩინო. შეიყვარე საკუთარი თავი. ხალხს უყვარს ასეთ პიროვნებებთან ურთიერთობა. თავად ნახავ, როგორ შემოიკრიბება შენ გარშემო უამრავი ადამიანი და ყველა ერთად აღნიშნავს, რომ ქარიზმატული პიროვნება ხარ.

რა თქმა უნდა, ძნელია, გახდეთ ქარიზმატული მხოლოდ ამ რჩევების ნაკითხვის შედეგად ან თუნდაც მრავალტომიანი ენციკლოპედიის დახეპირებით. მიაქციე ყურადღება: ვამბობ — „ძნელია“, მაგრამ არა — „შეუძლებელი“. სწორი ვარჯიში, ცოდნის გაღრმავება და ახალი აღმოჩენები ქარიზმატულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში დაგეხმარება. ■



# მომიუნიკეთი

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოზილი-ზაზიაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ გრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

6. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო გულთბილი, მოსიყვარულე მამაკაცი. მქვია მზია, ვარ 25 წლის.

7. ვარ 34/172/68, სუფთა წარსულის მქონე, მომხიბვლელი მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 34-48 წლის, დასაქმებულ, თავისუფალ მამაკაცს. გასართობად ნუ გამოიმეხაურებით.



## სხვანაირად

● ბერბიჭავ, გენაცვალე, თავის მართლებას არ დაგჭირდებოდა, ბოლომდე მართალი რომ ყოფილიყავი. მის რაც მისწერე, ის ჩემს თავზე არც მიმიღია. ჩემი ნიკი მხოლოდ ერთს ეწერა, დანარჩენებში კი გადაკვრით ვიყავი ნახსენები. ჩემს გარდა არავის „დაუნამებია“ შენთვის ბაბნიკობა? თუ არ გესიამოვნა, ცოტა რბილად გეთქვა, ასეთი აღშფოთება არ იყო საჭირო და საერთოდ, ყველანი კარგად იყავით! მივიღივარ და აღარ დაებრუნდები. იქ, სადაც ჩემი არ ესმით, არაფერი მესაქმება. კამი, ლიმონ, Ashley, პე და მპუა. თოლია.

● ნვიმა სულს მიფორიაქებს. ეს ხომ ერთ ადამიანს მახსენებს. ადამიანს, რომელსაც ალბათ ვლარასდროს ვნახავ თითოეული წვეთი თითქოს ძალას მაცლის. ოდესღაც ნვიმა და ცისარტყელა მე მეკუთვნოდა... სიყვარული ღამაში სიტყვებით ამიხსნა. 3 წელი ველოდი ამ სიტყვებს. უზომოდ ბედნიერი ვიყავი... თუმცა, ბედნიერება მხოლოდ წამიერი აღმოჩნდა. ერთმანეთს ზურგი ვაქციეთ. მან ჩემს ბავშვურ სულს ვერ გაუგო. მე კი მის ალერსიან მზერას. ამ ამბის მერე 1 წელია გასული, მე ის სიცოცხლეს მირჩევნია. ყოველდღე ვზივარ და ვტირი, თან მისი სიტყვები ჩამესმის: გჯეროდეს, რომ შენ მაინც ჩემი იქნები. მე უკვე აღარ მჯერა ამის. ის კვლავ გამოჩნდა, თუმცა გული ასმაგად მატკინა. მერჩვენა, ისევ ისეთი დამბახოვრებოდა. გთხოვთ, დამითმეთ პატარა ადგილი. მე ეს მჭირდება. გულნატკენი.

● ნაპერწკალზე აინთება ალი, ღალატისთვის შურს იძიებს ქალი! ჯერ არა, მაგრამ მალე ვიძიებ შურს. გემინოდეთ და გიყვარდეთ რუსკა!

● სიყვარული... ჰო, გაგცინა, მაგრამ ძალიან მიყვარსარ და ტკივილამდე მენატრები. ბლანძინკა.

● დედა ვარ, ჩემი შვილებისგან — შორს. როგორ მენატრებიან... როგორ მინ-



## ქალები

1. გავიცნობ 20-27 წლამდე ასაკის, დასაქმებულ ბიჭს. ვარ 19 წლის, მხიარული და კარგი გარეგნობის, მეგრელი გოგო. შემეხშიანეთ. ნინი.

2. მგზავნელებო, დიდი სიამოვნებით გაგიცნობთ... ვისაც სურვილი გექნებათ, დამეკონტაქტეთ. მარ, „გაცნობებში“ გამაშანშალე, რა? :-)) გაკოცეთ. სოფი19.

3. გზა ჩემო ძვირფასო მგზავნელებო, ვისაც ჩემი გაცნობა და ჩემთან მეგობრობა გსურთ, დამიმესიჯეთ. ინტიმური ურთიერთობის მსურველები თავს ნუ შეინუხებთ. სევდიანი ქალი.

4. მარი, ჩამჭუჭყენე განცხადებებში. სევდიანი და იღუმალი ქალის გაცნობა მინდა. ჰო, კიდევ ჩემი ძმის ნომერია და იმედია, ბიჭები არ შემაწუხებენ. მიყვარხართ და გკოცნით. გრუზინკა.

5. 20 წლის, არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი გოგო ეძებს გასაოცრად გონებაშეხვილ და ინტელექტუალურ ადამიანს, მხოლოდ და მხოლოდ დამეგობრების პერსპექტივით. ხატია.



## კაცები

8. ვარ 38 წლის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალაქში ბინით და მატერიალურად უზრუნველყოფილ, 35 წლამდე ქალბატონს, რომელსაც კაცის ჩასიძება უნდა!

9. გამარჯობა. მე გუკა ვარ. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მანდილოსანს. ყველაფრით უზრუნველყოფილი ვარ, 25 წლის. 18-25 წლამდე გოგონებისთვის.

10. ვარ 185/80/29, თითქმის არაფერი მაკლია იმისთვის, რომ სიყვარული ვიცრძნო. გავიცნობ მანდილოსანს. გიგა.



## შეკვებ

ვეძებ დიდი ხნის უნახავ მეგობრებს, მანანას და სევილას. მანანა სავარაუდოდ ქუთაისში უნდა ცხოვრობდეს. მგონი, მიხვდებით ვინც ვარ. გთხოვთ, შემეხშიანოთ. მაღი ობა.

ვეძებ თბილისელ ასმათ (მარინა) ბალუაშვილს, რომელიც აშუამად იმყოფება საბერძნეთში.

# გზავნილება

და, კარგად იყვნენ ჩემი ბიჭები — თათო და აკო. სალონიკი, ქეთინო.

● იცი, EKO BOY, ადამინებს უყვართ, ყურადღების ცენტრში ყოფნა, მაგრამ ისეთი შოკისმომგვრელი მესიჯის გამოგზავნა მკონი მეტისმეტია, თუნდაც ვინმეს ყურადღების მისაქცევად. ჩემი აზრით, უმრავლესობას მართლა სჭირდება მეგობრული რჩევა, მაგრამ გამოწვევისთვის არიან, რომლებსაც კარგი ფანტაზია აქვთ და მათ ფსიქოლოგი უნდა დაეხმაროს. ჩვენ ვერ განვსჯით მათ საქციელს. ისე, რა, ინტრიგანი ხარ თუ უბრალოდ, განსხვავებული იმიჯი გინდა? გაორებული.

● მგზავნილებო, თქვენი რჩევა მჭირდება. 13 წლის გოგო ვარ, 8 წლიდან ვთამაშობ ფეხბურთს და ვერ გადავეყვირე. მშობლები სასტიკად მიკრძავენ. თან, ამასთან ერთად, ბიჭებთან უფრო ვაწყობ ურთიერთობას, ვიდრე გოგონებთან. ფეხბურთის გამო გოგონები მერიდებინ. როცა გოგოს ფესსაცმელი მაცვია, მაშინ ძალიან ნაზი ვარ, ხოლო როცა კედი — გოგოსი არაფერი მცხია. თან სულ შარში ვარ, ისეთ რამეს ვაკეთებ, ადამიანს რომ არ დაესიზმრება. ამის გამო „ცხოველასაც“ მეძახდნენ და ბევრჯერაც მიტირია. მინდა, ისევ გოგო მერქვას. ნიკი.

● მარი, მეც შემოგიერთდით. ისე, რა ნაგლი სტუმარი ვარ?! არავინ მეპატიუება, მაგრამ ჯიუტად ვცდილობ, შემოვბიჯო თქვენს ქალაქში. მართალია, ახალი წელი არ არის, ხურჯინით ბევრი ნუგბარი რომ მოგიტანოთ თოვლთან და ახალ ოცნებებთან ერთად, მაგრამ სიხარულით, სიყვარულით და ახალი იმედებით შემოგიერთდებით და მინდა, თქვენც გამოისწორდეთ და არასდროს იკამათოთ. გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და ყველაფერი კარგად იქნება. დიდი ხანია, თქვენი ერთგული მკითხველი ვარ და ახლა მინდა, მგზავნილიც ვიყო და „გზის“ ფურცლებზე ჩემი გზავნილები წავიკითხო. მარი, გაიხარე და მიყვარხარ. გაორებული.

● თუ არ მოხვედი დღესაც, სევდას ვერ ვუძლებ ვერანს, ჩავიცვამ რკინის ქალამანს, გამოგეჭრები ველად. მოგაგნებ იის სურნელით, თან ვინატრებდი ერთსაც, მოგესწო და დაგაძნე, შემურდეს გნების ღმერთსაც. გადიქროლებენ ქარები, ცის გზა მინისას ერთვის, სულ ასე უნდა ვიომოთ, როცა ბედიც გვაქვს ერთი? მოდი, აიჯერად დავზავდეთ, ვიქცეთ ერთსულ და ვნებად, თორემ ამდენი ცრემლით, შეწინააღმდეგებ ზენა, ავადგები, გაგიფრინდები, ჯერ შემოძლია ფრენა... ქალი ცდუნება.

● მარ, ხუთშაბათს „გზა“ რომ ვიყიდე, პირველი რა თქმა უნდა, საკუთარი გზავნილის ძებნა დავიწყე, მაგრამ რომ ვერ ვიპოვე, დავლონდი და საკუთარ თავს ვკითხე: რა ხდება-მეთქი? სადაა ჩემი გზავნილი? პასუხს რა თქმა უნდა, ვერ მოვისმენდი და ამიტომ „გზავნილების“ შესავალი წავიკითხე და შენმა ნათქვამმაც იმედი ჩამისახა იმის შესახებ, რომ ოდესღაც შესაფერისი სააუბრო თემის დროს ვისიზალირ, მაგრამ მომდევნო სასაუბრო თემის სათაური რომ წავიკითხე, მივხვდი, რომ ჩემს აშბავს წესითა და რიგით, მომდევნო ნომერში ვისიზავდი. ამას რა თქმა უნდა, ხუთშაბათამდე ვფიქრობ და იმედა, ჩემი ეჭვები და ყავაზე მკითხავი

ქალის ნათქვამიც ამხდება (გზუმრობ). მოკლედ, ჩემი ეჭვი მართლაც თუ გამართლდა, გამოდის, რომ ჩემდა უნებურად მცირედი წვლილი შევიტანე შენი მომდევნო სასაუბრო თემის დასახელებაში, ეს კი ჩემთვის უზარმაზარი პატივია, რისთვისაც მადლობას გიხდით. მარ, is The super woman of The best of women! ჩემი პატარა გულით დიდად გაფასებ მისტერ.

● როგორ ვბლატაობდი, ჯერ არ დავუბლოკავარ მარის-თქო და წინა კვირას არ გადაამისვი წითელი ხაზიიი?! :) მაინც კარგი გოგო ხარ. ფეშენა.

● ენიგმა, ძვირფასო, შენი ნომერი კი ვეძებე მობილურში, ვეძებე, ვეძებე... ამბობენ, ვინც ეძებს, პოულობსო, მაგრამ ვერაფერიც ვერ ვიპოვე. გუშინაც დამესიზმრე. ჰოდა, თუ გინდა, სიზმარი ამხინდო, დამიკავშირდი. დანარჩენი პირადად ვილაპარაკოთ. ალინა.

● ერთი კვირაა, რაც საბერძნეთიდან ჩამოვედი. ძალიან მიხარია მშობლიურ ქალაქში დაბრუნება, მაგრამ გული მტკივა, დედას საფლავს და ციხეში მყოფ მამას რომ ჩამოვაკითხე და რომ ამ მყავს ისინი გვერდით. ნატო ჯორბენაძე, ოზურგეთი.

● ათინან, ჩავრთე ის ნომერი, მაგრამ არც მესიჯი იყო შემოსული და არც დაგირეკავს. დამიმეხიჯე, ალინა.

● 20 სექტემბერს ოქროს დაბადების დღე მაქვს. თან ეს ის დღეა, როცა ჩემმა სიყვარულმა (2 წლის წინ) დამტოვა. მე კი ის დღესაც უზომოდ მიყვარს. მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, იმის შემდეგ დღემდე ვერ ვნახე. ახლა სამხედრო სავალდებულო სამსახურში ვარ და ვერანაირად ვერ მოვახერხებ მის ნახვას და მასთან საუბარს. ეგ კი არა, ამ დღის აქ გატარება მინეცს. ამიტომ ჩემს გრძობას შენ განდობ, მარიამულო, რათა მიიტანო ადრესატამდე. ის მგზავნილი არ არის, მაგრამ ყოველთვის კითხულობს „გზას“. მარ, გაიძვეო რა, პატარა საჩუქარი და გთხოვ, თან ძალიან, რომ რასაც ქვემოთ დავწერ, დამიბეჭდო. ეს კი ერთ სულიერს (მიხვდება ვინც ვარ), რომელიც მაინც ძალიან მიყვარს: ჩემმა ცხოვრებამ უშენობა დაირქვა... არა, არა, უფრო სწორად, მიუხედავად მისი ძალიან დიდი წინააღმდეგობისა, შენ დაარქვი მას ასე. საშინელება... ნაღველიანი... სევდიანი... ცრემლიანი... შენს გარეშე სიცარიელის შეგრძნებითა და ტკივილით სავსე. შენს ემოციებს მოკლებული, შენს ღიმილს, შენს თვალ-ნარბს, შენს მზერას, შენს სიყვარულს მოკლებული... აუტანელია ეს ყველაფერი... შენ საოცრად თბილი და მოსიყვარულე იყავი, მშვიდი, ხალისიანი და მგრძობიარე... მაშინ საერთოდ არაფერზე ვფიქრობდი, სიყვარულით სავსე გიყურებდი და მეგონა, ასე ვაგრძელებოდა ყოველთვის. მაგრამ შენ... დღეს ჩემი ყინულის დედოფალი ხარ. აღარ მიღიმი, აღარ მათობ იმ ემოციებით, ერთ დროს რომ შენი თვალებიდან იღვრებოდა. მიმატოვე და ფიქრებში, ოცნებაში საფერებლად დამჩრი... სევდისა და ცრემლების ფერია, დიდი და აუტანელი, მტანჯველი ტკივილი, მონატრებად დარჩენილი ფიქრი, შენ ჩემი დაუსრულებლობა ხარ. კანონზომიერ რეალობას ვეძებ.

● ვერ ვიპოვე! ცხოვრება ზღაპარია, რომელსაც უშენობა ჰქვია და მას არასოდეს ექნება კეთილი დასასრული, რად-

გან სხვა ზღაპრებით უბრალო ზღაპარი არ არის. ის ხომ უშენობად ქცეული ზღაპარია... FILIPPO.

● დედიკო, ძალიან მენატრები. ძალიან მენატრება შენი ჩახუტება. სიმორე რა მოსატანია იმ გრძობასთან, დედაშვილობის მაღლი და სიყვარული რომ ჰქვია. ვოცნებობ იმ დღეზე, როცა მაგრად ჩაგესუტები და გეტყვი, როგორ მაგრად მიყვარხარ. დეე (ნანუშკები), იცი, როგორ მენატრები? მაგრამ რა ვენა? ჯერჯერობით ცოტა უნდა მოვითმინო. შენს იმედად მყავს სალო და ლევანიკო. ჩემი შვილების არ მემინია, ვიცი, რომ ყველანაირად გვერდით უდგახარ. ჩემო ლამაზო დედიკო, მინდა, ყველაფრისთვის დიდი მადლობა გადაგიხადო. ასევე მადლობა მარი, რომ არსებობს „გზა“ და „გზავნილები“. მიყვარხარო. ლიკა.

● მარიამულ, 2 დღეა, სიზმარში გხედავ. ამბობენ, დიდი კაცის ნახვამ ავად გახდომა იცისო და... გიფრთხილდე? დამავიო.

● მარი, მიყვარხარ. მუდამ თქვენთან ვარ. მამოხისტკა.

● ასე გეფერები სიყვარული, ამირანი-ვით გულში მიჯაჭვული ვარ და მხოლოდ სურათში თუ გნახავ ხოლმე, ჩემო ბუთქუნია, ბუთქუნებში გეპუთქუნევე! ჯუჯუ-100.

● მარიკუნა, მაიგნორებ, არა? არა უშავს, ყველაფერი წინაა. :) სონი, მადლობა ყველაფრისთვის. აბუზარავ, ჩუმად რატომ ხარ? მოკითხვა ბერბიჭას. აბა ჰე, გკოცნი. ალინა სად არისო? ბელო.

● ზოგჯერ ვფიქრობ, ნეტა მარის თუ არ ეზარება ამდენი მესიჯის კითხვა? თვალები და თითები არ გტკივან? ცოდო ხარ, ცოდო, ცოტა თავსაც გაუფრთხილდი, გენაცვალე, ალინა.

● მარი, საყვარელო, რა უბედურება ხდება ჩვენს ჟურნალში? ზოგიერთი ისეთი ამესიჯებს, რომ მგონია, სექსუალური მანიაკია. ძალიან ბევრი გამოქვეყნდა და აქედან მხოლოდ ორთან გამოვინახე საერთო ენა. დანარჩენებს მხოლოდ ინტიმური ურთიერთობები აინტერესებთ. ამიტომ ყველას გასაგონად ვამბობ: ვისაც მხოლოდ ინტიმური ურთიერთობა გასურთ, თავს ნუ შეინუხებთ ჩემთან დამესიჯებით, რადგან ამისთვის არ გამოგადგებთ. სხვაგან სცადეთ ბედი. სევდიანი ქალი.

● მინდა, გრუზინკას ვუთხრა: ჩემო კარგო, შენ ჩემთვის არც დაგირეკავს და არც დაგიმეხიჯებია, აქ რალაც შეცდომაა. გეფიცები, მეც ძალიან მინდა შენი და კიდევ რამდენიმე მგზავნილის გაცნობა. ვინც დამომესიჯებთ, გთხოვთ, თქვენი ნიკი აუცილებლად მიანერეთ. სევდიანი ქალი.

● მარიამულ, ჩემო სიხარული, იცი, რა მიკვირს ხოლმე? რომ ამბობენ, „გზის“ ფურცლები გააპრიალეთ, ხელმის გვიშავენსო, რაღა მე არ მიშაგდება ხელები, ნეტავ? ალბათ სათუთად რომ ვფურცლავ, მაგიტომ. ლუნა.

● პირველად ვამესიჯებ და ალბათ არც დაბეჭდავ, მაგრამ ეგ არაფერი. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ სიყვარული არ არსებობს, არაა! მერე რა, რომ 15 წლის ვარ? ეს ზუსტად ვიცი!

● ირმა91-ს: მადლობელი ვარ დაიკო, მოკითხვისთვის. ტირიფო, აუცილებლად დაგიკავშირდები და ვიმეგობროთ. ლუნა,

მიყვარხარ ძალიან. გრუზი, გენათალე, ქალო. ქალი ცდუნება.

● მარიამულ, როგორ ხარო? ლუნა, ჩასაყლაპი ხარ... როგორ ხარო, ხალხო? იცით, რო ძალიან მიყვარხარო? მისტერ, მაგარი ადამიანი ხარ... ლიმონ, სად დამეკარგე? სოფი19.

● უკვე მწელია, „გზის“ აქტიური მკითხველი ვარ. ხანდახან ვამესიჯებდი კიდევ, მაგრამ ხალხო, რას დაემსგავსა „გზავნილები“? ერთმანეთის ლანძღვის მეტს აღარაფერს წერო? მომენატრა ის დრო, როცა ერთმანეთს თბილად მოიკითხვადნენ კანიბალკა და ოლეგარიო, პარიჟანკა და გრუზინკა, სესი და ლუნა, პავლიკა, ჩორი, ლიმონა, იკუშკები. მიყვარხარო ძალიან. ირმუშკა.

● ვინ მეთანხმება, რომ სიყვარული ყველაზე იასამანია? აუე, კახელებოოო, მოვდივარ! როკოოო, მპუაა, შეენ. ჩუბ, როგორ ხარ? სიკვდილა.

● მარ, დიდი მადლობა იმისთვის, რომ ჩემს მესიჯებს პეჭდავ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა აბუზარას, ჩემი მიღებისთვის. ყოველთვის თქვენთან ვიქნები. მიყვარხარო. ლინდა17.

● ოლეგარიო, დიდი მადლობა იმისთვის, რომ სიტბო გამოიჩინე ჩემ მიმართ. ყველაზე ძალიან მიყვარხარო. ლუნა ჩემი ფავორიტია. SWEET GIRL, ძალიან კარგი ხარ. ლინდა17.

● გამარჯობა მარი, „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ. თქვენთან დავამესიჯე. მინდოდა „გზა“ №36, 24-ე მესიჯის ავტორის ნომერი გამეგო, მაგრამ არასწორად მოვიდა მესიჯი. რატომ?

● მოგესალმებით ყველას. ლიმონ, ჩემო კარგო, შემთხვევით ლემონჯავა ხომ არ ხარ? მინდა გაგიცნო, მაგრამ ვერ გავიგე შენი ნომერი. იქნებ, შენ დამირეკო? იდუმალი ქალი.

● Ashley PCD, თვითრეკლამებს აქეთ ეწვი, მგზავნილების ლანძღვით. 9717, უფრო მაგარი იქნები, თუ ღრენიაშვილებს ღრენის გარეშე ჩამოთვლი. ლუნა მაგარია, ექსტაზიკ, ჩუპიკ. სინდი.

● ათინა (თუ ნათია გირჩევიან?), ვროლი-ნოდან უკვე ჩამოხვედით შენ და გიორგი? მექალთაწილებს ნურავის აბრალებ და ომონიაზე მიყენე. ალინას და სხვებს ნუ ატყუებ, თორემ... მორომუ.

● სუთმბათმშვიდობისა, ჩემო საყვარელო მგზავნილებო. მოგიკითხავთ ყველას. ლუნა, თუ არ ვცდები, ზემლიაკები უნდა ვიყოთ. მეც ხაშურში მაქვს სოფელი. ყველა მიყვარხარო. ირმუშკა.

● ნამდვილო მამაკაცო, :-)) ნამდვილად მინდა, სახელი მათხოვო მაინც... ნუ, ჯერ, დაა... ვასასი.

● სალუკა, მართლა ძალიან გთხოვ, რომ ყურნალით აღარ მომმართო, თორემ სხვა დაკარგული ანაბრები განიწმადნენ. ეჰ, კაი, დღეს იმ ნომერზე დამირეკე და პირადში მოვრიგდეთ. ენიგმა.

● Ashley, სტატისტიკის ცოდნას მიმართ იაჟებ თუ კამათის ხელოვნებას? ჩემს იუმორისტულ გზავნილზე რა სერიოზული ბაზარი მოაწყე? დაწყნარდი, მამვალს არავის ვუგზავნი. ენიგმა.

● დიდი სიყვარულით მოვიკითხავ თოლიას, ლიმონას, ლუნას, ტირიფი73-ს, იასა-

მანს, გრუზინკას, გიჟო ქალო ცდუნება, მაგრად მომწონხარ. სევიდანიო ქალო, ბერბიჭა, მიყვარხარო.

● ნამდვილო მამაკაცო, გმადლობ მოკითხვისთვის. ყველა კარგ და სულით ლამაზ ადამიანს ვაფასებ. მგზავნი ხარო, მგზავნილებო. დიდი სიყვარულით, თქვენი იდუმალი ქალი.

● ზოგჯერ სიძულვილი გულს ისე მიფლეთავს, სიყვარულს ევეცება ფრთები და შურისძიება ისე მაგიზგიზებს, მიტყვების მრჩება მხოლოდ ფერვლი. შენ დამიფარე უფალო, გვედრი. მემე.

● ლუნ, ძან გამიხარდა შენი გაცნობა. ჩემი სიფორცხლე ქალი ხარ. :-)) მარიამულ, შენ და მგზავნილები უკიდევანოდ მიყვარხარო! ჩემი ცხოვრების ნათელი სხივუკები ხარო. სოფი19.

● დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ქალ ცდუნებას, სიკვდილას, ბერბიჭას, იასამანს, მხიარულ ბიჭს, გრუზინკას, 9717-ს და ტეხასისმტატელს. გკოცნით, თქვენი სევიდანიო ქალი.

● ირმუშკას და თოლიას ჩემგან მპაჩები. იდუმალო ქალო, გამოვიჭიბები განცხადებებში და დამიკავშირდი. ჩემს ძმას, მგზავრს ვულოცავ იუბილეს. ხვიჩ, მიყვარხარო. გრუზინკა.

● ირმა91 და სოფი19, თქვენ გენაცვალეთ სულში და გულში. მიყვარხარო! ირმუშკა, მადლობა სიხარულო. ლინდა17, გამახარე, გენაცვალე. ასე შორიდან მიყვარხარო და გკოცნით. ლუნა.

● ეშმაკუნა, თითქოს ერთმანეთს ვგავართ. მეგონა, შენს კი არა, ჩემს ნანერს ვკითხულობდი. :) თუმცა, ბოლოს ცოტა მკაცრი იყავი. იქნებ არავინ თქვას შენზე ცუდი? :) სარვიეტა.

● მისტერ, შენი მჯერა და გენდობი. სულში შემოგველე. მოკითხვა ქალ ცდუნებას და მოხუცს. კამი, შენს დახატულ გოგოს უსასრულოდ ეყვარები. გაცოცხლებული თოჯინა.

● Ashley, გულს მოხვდი, გიჟოო. მაცდუნე რა, ქალო ცდუნება, მზად ვარ. ლუნიტა, ნეტავ ლუნა რატომ გეკია? ექსტაზ, ეს ნიკი რა პონტიმ დაირქევი? ნამდვილი მამაკაცი.

● ლამეა... სიჩუმე... სევდა და ცრემლები, ნატყენი გული და წაშლილი გეგმები, უსულო სხეული, ბოღმა და ბეგრები, რომლებიც ამბობენ, მოვა დრო, შევხვდებით... გულნატყენი.

● მიმიღებთ თქვენს პატარა ოჯახში? ძალიან საყვარლები ხარო. ბერბიჭა, ენიგმა, ლუნა, გენაცვალეთ, კარგები ხარო. გულნატყენი.

● ვაიმე, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიხარდა ჩემი „გზავნილებში“ გამოჩენა რომ შეამჩნიეს და გაუხარდათ. ყველაზე ძალიან მიყვარხარო. ძალიან მაგრები ხარო. ხათხუთა.

● Ashley PCD, დიდი მადლობა, ასეთი თბილი მიღებისთვის. მაგარი ხარ. ხათხუთა.

● მარის უფლებას ვაძლევ, ჩემი ნომერი მოგცეს და პირადში გეწყვი, რაც ვიგულისხმე. ჩემი საქციელი არავის თავშეკავებას არ ექვემდებარება, გაითვალისწინე! დათო.

● თოლია, დიდი სიამოვნებით გაგცნობი შენც და სხვა მგზავნილებსაც. ყველაზე

ძალიან კარგები ხარო და ძალიან მიყვარხარო. მარი, მადლობას გიხდი „გზავნილებისთვის“. ზუკი.

● ადამიანში სული ვეძიოთ, სორცი ბაზარშიც კი იყიდება. როგორ ხარო, ჩემო ძვირფასებო? გილოცავთ სწავლის დაწყებას. მენატრებით ძალიან! გკოცნით, თქვენი CRAZY GIRL.

● რეიდ ბოსს, ირმა91, გამეცანით. თოლია და სიკვდილი, გმადლობთ მოკითხვისთვის. ვზაიმო. 9717, მეც ყელში მაქვს ჩხუბი. Ashley PCD.

● აუ, რა სოფლელია! დილით სავარჯიშო თოფითა და შორტით ნაცუცუცული ტბაზე სარბენად და უცხოპლანეტელივით მათვალიერებდა ყველა. ოჰ, ლმერთო. Ashley PCD.

● მარ, რა არის, რა ყველაფერში მიმბლოკე? კაი, აღარ მოგწერ, ვაფშე. ნამდვილად არ ვაპირებ ხვენა-მუდარას, დამიბეჭდე-თქო. მე შენთვის არაფერი დამიშავებია. ასე რომ... Ashley PCD.

● ვაიმე! ჩემს ფისუნას რა უქნესოო! დამპალი რიპანას გამო 180 დღე მენაგვედ უნდა იმუშაოს, ვარსკვლავმა კაცმა? არაააა! Ashley PCD.

● ხოჩაღადელ, მარიამულულ. მაგვართ ხარი? მიმგუ ლადელ, მი სი მალააატ! ღერბეთ უჯამიდ... დამავო.

● ბატონ გოჩა თოფაძეს ძალიან დიდი მადლობა, ასეთი გულისმხიერებისთვის.

● ASHLEY, უკვე იგრძნობა შენი ფრთიანი მეს ზენოლა კუდიან და ჩანგლიან მეზე. ეგ კარგია და მხრის აბმას საჭიროებს. ნუ, შენებურად — პადქერჟკის. მისტერ.

● ყველა ჩემს კეთილმსურველს კეთილი გულით მოვიკითხავ. მადლობას გიხდით თქვენი სასიამოვნოდ მოსასმენი სიტყვებისთვის. P.S. სოფი19, ნეტავ რითი ვარ მაგარი? მისტერ.

● რეიდ ბოსს, დიდი მადლობა, ჩემო კარგო. მიშკა, არა მგონია, პირველი იყო სირცხვილის ჩარჩოში. სიხ. ლუნიტას, თოლიას და ირმუშკას მადლობა მოკითხვისთვის. მპუა. იკუშკები.

● ლუნუნ, Thanks a lot... god bless you! სიამოვნებით, მაგრამ ძველი „გზა“ არ მაქვს. თუ მეტყვი იმასაც, მერამდნეა შენი მესიჯი, სიამოვნებით. ASHLEY, ეს შენც გეხება.

● მითხარი, რომელ ნომერშია შენი განცხადება, მერამდნეა და... ვიცი, ვიცი, რომ კარგი ხარ. :) დიდი ხანია გავკირდებიისავით და გეტყობა. თან — აშკარად. :) FILIPPO.

● ასლა ეშმაკუნა ახტუნავდა და დავაცადოოო! იცოდეთ, არ აიძულოთ, თორემ დაგბრიდავთ. ესეც სახალისოდ. ჩაგვტუტეთ ყველას, ვისაც გინდათ! ნამდვილი მამაკაცი.



მიყვარხარ

● ჩემო ქმარუკავ, მიყვარხარ ცხოვრებაზე მეტად. უშენოდ ჩემს ცხოვრებას აზრი არ აქვს. მადლობა უფალს, რომ შეგვახვე-

# გზავნილება

დრა. შენი ბაჯბაჯა ცოლუკა. თ.დ.  
● მე ჩემს სიცოცხლეს ისე გარეუქებ, არ დაფიქრებდი არც ერთი წამით, შენი გულსითვის სამყაროს შევძრავ და თუ ვერ შევძრავ, ვეცდები მაინც. ბაჩიჩუ, მენატრები. მიყვარხარ.

● ნინწო და მანა, ძალიან მენატრებით, ჩემო ლამაზებო. მიყვარხარ. ევა.

● ვატუ, უზომოდ მიყვარხარ, უშენობა ვერ წარმომიდგენია. ჩემი უსაყვარლესი და ულამაზესი ბიჭი ხარ! შენი ნურბელა.

● სული მყინება ისე მენატრები, თვალს უშენობა ცრემლად დასდენია, ვიცი, სულ ბოლომდე ასე მეყვარები, მე ხომ შენს თვალში გული დამრჩენია. მიყვარხარ. ირმა91.

● თემ, მენატრები და უზომოდ ვიტანჯები. არ ვიცი, სადამდე გავუძლებ, მაგრამ რა ვქნა, რომ პატივბაც აღარ შემიძლია? ვიცი, არ დამივიწყებ, მე შენ ის სიყვარული გარეუქე, რასაც ვერავინ და ვერაფერი შეგიცვლის. თვა.

● მაი, ჩემო იდუმალო სიყვარულო, მენატრები უზომოდ და სამუდამოდ მიყვარხარ, იცოდე. შენ ჩემთვის ბევრს ნიშნავ. შენი კახუჩელა.

● ბუსუ, ჩემი ცხოვრება და სიყვარული ხარ, ძალიან მენატრები და მინდა შენი ნახვა, შენთან ჩახუტება, შენი სითბო და სიყვარული. მიყვარხარ სიყვარულად, შენი ბუსუ.



## გილოცავ!

● მინდა, ახლობლებს მივულოცო იუბილეები: 17 სექტემბერს მერის, 27-ში ავთოს, 28-ში საკუთარ თავს, 30-ში გიოს, 2 ოქტომბერს მიშკას (გენოს). ვუსურვო ყოველივე კარგი. აბეზარა.

● ქუთაისში მცხოვრებ ნათიას ვულოცავ დაბადების დღეს, 14 სექტემბერს. ვუსურვებ ყველაფერს კარგს. შორენა. შენი ტყუპისცალკუკა.

● ჩვენს ძმას და ბიძაშვილს, რუსთაველ ანრი ჭიპაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 14 სექტემბერს. ბედნიერებას და ღმერთის წყალობას გისურვებთ, ჯიმა. ვოვა და მიშკოკო.

● მაქსიმე ყიფშიძეს ვულოცავ ქალიშვილის, პატარა ლიზის დაბადებას. ღმერთმა სასახელო და საამაყო ქალი გაგიზარდოს, ჩემო სიყვარულო. ბედნიერი მამა ყოფილიყავი. ნაცნობი.

● ქუთაისელ ლიკა დევიძეს ვულოცავ გაბედნიერებას. ვუსურვებ გამრავლებას და ყოველივე კარგს, საყვარელ მეუღლესთან ერთად. ინგა (ნიკიელი).

● გელა თათუნაშვილო, გილოცავ დაბადების დღეს, 7 ოქტომბერს. არ მინდა, სხვამ დაამსწროს მილოცვა. იცოდე, ბედნიერი ვარ, რომ არსებობ. მიყვარხარ, მენატრები.

● ახალციხეში, მერაბ აბრამიშვილს 19 სექტემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელი და უფლისგან დალოცვილი

მეყოლე, დედიკო. ასევე მთავარანგელოზობას გილოცავ. დედიკო.

● დაბადების დღეს, 17 სექტემბერს და 23 სექტემბერს ვულოცავ ქრისტინა და სოფიკო ახალაძებს, დიდი სიყვარულით. ვუსურვებ ულევ სიხარულს. გვარავდეთ უფალი. ცინარა ბებია.

● ჩემს პატარა, ობოლ ნატუკა ხუბაშვილს ვულოცავ 117-ე სკოლის ეზოში პირველი ნაბიჯების შედგმას. დედი, გისურვებ ჯანმრთელობას და სუთიანებზე სწავლას. მალაღმა ღმერთმა დაგლოცოს და შენი ლამაზი გამჩენი დედიკოს სულმა. მე შენს გაზრდაში ათასი ლამე, ათასი ნუთი მითენებია, შენს სიყვარულში უძილო ლამე ბევრჯერ თავზე დამთენებია. არ გაგრძობინებ მე უდედობას, ვიზრუნებ შენზე, რაც შემიძლია, მინდა, რომ მუდამ ისწავლო კარგად, რომ მომავალში იცხოვრო ლაღად, ჩემო პატარა მინდვრის ფერიავ, შენს გამზრდელ დედას ძლიერ უყვარხარ. შენი ლია დედა.

● ქეთი ბეგიაშვილს და ზურა მუშუქუდიანს ვულოცავ ვაჟიშვილის დაბადებას. სახელოვანი ვაჟი გაგზარდოთ მშობლებსა და სამშობლოს საამაყოდ. გვარავდეთ ყველაწმინდა. თამილა.

● იზა და თენგი ბეგიაშვილებს ვულოცავთ შვილიშვილის შექმნას. ბედნიერი ბებია-ბაბუა ყოფილიყავით. გაიხარეთ და გამრავლდით. ულევ სიხარული არ მოგკლვებოდეთ. გკოცნით. თამილა.

● გაგნიძე ლაზარეს დაბადების დღეს ათენიდან ულოცავს უცნობი ბებო. ჯანმრთელი და სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყავი, ჩემო პატარა ანგელოზო. ბედნიერი ბავშვობა და ნათელი მომავალი გქონდეს. მარია გაგნიძე.

● ათენში 13 სექტემბერს დაბადების დღეს ვულოცავთ აზა ჩუბინიძეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, გამძლეობას და ღვთის წყალობას, თავის საყვარელ შვილთან ერთად. ულოცავენ დედა და და.

● ციცო ხუსკივაძეს ვულოცავთ შვილიშვილის დაბადებას. ღმერთმა ჯანმრთელი და სასახელო ვაჟკაცი გაზარდოს. ანიკო, აზა და ინგა.

● ვანიკოს და მაკას ვულოცავთ სტუდენტობას. ვუსურვებთ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში. ბებო, დედა და დეიდა.

● 11 სექტემბერს დაბადების დღეს ვულოცავ მაკა ზუპაკაშვილს. ბედნიერებას ვუსურვებ, ქმარ-შვილთან და ახლობლებთან ერთად. მენატრები. მზია ბიცოლა.

● ჩემს მონატრებულ შვილიშვილს, ლიკა ტუხაშვილს ვულოცავ სწავლის დაწყებას. სულ წარმატებები გქონოდეს. ღმერთს ებარეოდე. მაია ბებო.

● ჩემს მონატრებულ ანგელოზს, სალომე ცხადაძეს 26 სექტემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო ლამაზო, გისურვებ

ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს. ია-ვარდით მოფენილ გზაზე გველოს, მთელი ცხოვრება. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. დედის ლოცვა გვარავდეს განსაცდელისგან.

● ბაღდათის რაიონში ნიკა ნიორაძეს და გიორგი ბუიძეს ვულოცავ პირველი სასწავლო წლის დადგომას. გაიხარეთ საყვარლებო და გაახარეთ თქვენი კარგი სწავლით მშობლები და ახლობლები. თქვენი მამიდა, ბიცოლა იზო.

● ბაღდათის რაიონში, წითელიხევის საშუალო სკოლის დირექციას, პედაგოგებს და მოსწავლეებს ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დადგომას. გაიხარეთ და კიდევ ბევრი კარგი ახალგაზრდა გაგზარდოთ ჩვენი სოფლის გასახარად. იზო ნიორაძე.

● 20 სექტემბერს ლია ჭანკვეტაძეს დაბადების დღეს ვულოცავ. ჩემო ლია, გილოცავ ამ ლამაზ დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, ბარაქასა და ულევ სიყვარულს. გაიხარე, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. გისურვებ მიზნების მღვდელ განხორციელებას. დალი კოჭლამაზაშვილი.

● ჩემს ნატალია შუბითიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გილოცავ ამ ლამაზ დღეს, გისურვებ ცხრათვალა მზეს, ცის შუქის ყველა ფერს, სიყვარულს, სიხარულს ბევრს! და მაინც გისურვებ ერთს, უზომოდ უყვარდე ღმერთს. დალი კოჭლამაზაშვილი.

● ლია ჭანკვეტაძეს მინდა მივულოცო 20 სექტემბერს დაბადების დღე. ლია, გილოცავ ამ ლამაზ დღეს, გისურვებ ულევ სიხარულს, შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. გვარავდეს უფალი. გკოცნი, მზია ალავერდაშვილი.

● ლუკა თათარაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. მონატრებული სიხარულით და სიყვარულით, გილოცავ ბებო, დაბადების დღეს. სასახელო ბიჭი გაგზარდე დედიკოს და მამიკოს. უფლის, ღვთისმშობლის, წმინდანების მფარველობა არ მოგკლებოდეს. გკოცნი, მზია ბებო.


● სონში სვეტა ტვილდიანს მინდა მივულოცო დაბადების დღე და ვუსურვო საუკეთესო, ლამაზი წლები. სვეტა, გვარავდეს მუდამ ღმერთი. ნესტანი.

● მზია გრევოს ვულოცავ მარის დაბადების დღეს და ვუსურვებ ლამაზ წლებს. მზია, მარისთან ერთად ნუ მოგკლებოდეს ღვთის წყალობა. ნესტანი.

● ჩემს მონატრებულ ნათიას, ბადრი გოგიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს, თავის ოჯახთან ერთად. პატარა რამაზ ბუჩუქურა.


● ჩემს ერთ დროს უახლოეს მეგობარს, ქეთი მალაფერიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. მართალია, ერთმანეთი დავკარგეთ, მაგრამ მაინც არ მავიწყებდა ჩვენი მეგობრობა.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



# ტანიმ-სუტი

**ფოტო, რომადავს  
წარწარა დაკარგა**



ამ ფოტოსტვის შესაბამისი წარწარა  
უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე:  
8.77.45.68.61

ჩემუდი ვერსია 51 ასეთია:

**WOW! რამდენი  
მკითხველი ჰყოლია  
„გზას“?!**

# არის თუ არა საჭირო „დიდი კაბი“ ქართულ პოლიტიკაში



ბავშვობაში ზღაპრებს დედა უკითხავდა. პირველი წიგნი, რომელიც დამოუკიდებლად წაიკითხა, „შერლოკ ჰოლმის თავგადასავალი“ იყო, შემდეგ კი წიგნების კარადიდან მაინ რადის ტომები გადმოვიღო. წუსს, რომ დღეს მხატვრული ლიტერატურისთვის დრო ნაკლებად რჩება. ბოლოს, პაულო კოელიოს „ალქიმისი“ წაიკითხა. ვაჟა-ფშაველა, ტერენტი გრანელი, ბალზაკი და ბუღაგაკოვი მისი საყვარელი ავტორები არიან. ხალხური ლექსიდან — „ბაღდა ვეფხისა და მოყმისა“ სულიერ საზრდოს იღებს, თანამედროვეობის ყველაზე დიდ მწერლად კი გურამ დოჩანაშვილს მიიჩნევს. მას ასე, „ერუდიტის“ სტუმარი პარლამენტის წევრი შოთა მალაშენი გახლავთ.

## „ამ ინიციატივით პარლამენტში აუცილებლად გამოვალ“

თავისუფალი პრესა

### პრაქტიკული მაგიერ

— ბატონო შოთა, გულწრფელად მითხარით, ოდესმე წიგნი თუ მოგიპარავთ?

— (იცინის) მიუხედავად იმისა, რომ წიგნები ძალიან მიყვარს, ასეთი შემთხვევა არ მახსენდება. ერთხელ მეგობარმა ბიბლიოთეკიდან ტერენტი გრანელზე დაწერილი ბიოგრაფიული წიგნი — „კვირის წირვები“ მომიტანა. როცა წაიკითხე, იმდენად მომეწონა, რომ ბიბლიოთეკაში აღარ დავბრუნებინე და მის სანაცვლოდ გარკვეული თანხა გადავიხადე. მე რომ რეჟისორი ვიყო, ტერენტი გრანელზე ფილმს აუცილებლად გადავიღებდი.

— როგორც ვიცი, პროფესიით ექიმი ხართ.

— დიახ, ექიმი-ნევროპათოლოგი ვარ. 1989-2003 წლებში ჩემი პროფესიით ვმუშაობდი.

— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პოლიტიკაში წახვედით. ამას ხომ არ ნანობთ?

— არა!

— როგორია თქვენი რეაქცია მაშინ, როცა გაკრიტიკებენ?

— ჩემს ახლობლებს ყოველთვის ვეუბნები, ამა თუ იმ გამოსვლას თვალი ადევნონ და მითხრან, რა იყო მასში ცუდი. ხშირ შემთხვევაში, მათ წერილმანებზეც კი ვთხოვ ყურადღების გამახვილებას (მაგალითად, როგორი ქართული ვლადიმერ პუტინი ან იმ დროს როგორი გამომეტყველება მაქვს და ა.შ.). ჯანსაღი კრიტიკა მისასალმებელია. ეს ნებისმიერ ადამიანს „გაზრდაში“ ეხმარება.

— ეს სასარგებლო წიაღისეული ჩვენს წელთაღრიცხვამდე II-I ათასწლეულებში ოქროზე ძვირად ფასობდა.

— თუ შეიძლება, კითხვა გამიმეორეთ (გამეორების შემდეგ) ალბათ, რკინას გულისხმობთ, არა?

— დიახ. კონფუცი ცუდ მმართველად მას მიიჩნევდა, ვინც ხალხს სძულდა, ხოლო ცოტა უკეთესად მას, ვინც ხალხს უყვარდა. ვის მიიჩნევდა იგი საუკეთესო მმართველად?

— მას, ვისაც ხალხი უყვარდა.

— ცდებით, ბატონო შოთა. ჩინელი ფილოსოფოსი საუკეთესო მმართველად იმას მიიჩნევდა, რომლის სახელიც ხალხმა არ იცოდა. ცნობილი ფაქტია, რომ ფრანგი მხატვარი პოლ გოგენი დროის დიდ ნაწილს ეიფელის კოშკში მდებარე კაფეში ატარებდა. რატომ?

— არ ვიცი.

— ეიფელის კოშკი არ მოსწონდა და ამბობდა, ეს კაფე ერთადერთი ადგილია, საიდანაც ეს საშინელება არ მოჩანსო.

— ეს ნამდვილად არ ვიცოდი, მაგრამ ცნობილია, რომ ფრანგებმა, თავის დროზე, მინის პირამიდის დადგმაც გააპროტესტეს, ხოლო ეიფელის კოშკს „რკინის ჯართს“ უწოდებდნენ. ისინი ზოგადად, სიახლეებს ვერ ეგუებოდნენ.

— რომელ ქვეყანას ეკუთვნის ალდგომის კონტულები? — ავსტრალია.

— რაფაელო საბატინის „კაპიტან ბლადის ოდისეაში“ თავდაპირველად, რა პროფესიის იყო პიტერ ბლადი?

— (ფიქრობს) ვერ გავიხსენე.

— ის ექიმი გახლდათ.

— ჩემი კოლეგა ყოფილა.

— რომელი უზნის სახელით ვიცნობთ თბილისში 1903 წელს დაარსებულ არალეგალურ სტამბას?

— ავლაბრის სტამბის სახელით.

— 1953-61 წლებში ამერიკის პრეზიდენტი ეიზენჰაუერი გახლდათ. რომელი პარტიიდან იყო იგი?

— თუ კარგად მახსოვს, „დემოკრატების“ გუნდიდან.

— ცდებით, იგი „რესპუბლიკელი“ გახლდათ. ვინ შეასრულა ილიკოს როლი ფილმში — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“?

— სანდრო ჟორჟოლიანმა.

— ეს უმდიდრესი მხატვარი ფულს ბანკში არასდროს ინახავდა, — ბანკები კორუფციიდან და მათი მენაბრეები ფანჯრებიდან სტებიანო. რომელ მხატვარზეა ლაპარაკი?

— პიკასოზე.

— მას ეთანხმებით?

— არა, განსხვავებული პოზიცია მაქვს. ჩემი დანახოგიდან 10.000 ლარი „TBC ბანკში“ მაქვს შენახული.

— სად გადაიხადეს ქორწილი თამარ მეფემ და დავით სოსლანმა?

— არ ვიცი.

— დიდუბის სასახლეში. XIII საუკუნეში, მოგზაურების წყალობით, ევროპაში ჩნდება აღმოსავლეთის ქვეყნების აღწერილობა. დაასახელეთ იმ პეროიდის ცნობილი ვენეციელი მოგზაური, რომლის მარშრუტიც ერთ-ერთმა ცნობილმა იტალიელმა მოგზაურმა, კარლო მარკო პოლომ გაიმეორა.

— არ ვიცი.

— მარკო პოლო. რა პქვია მზის ღვთაებას ძველგვიგობურ მითოლოგიაში?

— არ ვიცი.

— რა ვინ მიიჩნევა ქართული საოპერო მუსიკის



— რა ვინ მიიჩნევა ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებლად?

— მელიტონ ბალანჩივაძე.

— „ვინც უპირველესად არ არის ადამიანი, ის ვერასდროს გახდება ექიმი“ — ვის ეკუთვნის ეს ცნობილი გამონათქვამი: ალექსანდრე მაკედონელს, დიოგენეს თუ არისტოტელეს?

— ალექსანდრე მაკედონელს.

— რამდენი გქონიათ ხელფასი, თუ მისი 20%-ით გაზრდის და ამის შემდეგ, 20 ლარით შემცირებისას იგივე დაგრჩებათ?

— კომაროვის სკოლა მაქვს დამთავრებული და რომ ვერ გიპასუხოთ, სირცხვილია (ფიქრობს) 100 ლარი. სწორად გამოვიანგარიშე?

— დიას. წყალბადის გარდა, რომელი ელემენტი შედის მარლმეფავას შემადგენლობაში — ქლორი, გოგირდი, ნატრიუმი თუ აზოტი?

— ქლორი.

— ვინ დაარსა საფრანგეთის უმაღლესი ჯილდო — საპატიო ლეგიონის ორდენი?

— (ფიქრობს) დალილი ვარ, დილის საათებში უნდა შეგვედროდი.

— ბატონო შოთა, საფრანგული პასუხებს ჩამოგიტოვლით: კარდინალი რუშელიე, ნაპოლეონ I, ჟანა დარკი.

— ნაპოლეონ -მა.

— სად არსებობდა ძველი მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ბიბლიოთეკა?

— ალექსანდრიის ბიბლიოთეკა უძველესია.

— ვინ არის ქანდაკების — „ქართლის დედა“ — ავტორი?

— ელგუჯა ამაშუკელი.

— დიდ ბრიტანეთში რას ეძახიან დედოფლის ძმას?

— არ ვიცი.

— კონსორცი. რომელი სახელმწიფოს გერბზეა გამოსახული თამბაქო?

— ბრაზილიის გერბზე.

— ქართული ხალხური ეპოსის რომელი გმირი იყო ნადირობის ქალღმერთის — დალისა და უცნობი მონადირის შვილი?

— (ფიქრობს)...

— მარტივი კითხვაა, კლდეზე.

— (მანყვეტინებს) მიჯაჭვული ამირანი.

— ძველ რომში, როცა კონსული თანამდებობას იბარებდა, ფიცს სდებდა, რომ კანონებს კეთილსინდისიერად დაიცავდა. რას აკეთებდა I წლის შემდეგ, როცა თანამდებობიდან წასვლის დრო მოდიოდა?

— არ ვიცი.

— იფიცებდა, რომ სიტყვა პირნათლად შეასრულა.

— მომენონა, ამ ნინციატივით პარლამენტში უნდა გამოვიდე.

— კარგი იქნება, დეპუტატები შვარს თუ დაგიჭერენ.

— შევთანხმდეთ, ამ წინადადებით მათ აუცილებლად მივმართავ.

— დასახელებული ოქროს 2-ფრანკიანი ფული, რომელსაც ნაპოლეონ I-ის დროს საფრანგეთში ჭრიდნენ.

— ვერ დაგისახელებთ.

— ნაპოლეონდრო. რომელი საკვები პროდუქტი იყიდებოდა შუა საუკუნეებში, როგორც ტკივილგამაყუჩებელი და დალილობის საწინააღმდეგო საშუალება?

— ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ, მაგრამ ვიცი, რომ თავდაპირველად, „კოკა-კოლას“ ავთიაქებში, როგორც ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას, ისე ჰყიდდნენ. ასე რომ, შეგიძლიათ, სხვა რესპონდენტებს კითხვა კოკა-კოლას შესახებაც დაუსვათ (იცი-ნის).

— დასმული კითხვის პასუხია — შაქარი. დღეს არსებულთაგან, რომელი სამი ქალაქია უძველეს დედაქალაქებად მიჩნეული?

— რომი, ათენი და... მესამე რომელი იქნება? (ფიქრობს) დელი ხომ არა?

— გამოიცანით. რომელი ქართველი მხატვრის მოხატულია ქაშუეთის ტაძრის საკურთხეველი?

— რომი, ათენი და... მესამე რომელი იქნება? (ფიქრობს) დელი ხომ არა?

— გამოიცანით. რომელი ქართველი მხატვრის მოხატულია ქაშუეთის ტაძრის საკურთხეველი?

— რომი, ათენი და... მესამე რომელი იქნება? (ფიქრობს) დელი ხომ არა?

— გამოიცანით. რომელი ქართველი მხატვრის მოხატულია ქაშუეთის ტაძრის საკურთხეველი?

— ლადო გუდიაშვილის.

— დიას, მან საკურთხეველი 1946 წელს მოხატა. პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა აშშ-ის იმდროინდელი პოლიტიკის ძირითადი პრინციპი ასე ჩამოაყალიბა: „ილაპარაკე რბილად, მაგრამ ხელში გეჭიროს...“

— „...მათრახი“.

— „...დიდ კეტი“. ამ მოსაზრებას თუ ეთანხმებით?

— თანამედროვე პოლიტიკაში ცოტა სხვანაირი მიდგომაა საჭირო. გამოკვეთილად და მარტივად უნდა ილაპარაკო, რომ ყველამ კარგად აღიქვას.

— ანუ ქართულ პოლიტიკაში „დიდი კეტი“ საჭირო არ არის?

— არა და აქვე იმასაც გეტყვით, რომ ჩემგან რუზველტი არ გამოვა.

— „სამშობლოს არვის ნაფართმევთ, ნურც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრიო, მკვდარსაც კი გაეცინება“ — ვინ არის ამ ცნობილი სტროფის ავტორი?

— ვაჟა-ფშაველა.

— მან სიკდილის წინ რისი მიტანა ითხოვა?

— მგონი, მთის ბალახის მიტანა, არა?

— დიას. საქართველოს რომელი კუთხის შვილები არიან დავით კლდიაშვილის მოთხოვნების პერსონაჟები?

— იმერლები. თავად დავითს, როცა რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნდა, ქართული ენა იმდენად დავინწყებული ჰქონდა, რომ თავდაპირველად, მშობლებს თარჯიმნის საშუალებით ელაპარაკებოდა.

— 1992 წელს ურუგვაიში აიკრძალა ის, რაც ამ ქვეყანაში სხვებთან შედარებით, დიდხანს შემორჩა, არადა იყო დრო, როცა ეს ღირსების საქმედ მიიჩნეოდა. რაზეა ლაპარაკი?

— ვერ გიპასუხებთ.

— დუელზე კანტს ჰკითხეს: რომელი ქალია უფრო ერთგული — შავგვრემანი თუ ქერაო? მისი პასუხი მეტად ორიგინალური იყო. რა უპასუხა კანტმა კითხვის ავტორს?

— ეს გამონათქვამი მახსოვს, მან ყველაზე ერთგულად ჭაღარა ქალები მიიჩნია. ჩემი აზრით, ერთგულება ასაკზე ნამდვილად არაა დამოკიდებული. ისეთი ჭაღარა ქალებიც არსებობენ, რომლებმაც ერთგულება რა არის, არც კი იციან.

— რას ნიშნავს ლათინური სიტყვა „დეპუტატი“?

— რწმუნებულს.

— კვირის რომელ დღეს იყო საიდუმლო სერობა?

— ხუთშაბათს.

— ამ მკვლე ჩვევას მარკ ტვენი დიდებულ მანკიერებას ეძახდა.

— თამბაქოს მოწვევას გულისხმობდა. ცნობილია, რომ მან მოწვევას თავი რამდენჯერმე დაანება, მაგრამ საბოლოოდ, მისი გადაგდება ვერ შეძლო.

— ჰიტლერის არმიის საჯარისო შენაერთს, რომელიც მხოლოდ ალპინისტებით იყო დაკომპლექტებული, „ედელვაისი“ ერქვა. გერმანიის დროშა იალბუზზე სწორედ მათ აიტანეს. ვინ ჩამოსხნა შემდგომში იგი?

— სვანმა ალპინისტებმა ჩამოსხნეს.

— რის გამო ჩასვეს ალ კაპონე ცინეში, 12 წლით?

— გადასახადების გადაუხდელობის გამო.

— ვისი ნაწარმოების მიხედვითაა გადაღებული ქართული მხატვრული ფილმი „ქვევრი“?

— ლუიჯი პირანდელოს.

— დასახელებული ქართველი პოეტი, რომლის დედა

— ეკატერინე აბაშიძე იმერეთის მეფის — სოლომონ I-ის შვილიშვილი გახლდათ.

— აკაკი წერეთელი.

— დაბოლოს, დაასრულეთ უენსტონ ჩერჩილის გამონათქვამი: „ფიქრობ, ისტორია ლმობიერი იქნება ჩემ მიმართ, რადგან თავად ვაპირებ...“

— „ისტორიის შეცვლას“.

— „დავწერო იგი“.

# გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული  
მართხველისათვის  
(პითხვაბი)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

## „პასუხების“ სვებისათვის არ გაგაქცეთ თვალი

1. „მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა“ — რომელი სიტყვის მნიშვნელობაა განმარტებული ამგვარად სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში?
2. ევგენი ზამიატინის ერთ-ერთ ნაწარმოებში არის ეპიზოდი, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ მიდიან რევოლუციის დროს გლეხები თავიანთი ბატონის მამულის დასარბევად. გლეხები მემამულეს სახლში შეუტყვიდნენ და ყველაფრის მტვრევასა და განადგურებას მიჰყვეს ხელი. ბოლოს, ერთ რომაულ ქანდაკებას მიადგნენ და შეჩერდნენ, რადგან ბატონმა შესძახა: ხელი არ ახლოთ, ეს მარსის ქანდაკებააო. გლეხებმა რბევას თავი ანებეს, ბოდიში მოიხადეს და სახლი სასწრაფოდ დატოვეს. რატომ?
3. ერთხელ პეტრე I თავისი მეუღლის, ეკატერინეს პირად კაბინეტში მენშიკოვს სპარსეთში შესაძლო ლაშქრობის შესახებ საიდუმლოდ ეთათბირებოდა. მეორედღეს, ამის შესახებ მთელი სამეფო კარი ლაპარაკობდა. ვინ გათქვა საიდუმლო?
4. რა არის ტყრუშული?
5. ეს რუსი მხედართმთავარი იმდენად იყო შეჩვეული სავალე პირობებში ცხოვრებას, რომ სახლშიც იატაკზე ეძინა. დაასახელეთ იგი.
6. ვინ შეარქვა მარგარეტ ტეთერს „რკინის ლედი“?
7. რა არის ნენონი?
8. დაასახელეთ შეერთებული შტატების რიგით მეორე მოცე პრეზიდენტი.
9. რა არის ლაფათა?
10. როგორ ადამიანს ეძახიან ნარუკას?
11. რა არის ჩხო?
12. ტოკიოს ზოოპარკი ყოველ წელიწადს, ორი თვით იხურება. რატომ?

# ანექდოტები

\*\*\*

ქალები ორღობეში სხედან. ერთი მეორეს ეუბნება:



— წუხელ ვილაცამ დააკაკუნა. ვალებ კარს და ვხედავ, მეზობლის კაცი დგას. მეკითხება: შენი ქმარი სახლშიაო? — არა-მეთქი, — ვუთხარი თუ არა, შემოვარდა, გამაუბატიურა და წავიდა. ნეტავ, ჩემს ქმართან რა საქმე ჰქონდა?!

\*\*\*

მიხოს ცოლს მეათე შვილი შეეძინა. ექიმმა, რომელმაც ქალი ამშობიარა, მიხო მიიხმო:

— სხვა დროს, როდესაც ცოლთან დაწოლა მოგიწევდა, იმაზეც იფიქრეთ, შეძლებთ თუ არა ამდენი შვილის გამოკვებას?!

— ეჰ, ექიმო, როდესაც მინდება, ვგრე მგონია, ცოლ-შვილს კი არა, მთელ კახეთს გამოკვებავ.

\*\*\*

ცოლი სარკესთან დგას და ქმარ ეკითხება:

— რა მოგწონს ჩემში ყველაზე მეტად — ჩემი ლამაზი სახე თ მშვენიერი ტანი?

— შენი იუმორის გრძნობა.

\*\*\*

დედა შვილს ეუბნება:

— უფრო კარგად უნდა იმეც დინო! ფრიადოსნობას არ გთხოვბრალოდ, მომბებრდა მშობელი კრებაზე ფსევდონიმით სიარული.

\*\*\*

განცხადება:  
„ვიბარებ ქალიშვილობას. ფასი შეთანხმებით“.

\*\*\*

ცოლი ქმარს ეუბნება:  
— ძვირფასო, ადრე სულ მეუბნებოდი, შენ ჩემთვის მთელი სამყარო ხარო.  
— მაშინ გეოგრაფიაში მოვიკოჭლებდი.

\*\*\*

მამა შვილს მოძღვრავს:  
— აი, დაქორწინდები და მიხვდები, თუ რა არის ნამდვილი ბედნიერება.  
— მართლა, მამი?!

— მართლა, მართლა, მაგრამ უკვე გვიან იქნება.

\*\*\*

— სად მიდიხარ, რაჟიკუნა?  
— მე თვითონაც არ ვიცი!  
— მომიცადე, მეც მაქვთ მოვდივარ!

\*\*\*

ჩემოდნებიანი ქალის გვერდით მანქანამ დაამუხრუჭა.

— დაბრძანდით, ქალბატონო, წავიყვანთ. მე ისეთი მძლოლი არ გეგონოთ, ზოგიერთები რომ არიან, მხოლოდ ახალგაზრდა და ლამაზი ქალები რომ მიჰყავთ.



\*\*\*

სვანმა სანთელი იყიდა, შეჭამა და უკმაყოფილოდ განაცხადა:



— ვააა! არც თხილი, არც კაკალი, მარტო ფელამუშს კიდე, რა ცუდი გემო ჰქონია.

\*\*\*

მეგრელმა სვანი კინოში დაპატიუა. კადრში ჩანს, როგორ ადის კაცი კლდეზე. მეგრელმა დაიჟინა:

— ჩამოვარდება ახლა მაგი!  
— არ ჩამოვარდება! — ეუბნება სვანი. დანაძლევედნენ და სვანმა წააგო. ფილმი რომ დამთავრდა, მეგრელი სვანს გამოუტყდა:

— ბოდიში უნდა მოგიხადო, ეს ფილმი ნანახი მქონდა.

— მეც მქონდა ნანახი, მაგრამ ვიფიქრე, ერთხელ რომ ჩამოვარდა, ეგ დალოცვილი, მეორეჯერ ჭკუას ისწავლის-მეთქი.

\*\*\*

— მე ექვსი ფორტოხალი გთხვეთ, აქ კი ხუთია.

გამყიდველი:  
— მეექვსე ისეთი დამპალი იყო, თვითონაც გადააგდებდით.

\*\*\*

ექიმმა ავადმყოფი გასინჯა და ჭიჭიკიას ეუბნება:

— რაცხა არ მომწონს შენი სიდ-ედრი, ჩემო ჭიჭიკია!

— არც მე, მაგრამ გადასარევე კერძებს ამზადებს.

\*\*\*

ბიბლიოთეკაში:

— ამ წიგნში 10 დოლარი ვიპოვე. ამავე ავტორის სხვა ნაწარმოები ხომ არა გაქვთ?

\*\*\*

ქმარი ცოლს ეუბნება:

— უნდა გამოგიტყდე, ძვირფასო, მაგრამ როცა შენთან სექსი მაქვს, სხვა ქალებზე ვფიქრობ.

— შე უნამუსო! მე კიდეც, როცა სხვა კაცებთან მაქვს სექსი, სულ შენზე ვფიქრობ!

\*\*\*

— გეფიცებით, ბატონო მოსამართლეც, დამნაშავე არა ვარ.

— ნასამართლევია ხართ?

— არა, ეს ჩემი პირველი ქურდობა იყო.

\*\*\*

— თქვენი გოგო დედას ჰგავს?

— არ ვიცი, ჯერ ლაპარაკი არ იცის.

# გონების საპარჯიშო

## „გზის“ ერთგული მართხველისათვის

### (პასუხები)

1. სიტყვა „შურის“ მნიშვნელობა.
2. რომაელთა ომის ღმერთი — მარსი მათ კარლ მარქსში აერთა.
3. ეკატერინეს თუთიყუშმა, რომლის გალიაც იმავე კაბინეტში ეკიდა, სადაც იმპერატორი თავის ქვეშევრდომს ეთათბირებოდა. წინააღმდეგ გაზუპირებული სიტყვებს თუთიყუში მთელი ხმით გაჰყვიროდა: „იდიომ ნა პერსიუ! იდიომ ნა პერსიუ!“
4. ასე ეძახიან მსხვილი ნწელიდან დაწულ ლობებს.
5. მიხაილ სუფოროვი.
6. რუსმა ჟურნალისტებმა ინგლისის პრემიერ-მინისტრი ამ სახელით პირველად 1976 წელს, გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“ მოიხსენიეს.
7. მარილთან ერთად დანაყოფი ნიგოზი. ამგვარი ნაზავი კარგად ინახება.
8. რონალდ რეიგანი.
9. თონეში ლავაშის ჩასაკრავი ბალიში. იგი ნამჭეით ან თივით არის ხოლმე გატენილი.
10. უსუფთაოს.
11. სათესლე მარცვლეული.
12. ცხოველებმა დამთვალაიერებლებისგან რომ დაისვენონ.

# ჩვენი ფანტაზია



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგიგზავნოთ ელფოსტით: [gza.fantazia@gmail.com](mailto:gza.fantazia@gmail.com), „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიანერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდლოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებძის ქ. №49.

# როგორ უნდა გამოიყურებოდეს ქალი

## ანუ ღიზინარის რჩევათი ფაზის ნაღის დასაფარავად

ფესაცმელების დიზაინერი თათა ვარლანაშვილი ახალ კოლექციაზე მუშაობს, რომელსაც კიევის მოდის კვირეულზე წარადგენს, მოგვიანებით კი იმავე კოლექციას ქართველი მომხმარებელიც იხილავს. რა სტილისა და ფერის ფესაცმელები იქნება მოდაში მიმდინარე წლის შემოდგომასა და ზამთარში? — ამ და სხვა კითხვებზე თავად დიზაინერი გაგვცემს პასუხს.



### ლალი პაპასკირი

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ფესაცმელების ახალ კოლექციაზე მუშაობს. სად გაიმართება ამ კოლექციის პრეზენტაცია?

— უკრაინაში ალექსანდრე გოვჭუკისა და ჩემი კოლექციის ერთობლივი ჩვენება იგეგმება და ახლა სწორედ ამზე ვმუშაობ. ეს „პაკაზი“ უკრაინის მოდის კვირეულს დაემთხვევა. გარდა ამისა, სწორედ იმ დღეს კიევის საქართველოს ახალი საელჩო იხსნება. საელჩოს გადაწყვეტილებით, ჩემი და საშას ჩვენება საქართველოს მიეძღვნება. ჩვენს კოლექციაში საქართველო ტრადიციული ჩოხითა თუ სხვა ნაციონალური შესამოსლით არ იქნება წარმოდგენილი, მაგრამ მინც, ის ქართული სულით იქნება გაჟღერებული. მე და საშა შევთანხმდით, რომ ორივე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შევქმნიდით საკუთარ კოლექციას: საშა ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელს შეკერავს, მე — ფესაცმელს. შესაბამისად, იმას რასაც ახლა ვამზადებ, საშასთვისაც სიურპრიზი იქნება. ჩემს კოლექციაში ქალის ფესაცმელები ქართული ხასიათის ნაქარგებით იქნება განწყობილი. რაც შეეხება მამაკაცის ფესაცმელს, ვფიქრობ, ის აზიური სტილისა და ქალამენტის ნაზავი იქნება. ჩემი აზრით, ამ ჩვენება უკრაინაში იდგი გამოსხაურება მოჰყვება. პირადად მე, საშას შემოქმედება ძალიან მომწონს. მისი ნამუშევრები ჩემს ხა-

სიათთან ახლოსაა. როცა საშა საქართველოში იყო, მან აქაურობა დაათვალიერა და ჩვენი ხასიათიც კარგად გაიცნო. შესაბამისად, ეჭვი არ მეპარება, რომ ამ დღისთვის კარგ და საინტერესო კოლექციას შექმნის.

— იმავე კოლექციის საქართველოში ჩვენებას არ აპირებთ?

— რასაკვირველია, ასეთი გეგმაც გვაქვს და ალბათ, საახალწლოდ ჩვენს ერთობლივ ჩვენებას ქართველი ხალხიც იხილავს. მინდოდა, ეს „პაკაზი“ ჩემი კოლექციის გახსნისთვის დამემთხვია, მაგრამ არ გამოვიდა — ამაში უკრაინის მოდის კვირეულმა შემიშალა ხელი (იცინის).

— როგორც შენ თქვი, კოლექციის გახსნას გეგმავ იქნებ, ოროდღე სიტყვით ამაზეც გვესაუბრო.

— ოქტომბრის თვეში მოდის სახელობო ლიცეუმს გაუხსნით, სადაც ფესაცმლისა და ტანსაცმლის მოდელირების დარგში საშუალო და დაბალი დონის სპეციალისტებს გადავაზადებთ. ჩვენ მიერ გაცემული სერტიფიკატით მათ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში შეეძლებათ მუშაობის დანახვა.

— ახლა ისევ ფესაცმლის მოდას დაფურუხდით. წლებიანდელ შემოდგომა-ზამთარში როგორი ფესაცმელია ყველაზე მოდური და აქტუალური?

— ამ სეზონზე მანდილოსნებს შეუძლიათ, ჭრელი გამაშების ქვეშ სადა ფესაცმელი ჩაიცვან, რადგანაც მოდაში დაბალი და ფართოყელიანი ჩექმა, რომელსაც შალის მაღალყელიანი გეტრები და ენ. გამაშები მოუხდება. ჩექმის ქუსლი ძალზე მაღალი უნდა იყოს. ჩემი აზრით, ქართველი ქალბატონები გონივრულ სერხს მიმართავენ და წელს საშუალო ზომის ან მაღალყელიანი ჩექმას არ ჩაიცვამენ. თუ გასურთ, მოდის მიმდევრები იყოთ, უნდა შეიძინოთ

დაბალყელიანი ჩექმა, ენ. შუბი ან ნავის ფორმის ფესაცმელი.

— გამაში და ნავის ფორმის ჩექმა ყველა სტილის ტანსაცმელს მოუხდება?


— ფესაცმლის მოდა ტანსაცმლის მოდაზე მკვეთრად და დამოკიდებულია. იმის გამო, რომ ამ შემოდგომა-ზამთარში ძალზე მოკლე ქვედაბოლოები იქნება მოდაში, ქალი ასეთი ტიპის ფესაცმელს უფრო მოირჩევს. ამ ბოლო დროს, საქართველოში სპორტული ფესაცმელიც ძალიან აქტუალური გახდა. სპორტული მოდის მიმდევრებს ვეცვი, რომ გამაში სპორტულ ფესაცმელსაც ძალიან უხდება. გარდა ამისა, ის ფეხის ნაკლს შესანიშნავად ფარავს.

— გასულ წელს ძალზე მოდური იყო პლატფორმა. წელსაც შეიძლება, პლატფორმაზე შეკერილი ფესაცმელი ჩავიცვათ?

— წელს პლატფორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ქალები ძალიან მაღალი ქუსლის ტარებას გადაწყვეტენ. თუ არა და, მოდა გვერანახობს, რომ კლასიკური ფესაცმელი პლატფორმის გარეშე უნდა იყოს. მას უნდა ჰქონდეს მოკლე, ნეტიანი ცხვირი, რომელიც ფრანგული კლასიკური ფესაცმლის ისეთ სტილს მიუახლოვდება, როგორც დაახლოებით, 20 წლის წინ იყო მოდაში. ეს არის ნავისებური ფორმის ფესაცმელი. მას უნდა ჰქონდეს თხელი ძირი. რაც შეეხება ქუსლს, ის 9 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს, რადგან ასეთი ცხვირის მქონე ფესაცმელი უფრო მაღალი ქუსლის ტარების საშუალებას არ მოგვცემთ — სიარული გაგიჭირდებათ. თუ ქალს 9 სმ-ზე მაღალქუსლიანი ფესაცმლის ჩაცმა სურს, მაშინ შეუძლია, არჩევანი პლატფორმაზე შეაჩეროს. თუმცა, ის უკვე კლასიკური კი არა, უფრო ყოველდღიური, ისიც — თინეიჯერებისთვის განკუთვნილი ფესაცმელი იქნება. 25 წელს გადაცილებულმა ქალმა ასეთი ფესაცმელი არ უნდა ჩაიცვას.

— რას ურჩევს ისეთ ქალბატონებს, ვთქვით, უურნალობს, რომლებსაც მთელი დღის განმავლობაში უამრავი ინტერვიუ აქვთ ჩასაწერი და შესაბამისად, ბევრი სარბენიც აქვთ? მთელი დღის განმავლობაში „მაღლებზე“ დგომა ხომ არაკომფორტულია?

— სასურველია, ქალი ყოველთვის ქალს ჰგავდეს და კლასიკურად გამოიყურებოდეს. თუ ძალზე მაღალქუსლიანი ფესაცმლის



ჩაცმა დისკომფორტს უქმნის, ნ-სანტიმეტრიანი ქუსლის მქონე ფეხსაცმელი ჩიცვას. მოდა იმისთვისაა, რომ ადამიანი იყოს ბედნიერი, თავისუფალი თავის არჩევანში და თავადვე უნდა სვებოდეს, თუ რის მორგება-მოსდენას შეძლებს. ჩვენ, დიზაინერებს მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ მათ ვუკარნახოთ ის, თუ რა იქნება მოდაში.



**— ნელს რა ფერის ფეხსაცმელი უფრო აქტუალურია?**

— მუქი მელნისფერი და ყველა ამ ფერთან მიახლოებული ფერი. კლასიკური შავი ლაკის ჩემაც მოდაშია. ძალიან აქტუალური იქნება ანაკონდას ტყავისგან დამზადებული ფეხსაცმელი. ორ ფერში გადანაცვლებილი შუხიცი ძალიან საინტერესოა — შავი მუქ ყავისფერთან ან შავი რუხ ფერთან ერთად ძალიან ლამაზია. რაც შეეხება მასალას, თუ მაღალყელიანი ჩემის შეკრვა გსურთ, სასურველია, ის ზამშის იყოს, რადგან უფრო ადვილად „დავარდება“ და ადვილად მოერგება ფეხის ფორმას. ჩემაცა და ფეხსაცმელიც შეგიძლიათ, სხვადასხვაგვარი სამშენისებით გაანყოთ. მაგალითად: ფოჩებით, ორნამენტებით. პირადად მე, პრიორიტეტს გამამებთან ლაკის შუხს ვანიჭებ.

**— როგორი ჩანთა და ქამარი უნდა შევარჩიოთ, რომ მოდურად გამოვიყურებოდეთ?**

— იმის გამო, რომ მოდაში სპორტული ფეხსაცმელია, სასურველია, ჩანთაც სპორტული შევარჩიოთ, ქამარი კი უნდა იყოს ფართე და იმავე ფაქტურის, როგორცაა ფეხსაცმელი იქნება ან სხვადასხვა ფაქტურის ჩანთასა და ფეხსაცმელს ქამარი უნდა აერთიანებდეს. მაგალითად, თუ გვაცვია ზამშის ფეხსაცმელი და გვაქვს ლაკის ჩანთა, ზამშისა და ლაკით შეჯერებული ქამარი უნდა გამოვიყენოთ. ამ კიდევ: თუ ორგანიზაციისგან შეკერილი ფეხსაცმელი გვაქვს, შეგიძლია ერთი მასალის ჩანთა გვეკონდეს და მეორე მასალის — ქამარი.

**— სექტემბერ-ოქტომბერში განსაკუთრებით ბევრი ქორწილია. თქვენთან ფეხსაცმლის შესაკრავად ალბათ, ბევრი საპატარძლო მოდის. როგორი საქორწილო ფეხსაცმელია ახლა მოდაში?**

— უკვე კარგა ხანია სადედოფლო ფეხსაცმელზე ვმუშაობთ და ყველა საპატარძლო ერთი და იგივე მოთხოვნა აქვს: ფეხსაცმელი კაბას უნდა უხდებოდეს. პირველ რიგში,

მთავარია, ფეხსაცმელი ფეხზე იყოს მორგებული, რადგან ის მთელი დღის განმავლობაში ამ ფეხსაცმელზე არ ფიქრობდეს. საქორწინო ფეხსაცმელი სასურველია, გალაკული და გველის ტყავის ფაქტურის იყოს. იმის გამო, რომ ქართული საპატარძლოები, სწორ შემთხვევაში, კრემისფერ საქორწინო კაბებს იცვამენ, კარგი იქნება, თუ ფეხსაცმლის შესაკრავად სადაფისფერ მასალას გამოვიყენებთ (მომხმარებელს ის შემდეგშიც გამოადგება). ქუსლის სიმაღლესაც იმის მიხედვით ვარჩევთ, რომ ადამიანი არ დაიღალოს. თუმცა, წყვილსაც გააჩნია: თუ სიძე მაღალია, დედოფალი კი ძალიან დაბალი, მაშინ მას ძალზე მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ვუკერავთ. ■



# ფენომენი მაია რამიშვილი — ადამიანი ბიოკომპიუტერი!



მაია რამიშვილი ცნობილი ექიმი-ნატუროპათი, რომელსაც „მესამე თვალს“ აქვს გახსნილი, შინაგან ორგანოთა პათოლოგიას უჯრედულ დონეზე ხედავს. მისი „ბიოკომპიუტერი“ (მესამე თვალი) უზუსტეს დიაგნოზს სვამს. უკვე 17 წელია, მასთან დახმარების სათხოვნელად უამრავი ადამიანი მიდის. ჩინურ-ტიბეტური სამკურნალო მცენარეებისგან ამერიკაში დამზადებული უმაღლესი ხარისხის ფიტოთერაპიული პრეპარატებით იგი კურნავს: ჰეპატიტებს, ართრიტებს, პროსტატის დაავადებას, უშვილობას, უმადობას პატარებ-

ში, ორგანიზმის სისუსტეს და ბავშვთა ცერებრალურ დამბლას.

**— ქალბატონო მაია, მიუხედავად იმისა, რომ დღეს დაავადებათა დიაგნოსტიკა სხვადასხვა აპარატითაა შესაძლებელი. თქვენზე მოთხოვნილება მაინც არ იკლებს, რით ახსნით ამ ფაქტს?**

— სამწუხაროდ, მანქანას ლოგიკა არა აქვს! კომპიუტერული ტომოგრაფიისა და ექოსკოპის აპარატის მიერ დაფიქსირებული მონაცემებით პაციენტები ჩემთან მოდიან, რადგანაც ზუსტი დიაგნოზი, არ იციან. „მესამე თვალის“ ანუ ჩემი „ბიოკომპიუტერის“ წყალობით, ნებისმიერ პათოლოგიას ვაფიქსირებ, ყველა ორგანოს უჯრედულ დონეზე ვხედავ და ვსვამ უტყუარ დიაგნოზს, ამიტომაც მოდიან ჩემთან დახმარების სათხოვნელად. თანაც გაცილებით იაფი უჯდებათ.

**— ვიცო, რომ ბევრს დაუსვით ზუსტი დიაგნოზი და სწორი მკურნალობა დაუნიშნეთ. არადა, სწორია შემთხვევა, როდესაც პაციენტი შეცდომით დასმული დიაგნოზის მსხვერპლი ხდება...**

— 17 წლის განმავლობაში მსგავსი შემთხვევა უამრავი მქონია. მაგალითად, 10 წლის წინ პატარა ბიჭუნა მომიყვანეს, მაშინ 8 წლისა ხდებოდა. კრუნჩხვები

ემართებოდა და ექიმებს ეპილევსია ეგონათ, ძალიან ძლიერ გასათიშ პრეპარატებს ასმევდნენ, რამაც მის გონებაზე იმოქმედა, მაგრამ სწორი დიაგნოზი დაფიქსირდა, სათანადო მკურნალობა დაფიქსირდა და დღეს იგი თვრამეტი წლის ნიჭიერი სტუდენტია.

**— რატომ ჭირს ზუსტი დიაგნოზის დასმა?**

— სწორი დიაგნოზის დასასმელად, აპარატურის მიერ დაფიქსირებულ მონაცემებს სათანადო დამუშავება, გაშიფვრა სჭირდება, რასაც ყველა სპეციალისტი ვერ ახერხებს. ჩემთან გერმანიიდან, ინგლისიდან, საბერძნეთიდან და ესპანეთიდან ჩამოდიან იმედგაცრუებული ადამიანები, იქ ვერ განიკურნენ, აქ ბრწყინვალე შედეგები აქვთ.

P.S. თუ გსურთ ზუსტი დიაგნოზი, ორგანიზმის განმედა, გაჯანსაღება, გაახალგაზრდავება და სიცოცხლის გახანგრძლივება მიმართეთ ექიმ-ნატუროპათ მაია რამიშვილს, რომელსაც საერთაშორისო კლასის ექსტრასენსის ორი სერტიფიკატი (მიიღო 13 წლის ასაკში) აქვს. იგი ფართო პროფილის ექიმი-თერაპევტი და ნუტრიციოლოგ-დიეტოლოგია.

საკონტაქტო ტელეფონი:  
899-56-78-20

# „გვირილა“ აღფრთოვანებული თურქები და მარმარისზე გადაღებული კლიპი

საბავშვო ანსამბლი „გვირილა“ წელს მარმარისის კულტურის დღეებში მონაწილეობდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისმა წევრებმა თურქები აღაფრთოვანეს. თურქეთში, „გვირილასთან“ ერთად, „ივერიის“ წევრი, ნუგზარ კვაშალიც გახლდათ. ანსამბლის წევრებმა გასტროლებსა და მომავალ მიზნებზე სწორედ ბატონი ნუგზარი და „გვირილას“ ხელმძღვანელი, ერნა ნიფურია გვესაუბრნენ.

### ნათია ჰივიძე

— როდის და როგორ დაიწყო ანსამბლ „გვირილასა“ და ნუგზარ კვაშალის მეგობრობა?  
**ერნა:**

— ანსამბლი „გვირილა“ 16 წლის წინ შეიქმნა. მაშინ მხოლოდ 5 მოსწავლე მყავდა. „გვირილას“ ბენეფისი ოპერისა და ბალეტის თეატრში, ერთ-ერთ კონცერტზე შედგა, რომლის წამყვანიც ნუგზარ კვაშალი გახლდათ. ჩვენი მეგობრობაც სწორედ იმ კონცერტიდან დაიწყო და ეს ურთიერთობა „გვირილასთვის“ ფეხბენდიერი აღმოჩნდა, რადგან მას შემდეგ უამრავ წარმატებას მივაღწიეთ.

### ნუგზარი:

— „გვირილა“ ძალიან მიყვარს, რადგან ჩემთვის პატარებთან ურთიერთობა ყველაზე მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, რომ ამ სტუდიის ბავშვები გადასარევივად მღერიან, ძალზე ნიჭიერები არიან. როგორც ერნამ თქვა, ჩვენი მეგობრობა 16 წელია, გრძელდება და შესაბამისად, ერთმანეთის ოჯახებთანაც ვმეგობრობთ. მე ერნას შვილზე, ნინო ჩიხლაძეზე მაქვს „გართულება“. ის ძალიან ნიჭიერი გოგოა და ბავშვებთან მუშაობის გადასარევი ტაქტიკა აქვს. სურვილი მაქვს, ჩვენი მეგობრობა არასოდეს დამთავრდეს. სწორედ ამიტომ, უამრავ რამეს ვიგონებთ — ვმართავთ კონცერტებს, დადივართ გასტროლებზე და ვწერთ ახალ სიმღერებს.

— ერთი თვის წინ, მარმარისშიც ერთად გავემგზავრეთ...  
**ერნა:**

— პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს და ამავე დროს, „გვირილას“ დაბადების დღეს რუსთაველის თეატრში საბავშვო ღონისძიება ჩავატარეთ. საღამოს წამყვანები ჩემი ქალიშვილი ნინო და ნუგზარი გახლდნენ. ისეთი საინტერესო კონცერტი გამოვიდა, რომ ერთ-ერთმა ჩვენმა სპონსორმა კომპანიამ შემოგვთავაზა, მარმარისში, კულტურის დღეებშიც მიგველო მონაწილეობა. რასაკვირველია, ეს წინადადება მივიღეთ და მარმარისში ნუგზართან ერთად გავემგზავრეთ. გარდა იმისა, რომ ნუგზარი საღამოს წამყ-



## „ბავშვებთან მეც ძალზე ბავშვური ვხდები...“

ვანი იყო, ჩემი ბავშვები მასთან ერთად, ალექსანდრე ბასილიას სიმღერებსაც ასრულებენ. მარმარისში სულ 4 კონცერტში ვმონაწილეობდით და თურქებისა და ტურისტების დიდი მოწონებაც დავიმსახურეთ. შესაბამისად, მარმარისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა ბავშვებს მადლობის სიგელები გადაცეს.

### ნუგზარი:

— უნდა აღვნიშნო, რომ რამდენიმე სიმღერას ერნას შვილიშვილთან, გიორგი ლოლობერიძესთან ერთადაც ვასრულებ. ერთ-ერთ მათგანზე, რომლის სახელწოდებაცაა — „დაუ, დაუბერე ზურგის ქარო“ (მიუზიკლიდან „არგონავტები“), მარმარისში კლიპიც გადავიღეთ. ამ სიმღერას გიორგისთან და პატარა ნინო დვალისთან ერთად ვმღერებ.

### ერნა:

— კლიპის კადრები უამრავ საინტერესო ადგილას გადავიღეთ, მათ შორის, ეგეოსის ზღვაზეც, სადაც არგონავტები სინამდვილეში იყვნენ. ერთი კადრის გადაღება იქაურ ჩილიმ-ბარშიც გვინდოდა, მაგრამ თურქების ამბავი ხომ მოგეხსენება? — ფული თუ არ მიეცო, გამარჯობას არ გეტყვიან. ჩვენ მაინც მივედით ამ ჩილიმ-ბარში და მე-პატრონეს ავუსხენით, რომ ნუგზარ კვაშალი საქართველოში ძალზე ცნობილი მომღერალია და ბავშვებმა მასთან ერთად კლიპი უნდა გადაიღონ-მეთქი. ის კაცი დაგვთანხმდა, მაგრამ სიტყვაზე არ გვწინდოდა ვიღაც ქართველ ქალბატონს დაუჟავებინდა, რომელიც თურმე, იქ ყოფილა გათხოვილი და მას ჰკითხა, —

თუ იცი, ნუგზარ კვაშალი ვინ არისო? გადაირია ის ქალი. ნივილ-კვილი ატეხა ტელეფონში, — ეგ ნამდვილად, ძალზე ცნობილი და საყვარელი მომღერალიაო. ასე გადავიღეთ სასურველი კადრები. ვერ წარმოიდგენ, ბავშვებს ნუგზარი როგორ უყვართ და რა კარგი დრო გაატარეს მასთან ერთად.

### ნუგზარი:


— ქუჩაში ბავშვები რომ მცნობენ, ჩემთვის ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. ბავშვებთან მეც ძალზე ბავშვური ვხდები. ყველაზე მეტად ის მიხაროდა, რომ პატარები ცოტას ჭამდნენ და რაც დარჩებოდა, იმას მე „გადავუვლიდი“ ხოლმე.

— როგორც ვიცი, კიდეც უამრავი კონცერტი გაქვთ დაგამბილი.

— ჩამოვედით თუ არა, კუს ტბაზე, მერიის პროექტის მიხედვით, გაუმართეთ კონცერტი, რომელსაც აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილი ბავშვებიც ესწრებოდნენ. მოგვიანებით, იგივე კონცერტი მუშტაედის ბაღშიც ჩავატარეთ და მალე, გორშიც გავემგზავრებით. 19 სექტემბერს ხობში ალექსანდრე ბასილიას საღამო გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას ძირითადად, ანსამბლ „ივერიის“ წევრები მივიღებთ, მაგრამ იმ კონცერტზე „გვირილას“ ბავშვებიც გამოვლენ და ბუთხუზის სიმღერებს შეასრულებენ. რაც შეეხება გასტროლებს, მარტის თვეში ისრაელში, კერძოდ კი, თელ-ავივი ქართული და ისრაელი ბავშვების ერთობლივი კონცერტი გაიმართება. მოკლედ, წინ ნამდვილად დიდი და საინტერესო გეგმები გვაქვს. ■

# ბიბლუსის მალაზიანთა ქსელი მთელ საქართველოში

*წაიკითხე წიგნები-  
უნდაც იკნები!*



**თბილისი:**  
რუსთაველის 40/1  
ალმაჯანებლის №121  
იოსებოძის №49

**რუსთავი:**  
მეგობრობის №12

**ბათუმი:**  
მეშველ აბაშიძის №62  
ზ.ბაშსასურდინის №18

**ზუგდიდი:**  
რუსთაველის №92

**სენაკი:**  
რუსთაველის №241

**ფოთი:**  
ფარნავაზ მეფის №12

**ქუთაისი:**  
ლ.ნუსაბიძის №1

**სამგრაღია:**  
სააქაძის №6

**ხაშური:**  
რუსთაველის №69

**ღუშეთი:**  
რუსთაველის №11



# ჰოროსკოპი

(17 - 23 სექტემბერი)

**ვეფხი:**

მოაწყვეთ საკუთარი ბინა და შეიძინეთ ავეჯი. სამსახურში იაქტიურეთ, უფროსს ახალი იდეები გააცანით. კარგი პერიოდი ადრეის დასაწყებად. კვირის ბოლოს მეგობრებს შეხვდით, მაგრამ ალკოჰოლს ნუ მიეძალებით.

**ჭაჭრი:**

კვირის დასაწყისში ახალ რომანტიკულ ურთიერთობას წამოიწყებთ. სამსახურში მხოლოდ ადვილად მოსაგვარებელ, შემოსავლიან პროექტებზე იმუშავეთ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

**ტყუპი:**

კვირის დასაწყისში უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები მოაგვარეთ. თუ საყვარელი ადამიანის დაკარგვა არ გასურთ, მის მიმართ მეტი სითბო და ყურადღება გამოიჩინეთ. ივარჯიშეთ და დაიცავით დიეტა.

**კირჩხიბი:**

ფულის სესხება-გასესხებისგან თავი შეიკავეთ. ნუ ენდობით საექვო პირებს. კარგი დროა ახალი რომანის დასაწყებად, ქორწინებისთვის. კვირის ბოლოს ოჯახის წევრებთან და ნათესაებებთან ერთად დაისვენეთ.

**ლომი:**

ახალი სამსახური საშუალებას მოგცემთ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. საყვარელ ადამიანს ბრმად ნუ ენდობით და თავი მოტყუებულად რომ არ იგრძნოთ, მისი თითოეული ნაბიჯი გააკონტროლეთ.

**ქვამყვანი:**

გარშემო მყოფებს საკუთარი გარეგნობით, აზროვნებითა და ორგანიზატორული ნიჭით მოხიბლავთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. კვირის ბოლოს მეგობრებთან და საყვარელ ადამიანთან ერთად, პიკნიკი მოაწყვეთ.

**სასწორი:**

ახლა თქვენ დასვენება გეგმათ. ძალების აღსადგენად ბუნებაში გაისეირნეთ. გაისხენეთ მივიწყებული ჰობი და გაანალიზეთ წარსული. მოიშორეთ ძველი ნივთები და ნერტილი დაუსვით მომბებრებელ ურთიერთობას.

**მორჩილი:**

სხვისი საიდუმლოს გაგებას ნუ შეეცდებით — რადგან დამალვს, ე.ი. ასე იყო საჭირო. ძველ მეგობრებთან შეხვედრა სასიამოვნო განწყობილებაზე დაგაყენებთ. შესაძლოა, ძველი სიყვარულიც დაიბრუნოთ.

**მშვიდობის:**

კარგი პერიოდია წარსულის გასაანალიზებლად, შეცდომების გამოსასწორებლად, ძველი, გაცვეთილი ურთიერთობების გასაწყვეტად. კვირის ბოლოს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად, ბუნების ნიაღში დაისვენეთ.

**თხზი წიხი:**

ექსპერიმენტებსა და გამოძიებებს წარმატებით დაასრულებთ. აგრეთვე, კარგი პერიოდია იურიდიული დოკუმენტების გასაფორმებლად. კვირის ბოლოს გარშემო მყოფების მიმართ მეტი სითბო და ყურადღება გამოიჩინეთ.

**მეწყობი:**

ახალს წურაფერს წამოიწყებთ. ყველაფერს სჯობს, ჯერ ძველი საქმეები დაასრულოთ. საყვარელ ადამიანს რომანტიკული საღამოები მოუწყვეთ. კვირის ბოლოს ალკოჰოლურ სასმელს ნუ მიეძალებით.

**თევზები:**

მოზღვავებული ენერჯის წყალობით უამრავ საქმეს მოაგვარებთ. იზრუნეთ შვილების სწავლაზე, მათ მომავალზე. ჩაიტარეთ სამედიცინო გამოკვლევა. მეგობრებს საკუთარი გეგმები გააცანით და მათთან ერთად ბიზნესი წამოიწყეთ.

## პატარავი გენიოსოვანი

გაზით „კვირის პალიტრის“ არქივიდან



სტუმრად მყოფი მამა 5 წლის შვილს — ნინის აფრთხილებს:  
— წიგნებს ხელი არ ახლო, თორემ, ქეთი დეიდა გცემს.  
— რატომ? ჩვენ ქეთის შვილები ხომ არ ვართ?



თორნიკე ჩაჩანიძეს მამა სტომატოლოგია. 4 წლის თორნიკე ბებიამ გოჭების სანახავად წაიყვანა.  
— ეს გოჭები შვილები არიან, ის დიდი ლორი კი ამათი დედაა, — აუხსნა ბებომ.  
— მამა ლორი სამსახურშია და სხვა ლორებს კბილებს უპოლობავს? — იკითხა თორნიკემ.



7 წლის მამულ კაპანაძე ბაბუას ეკითხება:  
— ბაბუ, შოთებს იმიტომ ჰქვია შოთის პური, რომ შოთა აცხობს?



4 წლის დათუნას ბებომ კბილის პრობლემა გაიკეთა. ბიჭმა ეს დაინახა და დედას მიახარა:  
— დედი, ბებოს კბილები ამოსვლია!



4 წლის ანუკი ბალახაშვილმა სამხედრო ნაწილიდან გამოსული ჯარისკაცები დაინახა და დედიკოს ეუბნება:  
— დედიკო, ნახე, მამიკოები მოდიან (მამა სამხედრო ნაწილში მსახურობს).



4 წლის სანდრო კიკნაძე საბავშვო ბაღიდან შინ რომ დაბრუნდა, დედას მიუცუცქდა და ბაღის ამბებს უყვება:  
— დღეს ბაღში თმა და ფრჩხილები

შეგიმონმეს.  
— ვინ შეგიმონმა? — ჰკითხა დედა.  
— ტილების და ფრჩხილების ექიმმა, — მიუგო სანდრომ.



2 წლის და 8 თვის საბა ჩხაიძეს ფეს-საცმელი უყიდეს და უთხრეს:  
— საბა, ეს რეზინის ფესსაცმელი ტალახში უნდა ჩაიცვა.  
— ჩამაცვი და ტალახს მე ვიპოვი, — სთხოვა ბებიას საბამ.



3 წლის ოთარიკო ლოგინში წამომჯდარა.  
— როგორ გეძინა? — ჰკითხა დედიკომ.  
— თვალბდახუჭულს, — სხარტად მიუგო ოთარიკომ.



				<b>1</b> გიტარის დასაკრავი ფირფიტა	<b>2</b> პორტის მუშა		<b>3</b> მხარზე გადასაკადი ჩანთა		<b>4</b> პორტუგალიის ფეხბურთის გუნდი	<b>5</b> უკუს-ვლა დაქვეითება
					<b>6</b> იტალიის ფეხბურთის გუნდი		<b>7</b> ბულგარეთის დღაქალაქი	<b>8</b> იაპონური ალუბალი	<b>9</b> ჩოგბურთის მოედანი	
<b>10</b> რხევა							<b>11</b> აშშ-ის კონსონანტი ცენტრი			
<b>12</b> კენგურუს სახეობა			<b>13</b> უემ-მაკო, მოუხერხებელი	<b>14</b> წამლის ფორმა	<b>15</b> ცინელის მთა					
<b>16</b> ალკოჰოლიზმი						<b>17</b> პირის ღრუს ნაწილი			<b>18</b> ღვინოთ მოვარე ძეგლი	<b>19</b> წერილობრივი ტყვეები
<b>20</b> ზღვის პატარა ყურე						<b>21</b> ინგლისული ავტომობილი				
			<b>22</b> ზოგი ცხოველის თათი			<b>23</b> იტალიური პისტოლეტი			<b>24</b> ფეხბურთის მეფე	
						<b>25</b> სომხეთის დღაქალაქი				
	<b>26</b> იაპონიის კუნძული	<b>27</b> უსინათლოთა შრიფტი	<b>28</b> მცირე განის მქონე					<b>29</b> ქალაქი საქართველოში	<b>30</b> სხალზე ლანდი უფრო ფრინველი	
				<b>31</b> სიმეზანი ინსტრუმენტი						
	<b>32</b> გადამდარი კარაქი			<b>33</b> ჩინელი დიქტატორი		<b>34</b> აპრილის ძველქართული სახელი	<b>35</b> ტიბეტური ხარი			
	<b>36</b> ნუშის ლიქიორი									
	<b>37</b> პატარა ელექტრორგანი							<b>38</b> ისტორია		
				<b>39</b> მწვანელი						
<b>40</b> რუმინელი დიქტატორი	<b>41</b> ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში							<b>42</b> გარეული ვირი		

**წინა ნომრის სკანოკრი პასუხები** 1. სამსახური; 2. სორო; 3. იქ; 4. ქული; 5. რიბოკი; 6. ამირეჯობი; 7. ვოზი; 8. რესტორი; 9. სირმა; 10. ბეზე; 11. გარდერობი; 12. ურიკა; 13. გაბონი; 14. ემბრ; 15. ყია; 16. ყამირი; 17. აზარტი; 18. გრიზლი; 19. რაი; 20. ყირი; 21. ბალი; 22. რელიგია; 23. ოვალი; 24. იმედი; 25. ნაირობი; 26. ავაზა; 27. რესტორანი; 28. ზებუ; 29. ლული; 30. ოკეანე; 31. სასახლე; 32. კუმისი; 33. წნორი; 34. ანტონიო; 35. კრონოსი; 36. ანოა; 37. ნიკორა; 38. არაფანი; 39. რასინგი; 40. სიცრუე.  
**სურათები:** 1. სკარლეთ იოჰანსონი; 2. ბილ მიურეი.

# სახეობრივ კროსვორდში

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	51	52	53	54	55	56	57	58	59	60	61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72	73	74	75	76	77	78	79	80	81	82	83	84	85	86	87	88	89	90	91	92	93	94	95	96	97	98	99	100
---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	-----

- **შეხვედრის წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ.
- კროსვორდის სწორად ამოსწის შემთხვევაში გამოუქმბულ უფერედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავეთ.

ბ. ჯარის საუკეთესო, რჩეული ნაწილი; ა. ხის სარწვევი საწოლი ჩვილი ბავშვისთვის; მ. ოთარ მეღვინეთუხუცესის პერსონაჟის სახელი მხატვრულ ფილმში „ნატურის ხე“; რ. კამეჩის ან ხარის ტყავისგან დამზადებული დიდი ტიკი; თ. თავის ქალის ზედა ნაწილი; ი. კანის ანთებითი დაავადება; თ. ერთდროულად მცხოვრები დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები; ჩ. ცხვრის მწყემსი, მეცხვარე; ზ. მალტის დედაქალაქი; ე. თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესები, რაც მიღებულია რომელიმე საზოგადოებაში; ნ. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი; ს. მაფის სამშობლო; ჟ. ქართველი დრამატურგი და სცენარისტი, „ჯარისკაცის მამის“ სცენარის ავტორი; უ. წონის ერთეული ძველ რომსა და შემდგომში ევროპის სხვა სახელმწიფოებში მეტრული სისტემის შემოღებამდე; რ. რა ერქვა ვაგნერს; ნ. მდინარე ეგვიპტეში; ბ. ჭუჭრუტანიდან ოთახში შემოსული მზის სხივი; ლ. ქალაქ რომის საფეხბურთო კლუბი; თ. მიწაში

ჩადგმული, გამომწვარი თიხის უძირო ლუმელი, რომელშიც პურს აცობენ; ა. სიკვდილის გამგებელი ტურისსახიანი ძველეგვიპტური ღვთაება; ნ. კუკარაჩას ტაბელური იარაღი; ი. სახელმწიფოს მიერ ქალაქის ფულის გამოშვება; რ. ბირმის დედაქალაქი; თ. ანსამბლ „ივერიის“ ყოფილი სოლისტი ქალი, ქეთევანის როლის შემსრულებელი მიუზიკლში „ჩიკვატა ქორნილი“; ა. სამცხის მმართველთა ტიტული; დ. ღვინისა და დროს ტარების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

### წინა ნომერი გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

- **პასუხები:** დ. დუშანბე; ა. ამერიკა; ი. იუნონა; ს. სნიკერსი; ზ. ვაჭრობა; ე. ეკიპაჟი; ნ. ნორვეგია; ე. ებიდემია; თ. თამასუქი; ჩ. ჩხეიძე; ზ. ვითარება; ე. ელიოზი; ნ. ნეშტი; ს. სევანი; ჟ. ჟრიამული; უ. უილიამი; რ. რაიმონდი; ნ. ნიაგარა; ა. აირტონი; ლ. ლაგოდესი; თ. თხა; ა. ალიზი; ნ. ნეზვი; ე. ებრაელი; რ. რედიადის; თ. თხემი; ა. არბალეტ; დ. დრაიზერი;

### გამოქვეყნულ უფრედებში იკითხება: შენი ჭირიებით ბავშვი არ გაიზრდება.

## იაპონური სენსაცია

## სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერი გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

4	2	8	6	5	7	3	1	9
1	5	9	3	8	4	2	7	6
3	7	6	1	9	2	4	5	8
2	9	4	7	6	8	5	3	1
8	6	5	4	3	1	9	2	7
7	3	1	5	2	9	6	8	4
9	8	3	2	1	6	7	4	5
5	1	7	9	4	3	8	6	2
6	4	2	8	7	5	1	9	3

5	8	6	3	1	7	2	9	4
1	9	4	2	5	6	8	7	3
7	2	3	4	9	8	1	6	5
3	1	9	5	4	2	6	8	7
8	4	2	7	6	1	5	3	9
6	5	7	9	8	3	4	2	1
2	7	5	8	3	4	9	1	6
9	6	8	1	7	5	3	4	2
4	3	1	6	2	9	7	5	8

4	1	3	7	6	9	2	8	5
2	5	6	3	4	8	9	7	1
9	7	8	1	2	5	6	3	4
7	8	9	5	1	3	4	2	6
1	6	2	9	8	4	3	5	7
5	3	4	6	7	2	8	1	9
6	9	5	8	3	1	7	4	2
8	4	1	2	9	7	5	6	3
3	2	7	4	5	6	1	9	8

### \* მარტივი

6			7			2				
		9	5			3				
				2					7	
		6	3		7		5			
	1				4		9			
	5			8		6				
2				9						
		1			3	4				
		8			5				6	

### \*\* საშუალო

		9				3				4
			5			9				6
2						4				
1	2							4		
	6					7		5		
	8					2		6	7	
				3						2
9				8			7			
6				7						1

### \*\* \* რთული

1				6					9	
				8						6
		6				4	3			
		5	4			7				
7						5				2
		2			1	8	6			
		8	9			5				
3						4				
	9					7				1

# ფოტოკუჩიოზები



„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„ღიღი მხატვრები“

შეიძინეთ

„კვირის პალიტრას“

უკეთად!

წიგნების სერია  
რჩეულ ფერმწერებზე -  
მუდევრები და ისტორიები



21-დან – 27 საქტამბრამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის! სპეციალური ფასი - 15 ლარი!



არ გამოგრჩეთ! ყოველთვე თქვენ ბიბლიოთეკას ერთი ტომი შეემატება! ვან გოგი პირველია!